ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 182

"15" აპრილი 2025 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 24–ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი" 86–ე მუხლის, 87–ე მუხლისა და 88–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების თანდართული წლიური ანგარიში.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონების გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, პროგრამების დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში). ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამების/ ქვეპროგრამების მიხედვით განხორციელებული ღონისძიებების აღწერის, მიღწეული შედეგების და შეფასების ინდიკატორების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამთავრობო სექტორისთვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების შესრულების წლიური მაჩვენებლების, ბიუჯეტის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან (მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი) პროგრამების/ ქვეპროგრამების მიხედვით მიღებული და გადარიცხული გრანტების (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები) შესახებ.

ბიუჯეტის შესრულების დაგეგმილ მაჩვენებელთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, გრძელდება პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორების - საბაზისო, დაგეგმილი და მიღწეული მაჩვენებლების გათვალისწინება (მათ შორის შედეგების შეფასების ნაწილში გენდერული ინდიკატორები).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

(ათას ლარებში)

დასახელება	2024 წლის გეგმა		საკასო შესრულება (ნაზარდი ჯამით)	
	სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები	სულ	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ფონდები
შემოსავლები	**1,787,117.7**	**12,000.0**	**1,880,549.8**	**12,000.0**
გადასახდელები	948,661.8	0.0	981,760.3	0.0
გრანტები	520,982.9	12,000.0	518,493.4	12,000.0
სხვა შემოსავლები	317,473.0	0.0	380,296.0	0.0
ხარჯები	**1,569,679.8**	**0.0**	**1,505,906.0**	**0.0**
შრომის ანაზღაურება	112,176.9	0.0	103,758.3	0.0
საქონელი და მომსახურება	248,253.7	0.0	232,123.4	0.0
პროცენტი	12,162.6	0.0	12,061.7	0.0
სუბსიდიები	702,272.8	0.0	671,218.6	0.0
გრანტები	1,185.1	0.0	1,128.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	161,080.3	0.0	160,356.1	0.0
სხვა ხარჯები	332,548.4	0.0	325,259.9	0.0
საოპერაციო სალდო	**217,437.9**	**12,000.0**	**374,643.9**	**12,000.0**
არაფინანსური აქტივების ცვლილება	**389,343.0**	**12,000.0**	**280,902.3**	**3,042.8**
ზრდა	480,117.6	12,000.0	389,676.5	3,042.8
კლება	90,774.6	0.0	108,774.2	0.0
მთლიანი სალდო	**-171,905.1**	**0.0**	**93,741.5**	**8,957.2**
ფინანსური აქტივების ცვლილება	**-200,034.9**	**0.0**	**65,618.2**	**8,957.2**
ზრდა	0.0	0.0	65,618.2	8,957.2
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	65,618.2	8,957.2
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	200,034.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	200,034.9	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	**-28,129.8**	**0.0**	**-28,123.3**	**0.0**
ზრდა	0.0	0.0	6.5	0.0

საგარეო	0.0	0.0	6.3	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.2	0.0
კლება	28,129.8	0.0	28,129.8	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	28,129.8	0.0	28,129.8	0.0
ბალანსი	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

შენიშვნა: ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები

2024 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 203,124.3 ათასი ლარი.

შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ფორმა

(ათას ლარებში)

დასახელება	**2024 წლის გეგმა**	**საკასო შესრულება**	**შესრულება%-ში**
შემოსულობები	**1,877,892.3**	**1,989,330.5**	**105.9%**
შემოსავლები	1,787,117.7	1,880,549.8	105.2%
არაფინანსური აქტივების კლება	90,774.6	108,774.2	119.8%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
ვალდებულებების ზრდა	0.0	6.5	
გადასახდელები	**2,077,927.2**	**1,923,712.3**	**92.6%**
ხარჯები	1,569,679.8	1,505,906.0	95.9%
არაფინანსური აქტივების ზრდა	480,117.6	389,676.5	81.2%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0.0	0.0	
ვალდებულებების კლება	28,129.8	28,129.8	100.0%
ნაშთის ცვლილება	**-200,034.9**	**65,618.2**	

2024 წელს **ნაშთის ცვლილების** (ნაშთის გამოყენება) სახით ბიუჯეტში ასახულ იქნა 200,034.9 ათასი ლარი, ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 65,618.2 ათასი ლარი.

2025 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 268 742,5 ათასი ლარი.



ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის შემოსულობების შესრულების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 1 877,892.3 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 989,330.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 105.9%.

ათასი ლარი





სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი შემდეგნაირია:



I შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 1 787,117.7 ათასი ლარი, ფაქტიურად 1 880,549.8 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 105.2% და მთლიანი - შემოსულობების 94.5% შეადგინა.



I გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 981,760.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (948,661.8 ათასი ლარი) 103.5%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი – 920,297.6 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 61,462.7 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც თითქმის თანაბრად ქონების და დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის[1], მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 323,249.3 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია - 255,411.6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია – 48,478.4 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 19,359.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი – 286,691.8 ათასი ლარი) შედარებით 36,557.5 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის (2023 წლის ფაქტი - 227,355.2 ათასი ლარი))[2].

ათასი ლარი



[1] 1. დღგ-ს ზრდა გამოწვეულია ეკონომიკური ზრდის შედეგად;
2. ქონების გადასახადის ნაწილში გაიზარდა საწარმოთა ქონების გადასახადით დასაბეგრი ბაზა.

[2] იხილეთ შენიშვნა 1 [2]

ათასი ლარი



დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 658,511.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (653,661.8 ათასი ლარი) 100.7%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წლის ფაქტი - 633,605.8 ათასი ლარი) შედარებით 24,905.3 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული[3].

ათასი ლარი



[3] იხილეთ შენიშვნა 1 [1]



II გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 518,493.4 ათასი ლარი, კერძოდ: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 437.2 ათასი ლარი (მათ შორის საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ), უცხო სახელმწიფოთა მთავრობებიდან მიღებული გრანტები - 0.2 ათასი ლარი, ხოლო სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 518,056.0 ათასი ლარი, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 444.5 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 500,000.0 ათასი ლარი (თბილისის მასშტაბით არსებული ქუჩების/გზების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები, ავარიული შენობების გამაგრების სამუშაოები, საქალაქო და რაიონების კეთილმოწყობის ღონისძიებების სამუშაოები, რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები, ხიდების და გვირაბების, წყალსადენის,

სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები; M3 კატეგორიის ავტობუსების (160 ერთეული 18 მეტრიანი) შესაძენად ვალდებულების ნაწილის და დამატებით 40 ერთეული M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად ავანსის დაფარვა; მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციის მიზნით ესკალატორის ნაწილების შეძენა; 18 მეტრიანი N3 კატეგორიის ავტობუსებისათვის რიგით მეოთხე ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად; სხვადასხვა ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის და სარწყავი სისტემების მოწყობის სამუშაოები; სათამაშო ატრაქციონების და სპორტული ტრენაჟორების შეძენა; დასუფთავების ღონისძიებების ფარგლებში ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის სამუშაოები; საბავშვო ბაგა-ბაღების, სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების, მუზეუმების რეაბილიტაციის სამუშაოები, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან (2024 წლის 10 ივლისის N980 განკარგულება) გამოყოფილი სახსრები - 12,000.0 ათასი ლარი (მათ შორის ქალაქ თბილისში, ჯურხა ნადირაძის ქუჩა N4-ში არსებული 857 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების გამოსყიდვა, ლაგუნა ვერეს მიმდებარე (გმირთა მოედნიდან ზვიად გამსახურდიას სანაპირომდე) მონაკვეთის რეკონსტრუქცია - გაფართოების სამუშაოების პროექტირება - მშენებლობის სამუშაოების და ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში დაგეგმილი ახალი სახლების მშენებლობა), ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 5,611.5 ათასი ლარი (მათ შორის „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელების პროცესში, პროექტების (N6024-GEO, N4134-GEO) ფარგლებში კონსულტანტთა შრომის ანაზღაურების შესაბამისი ადგილობრივი გადასახადების დასაფინანსებლად (მათ შორის საპენსიო შენატანი), სასესხო პროექტის N6024-GEO ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მიმწოდებლებზე დამატებული ღირებულების გადასახადის

გადასახდელად, პროექტის - „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ განხორციელების პროცესში გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, უცხოური საწარმოს ფილიალის „გოპა ინფრას ფილიალი საქართველოში“ მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ასანაზღაურებლად, "თბილისის მყარი ნარჩენების" პროექტთან დაკავშირებით, გადამტვირთავი სადგურის რეაბილიტაციის მიზნით, შპს "გუმბათი ჰოლდინგთან" გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ავანსის ფარგლებში და „თბილისის მუნიციპალური სერვისების“ პროექტთან დაკავშირებით, სპეცტექნიკის შეძენის მიზნით, კომპანია „ჯი-თი ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების (52577/G-01 LOT 1, 52577/G-01 LOT 2) ფარგლებში გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად).



<u>III სხვა შემოსავლები</u>

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 317,473.0 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 380,296.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 119,8%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი – 327,909.1 ათასი ლარი)

შედარებით 52,386.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული[4], რაც ძირითადად სანებართვო მოსაკრებელზე, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელზე და სხვა არაკლასიფიცირებულ შემოსავლებზე მოდის. მათ შორის:

პროცენტების სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 25,040.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,840.0 ათასი ლარი) 283.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (21,258.3 ათასი ლარი) შედარებით 3,782.0 ათასი ლარით მეტია[5].



რენტის სახით მობილიზებულია 7,999.2 ათასი ლარი, მათ შორის: ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლიდან - 4,441.0 ათასი ლარი, მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 3,560.1 ათასი ლარი, ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული რენტიდან ჩამოწერილია 2.0 ათასი ლარი.

---

[4] 1. მშენებლობის სანებართვო მოსაკრებელის ზრდა გამოწვეულია საკანონმდებლო ცვლილებით, კერძოდ: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25.11.2022წ. N17-108 დადგენილების საფუძველზე ძალაში შევიდა მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის ახალი განაკვეთები, კერძოდ მოსაკრებლის ოდენობა 2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე ნაცვლად 6 ლარისა გახდა 8 ლარი. გარდა ამისა, მიმდინარეობს B კატეგორიის ტაქსების მონიტორინგი, რის შედეგად მოხდა აღებული ნებართვების ზრდა. ასევე, არააქტიური (მოლოდინის რეჟიმში მყოფი) „A" კატეგორიის ნებართვებზე (ნებართვაზე არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება ან/და მძღოლი) ნებართვის გაცემის ფასის დარიცხვა დღეში 3 ლარის ოდენობით;

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014წ. N17-46 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების და შპს თბილსერვის-ჯგუფის მიერ დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ნაწილში ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება;

3. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით თანხის გადახდისთვის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 22 აგვისტოს N308 ბრძანებით დამტკიცებულ დანართი 3-ში დაემატა სახაზინო კოდი - შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის (3297).

[5] 2024 წელს ნაშთის სახით ბიუჯეტის ანგარიშებზე საშუალოდ თვეში იყო 280,746.6 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს - 202,910.9 ათასი ლარი.

ადმინისტრაციული მოსაკრებლებიდან და გადასახდელებიდან მიღებულია 182,904.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (163,399.8 ათასი ლარი) 111.9%-ია. მათ შორის:

სანებართვო მოსაკრებლიდან მთლიანობაში მიღებულია 30,194.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (18,194.8 ათასი ლარი) 166%-ია და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (ფაქტი - 23,059.7 ათასი ლარი) შედარებით 7,135.0 ათასი ლარით მეტია[6]. მათ შორის: მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე - 24,570.0 ათასი ლარი, მოსაკრებელი საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის ნებართვაზე - 5,624.7 ათასი ლარი.

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლიდან მიღებულია 1.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5.0 ათასი ლარი) 38.2%-ია.

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის სახით საანგარიშო პერიოდში მიღებულია 52,770.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (70,000.0 ათასი ლარი) 75.4%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (57,150.3 ათასი ლარი) შედარებით 4,380.1 ათასი ლარით ნაკლებია[7]. მიმდინარე პერიოდში ობიექტების მიხედვით მიღებული თანხები შემდეგნაირად განაწილდა: სათამაშო აპარატებიდან ბიუჯეტში მიღებულია 24,504.0 ათასი ლარი (46.4%), წამახალისებელი გათამაშებიდან - 3,961.1 ათასი ლარი (7.5%), სათანადო ნებართვების (სამორინე, სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორი) საფუძველზე სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან - 2,109.9 ათასი ლარი (4%), ლატარიების მოწყობაზე - 0.1 ათასი ლარი (0.0002%), ხოლო სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან - 22,195.1 ათასი ლარი (42.1%).

---

[6] იხილეთ შენიშვნა 4[1].

[7] სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემცირება ძირითადად გამოწვეულია სამორინეს მაგიდების და სათამაშო აპარატების შემცირებული რაოდენობიდან (მათ შორის 2023 წელთან შედარებით სამორინეს მაგიდიდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია 8.11%-ით (2024 წელს მიღებულია 21,440.0 ათასი ლარი, ხოლო 2023 წელს - 23,334.7 ათასი ლარი), ხოლო სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია 15.65%-ით (2023 წელს - 29,053.7 ათასი ლარი)). ამასთან, გაზრდილია წამახალისებელი გათამაშებიდან მისაღები შემოსავლები 37.5%-ით (2023 წელს - 2,880.4 ათასი ლარი) და სათანადო ნებართვის საფუძველზე სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობებიდან მისაღები შემოსავლები 75.8%-ით (2023 წელს - 1,200.0 ათასი ლარი);



დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 99,200.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (75,000.0 ათასი ლარი) 132.3%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (80,460.4 ათასი ლარი) შედარებით 18,740.3 ათასი ლარით მეტია[8].

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მიღებულია 544.9 ათასი ლარი.

სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლიდან მიღებულია 171.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (200.0 ათასი ლარი) 85.8%-ია.

მომსახურების გაწევიდან მიმდინარე პერიოდში მთლიანობაში მიღებულია 1,262.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,950.0 ათასი ლარი) 64.7%-ია. მათ შორის: შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 1,227.5 ათასი ლარი, შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 0.1 ათასი ლარი და შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან - 34.4 ათასი ლარი.

სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) მიღებულმა შემოსავლებმა მთლიანობაში 125,556.9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (115,000.0 ათასი ლარი) 109.2%-ი და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (123,490.3 ათასი ლარი)

[8] იხილეთ შენიშვნა 4[2]

შედარებით 2,066.6 ათასი ლარით მეტია[9]. მათ შორის: საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის 59,239.2 ათასი ლარი, დედაქალაქის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევის გამო - 17,031.4 ათასი ლარი, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო - 9,399.2 ათასი ლარი, დასუფთავების წესების დარღვევის გამო - 985.6 ათასი ლარი, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისათვის - 3,692.8 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისთვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში (BUS LINE) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის - 2,623.8 ათასი ლარი, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ველობილიკზე ან ველოსიპედის მოძრაობის ზოლზე ველოსიპედის გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული გამონაკლისებისა) მოძრაობის, გაჩერების ან დგომისათვის ან წინასწარი შეცნობით სატრანსპორტო საშუალების გზაზე გაჩერების ან დგომისათვის სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის ნომრის (სახელმწიფო სანომრე ნიშნის ან ნიშნების), შიდა ტრანზიტის, ტრანზიტული ნომრის ან „TEST“ ნომრის გარეშე - 2,478.2 ათასი ლარი, ავტომობილის გაჩერების წესების გათვალისწინებული მოთხოვნების დაუცველობისათვის - 16,052.5 ათასი ლარი, საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო - 288.2 ათასი ლარი, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო - 505.0 ათასი ლარი, უბილეთო მგზავრობის გამო - 2,821.6 ათასი ლარი, სხვა ჯარიმები - 10,439.3 ათასი ლარი.

[9] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილი ცვლილებები და ადმინისტრირების წესების გაუმჯობესება.

ათასი ლარი



ათასი ლარი



ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული შემოსავლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 37,533.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (22,283.2 ათასი ლარი) 168.4%-ია. მათ შორის: შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე - 274.6 ათასი ლარი, შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან - 5,205.2 ათასი ლარი, წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 1,182.3 ათასი ლარი, სახელმწიფოსადმი მიყენებული ზიანის

ანაზღაურებიდან მიღებული შემოსავალი - 507.6 ათასი ლარი, სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებული შემოსავალი - 38.0 ათასი ლარი, შემოსავალი მწვანე ნარგავის აღდგენითი ღირებულებიდან - 269.6 ათასი ლარი, შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 29,943.1 ათასი ლარი[10], სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები – 113.1 ათასი ლარი[11].

<u>**არაფინანსური აქტივების კლებიდან**</u> მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 108,774.2 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 54,560.8 ათასი ლარი (მათ შორის: საცხოვრებელი შენობები - 49,186.6 ათასი ლარი, არასაცხოვრებელი შენობები - 5,218.6 ათასი ლარი, მანქანა დანადგარები და ინვენტარი - 152.6 ათასი ლარი, სხვა ძირითადი აქტივები - 3.0 ათასი ლარი), მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 138.8 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 54,074.6 ათასი ლარი.



[10] იხილეთ შენიშვნა 4[3].

[11] მათ შორის 53.0 ათასი ლარი არის სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების (300779921) კოდზე შემოსული (მობრუნებული) თანხები, რითაც უნდა აღდგენილიყო რესურსები შესაბამის პროგრამულ კოდებზე (ხარჯების შემცირება), რაც სახელმწიფო ხაზინის მიერ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ განხორციელებულა.

ათასი ლარი



<u>ვალდებულებების ზრდის</u> სახით საანგარიშო პერიოდში ასახულ იქნა - 6.5 ათასი ლარი (შემოსულობა საშინაო - სხვა კრედიტორული დავალიანებების და შემოსულობა საგარეო - აქციები და სხვა კაპიტალის სახაზინო კოდებზე ჩარიცხული თანხები, რომელიც არ წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვალდებულების ზრდას).

ინფორმაცია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების შესახებ

2024 წელს **გადასახდელების** შესრულების 93%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივ ჭრილში (2023 წელი - 1 722,247.9 ათასი ლარი) დახარჯულია 201,464.4 ათასი ლარით მეტი.


ბიუჯეტის გადასახდელების პროცენტული შესრულების
დინამიკა 2020-2024 წწ
97%
96%
95%
94%
93%
92%
91%
90%
96%
96%
93%
94%
93%
2020 წლის ფაქტი
2021 წლის ფაქტი
2022 წლის ფაქტი
2023 წლის ფაქტი
2024 წლის ფაქტი

ათასი ლარი


ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020-2024
წლების ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება
2,000,000.0
1,800,000.0
1,600,000.0
1,400,000.0
1,200,000.0
1,000,000.0
800,000.0
600,000.0
400,000.0
200,000.0
0.0
1,080,555.4
1,222,772.4
1,463,004.5
1,722,247.9
1,923,712.3
2020 წლის ფაქტი
2021 წლის ფაქტი
2022 წლის ფაქტი
2023 წლის ფაქტი
2024 წლის ფაქტი

ათასი ლარი



ათასი ლარი



2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 2 077,927.2 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 923,712.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.6%-ია. მათ შორის:

ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1 569,679.8 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 1 505,906.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.9%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 78.3%-ია.

არაფინანსური აქტივების ზრდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 480,117.6 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა - 389,676.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81.2%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 20.3%-ია.

ვალდებულებების კლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 28,129.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი და მთლიანი გადასახდელების საკასო შესრულების 1.5%-ია.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 112,176.9 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 103,758.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 6.9%-ია.

„საქონელი და მომსახურების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განსაზღვრულ იქნა 248,253.7 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 232,123.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 93.5%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.4%-ია.

,,პროცენტის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 12,162.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 12,061.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.2%-ს შეადგენს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.8%-ია. ამ მუხლიდან თანხები მიმართულ იქნა საშინაო ვალდებულებების მომსახურებაზე.

„სუბსიდიების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 702,272.8 ათასი ლარით. საკასო შესრულებამ შეადგინა 671,218.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 44.6%-ს შეადგენს.

„სუბსიდიების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა - 180,265.6 ათასი ლარი;
- ხელოვნების სკოლების სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა და მასწავლებელთა ხელშეწყობა, სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების დაფინანსება და სხვა ღონისძიებები - 1,995.1 ათასი ლარი;
- დასუფთავების ღონისძიებები - 135,067.9 ათასი ლარი;
- საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსი, საბაგირო) სუბსიდია - 290,889.5 ათასი ლარი;
- გამწვანებული ტერიტორიების (პარკები, სკვერები) მოვლა პატრონობის ღონისძიებები - 33,000.0 ათასი ლარი;
- კულტურის სფეროს განვითარების, სპორტული ღონისძიებების (მათ შორის სპორტული ცენტრების ხელშეწყობა) და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (მათ შორის თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა) – 17,116.5 ათასი ლარი.

„გრანტების” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 1,185.1 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,128.0 ათასი ლარი, რაც

გეგმის 95.2%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს.

„გრანტების” მუხლით ძირითადად დაფინანსებული იქნა საერთაშორისო ორგანიზაციებში საწევროს ხარჯები და სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სსიპ-ების ხელშეწყობის ხარჯები სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად;

„სოციალური უზრუნველყოფის” მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 161,080.3 ათასი ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 160,356.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 99.6%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.6%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- კომუნალური სუბსიდირება - 9,871.5 ათასი ლარი;
- სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების ღონისძიებები და სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში - 41,203.0 ათასი ლარი;
- დაავადებათა სკრინინგი (ძუძუს, საშვილოსნოს ყელის და კოლორექტალური კიბოს სკრინიგი, პროსტატის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა) – 3,054.8 ათასი ლარი;
- სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება - 2,769.5 ათასი ლარი;
- აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია - 10,862.3 ათასი ლარი;
- ტრანსპლანტაცია (ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაცია) – 8,842.7 ათასი ლარი;
- გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 4,216.0 ათასი ლარი;
- ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება - 7,565.1 ათასი ლარი;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება - 896.9 ათასი ლარი;
- თბილისის 10 რაიონში მოსახლეობის უფასო სასადილოებით მომსახურება - 26,151.9 ათასი ლარი;
- თბილისის 10 რაიონში დანგრეული საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები - 9,974.2 ათასი ლარი;

- სოციალურად დაუცველ მოსწავლეთა უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში - 2,337.7 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება - 8,521.9 ათასი ლარი;
- სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება - 13,247.0 ათასი ლარი;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება - 5,080.6 ათასი ლარი.

„სხვა ხარჯების" მუხლით საანგარიშო პერიოდში გეგმა განისაზღვრა 332,548.4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 325,259.9 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 97.8%-ს, ხოლო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების" საკასო შესრულების 21.6%-ია.

„სხვა ხარჯების" მუხლიდან ძირითადად დაფინანსებულია ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა:

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა - რეკონსტრუქციის და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლების სამუშაოები - 56,785.2 ათასი ლარი.
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, მშენებლობა - აღდგენის ღონისძიებები - 166,808.0 ათასი ლარი;
- საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის სამუშაოების, სპეცტექნიკისა და ნაგავშემკრები კონტეინერების შესაძენად - 41,774.3 ათასი ლარი (მათ შორის სესხის ფარგლებში გადახდილი დღგ);
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები - 50,648.9 ათასი ლარი;
- სპორტის სხვადასხვა სახეობის მწვრთნელთა ფინანსური მხარდაჭერის და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისების ღონისძიებები - 2,996.6 ათასი ლარი.



ბიუჯეტის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება:

◙ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროში საკასო შესრულებამ შეადგინა 135,445.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (153,029.7 ათასი ლარი) 89%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 7.1%-ს შეადგენს. მათ შორის:

✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 91,814.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (105,783.2 ათასი ლარი) 87%-ია;

✓ ფინანსური და ფისკალური საქმიანობისთვის გეგმა განსაზღვრულია 248.0 ათასი ლარით. ამ მუხლში გათვალისწინებულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯები;

✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 12,061.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (12,162.6 ათასი ლარი) 99%-ია;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 31,569.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (34,835.9 ათასი ლარი) 91%-ია.

◙ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 2,274.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 1,802.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 79%-ია, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 0.1%-ს შეადგენს. მათ შორის ამ მუხლში გათვალისწინებულია სასამართლო გადაწყვეტილებების და აღსრულების ფონდის ხარჯები.

◙ ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 675,756.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 638,549.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 33.7%. მათ შორის:

✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 636,739.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (673,471.8 ათასი ლარი) 95%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 1,810.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (2,284.2 ათასი ლარი) 79%-ს შეადგენს.

◙ გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 303,081.6 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 281,023.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 14.8%. მათ შორის:

✓ ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - 176,842.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (177,040.1 ათასი ლარი) 100%-ია;

✓ ჩამდინარე წყლების მართვის დაფინანსებამ შეადგინა 4,074.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (4,180.0 ათასი ლარი) 97%-ია;

✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 100,107.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (121,861.4 ათასი ლარი) 82%-ს შეადგენს.

◙ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 354,673.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 320,495.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 16.9%. მათ შორის:

✓ ბინათმშენებლობის დაფინანსებამ შეადგინა 120,290.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (139,696.4 ათასი ლარი) 86%-ს შეადგენს;

✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 33,719.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (42,403.3 ათასი ლარი) 80%-ს შეადგენს;

✓ გარე განათების დაფინანსებამ შეადგინა 37,248.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (40,472.0 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს;

✓ გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალური მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 8,044.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (8,582.5 ათასი ლარი) 94%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსებამ შეადგინა 121,191.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (123,519.0 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს.

◙ ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 39,358.5 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 39,239.5 ათასი ლარი, ანუ

გეგმიური მაჩვენებლის 99.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 2.1%. მათ შორის:

✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ 4,006.1 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4,078.3 ათასი ლარი) 98%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 35,233.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (35,280.3 ათასი ლარი) 99.9%-ს შეადგენს.

◙ დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 118,475.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 96,517.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 81%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 5.1%. მათ შორის:

✓ მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 29,561.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (39,370.4 ათასი ლარი) 75%;

✓ მომსახურება კულტურის სფეროში დაფინანსებამ შეადგინა 58,348.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (68,071.1 ათასი ლარი) 86%-ს შეადგენს;

✓ ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 2,994.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,216.4 ათასი ლარი) 57%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5,612.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,817.8 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს.

◙ განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 273,020.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 253,551.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 13.4%. მათ შორის:

✓ სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებამ შეადგინა 218,975.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (237,550.3 ათასი ლარი) 92%-ს შეადგენს;

✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 1,102.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (1,120.0 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 61.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (61.6 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 33,411.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (34,288.8 ათასი ლარი) 97%-ს შეადგენს.

◙ სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 130,127.7 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 128,957.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 99%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების – 6.8%. მათ შორის:

✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 5,194.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (5,280.5 ათასი ლარი) 98%-ს შეადგენს;

✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 464.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (485.6 ათასი ლარი) 96%-ს შეადგენს;

✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 55,380.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (55,551.6 ათასი ლარი) 99.7%;

✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 16,745.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (17,384.5 ათასი ლარი) 96%;

✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 51,171.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (51,425.6 ათასი ლარი) 99.5%-ს შეადგენს.



სარეზერვო ფონდი

საანგარიში პერიოდში ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან, გამოყოფილი 5,052.0 ათასი ლარიდან გადარიცხულია 4,842.7 ათასი ლარი. მათ შორის: მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად - 3,156.2 ათასი ლარი, მოქალაქეთა ფინანსური დახმარებისათვის - 51.5 ათასი ლარი, მოქალაქეთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების (სხვადასხვა ღონისძიებები) ხარჯების ასანაზღაურებლად - 150.1 ათასი ლარი, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისათვის სასაჩუქრე კალათების შეძენა - 48.0 ათასი ლარი, სხვადასხვა სახის ღონისძიებების განსახორციელებლად ორგანიზაციების ხელშეწყობა - 68.7 ათასი ლარი, უბედური შემთხვევის შედეგად (ხანძარი, ძლიერი ქარი, ბუნებრივი აირის აფეთქება და სხვა) დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო, ,დაზარალებული მოსახლეობის ქირის, სასტუმროს და სხვა ხარჯები - 1,368.2 ათასი ლარი.

(ათასი ლარი)



ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან 2024 წელს გამოყოფილი და გადარიცხული თანხები

(ლარი)

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13)				**79,281.99**	**79,281.99**
1	*1–589*	*28.12.2023*	*2023 წლის 23 დეკემბერს, ძლიერი ქარის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქუჩა №21-ში და ნორიოს აღმართი ჩიხი №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენის სამუშაოების განსახორციელებლად*	79,281.99	79,281.99
ბიზნეს სტიმულირება (კოდი 04 01)				**16,787.27**	**16,787.27**
2	*1-54*	*12.02.2024*	*ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საგრანტო პროექტის „ევროკავშირის გარე მოქმედებები“ 2018-2022 წლების ფინანსური და საქმიანობის ანგარიშების აუდიტორიული შემოწმების მიზნით*	16,787.27	16,787.27
ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 01 15)				**114,203.96**	**114,203.96**
3	*1-449*	*16.08.2024*	*2024 წლის 17 ივლისს, ძლიერი ხანძრის შედეგად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონში, წმინდა გარგარეს უბანი 198-ში მდებარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული, კორპუსის დაზიანებული სახურავის აღსადგენად*	114,203.96	114,203.96
სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09)				**3,612,003.58**	**3,402,718.40**
4	*1-1*	*10.01.2024*	*მოქალაქე ეკატერინე საბაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,000.00	1,855.07
5	*1-2*	*10.01.2024*	*მოქალაქე ქეთევან კაკაბაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,*	2,730.50	2,730.50
6	*1-3*	*10.01.2024*	*მოქალაქე ტჰაი არაბულისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	20,000.00	19,689.07
7	*1-4*	*10.01.2024*	*მოქალაქე ზურაბ ბახტაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,650.00	1,650.00
8	*1-5*	*10.01.2024*	*მოქალაქე გიორგი ასიეშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,000.00	1,000.00
9	*1-7*	*15.01.2024*	*მოქალაქე თამარ ლეფსვერიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	19,946.25	19,946.25
10	*1-8*	*15.01.2024*	*მოქალაქე გაბრიელ ქარდავასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	7,000.00	7,000.00
11	*1-9*	*15.01.2024*	*ცნობილი ქართველი პოეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარის, თბილისის საპატიო მოქალაქის თეიმურაზ ჩალაბაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	7,475.00	7,475.00
12	*1-10*	*15.01.2024*	*მოქალაქე დავით კვაჭაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	6,000.00	6,000.00
13	*1-12*	*15.01.2024*	*მოქალაქე მეგი ჯღარკავასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	10,780.00	10,780.00
14	*1-13*	*15.01.2024*	*მოქალაქე თათია დულარიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	1,500.00	1,500.00
15	*1-14*	*15.01.2024*	*მოქალაქე ნიკო ნიქაბაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლა*	20,000.00	18,000.00
16	*1-15*	*15.01.2024*	*მოქალაქე ასმათ ნათელაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად*	4,500.00	4,500.00

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
17	1-16	15.01.2024	მოქალაქე ბესიკ ქარცივაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,070.00	2,070.00
18	1-19	18.01.2024	მოქალაქე გიორგი ცუხიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	25,000.00	24,999.99
19	1-20	18.01.2024	მოქალაქე ვახტანგ კაკულიასათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	14,999.98
20	1-21	18.01.2024	მოქალაქე მაია დიასამიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7,450.00	7,450.00
21	1-22	18.01.2024	მოქალაქე ირაკლი კუპრაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	15,000.00
22	1-23	18.01.2024	მოქალაქე ნანა ქავთარაძისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად,	4,000.00	4,000.00
23	1-24	18.01.2024	მოქალაქე დავით იაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	19,283.00	19,283.00
24	1-25	18.01.2024	მოქალაქე ირაკლი შამათავასათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	12,000.00	12,000.00
25	1-26	18.01.2024	მოქალაქე ლევან გამცემლიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	13,290.00	13,289.99
26	1-29	24.01.2024	მოქალაქე ნინო ფარჯიანისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8,477.75	3,992.39
27	1-30	24.01.2024	მოქალაქე იოსებ ჯაჭვლიანისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტოზური მკურნალობა) ხარჯების ასანაზღაურებლად,	30,000.00	29,902.02
28	1-31	25.01.2024	მოქალაქე ავთანდილ კიკნაველიძისათვის ფინანსური დახმარების სახით	5,210.84	5,210.84
29	1-33	25.01.2024	მოქალაქე შორენა გუჯეჯიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,500.00	5,500.00
30	1-34	25.01.2024	მოქალაქე ირაკლი გრიგალაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	9,000.00	9,000.00
31	1-36	25.01.2024	მოქალაქე გივი კვინტრაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,500.00	3,500.00
32	1-37	26.01.2024	მოქალაქე თამარ თავხელიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,000.00	4,000.00
33	1-39	31.01.2024	მოქალაქე ნუგზარ ყურაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	25,000.00	25,000.00
34	1-42	02.02.2024	მოქალაქე გიორგი ხარებაშვილისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯების ასანაზღაურებლად	770.00	555.80
35	1-45	06.02.2024	მოქალაქე დავით კიკნაველიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,000.00	4,000.00
36	1-46	06.02.2024	მოქალაქე გვანცა გოგსაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	950.00	950.00
37	1-47	06.02.2024	მოქალაქე შალვა მურმანიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7,000.00	6,963.41
38	1-49	07.02.2024	მოქალაქე რუსუდან ქაქუჩაიასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,000.00	5,000.00
39	1-50	08.02.2024	მოქალაქე ნატო ხრიკაძესათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7,260.00	7,259.99
40	1-51	09.02.2024	მოქალაქე ალექსანდრე მაილაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,900.00	1,900.00
41	1-52	09.02.2024	მოქალაქე ანასტასია გუჯაბიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,000.00	3,000.00
42	1-55	12.02.2024	მოქალაქე ხათუნა სამნიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	29,999.99
43	1-56	12.02.2024	მოქალაქე მაკა იოსელიანისათვის სამედიცინო	3,000.00	3,000.00

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
			მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
44	1-57	12.02.2024	მოქალაქე ნინო მგელაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	10,000.00
45	1-58	12.02.2024	მოქალაქე მანანა ქაჩლიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,950.00	1,950.00
46	1-61	14.02.2024	მოქალაქე ბესარიონ ჯინჭოთელისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	29,999.99
47	1-63	15.02.2024	მოქალაქე თამარ გოგეშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	10,000.00
48	1-64	15.02.2024	მოქალაქე იური გამრეკელაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	9,999.99
49	1-65	15.02.2024	მოქალაქე ანასტასია ყარაულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8,000.00	8,000.00
50	1-66	15.02.2024	მოქალაქე ლიზი კოტრიკაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
51	1-67	15.02.2024	მოქალაქე დემეტრე ბიჭიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
52	1-68	15.02.2024	მოქალაქე თამთა გრიშიკაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,000.00	3,000.00
53	1-69	15.02.2024	მოქალაქე ნანა ჩხაიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,925.00	1,925.00
54	1-70	15.02.2024	მოქალაქე ნიკა ვეშაგურისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,000.00	2,800.00
55	1-75	20.02.2024	მოქალაქე ელენე პეტრიაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
56	1-76	20.02.2024	მოქალაქე ნინო მღებრიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	23,000.00	22,999.98
57	1-77	20.02.2024	საქართველოს სახალხო არტისტის, ცნობილი კომპოზიტორის, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის საპატიო მოქალაქის ვაჟა აზარაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	12,450.00	12,450.00
58	1-78	20.02.2024	მოქალაქე მარიზა ქარუმიძესათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	9,860.00	9,860.00
59	1-80	20.02.2024	მოქალაქე ნატალი ბერიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	30,000.00	29,999.99
60	1-81	20.02.2024	ცნობილი ქართველი მსახიობის, სპორტსმენის და რეჟისორის იოსებ (სოსო) ჯაჭვლიანის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,620.00	4,620.00
61	1-84	22.02.2024	მოქალაქე ელენე ჯობავასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,135.00	2,135.00
62	1-85	22.02.2024	მოქალაქე ელენე კოპალეიშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	9,999.99
63	1-86	22.02.2024	მოქალაქე ელისო ბერიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	14,999.99
64	1-87	22.02.2024	მოქალაქე ნოე აკობიძესათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	15,000.00
65	1-88	22.02.2024	მოქალაქე მერაბ აბესაძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
66	1-89	22.02.2024	მოქალაქე სოფიკო ჩიტაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8,000.00	8,000.00
67	1-92	23.02.2024	მოქალაქე ნიკოლოზ დათუნა ვარდოსანიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების	7,600.00	7,600.00

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
			ასანაზღაურებლად		
68	1-93	23.02.2024	მოქალაქე ნია წენგუაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	20,000.00	20,000.00
69	1-94	23.02.2024	მოქალაქე ხატია გაშარულისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	25,000.00	24,999.98
70	1-95	26.02.2024	მოქალაქე ზაზა სეგუასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,450.00	1,450.00
71	1-104	01.03.2024	მოქალაქე ტრისტან სარალიძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	15,000.00	15,000.00
72	1-105	01.03.2024	მოქალაქე ვანო ხაჩიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
73	1-106	01.03.2024	მოქალაქე თამარ მედულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
74	1-107	01.03.2024	ლეგენდარული ქართველი მოჭიდავის, მსოფლიო თასის მფლობელის, ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის და თბილისის საპატიო მოქალაქის ლევან თედიაშვილის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6,125.00	6,125.00
75	1-108	01.03.2024	მოქალაქე ანნა ლაცაბიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6,000.00	6,000.00
76	1-109	01.03.2024	ცნობილი ქართველი რეჟისორის, სცენარისტისა და პროდიუსერის ალექსანდრე ვახტანგოვის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,050.00	2,050.00
77	1-110	01.03.2024	ცნობილი ქართველი მსახიობის, ხათუნა კოტრიკაძის დაკრძალვასთან დაკავშირებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	1,500.00
78	1-111	01.03.2024	მოქალაქე გიორგი გრიგორიანისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,400.00	3,400.00
79	1-112	01.03.2024	მოქალაქე გელა გრიგოლაიასთვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	4,000.00	4,000.00
80	1-113	01.03.2024	მოქალაქე ნათია ნაცვლიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,000.00	5,000.00
81	1-116	04.03.2024	მოქალაქე დაჩი მოვლილიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,500.00	2,500.00
82	1-119	13.03.2024	მოქალაქე ანასტასია ნარიმანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
83	1-120	13.03.2024	მოქალაქე თეკლა ნარიმანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	2,000.00	2,000.00
84	1-122	15.03.2024	მოქალაქე ნონა ყანდიაშვილისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	19,000.00	18,979.47
85	1-124	15.03.2024	მოქალაქე ლილუ ყულოშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,150.00	1,150.00
86	1-125	15.03.2024	მოქალაქე ნინო ნანობაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	5,000.00	5,000.00
87	1-126	15.03.2024	მოქალაქე ნინო წერეთელისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	6,000.00	6,000.00
88	1-127	15.03.2024	მოქალაქე რევაზ ხარჩილავასთვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	7,000.00	6,933.91
89	1-128	15.03.2024	მოქალაქე რუსუდან ოქრუაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	3,500.00	3,500.00
90	1-129	15.03.2024	მოქალაქე დარეჯან ყარაულაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	8,000.00	8,000.00
91	1-131	19.03.2024	მოქალაქე ქეთევან გოცაძისათვის საზღვარგარეთ	30,000.00	29,875.01

N	ბრძანების N	ბრძანების თარიღი	ბრძანების შინაარსი	ბრძანებით გამოყოფილი	საკასო შესრულება (გადარიცხული)
			სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად		
92	1-136	21.03.2024	შპს „ეკოსერვის ჯგუფის“ (ს/ნ 404553666) გარდაცვლილი თანამშრომლის (დავით მარგველაშვილი) ოჯახისათვის ფინანსური დახმარება	5,000.00	5,000.00
93	1-137	21.03.2024	გარდაცვლილი მოქალაქის - გიორგი ბარბაქაძის ოჯახისათვის ფინანსური დახმარება	5,000.00	5,000.00
94	1-140	25.03.2024	მოქალაქე თამაზ ჯავახიშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	1,500.00
95	1-141	25.03.2024	მოქალაქე ელენე სვანიძისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	1,500.00	1,500.00
96	1-142	25.03.2024	მოქალაქე ნინელი ფოლადაშვილისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	10,000.00
97	1-143	25.03.2024	მოქალაქე რევაზ შავლაძისათვის საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად	10,000.00	9,906.64
ქუჩა N31, რაჭის ქუჩა, ვახტანგ მალაყმაძის ქუჩის კვეთიდან ქერმუხის ქუჩის კვეთამდე, რაჭის ქუჩა, ვახტანგ მალაყმაძის ქუჩის კვეთიდან ქერმუხის ქუჩის კვეთამდე, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N30, ვარკეთილი 3, 2 მ/რ კორპ N31, ვარკეთილი 3, 1 მ/რ კორპ N26, 28, აეროპორტის დასახლება ჭანკოტაძის ქუჩა კორპუსი N48-48ა, პატარა ლილო, ცოტნე დადიანის ქუჩა N1-4, პატარა ლილო, ნიკორწმინდის ქუჩა N 1-8, გიორგი თარხნიშვილის 1 შესახვევი (ფოლადის სახლთან მისასვლელი), ვარკეთილის დასახლება რუსთაველის ქუჩს კორპუსი N13, ახმეთ მელაშვილის ქუჩა N2, იოსებ ალავერდელის ქუჩა, იოსებ ალავერდელის ქუჩა, ემირ ბურჯანაძის ქუჩა, ზაზა დამენიას ქუჩა, ვლადიმერ დავითაშვილის 1 შესახვევი, ზაზა დამენიას ქუჩა, ვლადიმერ დავითაშვილის ქუჩა, ვარკეთილის ზ/პლატო 2 მ/რ კორპუსი N22, 3 მასივი, 10 კვარტალი კორპუსი N6, ნაკადულის 3 გასასვლელი, 11-დან ვალოდია გოგუაძის ქუჩამდე, ვ. გოგუაძის ქუჩა 1 შესახვევი, წმინდა ბარბარეს უბანი N198, თ. ჩანტლაძის ქუჩა N83-დან ჩანტლაძის ქუჩა N75 ბ-მდე, თ. ჩანტლაძის ქუჩა N62-დან ჩანტლაძის ქუცა 2 შესახვევი N17-მდე, ნაკადულის 3 გასასვლელი, N11-დან ვალოდია გოგუაძის ქუჩამდევ. გოგუაძის ქუჩა და 1 შესახვევი, ჭიჭინაძის ქუჩა N8, ჩანტლაძის ქუჩა N20, თ. ჩანტლაძის ქუჩა N8, 20, 22, პოლიციის ქუჩა N13,ზემო პლატოს კორპუსი N25-26-27, 51, ლილოს დასახლება ევგენი აფხაზავას 4 შესახვევი N6, ვარკეთილი 3, 4 მ/რ, კორუსი N417, ბ/ ხმელნიცკის 2 შესახვევი, კორპუსი N8, ქებურიას დასახლება, კორპუსი N1, მ/ გამზირი კოპრუსი N42-44, გრიგოლ ლორთქიფანიძის ქ.N30-32-46-54, ხომლელის ქუჩა N56 ა, თრიალეთის ქუჩა N27, ხომლელის ქუჩა N5, ბ/ ხმელნიცკის ქ. N16, ვარკეთილი 3, 3ა მ/რ კორპ. N345-346, 3 მასივი, 3 კვარტალი კორპუსი N7ა, N42-42ა, ვარკეთილის 3 მასივი, 4 კვარტალი კორპუსი ,,დ,, ბ. ხმელნიცკის 5 შესახვევი, კორპუსი N2, წმინდა ბარბარეს უბანი, ვახტანგ შანავას ქუჩის და შანავას 1 შესახვევი კორპუსი N134,1.35.136.137.138.139, ზ/პლატოს 2 მ/რ კორპუსი N24, ზ/პლატოს კორპუსი N15, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა კორპუსი N23, ქეთევან ჭილაშვილის ქუჩა და ქეთევან ჭილაშვილის 1 ჩიხი, 3 მასივი, 7 კვარტალი კორპუსი 12-ის მიმდებარედ, სამგორის ქუჩა კორპუსი 6-ის მიმდებარედ, გუმათგესის ქუჩა N12-ის და N14-ის მიმდებარედ, ქიზიყის ქუჩა 41-72, N53, ზაქარია მხარგრძელის ქუჩა კორპ N1 და N3 შორის, დიდი ლილო, ერეკლე 2-ის

შესახვევი, აკაკი ფაღავას ქუჩა, კორნელი სანაძის ქუჩა, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა, დიდი ლილო ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქუჩა, არსენა ოძელაშვილის ქუჩა, ვ/ფშაველას ქუჩა და ვ/ ფშაველას 1 შესახვევი, ლილოს ქუჩა, მშვიდობის ქუჩა 1 შესახვევი, ლილოს დასახლება 1 მ/რ კორპუსი11-2 ბ-მდე, ევგენი აფხაზავას 5 შესახვევი, მეფრინველეთა ქუჩა, 3 შესახვევი, ყადირ შერვაშიძის 4-ე გასასვლელი. დასრულდა მრავალწლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული იოსებ ალავერდელის, კორნელი სანაძის, აკაკი ფაღავას და ლილოს ქუჩები, რაჭის ქუჩა ვახტანგ მალაყმაძის ქუჩის კვეთიდან ქერმუხის ქუჩის კვეთამდე, ყადირ შერვაშიძის I შესახვევი, 1 და 3 გასასვლელი, მოსკოვის გამზირი 14, 33-39-ის, მიმდებარედ, პაატა გუგუშვილის ქუჩა და 2 შესახვევი, ფრონეს ქუჩა, გახოკიძის ქუჩა 161-ის მიმდებარედ, გიორგი თარხნიშვილის 1 შესახვევი (ფოლადის სახლთან მისასვლელი გზა) ახმედ მელაშვილის, ცაცა ამირეჯიბის 2 შესახვევი, ნაკადულის 3 გასასვლელი 11 დან ვალოდია გოგუაძის ქუჩამდე, გოგუაძის ქუჩა და 1 შესახვევი, ვლადიმერ დავითაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის ქუჩების მოწყობის სამუშაოები. მიმდინარეობს მრავალწლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლილოს დასახლებაში მეფრინველეობის ქუჩისა და შესახვევების წინუბანში იალნოს, მანგლისისა და ბეჩოს ქუჩების მისასვლელი გზა; პატარა ლილოში თამარ მეფის ქუჩა, 1,2,3,6 შესახვევებისა და ფარნავაზ მეფის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 148361.1 კვ.მ ასფალტის საფარის (მათ შორის მიმდინარე შეკეთება - 58510.1 კვ.მ გზას, კაპიტალური შეკეთება - 89851 კვ.მ გზას) და 60 კვ.მ ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 23466 კვ.მ გზას. კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 85571 კვ.მ გზას.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 131386 კვ.მ (მათ შორის კაპიტალური შეკეთება - 103712.1 კვ.მ, ორმოული ფრაგმენტული შეკეთება - 27673.9 კვ.მ) ასფალტის საფარის და 1528 კვ.მ ტროტუარის მოწყობის სამუშაოები.

01 01 16 გზების მოვლა-შეკეთება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონი გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4,100.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,978.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 459.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შეკეთდა 18461 კვ.მ გზის ასფალტის საფარი (ორმული შეკეთება) შემდეგ მისამართებზე: შატაიძის ქუჩა; სულგულაძის ქუჩა N26,36; რუსთავის გზატკეცილი N18ა,265; კრწანისი I ჩიხი N28-ს მიმდებარედ; ზემო ფონიჭალა კ.N28-ის მიმდინარედ; გორგასლის ქ.N 115, 19; რუსთავის გზატკეცილი N259ბ, 28ა-ს მიმდებარედ; ქვემო ფონიჭალა კორპუსი N 267,261; ქვემო ფონიჭალა კორპუსი N12-14 -ის მიმდებარედ; ზემო ფონიჭალა კორპუსი N2,6, 3ა, 14, 17,18, 19, 20, 26,27, 28,30 -ის მიმდებარედ; კრწანისის N19; კრწანისის N55; გორგასლის ქუჩა N4; ჟორდანიას ქუჩა N21-23; იერუსალიმის მოედანი; ფონიჭალა, კორპ N5; ქვემო ფონიჭალა N267ა; დიდი ხეივნის 3-ის მიმდებარედ; მარნეულის გზატკეცილი; ნიკოლაძის N15; სადგურის ქ.N57ა-994 კვ.მ. ფინდოუსის და ახუნდოვის ქუჩების კვეთა და სხვა მცირე საორმო სამუშაოები. გზების კაპიტალური მოწყობა (გრუნტის მოსამზადებელი სამუშაოები) განხორციელდა 1900 კვ.მ გზის საფარისათვის ჭინანაურის და ნადიკვარის ქუჩებზე და დაიგო 3815 კვ.მ ქვაფენილი შემდეგ მისამართებზე: რუსთავის გზატკეცილი N265-ის მიმდებარედ დაიგო. ერეკლე II-ის შესახვევი; იერუსალიმის ქუჩა; დეკაბრისტების ქუჩა; საბანაძის ქუჩა; ფინდოუსის ქუჩა; სხვა მცირე საორმო სამუშაოები. ამასთან, დაფარულია 2023 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% - 13.0 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შეკეთდა 28643,81 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე) და დაიგო 2344,84 კვ.მ ქვაფენილი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთდება ჩაუტარდება 40322 კვ.მ ასფალტის საფარს, ხოლო კაპიტალური - 5578 კვ.მ-ს, დაიგება 3800 კვ.მ. ქვაფენილი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 18461 კვ.მ ასფალტის საფარი (მიმდინარე) და კაპიტალურად - 1900 კვ.მ, დაიგო 3815 კვ.მ ქვაფენილი.

01 01 17 გზების მოვლა-შეკეთება მთაწმინდის რაიონში

2024 წლის გეგმა - 6,840.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,827.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,337.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოწესრიგებული ქუჩები, მოედნები, შიდაკვარტალური გზები და ეზოები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 495.25 კვ.მ დაზიანებული ქვაფენილის საფარის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები: ჭონქაძის ქუჩა N8, ჭანტურიას ქუჩა N6/8, ს. ზალდასტანიშვილის ქუჩა N30, ა.შენგელიას ქუჩა N22, თერგის ქუჩა 13/8, წავკისი, მ. მესხის ქუჩა N5, N25, გერგეთის ქუჩა N9, გ. ახვლედიანის ქუჩა N10, ოქროყანა, ჭავჭავაძის ჩიხი ქ.N3, N4, N6 და N24-ს მიმდებარედ, ს.ზალდასტანიშვილის ქუჩა N7, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ.N9, N4, N40, N1, N3, N13 და N15-ს მიმდებარედ, ბესიკის მოედანი N2, ი. გოგებაშვილის I გას. N19, ა. შენგელიას ქ. N21-N23, თ. ჭოველიძის ქუჩა N16, ლეონიძის ქუჩა N14, ნიაღვრის ქუჩა N4ა, თერგის ქუჩა N14ა. ჩატარდა 6729.19 კვ.მ ასფალტის დაზიანებული საფარის ორმოული (58 მისამართზე) შეკეთების სამუშაოები, ხოლო ეზოებში 6450.8 კვ.მ ასფალტის დაზიანებული საფარის აღდგენის სამუშაოები: ჟვანიას ქუჩა N12, გ. ტაბიძის N22, გ. რჩეულიშვილის ქუჩა N2, ოქროყანის ქუჩა N21, ლ. ასათიანის ქ. N60, N48, N6, ამაღლების ქ.N5, N35, ა. ქუთათელაძის ქუჩა N11, ი. ნიკოლაძის ქუჩა N4, დ. ჭონქაძის ქ.N14, N14ბ, დ. ჭონქაძის I ჩიხი, ვ. პეტრიაშვილის ქუჩა N32/ა. შანიძის ქუჩა N33, ს. ჯანაშიას ქუჩა N1, მედეა ჯაფარიძის ქუჩა N2. 32462.4 კვ.მ ასფალტის საფარის რეაბილიტაციის სამუშაოები: შინდისში - ი. ჭავჭავაძის ქუჩაზე შესახვევებით, სატყეოს ქუჩაზე, 9 აპრილის ქუჩაზე, თაბორის ქუჩაზე, ვასილ ბარნოვის ქუჩაზე; წავკისში - სააკაძის ქუჩის №2-8 მონაკვეთზე, სამადლოს ქუჩა N12 დან N18-ის

ჩათვლით და გურამიშვილის ქუჩაზე, ვ. გორგასლის მე-7 ჩიხში, სამადლოს ქუჩაზე, დ. გურამიშვილის ქუჩა N2-ს მიმდებარედ, დიდგორის ქ. N2-დან N8-ს ჩათვლით; კოჯორში - კვინიტაძის ქუჩის I შესახვევში, II და III ჩიხებში, მაკარ ბურჭულაძის ქუჩაზე, იუნკერთა I შესახვევი, ექვთიმე თაყაიშვილის I შესახვევში; ტაბახმელაში, გუმბათების წყაროს I შესახვევში. ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების ხარჯები.

მიღწეული შუალდეური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 7434,74 კვ.მ ასფალტის და ქვაფენილის საფარს, კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 36839.16 კვ.მ ასფალტის საფარს, შიდა ეზოებში შეკეთდა 3516,87 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 14425 კვ.მ ასფალტის და ქვაფენილის საფარს; კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდება 33592კვ.მ ასფალტის საფარს; შიდა ეზოებში შეკეთდება 6503 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარი.

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდა 7224.44 კვ.მ ასფალტის და ქვაფენილის საფარს; კაპიტალური შეკეთება ჩაუტარდა 32462.4 კვ.მ ასფალტის საფარს; შიდა ეზოებში შეკეთდა 6450.8 კვ.მ დაზიანებული ასფალტის საფარი.

01 02 ტრანსპორტის განვითარება დაფინანსებულია 483,020.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 512,935.3 ათასი ლარის 94.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

01 02 01 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 65,904.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 60,314.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 31,551.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 91.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოწესრიგებული და გაუმჯობესებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო მოდელისა და ქუჩების თანამედროვე დიზაინით მოწყობისთვის კვლევა, პროგრამული უზრუნველყოფა და გზაჯვარედინების მოსაწყობად

შემუშავებული პროექტი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, განვითარება/განახლება, თბილისის მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებებზე მგზავრთა მომსახურეობის გაუმჯობესება, სასესხო/საგრანტო შეთანხმების ფარგლებში გადასახდელი დღგ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების (საგზაო ნიშნები, შუქნიშნები, ბოწკინტები, ზღუდარები, ბარიერები, სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის წინასწარი მაჩვენებლები და ა.შ.) შეძენა-მონტაჟი, მოვლა - შენახვა და საექსპლუატაციო სამუშაოები, კერძოდ: დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4599 ერთეული საგზაო ნიშანი (მათ შორის 4235 ერთეული არსებულ დგარზე), არსებულ დგარზე დამონტაჟდა 878 გრძ.მ (დგარის კვეთი 76 მმ სისქე 2-4მმ) და 6562.41 გრძ.მ (დგარის კვეთი 60.3მმ სისქე 2-4მმ) სიგრძის გალვანიზებული დგარი, განხორციელდა 3360.31 გრძ.მ საგზაო ნიშნის დგარის მონტაჟი, დამონტაჟდა 61 ცალი 1200 მმ. და 13 ცალი 900 მმ. ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე (ანტივანდალური ტექნიკური თვისებების მქონე), არსებულ დგარზე დამონტაჟდა 32 ცალი სარკე, შეძენილი იქნა 2277 ცალი შუქდამბრუნებელი საგზაო მარკერი, დამონტაჟდა 2761 ცალი ეთილენ ვინილაცეტატის მოქნილი "EVA" ბოძკინტი (750 X200მმ) (წითელი, მწვანე, ლურჯი, შავი), 772 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი მდგრადი ბოძკინტი, 4111.5 გრძ.მ. სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები (ბარიერი), დასაწყობდა 875 ცალი მწყობრიდან გამოსული საგზაო ნიშანი, 1006 გრძ.მ ლითონის თვალამრიდი ზღუდარი, ხილვადობის გაუმჯობესების მიზნით მსუბუქი ფორმით გადაიბელა 147 მწვანე ნარგავი, განხორციელდა 222 გრძ/მ ფოლადის ბაგირის და 1319 ბოძკინტის დემონტაჟი და დასაწყობება, დამონტაჟდა 5676.75 გრძ.მ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები (ბარიერი), საერთო ღირებულებამ შეადგინა 2,394.0 ათასი ლარი, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 380.0 ათასი ლარი;

განხორციელდა დედაქალაქის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და საგზაო მოძრაობის კონტროლისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემის მოვლა-შენახვა და ექსპლუატაციის სამუშაოები, კერძოდ: შეიცვალა შუქნიშნის 172 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 81 ობიექტზე, დამონტაჟდა 30 ცალი ქვეითთა შუქნიშანი, 3 კარადა და 25 ცალი კვების ბლოკი საგზაო კონტროლერისათვის, განხორციელდა 341 გრძ.მ საკაბელო არხის მოწყობა, 289 ცალი შუქნიშნის დგარის მონტაჟი, 3 საგზაო კონტროლერი, შუქნიშნის 12 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების და ხმოვანი სიგნალების შემოწმება და BARCO OVL-815 (3X9) ვიდეოკედელის საპროექციო ნაწილის (რომელიც შედგება 27 კუბისგან) პროფილაქტიკური და ტექნიკური მომსახურება, შუქნიშნის სიგნალების მხედველობის არის, სექციების, დროის ათვლის ტაბლოს შემოწმება, ვიდეოდაკვირვების კამერების, სატრანსპორტო დეტექტორების გასუფთავება და სხვა, საერთო ჯამური ღირებულებით - 949.2 ათასი ლარი, ხოლო სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 1,300.9 ათასი ლარი;

მიმდინარეობს შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლებისა და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) უსაფრთხოების კუნძულების, ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და ტროტუარების მოწყობა, ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა წერეთლის გამზირზე 20 შუქნიშნის ობიექტის და სხვადასხვა ლოკაციაზე 21 შუქნიშნის მართვის ცენტრთან დაერთების სამუშაოები 5,743.9 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ სესხის ფარგლებში თბილისის განვითარების ფონდის მიერ დამონტაჟდა და შემდგომში სააგენტოს გადმოეცა 11 შუქნიშნის ობიექტი;

თბილისის ქუჩებზე და მაგისტრალებზე (მათ შორის ვარკეთილში, კუპრაძის და თაყაიშვილის ქუჩების კვეთაზე, ლევან მაჭავარიანის N40 მიმდებარედ, კოსტავას ქუჩის და მიროტაძის ქუჩების კვეთაზე, არჩილ მეფის და მირიან მეფის ქუჩებზე, კრწანისის რაიონში, გამსახურდიას სანაპიროზე, შალიკაშვილის ხიდის მიმდებარედ და სხვა) საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით მიმდინარეობს

მცირე ინფრასტრუქტურული პროექტირება - მშენებლობა - რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები (ეწყობა: პანდუსები, ტროტუარები, უსაფრთხოებისა და მიმმართველი კუნძულები, ასფალტ-ბეტონის საფარი და ა.შ.), სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა - 681.9 ათასი ლარი;

განხორციელდა სრული ქუჩების“ (complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის გზების საგზაო მოძაობის ორგანიზების სქემების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა - 621707.61 კვ.მ, ქუჩის დიზაინის საპროექტო და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა - 120024 კვ.მ და 20 გზაჯვარედინის (კვანძის) გზაგამტარის მოდელირება, სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა - 261.1 ათასი ლარი;

განხორციელდა ვიდეოსამეთვალყურეო კამერისა და გარე გამოყენების უწყვეტი კვების სისტემის მოვლა- შენახვა ექსპლუატაციის მომსახურება, სამუშაოს ღირებულებამ შეადგენა 22.8 ათასი ლარი; შეძენილია ქსელის კომუტატორი (ჰაბი) ღირებულებით 330.0 ათასი ლარი, ხოლო საბურთალოს რაიონში (საკადასტრო კოდი N01.10.16.004..306) რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სპეციალური დაცული სადგომის მოწყობისათვის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ განხორციელდა სამუშაოს ხარისხის დაცვის უზრუნველსაყოფად მიწოდებული სამუშაოს ღირებულებიდან დარჩენილი 2,5 % ანაზღაურება - 28.0 ათასი ლარი;

პროექტის - „მდგრადი ურბანული მობილობა (KfW)“ განხორციელების პროცესში გაფორმებული სასესხო და საგრანტო შეთანხმების ფარგლებში, უცხოური საწარმოს ფილიალის „გოპა ინფრას ფილიალი საქართველოში“ მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურების ასანაზღაურებლად გადახდილია დამატებული ღირებულების გადასახადი - 231.4 ათასი ლარი (სხვა კაპიტალური გრანტების ფარგლებში). ასევე, გაწეულია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები - 32.2 ათასი ლარი (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 8 ნოემბრის №2/14089-23 გადაწყვეტილებით, შპს „საინფორმაციო კომუნიკაციების სისტემების“ სასარგებლოდ, 2022 წლის 4 თებერვლის N01.02.01.02/2 ხელშეკრულებიდან გამომდინარე);

დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილი იქნა 80 481.6 კვ.მ[14] (მათ შორის შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ - 33137.53 კვ.მ) ჰორიზონტალური (თერმო პლასტით - 11978.44 კვ.მ, ცივი პლასტით - 65262 კვ.მ, აკრილის საგზაო საღებავით - 3241.16 კვ.მ) საგზაო მონიშვნები, წაიშალა 22191.96 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 4749.25 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი და მოხდა 39757.33 კვ.მ სხვადასხვა სახის საგზაო მონიშვნის გაშრობა, შესრულებული სამუშაოს საერთო ღირებულებამ შეადგინა - 21,441.8 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 1,919.2 ათასი ლარი;

შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს მეტროპოლიტენის ინფრასტრუქტურის განახლება-რეაბილიტაციას, შესაბამისად 2024 წლის 18 ივნისს შპს „დინასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ესკალატორის ნაწილების შესყიდვის მიზნით, შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ კაპიტალური ტრანსფერის სახით დაფინანსდა 4,000.0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 18 მეტრიანი N3 კატეგორიის ავტობუსებისათვის რიგით მეოთხე ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად - 24,198.4 ათასი ლარის ოდენობით;

გარდა ამისა, სააგენტოს საკუთარი სახსრების სპეციალურ ანგარიშზე (7499), სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურებიდან (2,724.0 ათასი ლარი, თითოეულზე 150 ლარი - 18160 ავტომანქანის მომსახურება) და ზონალური პარკირების მომსახურებიდან (19,406.7 ათასი ლარიდან ნაწილი) გაწეულია 7,997.2 ათასი ლარი, სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად, მათ შორის:

სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებიდან გაწეულია - 2,288.2 ათასი ლარი (მათ შორის სამართალდარღვევების შემთხვევებში, გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ

[14] დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე დატანილ საგზაო მონიშვნების კვადრატულობაში გათვალისწინებულია 2023 წელს გაცემული ავანსის (3,267.0 ათასი ლარი) ფარგლებში შესრულებული სამუშაოები.

(საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანის მომსახურების საფასური - 1,512.0 ათასი ლარი (6 მანქანა, თითოეულზე თვეში 21.0 ათასი ლარი) და ევაკუატორით მომსახურეობის (თითოეულ გადაყვანილ მანქანაზე 43.50 ლარი, გადაყვანილი იქნა 17843 სატრანსპორტო საშუალება[15]) ასანაზღაურებლად - 776.2 ათასი ლარი;

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემაში სამართალდარღვევებისას ელექტრონული საჯარიმო ქვითრების აღსრულების მიზნების უზრუნველსაყოფად ჰიბრიდული საფოსტო მომსახურების პროგრამული უზრუნველყოფა - 1,187.4 ათასი ლარი;

ვიდეოთვალთვალის კამერების, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი) და ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ანალიზის და ვიზუალიზაციის ვებგვერდის მომსახურება - 99.4 ათასი ლარი;

გლდანის რაიონში - ილია ვეკუას ქუჩაზე, სამგორის რაიონში - მოსკოვის გამზირზე და საბურთალოს რაიონში - ლ.გოთუას ქუჩაზე მოეწყო საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჩასასხდომი ბაქნები, ხოლო ვაკის რაიონში - ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩაზე, მთაწმინდის რაიონში - ზვიად გამსახურდიას სანაპიროზე (სიონის საკათედრო ტაძრის მიმდებარედ), ბრეგვაძის ქუჩაზე, გია გულუას ქუჩაზე, ისნის რაიონში - გუთნის ქუჩაზე, ირბახის ქუჩაზე, ბერი გაბრიელ სალოსის, პაატა დათუაშვილის, პეკინის ქუჩა, გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ხიდის მიმდებარედ (მარჯვენა სანაპირო) ჩატარდა მცირე ინფრასტრუქტურული პროექტირება - მშენებლობა - რეაბილიტაცია - რეკონსტრუქციის სამუშაოები (მოეწყო ამაღლებული ზებრა გადასასვლელები, პანდუსები, ასფალტ-ბეტონის საფარი და ა. შ), სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა - 1,523.9 ათასი ლარი;

საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება (ტოპოგრაფიული გეგმის შემუშავება წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ შესაბამის

[15] გადაყვანილი მანქანების რაოდენობის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია 26 დეკემბრის მდგომარეობით.

მონაკვეთზე და მოდელირებას მაკრო დონეზე 29 კვანძი/ გზაჯვარედინი/გზაგამტარისთვის) – 98.2 ათასი ლარი;

არქიტექტურული და სამშენებლო პროექტების პროექტირების, შემოწმების და მართვისთვის Autodesk-ის პროგრამის 3 წლიანი ლიცენზიის შეძენა - 310.4 ათასი ლარი; სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტოს მიერ განხორციელდა ROTOCOLS სისტემიდან ჯარიმების სერვისის გარე მომხმარებლების ტექნიკური მხარდაჭერა ღირებულებით - 303.7 ათასი ლარი; ვიდეოკამერების ლიცენზიის შეძენა - 334.4 ათასი ლარი; PTV VISUM-ისა და PTV VISSIM-ის პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების განახლება - 780.0 ათასი ლარი და ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ანალიზის და ვიზუალიზაციის ვებ გვერდის მომსახურება - 136.4 ათასი ლარი; გელოვანის გამზირზე 01.10.11.001.449 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სპეციალური დაცული სადგომის მოწყობა ღირებულებით 136.0 ათასი ლარი; თბილისში, 01.10.11.001.468 და 01.10.16.004.306 საკადასტრო კოდებზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე დამხმარე შენობების, ელექტროობის, განათების, ვიდეო-მონიტორინგის სისტემის, წყლისა და სანიაღვრე ქსელების, გენერატორების, გათბობა-გაგრილების სისტემების, უწყვეტი კვების სისტემების მოწყობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები ღირებულებით 279.0 ათასი ლარი; განხორციელდა სრული ქუჩების“ (complete streets) და მულტიმოდალური დაგეგმვის პრინციპების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გზების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენა ღირებულებით 257.0 ათასი ლარი; დამონტაჟდა 4 111.50 გრძ.მ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები (ბარიერი), საერთო ღირებულებით 263.2 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, 2023 წელს დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4083

საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3608 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 180 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 2165 გრძ.მ სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები და 4 ცალი გზის გამყოფი ბუფერი, 86 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, შეიცვალა შუქნიშნის 135 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 75 ობიექტზე, დამონტაჟდა 11 ქვეითთა შუქნიშანი და სხვადასხვა კვეთის 3 619 გრძ.მ ქსელური კაბელი, განხორციელდა 75 შუქნიშნის დგარის მონტაჟი, 2 საგზაო კონტროლერის მონტაჟი (შუქნიშნის ობიექტთან და მართვის ცენტრთან მიერთებით), შუქნიშნის 62 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების და ხმოვანი სიგნალების შემოწმება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამონტაჟდება 3000 ცალი საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომებისა და ფერის 3500 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 500 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 1000 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, 40 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე, აღმოფხრილი იქნება შუქნიშნის ობიექტებზე წარმოქმნილი სხვადასხვა ნაკლოვანებები.

მიღწეული მაჩვენებელი - დამონტაჟდა სხვადასხვა ჯგუფის ახალი სტანდარტული 4599 საგზაო ნიშანი, სხვადასხვა დიამეტრის ზომისა და ფერის 3533 ცალი ბოწკინტი (მათ შორის 772 ცალი პოლიესტერის წახნაგოვანი), 5676.75 გრძ.მ სიჩქარის ხელოვნური შემცირების უსწორმასწორობები, 106 ერთეული უსაფრთხოების სფერული სარკე (მათ შორის არსებულ დგარზე 32 სარკე), 1006 გრძ.მ ლითონის ძელებიანი ზღუდარი, შეიცვალა შუქნიშნის 172 მოდული, სხვადასხვა ნაკლოვანებები აღმოფხვრილი იქნა შუქნიშნის 81 ობიექტზე, დამონტაჟდა 30 ქვეითთა შუქნიშანი და 341 გრძ.მ საკაბელო არხის მოწყობა, განხორციელდა 289 შუქნიშნის დგარის მონტაჟი, 3 კარადის და 25 კვების ბლოკის მონტაჟი საგზაო კონტროლერისათვის, ხოლო შუქნიშნის 12 ობიექტის ელექტროსადენების, დგარების, კონსოლების, გამოსაძახებელი ღილაკების და ხმოვანი სიგნალების შემოწმება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 87774.94 კვ.მ ჰორიზონტალური /ვერტიკალური

(აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 17496.7 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 5147.8 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი, 23788.33 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დედაქალაქის ქუჩების და მაგისტრალების სავალ ნაწილზე დატანილია 80472.6 კვ.მ ჰორიზონტალური (აკრილის, თერმო და ცივი პლასტი) საგზაო მონიშვნა, წაიშალა 22191.96 კვ.მ საგზაო მონიშვნა, მოირეცხა (გასუფთავდა) 4749.25 კვ.მ ქუჩის სავალი ნაწილი, 39757.33 კვ.მ გზის მოსანიშნი ზედაპირის გაშრობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საჭიროა შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების შეძენა-მონტაჟი (მათ შორის 2023 წელს დამონტაჟდა შუქნიშნის 44 ახალი ობიექტი, (სატრანსპორტო დეტექტორები, ვიდეოკამერები, საგზაო კონტროლერები და უსაფრთხოების კუნძულები), მათ შორის 7 ობიექტი დაიხაზა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების 15 ობიექტის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 52 ცალი შუქნიშნის ძველი ობიექტების განახლება და ახალი ობიექტების მოსაწყობად შუქნიშნების, დეტექტორების, კამერების და კონტროლერების (თანმდევი მომსახურებით-დამონტაჟება და მათი მართვის ცენტრთან მიერთება) უსაფრთხოების კუნძულების, ქვეითთა ამაღლებული გადასასვლელების და ტროტუარების მოწყობა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ვიდეოთვალთვალის კამერების, ჰაუსინგის (ვიდეო კამერის გარე გამოყენების კორპუსი), მოწყობილობების მონტაჟი და ტექნიკური მომსახურება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი

5.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხორციელდება ავტობუსის გაჩერებებზე ახალი მგზავრთა მოსაცდელების მოწყობა (მათ შორის 2022 წელს მოეწყო 148 ერთეული მგზავრთა მოსაცდელი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ავტობუსის გაჩერებებზე ახალი 140 ერთეული მგზავრთა მოსაცდელის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში რამდენჯერმე ჩატარდა ბაზრის კვლევა, რომელშიც შესაბამისმა კომპანიებმა არ მიიღეს მონაწილეობა

6.საბაზისო მაჩვენებელი - სამართალდარღვევების შემთხვევებში, ხორციელდება გადაყვანას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანა (მათ შორის 2023 წელს ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 29732 ერთეული ავტომანქანა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამართალდარღვევის შემთხვევაში, საშუალოდ წლის განმავლობაში სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე 50000 ავტომანქანის გადაყვანა.

მიღწეული მაჩვენებელი - სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ობობას ტიპის ევაკუატორით გადაყვანილი იქნა 17843 ერთეული ავტომანქანა

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემცირდა სამართალდარღვევათა რიცხვი, შესაბამისად შემცირდა საჯარიმო ავტოსადგომზე გადაყვანილ ავტომანქანების რაოდენობა.

7.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) დემონტაჟი-მონტაჟი (მათ შორის შუა ნაწილი, დაბოლოება) საშუალოდ 6000 გრძ.მ (მათ შორის 2023 წელს - 6178 გრძ.მ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა მოძრაობის სიჩქარის ხელოვნური უსწორმასწორობის - ბარიერის (თანმდევი მომსახურებით) მონტაჟი – 9788.25 გრძ.მ.

8.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება საქვეითე ინფრასტრუქტურის შესწავლა და ქუჩის დიზაინის სტანდარტის შემუშავება;

პროგრამული უზრუნველყოფა, სატრანსპორტო კვლევა სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება, გზაჯვარედინების პროექტირება, ITC-სისტემის განვითარებისათვის საკონსულტაციო მომსახურება; ველობილიკისა და ავტობუსის განცალკავებული ზოლის პროექტირება, გაჩერებების დიზაინის შექმნა, კერძო ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმიზაცია და პროექტირება (მათ შორის 2023 წელს განხორციელდა საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობისათვის განკუთვნილი ზოლების, მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის შედგენის მომსახურება, შემუშავდა ტოპოგრაფიული ნახაზი 220723 კვ.მ, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები - 537414 კვ.მ და 60 კვანძისთვის მომზადდა სატრანსპორტო მოდელირება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება საკონსულტაციო - საპროექტო მომსახურება ტრანზიტული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობუსის განცალკავებული ზოლების, დერეფნების დაგეგმარება პროექტირება. სატრანსპორტო მოდელისა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების მონაცემების შესავსებად სატრანსპორტო კვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოდელირებისა და ტოპოგრაფიული გეგმის ფარგლებში, შემუშავდა ტოპოგრაფიული ნახაზი 621707.61 კვ.მ არეალისთვის, ქუჩის დიზაინის საპროექტო და ტოპოგრაფიული გეგმა - 120024 კვ.მ და 20 გზაჯვარედინის (კვანძი) გზაგამტარის მოდელირება.

9.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის ახალი ავტობაზის (სამგორის რაიონში მდებარე 76137 კვ.მ. (ს/კ N01.19.39.035.003) მიწის ნაკვეთი) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულება და დაფარულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული საავანსო ვალდებულების ნაწილი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ავტობუსების პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსებისთვის განკუთვნილი ახალი და ტექნიკურად გამართული რიგით მეოთხე ავტობაზა

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობდა ახალი ავტობაზის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და სამშენებლო სამუშაოები, რომელიც მასშტაბიდან გამომდინარე დასრულდება 2025 წელს.

10.საბაზისო მაჩვენებელი - "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის სესხის და გრანტის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების/მომსახურების მიხედვით გადასახდელი დღგ

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა ნაწილობრივ

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - "მდგრადი ურბანული მობილობა საქართველოში" - გონიერი სატრანსპორტო სისტემის (KFW) დანერგვისთვის სესხის და გრანტის კომპონენტის ფარგლებში 2024 წლის აქტივობები ორიენტირებული იყო ოთხი პროექტის დეტალური დიზაინისა და შესყიდვის მომზადებაზე (მათ შორის ორი ITS (გონიერი სატრანსპორტო სისტემა) და ორი EcoMobility (ეკომობილობის) პროექტი). აღნიშნულ პროცესში შედიოდა პროექტის შემაჯამებელი ანგარიშების (PSR) მომზადება სამი დაგეგმილი შესყიდვის ლოტისათვის და წინადადებების მომზადება დამატებითი შესყიდვებისთვის, რომლებიც აუცილებელია პროექტის მხარდაჭერისთვის, ხოლო 2025 წლიდან დაიწყება დაგეგმილი ტენდერებისთვის მზადება, დაინტერესებულ მხარეებთან პოზიციების და ხედვების შეჯამება. ასევე, პასუხისმგებლობების განაწილება მომავალი გონიერი სატრანსპორტო სისტემის მართვის ცენტრში.

01 02 02 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 9,691.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,681.1 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განახლებული, კომფორტული, უსაფრთხო და თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (ვაგონები).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მეტროს მოძრავი შემადგენლობის მოძველებული ვაგონების განახლება-მოდერნიზების მიზნით, დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია და განხორციელდა 2023 წლის 31 მაისს გაფორმებული (სს „ელექტრომოძრავი შემადგენლობის სარემონტო ქარხანა თბილისის ფილიალთან - 13,691.4 ათასი ლარის ღირებულების ფარგლებში) ხელშეკრულებით განსაზღვრული დარჩენილი ვალდებულების დაფარვა. მიმდინარე პერიოდში დასრულდა 2 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 2 ერთეული 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით. აღსანიშნავია, რომ 2023-2024 წლებში სულ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა 6 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 6 ერთეული 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის საშუალო შეკეთება მოდერნიზაციით, კაპიტალურად შეკეთდა 13 ერთეული დკ-117 ტიპის წევის ძრავი და ვაგონებზე დამონტაჟებული ნაწილების (თვალწყვილების, საკისრების, ვაგონის ურიკის ჩარჩოს და სხვა) შეცვლა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი ტრანსპორტის საიმედოობის, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გაზრდის მიზნით, მეტროს სათაო (81-717M სერიის) და შუალედურ (81-714M სერიის) ვაგონებს, გარბენის და ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით ესაჭიროება კაპიტალური რემონტი (მათ შორის 2023 წელს აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ჩატარდა 4 ერთეული 81-717 M სერიის მეტროს სათაო და 4 ერთეული 81-714 M სერიის მეტროს შუა ვაგონის შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალო და კაპიტალური შეკეთება მოდერნიზაციის ელემენტებით ჩაუტარდება 2 ერთეული 81-717M სერიის მეტროს სათაო და 2 ერთეული 81-714M ტიპის შუალედურ ვაგონს.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

01 02 03 მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 2,916.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,783.3 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 95.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განახლებული მეტროს სადგურები კომფორტული და სასიამოვნო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მეტროსადგურ „ვარკეთილის“ რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოების განხორციელების მიზნით, შპს ბადა ქონსთრაქშენთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, დაფინანსდა შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია კაპიტალური ტრანსფერის სახით 2,783.3 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და შპს ბადა გრუპს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ასევე, მიმდინარეობდა მეტროსადგურ „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დასრულდა მ/ს „გოცირიძე“ რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის დაუმთავრებელი ნაწილის სამუშაოები (სადგური გაშვებული იქნა ექსპლუატაციაში), გრძელდება მ/ს „ვარკეთილის" და მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები (პროექტების დასრულება მასშტაბიდან და სიდიდიდან გამომდინარე დაგეგმილია 2024 წელს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება მ/ს „ვარკეთილის" და მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა მ/ს „ავლაბრის“ ზედა ვესტიბიულის რეკონსტრუქციის და კაპიტალური რემონტის სამუშაოები, ხოლო გრძელდება მ/ს „ვარკეთილის" რეაბილიტაციის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მეტროსადგურ ვარკეთილის რეაბილიტაციის შემდგომი ეტაპის განსახორციელებლად საჭიროა მოკვლევითი სამუშაოების საფუძველზე დასკვნის მომზადდება.

01 02 04 თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 118,119.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განახლებული საავტობუსო ინფრასტრუქტურა, მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფარულია 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შესაძენად, 2023 წლის 15 ივნისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (ღირებულებით 89 343 372.80 ევრო) ფარგლებში ვალდებულების ნაწილი - 83,119.9 ათასი ლარი და 2024 წლის 16 მაისს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და შპს „თეგეტა მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში დამატებით 40 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენაზე, ხელშეკრულებით ნაკისრი საავანსო ვალდებულება - 35,000.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში ფაქტიურად შეძენილია 160 ერთეული 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსი (ხაზზე გასულია 75 ერთეული), ხოლო დარჩენილი ნაწილის მოწოდება მოხდება ეტაპობრივად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საავტობუსო პარკის განახლება რეაბილიტაციის ფარგლებში, 2023 წელს დაფარულია შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა და შპს თეგეტა მოტორს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით (160 ერთეული CNG-

ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენა) განსაზღვრული საავანსო ვალდებულების ნაწილი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საავტობუსო პარკის განახლება რეაბილიტაციის ფარგლებში 200 ერთეული CNG-ის ძრავზე მომუშავე ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსის შეძენა.

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილია 160 ერთეული ახალი 18 მეტრიანი M3 კატეგორიის ავტობუსი, დაფარულია დამატებით 40 ერთეული ავტობუსის შეძენაზე ხელშეკრულების პირობებით საავანსო ვალდებულება

01 02 05 საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 315,070.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 290,889.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: M2 და M3 კატეგორიის ავტობუსებით, ელექტრომოძრავი შემადგენლობის (მეტრო) და საბაგირო გზებით გაწეული მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის შეუფერხებელი ფუნქციონირების შედეგად გადაყვანილი მგზავრები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით, (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით) მგზავრთა გადამყვანი კომპანიები სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 165,452.2 ათასი ლარით, ხოლო ბიუჯეტის სახსრებით - 290,889.5 ათასი ლარით, მათ შორის:

სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მოძრაობის განრიგის მიხედვით „ახმეტელი-ვარკეთილის“ და „საბურთალოს ხაზზე“ გრაფიკით უნდა გასულიყო 394 814

მატარებელი, გავიდა 391 714 მატარებელი, მოიხსნა 3100 მატარებელი (მათ შორის დეპოს მიზეზით - 2863, სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის სამსახურის მიზეზით - 30, და სხვადასხვა მიზეზით - 207 მატარებელი), სულ 48 მოძრავი შემადგენლობა, საერთო გარბენმა შეადგინა 22 964 229.26 კმ (ანაზღაურებული)), M3 კატეგორიის ავტობუსებითა (935 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 722 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 სამარშრუტო ხაზზე, დამატებით შესრულდა 880 არაკომერციული და 23 კომერციული დაკვეთა, საქალაქო მარშრუტებზე შესრულებულ იქნა 3 984 824 სამარშრუტო რეისი და ფაქტიურმა გარბენმა (ანაზღაურებული) შეადგინა 56 221 712.61 კმ) და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა, ჯამურად 12 915.5 სთ (ანაზღაურებული)) მგზავრთა გადაყვანის მიზნით შესრულებული კილომეტრაჟისა და ნამუშევარი დროის ანაზღაურების მიზნით, მგზავრთა გადამყვანი შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსებულია - 275,763.5 ათასი ლარით (მათ შორის საპროგნოზო საოპერაციო ხარჯების უზრუნველსაყოფად, სატრანსპორტო კომპანია დაფინანსდა 28,200.0 ათასი ლარის ოდენობით) ბიუჯეტის სახსრებით, ხოლო საკუთარის სახსრებით 33,000.0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ავტოპარკს დაემატა 160 ერთეული - 18 მეტრიანი MAN „Lion's City" 18C მარკის ავტობუსი, ხოლო 75 ერთეული გადანაწილდა საქალაქო მარშრუტების 5 არსებულ ხაზზე (2024 წლის 31 იანვრიდან 18 მეტრიანი ავტობუსები გავიდა №302 მარშრუტზე, 2 მარტიდან - №308 მარშრუტზე, 9 მარტიდან - №314 მარშრუტზე, 16 მარტიდან - №301 მარშრუტზე, 7 სექტემბრიდან №310 მარშრუტზე, ხოლო ზემოაღნიშნულ მარშრუტებზე გამოთავისუფლებული ავტობუსები გადანაწილდა 24 სხვადასხვა მარშრუტზე მგზავრთნაკადის დატვირთვის შესაბამისად, რამაც ხელი შეუწყო მოცდის ინტერვალის შემცირებას);

M2 კატეგორიის ავტობუსებით (სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული ავტობუსებით) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელებაზე ნებართვის მფლობელი იურიდიული პირები დაფინანსებულია სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან - 132,452.2 ათასი ლარით,

ხოლო ბიუჯეტის სახსრებით - 15,126.0 ათასი ლარით, მათ შორის: შპს კაპიტალ გრუპი - 25,543.1 ათასი ლარი (მათ შორის საკუთარი სახსრები - 22,931.8 ათასი ლარი), შპს თბილ ლაინი – 65,829.4 ათასი ლარი (მათ შორის საკუთარი სახსრები - 59,039.0 ათასი ლარი), შპს თბილ ქარი - 23,205.9 ათასი ლარი (მათ შორის საკუთარი სახსრები - 20,871.0 ათასი ლარი) და შპს ფაბლიქ ქარი – 32,999.8 ათასი ლარით (მათ შორის საკუთარი სახსრები - 29,610.3 ათასი ლარი). ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულია M2 კატეგორიის 1000 ავტობუსი (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 752 ერთეული), რეისები ხორციელდება 160 სამარშრუტო ხაზზე, ფაქტიური გარბენი - 51 039 502.89 კმ. ასევე, ანაზღაურებულია დახარჯული საწვავის თანხა - 25,494.5 ათასი ლარის ოდენობით;

მიმდინარე პერიოდში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 169 354 511 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 150 432 097 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (139396 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (221501 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1991727 მგზავრი) გადაყვანილია 2 352 624 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 77 465 840 მგზავრი. სულ საქალაქო ტრანსპორტით გადაყვანილია - 399 605 072 მგზავრი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში სააგენტოს საკუთარი სახსრების ანგარიშზე, მგზავრობის მომსახურებიდან სულ შემოსულია 145,046.5 ათასი ლარი, მათ შორის: მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული (მეტრო, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსები და საბაგირო გზა (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) მგზავრობის მომსახურებიდან მიღებულია 125,568.2 ათასი ლარი (მათ შორის მეტროდან - 50,080.9 ათასი ლარი, M2 კატეგორიის ავტობუსებიდან - 21,780.0 ათასი ლარი, M3 კატეგორიის ავტობუსებიდან - 48,444.9 ათასი ლარი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები, ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა და რიყე-ნარიყალა) – 5,242.5 ათასი ლარი), ხოლო აბონიმენტების ღირებულებიდან - 19,478.3 ათასი ლარი (მათ შორის აბონიმენტი (1 დღე - 127561 ცალი) – 382,7 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 კვირა - 10609 ცალი) – 212.2 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 თვე - 246860 ცალი) – 9,874.4 ათასი ლარი, აბონიმენტი

(3 თვე - 9321 ცალი) – 932.1 ათასი ლარი, აბონიმენტი (6 თვე - 19453 ცალი) – 2,918.0 ათასი ლარი, აბონიმენტი (1 წელი - 20636 ცალი) – 5,159.0 ათასი ლარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 743 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 160 მარშრუტზე) და M3 კატეგორიის (860 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 678 ერთეული) რეისები ხორციელდება 111 მარშრუტზე) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 743 ერთეული) რეისები ხორციელდება 160 ხაზზე) და M3 კატეგორიის (935 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 678 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 ხაზზე) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში სრულადაა ჩართული M2 კატეგორიის (1000 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ - 752 ერთეული) რეისები ხორციელდება 160 ხაზზე) და M3 კატეგორიის (935 ერთეული (ყოველდღე მომუშავე საშუალოდ 722 ავტობუსი), რეისები ხორციელდება 111 ხაზზე) ავტობუსები, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) და საბაგირო (უნივერსიტეტი ბაგები, რიყე-ნარიყალა და ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა).

2.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 131 501 613 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 120 098 759 მგზავრი, M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია - 68 996 746 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი ბაგები) გადაყვანილია - 87 743 მგზავრი, საბაგირო გზით (რიყე-ნარიყალა) და (ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა) გადაყვანილია - 1 481 131 მგზავრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M3 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 169 354 511 მგზავრი, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) გადაყვანილია – 150 432 097 მგზავრი, საბაგირო გზით (უნივერსიტეტი-ბაგები (139396 მგზავრი), ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა (221501 მგზავრი) და რიყე-ნარიყალა (1991727 მგზავრი) გადაყვანილია 2 352 624 მგზავრი, ხოლო M2 კატეგორიის ავტობუსებით გადაყვანილია 77 465 840 მგზავრი.

01 02 08 საქალაქო საბაგირო ტრანსპორტის განვითარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 1,232.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზის მშენებლობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საბაგირო გზის ძველი სადგურიდან, მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობა და შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანია დაფინანსდა კაპიტალური ტრანსფერის სახით - 1,232.2 ათასი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, მიმდინარეობდა საბაგირო გზების - „რიყე ნარიყალას", "ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბის" და „უნივერსიტეტი-ბაგები“ (გეგმიური შემოწმება).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობდა საბაგირო გზის მშენებლობისთვის აუცილებელი დამატებითი მომსახურების შეძენა და „რიყე-ნარიყალას“ საბაგირო გზის სერვისული მომსახურება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - „მთაწმინდის საბაგირო გზის" მშენებლობის დასრულება, საბაგირო გზების - „რიყე ნარიყალას", "ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბის" და „უნივერსიტეტი-ბაგები“ (გეგმიური შემოწმება)

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

- **ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ჩანაცვლება**

ათასი ლარი



ათასი ლარი



	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია	კეთილმოწყობის ღონისძიებები	საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია	ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება	ქალაქის განვითარების ხელშეწყობა	საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძ...	სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა	ღონისძიებების უზრუნველყოფა	ავარიული სახლების ჩანაცვლება
2022 წლის ფაქტი	34,323.1	69,821.2	49,036.6	15,893.3	35,337.1	6,893.2	3,696.5	15,561.1	676.0
2023 წლის ფაქტი	38,908.5	88,821.0	39,734.3	8,106.0	57,839.6	7,362.1	3,514.8	20,239.4	4,178.9
2024 წლის ფაქტი	37,248.8	113,691.2	33,719.2	7,260.0	57,032.8	8,044.8	4,074.5	20,227.3	5,349.1



02 01 საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 42,403.3 ათასი ლარი დაფინანსდა - 33,719.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 33,542.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 79.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის (მათ შორის ხიდები, საყრდები კედლები) ობიექტების მშენებლობა, აღდგენა-რეკონსტრუქცია და გაუმჯობესება, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას; საკანალიზაციო და სანიაღვრე ქსელების გამიჯვნით ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულებულია შემდეგი სამუშაოები:

თბილისის მასშტაბით რკ/ბეტონის და გაბიონის საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები: ვაკის რაიონში - უჩანეიშვილის ქუჩა N2-ის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები და ასევე ჩამკეტი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ბაგების დასახლებაში, წყნეთის გზატკეცილის (წყნეთის გზატკეცილი N6-დან სიკო დოლიძის ქუჩამდე) მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოებს (საყრდენი კედელი N1, N2, N3); ილია ჭავჭავაძის გამზირი N84-ის მოპირდაპირედ (ს.კ. 01.14.10.001.099) რკ.ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში - გმირთა მოედნის გზაგამტარზე, ვარაზის ხევის მიმართულებით არსებული სადეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაცია; საბურთალოს რაიონში - საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარედ (ს.კ.01.14.06.006.125) გზის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები და ასევე ჩამკეტი საყრდენი კედლის მოწყობა; სამგორის რაიონში - ორხევში, ალექსევკას დასახლებაში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩაზე არსებულ ხიდის მისასვლელებზე რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები;

თბილისის ხიდების და გვირაბების მოწყობა-რეაბილიტაცია: დიდუბის რაიონში - შ.შალიკაშვილის სახელობის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები; მინდელის სახელობის ხიდზე დაზიანებული მოაჯირის რეაბილიტაცია; გლდანის რაიონში - ზაჰესში, სხვიტორის ქუჩაზე არსებულ ხიდზე დაზიანებული

სადეფორმაციო ნაკერის სარეაბილიტაციო სამუშაოები; გლდანულას დასახლება, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე არსებულ ხიდზე დაზიანებული ლითონის მოაჯირის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ვაკის რაიონში - უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის და გზაგამტარზე მოაჯირების მოწყობის სამუშაოები; ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე არსებული ფერდობის კვლევა-პროექტირების მომსახურების და ქვათაცვენის საწინააღმდენო ბადის მოწყობის სამუშაოები; წყნეთი-ბეთანიის საავტომობილო გზის მარცხენა ფერდობზე, ე.წ. ახალდაბის „დიდი“ მეწყრული სხეულის არეალში, გააქტიურებული მეწყერული პროცესების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოები; გმირთა მოედნის გზაგამტარზე ვარაზის ხევის მიმართულებით არსებული სადეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაცია; გმირთამოედნის გზაგამტარზე არსებული დაზიანებული მოაჯირების რეაბილიტაცია; საბურთალოს რაიონში - დავით აღმაშენებლის ხეივანზე არსებულ ხიდზე სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები; აღმაშენებლის ხეივნიდან დიდი დიღმის დამაკავშირებელ გზაგამტარზე დაზიანებული ლითონის მოაჯირების რეაბილიტაცია; სამგორის რაიონში - ლილოს დასახლება, დავით კობახიძის ქუჩაზე არსებულ სახიდე გადასასვლელზე სადეფორმაციო ნაკერთან დაზიანებული ფილის სარეაბილიტაციო სამუშაოები; კახეთის გზატკეცილზე, ჯავახეთის ქუჩის მიმდებარედ არსებულ ხიდზე (თბილისის შემოსასვლელის მიმართულებით) დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ისთ-ფოინთის მიმდებარედ ე.წ. „დამპალოს“ ხიდებზე, კერძოდ, აეროპორტის მიმართულებით სადეფორმაციო ნაკერების, ლითონის ფირფიტების (ე.წ სავარცხლები) სარეაბილიტაციო სამუშაოები; მთაწმინდის რაიონში - ნ.ბარათაშვილის ხიდიდან იუსტიციის სახლთან მისასვლელ გზაგამტარზე არსებული სადეფორმაციო ნაკერების რეაბილიტაცია და სამუშაოები; ისნის რაიონში - ორთაჭალის ხიდზე დაზიანებული სადეფორმაციო ნაკერების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

თბილისის, მასშტაბით სანიაღვრე/სადრენაჟე და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები: სამგორის რაიონში - ქიზიყის ქუჩა N5ა-ს და კაიროს ქუჩა N36-ის მიმდებარედ ამორტიზირებული სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოები; ელენე მეტრეველის ქუჩა N113-ის მიმდებარედ

(ე.წ. კაიროს დასახლებაში) ამორტიზირებული წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები; ისნის რაიონში - საინგილოს ჩიხი 5-ის მიმდებარედ სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები; ჩუღურეთის რაიონში - ივერთუბნის დასახლება, ჯუმბერ ბეთაშვილის მე-2 გას. და იოსებ ჟორდანიას ქუჩაზე სანიაღვრე ქსელი მოწყობის სამუშაოები; სოლომონ ყუბანეიშვილის ქუჩაზე, I და II ჩიხები, თამარ და აკაკი პაპავების ქუჩაზე, გენო ადამიას ქ. N19-დან N1-ის ჩათვლით, ზაქარია ჯორჯაძის I გას. და არქიმანდრიტ ილია კარტოზიას ქუჩაზე, მერი შერვაშიძის ქუჩის (N36-დან N18-ჩათვლით) და ტარას კვარაცხელიას I შესახვევში წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით) და სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; ივერთუბნის დასახლებაში, ჯუმბერ ბეთაშვილის და მერი შერვაშიძის ქუჩის დარჩენილ მონაკვეთზე (N36- N18-ჩათვლით) წყალარინების ქსელის მოწყობა (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით) და ჯუმბერ ბეთაშვილის ქუჩაზე გამავალი არსებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია (დემონტაჟი და ახლის მონტაჟი); ივერთუბანი, ნოდარ და პაატა ხერხეულიძეების ქუჩაზე (ლუწი ნომრები) წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით); ივერთუბნის დასახლებაში, მინადორა ორჯონიკიძე ტოროშელიძის ქუჩა N26 მიმდებარედ სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები; გუმათის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის წყალარნების ქსელის მოწყობის სამუშაოები; ივერთუბნის დასახლებაში, ტარას კვარაცხელიას III შესახვევის მიმდებარედ, ს.კ.01.81.21.111.022-ზე წყალარინების ქსელის მოწყობისთვის საჭირო დეფექტური აქტი და მოცულობათა უწყისი; გლდანის რაიონში - რ.შენგელიას ქუჩისა და ხევმძმარის ქ.N-1 მიმდებარედ ამორტიზებული რკ/ბეტონის სანიაღვრე და საკანალიზაციო კოლექტორების სარეაბილიტაციო სამუშაოები; ნეკრესის ქუჩაზე წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით); ბორჯომისა და მიმდებარე ქუჩების წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით); დაისის და ბორჯომის (დარჩენილი ნაწილის) ქუჩების წყალარინების და ქსელის მოწყობის სამუშაოები (მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით); მუხიანი 2-ის დასახლებაში, ნეკრისის ქუჩაზე (II ეტაპი) და ნეკრისის I შესახვევში წყალარინების ქსელის მოწყობა (მოსახლეობის დაერთებების გათვალისწინებით); ნაძალადევის

რაიონში - დ.იოსელიანის მე-II შესახვევში წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები; დიდუბის რაიონში - ა.წერეთლის გამზირი (N144, N140, N87, N58, N74) ამორტიზირებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; აკაკი წერეთლის გამზირი N61-ის მიმდებარედ დაზიანებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; კრწანისის რაიონში - სვანების დასახლებაში (კერძოდ K12 N137 კან.ჭიდან, K13, K11, K10 და K6) წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები მოსახლეობის დაერთების გათვალისწინებით; ვაკის რაიონში - ნუცუბიძის ქუჩიდან ვაჟა-ფშაველას გამზირისკენ გამსვლელ შალვა მიქელაძეს ქუჩაზე (ვაჟა ფშაველას II კვარტ 23-ე კორპუსის წინ) არსებული დაზიანებული სანიაღვრე კოლექტორის მოწყობის სამუშაოები; საბურთალოს რაიონში - მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N19-ის (ს.კ. 01.10.18.011.037) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ამორტიზებული სანიაღვრე კოლექტორის რეაბილიტაციის სამუშაოები;

მიმდინარეობს და გრძელდება სამუშაოები შემდეგ ობიექტებზე: ვაკის რაიონში - უნივერსიტეტის ქუჩისა და პ.ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის (გვირაბული მეთოდი) მოწყობის სამუშაოები; შ.ნუცუბიძის I მ/რ კორპ. N213/1, კორპ. N213/2 და ნუცუბიძის I მ/რ. კორ, N3-ის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოები; კორძაიას ქუჩის N12-14-თან გზის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; საბურთალოს რაიონში - საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარედ გზის დამჭერი რკ/ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; დ.სარაჯიშვილის და მიმდებარე ქუჩებზე წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები (კერძოდ: დაერთების წერტილიდან არს.კან.ჭიდან, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა, დავით სარაჯიშვილის ქუჩა საპ.კან.ჭა N40-ის ჩათვლით და ზაქარია სარაჯიშვილის ქუჩაზე) მოსახლეობის დაერთებების გათვალისწინებით; გლდანის რაიონში - ბორჯომისა და მიმდებარე ქუჩების, დაისის და ბორჯომის (დარჩენილი ნაწილის) ქუჩების წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები; დიდუბის რაიონში - ა.წერეთლის გამზირი (N76, N23) ამორტიზირებული სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა 7 ხიდს და 1 საფეხმავლო ხიდს, განხორციელდა 2 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდება 6 ხიდს (მათ შორის საფეხმავლო ხიდი), მოხდება 4-მდე საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ხიდს (მათ შორის ერთი კაპიტალურად შეკეთდა), დასრულდა ერთი ახალი ხიდის მშენებლობა, განხორციელდა 9 საყრდენი კედლის მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ობიექტს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩაუტარდება 7-მდე ობიექტს.

მიღწეული მაჩვენებელი - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია ჩაუტარდა 27 ობიექტს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია და სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა-რეაბილიტაცია ჩატარდა პატარ-პატარა მონაკვეთებზე.

02 02 ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 7,409.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,260.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,858.7 ათასი ლარი). რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, ავარიულ შენობებში მცხოვრებ მოქალაქეთა საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრება–გაძლიერების სამუშაოები ჩატარდა შემდეგ ობიექტებზე: ნაძალადევის რაიონში - ცოტნე დადიანის ქუჩა 2 მიკრო რაიონი კორპუსი N2, კორპუსი N14-ის I სადარბაზო, კორპუსი N323 და კორპუსი N128-ის I სადარბაზო; ზღვის უბანი III მიკრო რაიონი I კვ, კორპუსი N11; ზღვის უბნის დასახლება, III მიკრორაიონი, II კვ, კორპუსი N1; მთაწმინდის რაიონში - მერაბ კოსტავას ქუჩა N24 და N26 დრენაჟი; სამგორის რაიონში - კახეთის გზატკეცილი N36 კორპუსი N1; ვაკის რაიონში - შ.ნუცუბიძის ქუჩა N221; შ.ნუცუბიძის 1 მიკრო რაიონი, კორპუსი, N16; კორნელი კეკელიძის ქუჩა N25; ნუცუბიძის ქ.N44, კორპუსი N1; ვაჟა-ფშაველას გამზირი V კვარტალი, N1; ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N5; დიდუბის რაიონში - დიღმის მასივი, მე-2 კვარტალი, კორპუსი N19; წერეთლის გამზირი N93; დიღმის მას, V კვ, კორპუსი N16; ისნის რაიონში - ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი კორპუსი N145; ვაზისუბნის დასახლება მე-4,მიკრო რაიონი, მე-3კვ. N1; წულუკიძის ქუჩა, 4 შესასვლელი, კორპუსი N9-N11; ვაზისუბნის დასახლება მე-4 მიკრო რაიონი, მე-3 კვარტალი, N1; ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი III შესახვევი N4, N52, N100-ის და N17; წმ. ქეთევან დეოფლის გამზირი N90; წულუკიძის მე-4 შესასვლელი, კორპუსი N12; ვაზისუბნის IV მიკრო რაიონი, I კვარტალი, კორპუსი N12; ვაზისუბნის მე-2ა მ-რ, კორპუსი, N21; სამგორის რაიონში - ვარკეთილი-3, მე-2 მიკრო რაიონი, კორპუსი N38; ვარკეთილი-3, მე-2 მიკრო რაიონი, კორპუსი N27; ქინძმარაულის ქუჩა N25; კრწანისის რაიონში - ზემო ფონიჭალა კორპუსი N12; რუსთავის გზატკეცილი, კორპუსი N42; გლდანის რაიონში - მუხიანი მე–2 მიკრო რაიონი, კორპუსი N8.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 34 შენობა-ნაგებობას.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდება 37-მდე შენობა-ნაგებობას.

მიღწეული მაჩვენებელი - გამაგრება-გაძლიერების სამუშაოები ჩაუტარდა 33 შენობა-ნაგებობას.

02 03 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, ტექნიკური პირობები, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები დაფინანსებულია 8,044.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 8,585.5 ათასი ლარის 93.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 03 01 საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 1,015.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 806,0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 130.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 79.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით ხარისხიანი სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით, სრულყოფილი სამშენებლო პროექტებითა და საექსპერტო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში საპროექტო და საექსპერტო დოკუმენტაცია მომზადდა შემდეგი ობიექტებისათვის: სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან გაფორმდა საექსპერტო მომსახურების ხელშეკრულება: ისნის რაიონში, ლევილის სანაპიროს N10-ის მიმდებარედ (ს/კ 01.17.13.040.055) ფერდიდან მიწის მასის ჩამოშლის შესახებ და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; ვაკის რაიონში, გ. ლეონიძის ქუჩა #13-ისა და ს/კ 01.20.01.117.072-ზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ ფერდის ჩამოშლის გამომწვევი მიზეზებისა და შემდგომი პრევენციული ზომების გატარების შესახებ; ჯურხა ნადირაძის ქ.#4-ში (ს/კ 01.14.04.028.019) არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე

განთავსებული შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ; ჯურხა ნადირაძის ქ.#4-ში (ს/კ 01.14.04.028.019) არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მცენარეების საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ; ჯურხა ნადირაძის ქ.#4-ში (ს/კ 01.14.04.028.019) არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ღობის საბაზრო ღირებულების დადგენის შესახებ; საბურთალოს რაიონში, (თეთრი დუქნის ქუჩაზე) მდ. დიღმურაზე მდებარე ხიდი-გზაგამტარის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ (გამოკვლევა-გამოცდის) და რეკომენდაციები შემდგომ ღონისძიებებთან დაკავშირებით; ალ.ყაზბეგის გამზირი #32ა-ში მდებარე კორპუსის დეტალური გამოკვლევა-შესწავლა;

ასევე განხორციელდა: უნივერსიტეტის ქუჩისა და პ.ქავთარაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი საავტომობილო გზის (გვირაბული მეთოდით) მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო კვლევის და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ვაკის რაიონში, წყნეთს გზატკეცილის დასაწყისიდან (ვაკის სასაფლაოს შესასვლელიდან) წყნეთის გზატკეცილი #6-მდე გზის გაფართოების და რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (საგზაო ნაწილის, სანიაღვრე-სადრენაჟე ქსელის და საყრდენი კედლების მოწყობის); ვაკის რაიონში, შ.ნუცუბიძის I მ/რ კორპ. #213/1, კორპ. #213/2 და ნუცუბიძის I მ/რ. კორ. #3-ის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდების რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; საავტომობილო გზებზე და ხელოვნურ ნაგებობებზე სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩასატარებელი სამუშაოებისათვის (შემდგომში "პრევენცია, სტიქია") საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; მთაწმინდის რაიონში, ლადო ასათიანის ქ.#56-ის მიმდებარედ ქვათაცვენის უბნის დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; ქ.თბილისში, წყნეთი-წავკისის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; სამგორის რაიონში, მ.გახოკიძის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; საბურთალოს რაიონში, სააკაძის მოედანი #1-ის მიმდებარედ არსებული ფერდის პრევენციული დამცავი ღონისძიებების გატარების მიზნით

დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის და პროექტირების სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება; კატასტროფული მოვლენების თავიდან აცილების მიზნით, კომპლექსური გეოლოგიური გარემოს სტიქიურ ზონებში, დეტალური გეოლოგიური სიტუაციის სრული შეფასებისა და ბუნებრივი საფრთხის მონიტორინგის სისტემის მუდმივი ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტების მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შექმნილი საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციის რაოდენობა - 19 (მათ შორის: 8 საპროექტო და 11 საექსპერტო).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამშენებლო სამუშაოების უზრუნველყოფა საჭირო საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაციით.

მიღწეული მაჩვენებელი - მომზადებული იქნა სამშენებლო სამუშაოების 16 საპროექტო-საექსპერტო დოკუმენტაცია (მათ შორის: 7 საპროექტო და 9 საექსპერტო).

02 03 02 სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა, ლაბორატორიული კვლევები და სხვა ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია

2024 წლის გეგმა - 7,567.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,238.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საინჟინრო ნაგებობების მშენებლობის სამუშაოებზე შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი, ლაბორატორიული კვლევების დროულად მომზადება, სპეციალური ლაბორატორიული მანქანა–დანადგარების შეძენის შედეგად გაუმჯობესებული და თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური ლაბორატორიის ფუნქციონირების (მათ შორის გენერატორის, ლაბორატორიისთვის გეოდეზიური ხელსაწყოების, ტაქომეტრის, 10

ერთეული ოპერატიული ავტომანქანის შეძენა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 14.0 ათასი ლარი თანამშრომელთა ბიულეტინის ხარჯების ასანაზღაურებლად და გადასახადების გადასახდელად). მიმდინარე პერიოდში ლაბორატორიის მიერ ზედამხედველობა განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით:

საავტომობილო გზების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილებისა და ლაბორატორიული სამუშაოების ანგარიში: ზედამხედველობა განხორციელდა 2045 ობიექტზე. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 958, გამგეობების ობიექტი – 1084, ხოლო სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ობიექტი - 3;

ლაბორატორიამ განახორციელა: ასფალტ–ბეტონის ნარევის კვლევა – 375, საკონტროლო კერნის ამოჭრა ლაბორატორიული კვლევისათვის – 520 კერნი, სისქეების რაოდენობა - 6188, ტკეპნის კოეფიციენტი - 16202 დარტყმა;

წყალსადენ–კანალიზაციისა და სანიაღვრე ქსელების მოწყობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ დასრულებულია სამუშაოები 205 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 72, გამგეობების ობიექტი – 127, ხოლო ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი - 6;

ხელოვნური და სამოქალაქო ნაგებობების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ შესრულდა საზედამხედველო სამუშაოები 495 ობიექტზე, აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი – 278, გამგეობების ობიექტი – 189, ხოლო ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი –28;

ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შემსწავლელი განყოფილების მიერ მომზადებულია 707 დასკვნა ავარიული შენობების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ. აქედან: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ობიექტი - 260 დასკვნა, გამგეობების ობიექტი - 404 დასკვნა, საკრებულოს ობიექტი - 28 დასკვნა, ხოლო ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ობიექტი – 15 დასკვნა;

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები

გამგეობების 2071 ობიექტზე, აქედან: სამშენებლო ობიექტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 1529, ლიფტების ტექზედამხედველობის შემოწმებული – 517 და აღდგენა-გამაგრების ობიექტები - 25;

საბავშვო ბ/ბაღის მართვის სააგენტოს და კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტების მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის განყოფილების მიერ ჩატარებულია ტექ.ზედამხედველობის სამუშაოები (მიმდინარე და დასრულებული) 54 ობიექტზე (მათ შორის მიმდინარე 15 ობიექტი), აქედან: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ობიექტები – (მიმდინარე - 10, დასრულებული - 27), კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ობიექტები - (მიმდინარე - 1, დასრულებული - 5), გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის და მერიის ადმინისტრაციის ობიექტები - (მიმდინარე - 2, დასრულებული - 2), „ცენტრ პოინტის“ ობიექტები – (მიმდინარე სამუშაოები - 2, დასრულებული - 4), შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ობიექტები (დასრულებული - 1).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - შესრულებული საზედამხედველო სამუშაოების ხარისხობრივი მაჩვენებელი -100%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული დაგეგმილი მაჩვენებელი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორიული კვლევის პერიოდია 5 დღე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე მანქანა–დანადგარებით, რომლებიც პერიოდულად საჭიროებს განახლებას,

დაგეგმილი მაჩვენებელი - განახლებული მანქანა-დანადგარები, ავტომანქანები

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

02 05 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 40,472.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 37,248.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,356.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 92%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: განათებული ქალაქი და ქუჩებში მოსახლეობის და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: პროგრამის ფარგლებში შპს „თბილსერვის ჯგუფი“ მომსახურეობა- ექსპლოატაციას უწევს დედაქალაქის მასშტაბით არსებულ გარე განათების და მხატვრული მინათების სანათებს. საანგარიშო პერიოდში ექსპლოატაცია გაეწია 157 015 სანათს[16], მათ შორის: გარე განათება – 139 091 სანათი, მხატვრული მინათება – 17 924 სანათი. ასევე, ახორციელებდა საყრდენი ბოძებისა და სანათების მონტაჟის სამუშაოებს - მოეწყო 4243 ახალი სანათი, დამონტაჟდა 1020 ცალი განათების ბოძი და მოეწყო 98 ცალი დეკორატიული ტიპის სანათი ბოძი (ბაბლთაუერი).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ექსპლოატაცია გაეწია 164 195 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 146 224 სანათი, მხატვრული მინათება – 17 971 სანათი), მოეწყო 992 ახალი სანათი და დამონტაჟდა 2 454 განათების ბოძი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ექსპლუატაცია გაეწევა თბილისის მასშტაბით არსებულ გარე განათების ქსელს და ასევე, საჭიროებისამებრ მოწყობილი იქნება ახალი გარე განათების ქსელები და ახალი სანათები.

მიღწეული მაჩვენებელი - ექსპლოატაცია გაეწია 157 015 სანათს (მათ შორის: გარე განათება – 139 091 სანათი, მხატვრული მინათება – 17 924 სანათი), მოეწყო 4243 ახალი სანათი, დამონტაჟდა 1 020 განათების ბოძი და მოეწყო 98 ცალი დეკორატიული ტიპის სანათი ბოძი (ბაბლთაუერი).

02 06 სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

[16] 2023 წლის ანალოგიურ მონაცემთან (164195) შედარებით შემცირებულია, ვინაიდან განხორციელდა 7 180 სანათის დემონტაჟი.

2024 წლის გეგმა - 4,180.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,074.5 ათასი ლარით. გეგმის 97.5%.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების გამართული ფუნქციონირება, ქალაქის კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში შპს "თბილსერვის ჯგუფის" მიერ განხორციელდა შემდეგი სახის სანიაღვრე ქსელების საექსპლუატაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები: სანიაღვრე კოლექტორების, სათავე ნაგებობების შემოწმება (ზედაპირულად, შიგ გავლით, სპეც. ტექნიკის გამოყენებით - CCTV ვიდეო კამერით, ეგრეთ წოდებული ვიდეოთვალით) – 9 286 მეტრი; სათავე ნაგებობების, სანიაღვრე წვიმამიმღებების, სანიაღვრე ჭების, გვერდმიმღებების და საკონტროლო ჭების გაწმენდა - 41 242 ცალი; კიუვეტების გაწმენდა (ხელით და მექანიზმის გამოყენებით) – 49 580 გრძივი მეტრი; სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვა სპეც. ტექნიკის გამოყენებით – 123 000 მეტრი; დაზიანებული ცხაურების, ყრუ ხუფების შეცვლა – 260 ცალი; გვერდმიმღების ხუფების შეცვლა - 40 ცალი; რ/ბ ფილა (ორმაგი არმირებით, ოთხკუთხა თუჯის ჩარჩო-ხუფით ან ცხაურით) – 57 ცალი; ახალი ჭის მოწყობა თუჯის ჩარჩო-ხუფით, ჩარჩო-ცხაურით, გვერდმიმღებით - 18 ცალი; ჭის ჩარჩო-ხუფი ან ცხაური - 47 ცალი; სანიაღვრე ჭების მოყვანა ნიშნულზე - 127 ცალი; ანაკრები რ/ბ რგოლები დ=1000მმ.დ=1500მმ - 1 640 მეტრი; დაზიანებული რ/ბ კოლექტორის შეკეთება - 8.2 კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა..

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული სანიაღვრე ქსელის გამართულად ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 07 ღონისძიებების უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მერიის ადმინისტრაცია

2024 წლის გეგმა - 22,335.6 ათასი ლარი დაფინანსდა - 20,227.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში საზოგადოების ჩართულობა, სხვადასხვა ღონისძიებების სრული ტექნიკური გამართულობა, სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული ობიექტების მოვლა-პატრონობა (ძეგლები, მემორიალები, საფლავები), ქართველი ხელოვანების ჩართულობის ზრდა კულტურულ სივრცეში და მათი საქმიანობის ხელშეწყობა-პოპულარიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: 2023-2024 შობა-ახალი წლის დღესასწაულისადმი, 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი, თბილისობა 24“-ის დღესასწაულის და 2025 წლის შობა-ახალი წლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურებები (მათ შორის შობა - ახალი წლის დღესასწაულისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ფარგლებში სხვადასხვა დეკორაციისა და ინსტალაციი შესყიდვა, კინო ზონის მოსაწყობი სივრცის დეკორაციის შესყიდვა და სხვა); საახალწლო ილუმინაციების შეძენა, მონტაჟი-დემონტაჟი, ექსპლუატაცია და აღდგენა; სხვადასხვა ქვეყნის (მათ შორის საქართველოს) სახელმწიფო დროშების, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის დროშების და დაბრენდილი დროშების შესყიდვა; სახელმწიფო დროშების განთავსება, შეცვლა და ჩამოხსნა; საკონცერტო და სხვადასხვა ღონისძიებებისათვის სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების აპარატურით, გახმოვანების პროფესიონალური და საკონცერტო აპარატურით, საჭირო ინვენტარით (მათ შორის მონიტორები, გენერატორი), სხვადასხვა სცენებით, სასცენო კონსტრუქციებით, ტრიბუნებით, პლატფორმებით, საგრიმიოროებით, კოშკებით, ბეგ-რაუნდის კონსტრუქციებით, სხვადასხვა კონსტრუქციების შეძენა/დამზადება/აღდგენა, სპეცეფექტებითა და მხატვრული ფოიერვერკით, სხვადასხვა ქალაქგაფორმებითი დეკორაციებით მომსახურება; სხვადასხვა კონსტრუქციების შესყიდვა, დამზადება-აღდგენა, ბანერების, სტიკერების, სადღესასწაულო, სარიტუალო ყვავილებისა და

თაიგულებით მომსახურება; დედაქალაქის მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად კარვების მოწყობისა და რეცხვის მომსახურება, შემზღუდავი ჯებირების მოწყობა-ალაგება, ბიოტუალეტებით მომსახურება და სხვა. ასევე, სხვადასხვა მისამართზე 8 მემორიალური დაფის (მათ შორის ორ ენოვანი) დამზადება-მონტაჟი-განთავსება (მათ შორის პროფესორ მარიამ (მალიკო) მრევლიშვილის მემორიალური დაფა, ცნობილი ქართველი ხელბურთელის, ჯემალ ცერცვაძის მემორიალური დაფა, ცნობილი ფიზიკოსის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძის ორენოვანი მემორიალური დაფა, საქართველოს დამსახურებული იურისტის, პირველი კლასის მოსამართლის, იუსტიციის სახელმწიფო მრჩევლის, იუსტიციის გენერლის ვალერიან ედიშერაშვილის მემორიალური დაფა, საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველი მმართველის იასონ ლორთქიფანიძის მემორიალური დაფა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის ორენოვანი მემორიალური დაფა, არნოლდ ჩიქობავას ქუჩა N34-ში მდებარე შენობის ფასადზე დამონტაჟებული ცნობილი ფერმწერ-მხატვრის უშანგი (ხუმა) ხუმარაშვილის მემორიალური დაფა, რაფაელ აგლაძის ქუჩა N34 მდებარე შენობის ფასადზე დამონტაჟებული გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის დევი აბაშიძის ორენოვანი მემორიალური დაფა), ორ მემორიალურ დაფაზე სახელის ამოტვიფრის (ვ.ლ. ასლანიკაშვილი და რ.ო. სამსონიძე), ხოლო ერთ მემორიალურ დაფაზე სახელის კორექტირება (ჯ.გ. ხაფთანი); დამზადდა და განთავსდა ორი ბიუსტი (ივანე ჯავახიშვილის ბაღში (პანთეონში) იუსტინე აბულაძის არქიტექტურულ მხატვრული კომპოზიცია (ბიუსტი) და აკაკი ჩხენკელის არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია (ბიუსტი)), განხორციელდა 2 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები (მათ შორის ზაქარია ფალიაშვილის ქუჩაზე არსებულ ე.წ გეგეშიძის ბაღში მდებარე არქიტექტურული ნაწარმოების „კონსტანტინე გამსახურდიას მონუმენტის“ არქიტექტურული ნაწილის - სტელას აღდგენა-რეკონსტრუქცია, ივანე ჯავახიშვილის ბაღში (პანთეონში) იუსტინე აბულაძის არქიტექტურულ მხატვრული კომპოზიციის (ბიუსტი) სამშენებლო-მოსაპირკეთებელი სამუშაოები) და ორ საფლავის ქვაზე წარწერის ამოტვიფრის სამუშაოები (დიდუბის პანთეონში

არსებული ქართველი მსახიობის თენგიზ არჩვაძის და მისი მეუღლის, ნელი ფილიაშვილის საფლავის ქვებზე წარწერის ამოტვიფრის სამუშაოები). გარდა ამისა, გაიწმინდა შოთა რუსთაველის გამზირი N12-ში მდებარე შენობის ფასადზე განთავსებული „1956 წლის 9 მარტს საბჭოთა რეჟიმის მიერ დახვრეტილი მშვიდობიანი მომიტინგეების ხსოვნის მემორიალი“, ილია ჭავჭავაძის გამზირი N 35-ში მდებარე ილია ჭავჭავაძის ბიუსტის კვარცხლბეკი, მარშალ არჩილ გელოვანის სახელობის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე დავით აღმაშენებლის ძეგლი და კვარცხლბეკი, პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე გიორგი ცაბაძის ბიუსტი და კვარცხლბეკი;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მერიის მიერ დაგეგმილ და ორგანიზებულ თითოეულ ღონისძიებას საშუალოდ 6000 ადამიანი ესწრება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში, ღონისძიებებზე დამსწრე საზოგადოების რაოდენობის ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებაზე დამსწრე - 50 000 ადამიანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 100 სხვადასხვა ტიპის ღონისძიების და აქტივობის სრული ან ნაწილობრივი ტექნიკური აღჭურვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მომსახურების მაღალი დონის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული 200 ღონისძიება ტექნიკურად სრულად გამართული იყო და შენარჩუნდა მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სამსახურის მიერ ხდება არანაკლებ 3 ახალი ძეგლის, 10 მემორიალური დაფის დამზადება-განთავსება, არანაკლებ 2 ძეგლის ან/და კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები, აღდგენა-რესტავრაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - დამზადდა და განთავსდა 8 მემორიალური დაფა (მათ შორის ორ ენოვანი) და 2 ძეგლი (ბიუსტი), განხორციელდა 2 ძეგლის სარესტავრაციო სამუშაოები, 4 ძეგლის/კვარცხლბეკის გაწმენდითი სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი ძეგლების და მონუმენტების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია მერიის მიერ გამოცხადებული ძეგლების საუკეთესო ესკიზების შესარჩევ კონკურსებზე, ხოლო მემორიალური დაფების დამზადება-განთავსება დამოკიდებულია შემოსული განაცხადებების რაოდენობაზე.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მერიის მიერ ორგანიზებულ მასშტაბურ ღონისძიებებში ხელოვნების სფეროს დაახლოებით 700-დე ცნობილი წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას, მინიმუმ 100 დამწყებ ხელოვანს და სპარტაპერს ეძლევა შესაძლებლობა ჩაერთონ მერიის მიერ განხორციელებულ და მხარდაჭერილ ღონისძიებებში და წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება, ხელნაკეთი ნივთები და სხვა პროდუქცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული მაჩვენებლის შენარჩუნება და შესაძლებლობის შემთხვევაში რაოდენობის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - ღონისძიებებში ჩართული - 3 000 ხელოვანი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეული იყო მასშტაბური საახალწლო ღონისძიებებით.

02 09 კეთილმოწყობის ღონისძიებები დაფინანსებულია 113,691.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 115,039.1 ათასი ლარის 98.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 09 01 კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 22,419.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 22,151.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 17,179.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობის, კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების შედეგად განახლებული, რეაბილიტირებული და მოვლილი ინფრასტრუქტურის ობიექტები და ქალაქის გალამაზებული იერსახე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა სახის მომსახურება და სამუშაოები: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის მომსახურება; ქუჩების დასახელებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრები (თანმდევი მომსახურებით-მონტაჟი): აბრები - - 5350 ც, დგარიანი მანიშნებელი - 60 ც, მანათობელი აბრები - 25 ც, ბიოგრაფიული დაფა - 20 ც; თბილისის მასშტაბით გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანის სამუშაოები; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდისა და გამაგრების სამუშაოები (მოეწყო 148314.12 კვ.მ ქვათაცვენის ბადეები); დაზიანებული კეთილმოწყობისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოები (მათ შორის: ბორდიური - 66.59 გრძ.მ, ქვაფენილი/ფილა - 7379.89 კვ.მ, ლითონის მოაჯირები - 16.15 მ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 28780 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 11017.33 კგ, ლითონის ფურცლის მონტაჟი - 108218.26 კგ), საკაბელო კომუნიკაცია - 24 034.82 მ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება (მოეწყო 15907 კვ.მ დამცავი ბადეები), ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 5992 ც. დგარიანი მანიშნებელი - 35 ც. მანათობელი აბრები - 20 ც.), მოეწყო: 7759.75 მ2 - ფილა/ქვაფენილი, 516.05 გრძ.მ -

ლითონის მოაჯირი, ლითონის ფურცლები - 94013.05 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება და მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 3001.39 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 9920 კგ, ბორდიურები - 438.7 გრძ/მ, საკაბელო კომუნიკაცია - 4827 მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი: გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების სამუშაოების ფარგლებში მოეწყობა 30000 კვ.მ-მდე ფილა/ქვაფენილი და 800 გრძ.მ-მდე ლითონის მოაჯირი, კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა-გამაგრება (მოეწყობა 50300 კვ.მ დამცავი ბადეები) და ზედმეტი გრუნტისა და ნატანის გასუფთავება-გატანა და შედეგად ქვათაცვენისა და მეწყერული უბნების მდგომარეობის გაუმჯობესება-გასუფთავება, ქუჩების დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა გმირთა მოედანზე, მემორიალური სვეტისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობა; გრუნტის და ნატანის გასუფთავება-გატანა; კლდოვანი ფერდობების ჩამოწმენდა და გამაგრება (მოეწყო 148314.12 კვ.მ ქვათაცვენის ბადეები); ქუჩის დასახელებებისა და ნუმერაციის აღმნიშვნელი აბრების მონტაჟი (აბრები - 5350 ც, დგარიანი მანიშნებელი - 60 ც, მანათობელი აბრები - 25 ც, ბიოგრაფიული დაფა - 20 ც); კეთილმოწყობისა და დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-გამაგრების მიზნით მოეწყო: 7379.89 კვ.მ ფილა/ქვაფენილი, ლითონის მოაჯირი - 16.15 მ, ლითონის ფურცლები - 108218.26 კგ, ლითონის მოაჯირების დამზადება-მონტაჟი სხვადასხვა ზომის მილკვადრატით - 11017.33 კგ, პოლიმერული მასალის ნაკეთობის დამზადება-მონტაჟი - 28780 კგ, ბორდიურები - 66.59 გრძ.მ, საკაბელო კომუნიკაცია - 24034.82 მ.

02 09 09 უკანონო ნაგებობების დემონტაჟი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მუნიციპალური ინსპექცია

2024 წლის გეგმა - 500.0 ათასი ლარი დაფინანსდა - 234.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 46.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ლიკვიდირებული უკანონო მშენებლობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შენობა-ნაგებობების მონოლითური გადახურვის დემონტაჟი - 131.07 კვ.მ, შენობა-ნაგებობების გადახურვის კონსტრუქციის დემონტაჟი - 1040.15 კვ.მ, შენობა-ნაგებობების რკინა-ბეტონის კედლების დემონტაჟი - 644.3 კვ.მ, რკინა-ბეტონის საძირკვლის დემონტაჟი - 159.89 კვ.მ, მონოლითური ფილის დემონტაჟი - 1318.18 კვ.მ, სამშენებლო ბლოკით მოწყობილი კედლის დემონტაჟი - 1561.6 კვ.მ, უსახური ჯიხურების, ნაგებობების, მარტივი ტიპის კონსტრუქციების დემონტაჟი - 1318.16 კვ.მ, მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების ღობეების დემონტაჟი 1495.26 გრძ.მ, მიწის სამუშაოების ტექნიკით წარმოება 190 კუბ.მ, დემონტაჟის შედეგად წარმოდგენილი ნარჩენების გატანა ნაგავსაყრელზე - 1110 კუბ.მ.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად სადემონტაჟო სამუშაოები ხორციელდება საშუალოდ 4200 კვ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 4436 კვ.მ სადემონტაჟო სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდა 6173.35 კვ.მ.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - რიგ შემთხვევაში სამართალდამრღვევმა საკუთარი სახსრებით განახორციელა დემონტაჟი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლის დემონტაჟი ხორციელდება საშუალოდ 4200 გრძ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) დაშლა 3500 გრძ.მ

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა მსუბუქი და მარტივი ტიპის კონსტრუქციების (ღობეების) და საკომუნიკაციო ქსელის დაშლა 1495.26 გრძ.მ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა საშუალოდ 1450კუბ.მ

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების გატანა 1382 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - გატანილი და განთავსებული იქნა დემონტაჟის (სამუშაოების შესრულებისას) შედეგად წარმოქმნილი ნარჩენები 1110 კუბ.მ.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია რიგ შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიერ საკუთარი სახსრებით განხორციელებული დემონტაჟის შედეგად. რამდენადაც, სამართალდამრღვევის მიმართ ინსპექციის მიერ გაიცემა მითითება, სადაც სადემონტაჟო სამუშაოებისთვის მიეცემათ გონივრული ვადა, ხოლო მითითების შეუსრულებლობის შემთხვევაში ინსპექცია უზრუნველყოფს სადემონტაჟო სამუშაოების ჩატარებას.

02 09 10 კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 9,575.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,445.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,449.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრის, სხვლა-ფორმირების და დამუშავება-გატანის მომსახურება (დამუშავდა 1913 ხე-მცენარე), გამწვანებულ და დასასვენებელ ტერიტორიებზე (248845.3 კვ.მ) სარწყავი სისტემებისა და სასმელი სოკოების მომსახურება, კანალიზაციის სისტემების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები 441გ/მ (8 მისამართი), შემოერთებულ ტერიტორიაზე ახალი საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოები (6 მისამართი.

2491.3 გ/მ), ახალი სპორტული მოედნების (9 მისამართი) მოწყობის, არსებული სპორტული მოედნების (20 მისამართი) მიმდინარე შეკეთების სამუშაოები, არსებულ სკვერებში საბაღე ინვენტარის და საბავშვო/სათამაშო ატრაქციონების შეკეთების სამუშაოები (83 ობიექტი), ღია სივრცეში მოეწყო ახალი ფიტნეს ტრენაჟორები (სავარჯიშო მოწყობილობები-ე.წ. ვორკაუტები 8 მისამართი), ახალი სკვერების მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი), ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები (6 მისამართი) და დაიდგა 35 საპარკე სკამი, მინი სკვერის მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი), დეკორატიული მოაჯირის მოწყობის სამუშაოები (2 ობიექტი. 110 გრძ.მ), საყრდენი კედლის (5 ობიექტი) და კიბე-ბილიკის (1 ობიექტი), სივრცითი მოწყობის სამუშაოები (5 მისამართი), მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ავარიული ელემენტების გამაგრება-რეაბილიტაცის სამუშაოები (რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 საცხოვრებელი სახლის 15 ავარიულ აივანს), შშმ პირების გადასაადგილებლად საჭირო ელექტრო პანდუსები (4 მისამართი), 12 ეკლესიის ფინანსური დახმარება, გაზიფიცირების სამუშაოები (4 მისამართი). დასრულდა სარაჯიშვილის ქუჩა N15-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის დაზიანებული ფასადის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის 2.5% - 3.1 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 8 დიდი სკვერი და 1 მინი სკვერი ატრაქციონებით; შეკეთდა 103 სკვერი, სპორტული მოედანი მოეწყო 4 მისამართზე, ხოლო შეკეთდა 35 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 7 დიდი და 4 მინი სკვერი, 6 ფანჩატური, სპორტული ტრენაჟორების 8 კომპლექტი, 3 ახალი და რეაბილიტირებულ იქნა 5 სპორტული მოედანი; მიმდინარე შეკეთება ჩაუტარდება 80-მდე სკვერს და 20-მდე სპორტულ მოედანს.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 8 დიდი და 4 მინი სკვერი, შეკეთდა 83 სკვერი და ერთ სკვერში განახლდა ატრაქციონი; დამონტაჟდა 35 საპარკე სკამი, 6 ფანჩატური

და 8 ობიექტზე მოეწყო სპორტული ტრენაჟორი; სპორტული მოედანი მოეწყო 9 მისამართზე და შეკეთდა 20 მისამართზე.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს 5 მისამართზე განხორციელდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები - 3806.81 გრძ.მ ახალი ქსელი, ხოლო შეკეთდა 301.9 გრძ.მ არსებული საკანალიზაციო ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 5340 გრძ.მ ახალი და შეკეთდება 721 გრძ მეტრი საკანალიზაციო ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 6 მისამართზე განხორციელდა კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 2491.3 გრძ.მ ახალი ქსელი; 8 ობიექტზე შეკეთდა 441 გრძ.მ არსებული საკანალიზაციო ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს 9 მისამართზე მოეწყო 148 კუბ.მ საყრდენი კედელი, ხოლო შშმ პირებისთვის 4 მისამართზე მოეწყო ახალი და 2 მისამართზე დამონტაჟდა არსებული ელ. პანდუსი

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 297 კუბ. მეტრი საყრდენი კედელი და ბეტონის კიბე-ბილიკი, შშმ პირთათვის 4 ელექტრო პანდუსი.

მიღწეული მაჩვენებელი - 6 მისამართზე მოეწყო საყრდენი კედელი კიბით (209.32 კუბ.მ), 2 ობიექტზე კიბე-ბილიკი (36.2 კუბ.მ), ხოლო შშმ პირებისთვის 4 მისამართზე მოეწყო ახალი ელექტრო პანდუსი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 11 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 4 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 206689 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 1531 ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება, დაირგო 270 ხე-მცენარე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 200-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა, 207000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 3500 ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 166 ძირი ხე-მცენარე, განხორციელდა 248 845.3 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, 1913 ძირი ხის გადაბელვა და სხვლა ფორმირება.

02 09 11 კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 10,530.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,490.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,538.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: ხეების სხვლა-ფორმირების (3649 ძირი), მოჭრის (689 ძირი), კუნძების ამოძირკვის (15 ძირი), დაჭრა-დამუშავება-გატანის (288 ძირი) სამუშაოები; დეკორატიული ხეების/ბუჩქების ნერგების დარგვა (130 ნერგი) და გამწვანებული ტერირორიების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; სკვერებში არსებული შადრევნებისა და წყლის დეკორატიული ნიჟარების მოვლა-პატრონობის მათ შორის კომუნალური ხარჯები; რაიონის იერსახის მოწესრიგების სამუშაოები (58 მისამართი); შესყიდულია 293 საპარკე სკამი; გრუნტის დამჭერი საყრდენი კედლების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (13 მისამართი); არსებული სკვერების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (72 მისამართი); კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონების მიწოდების სამუშაოები (10 მისამართი); სკვერში შადრევნის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი); ხელოვნურ საფარიანი სპორტული მოედნების (10 მოედანი) მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები. გარე გამოყენების ფიტნეს ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები (7 კომპლექტი); სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (7 ობიექტი); რევაზ ურიდიას ქუჩა N189-ის ზედა მხარეს

არსებული ფერდობისა და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ხარჯები; ჭ. ბენდელიანის ქ. N42-ში მდებარე შენობის აივნის დემონტაჟის სამუშაოები; ზღვისუბნის მე-11 მკ/რ, 1 კვარტალი, 48-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ წყალარინების ქსელის მიმდინარე შეკეთების სამუშაოები -157 გრძ.მ; დაფინანსებულია გამაფრთხილებელი ნიშნების (სტიკერების) ბეჭდვითი მომსახურება; სატრანსპორტო გზასთან ჩამოსასვლელი კიბეების მოწყობის სამუშაოები (11 მისამართი); გაზიფიცირების სამუშაოები (4 ოჯახი); 12 ეკლესიის ფინანსური დახმარება; დაფინანსებულია რაიონის ტერიტორიაზე არსებულ შენობებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დამოუკიდებელი სარგებლობისათვის სპეციალური გადაადგილებადი 4 ლიფტის მოწყობის სამუშაოები და სხვა. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები, შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის 2.5%.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო ერთი ახალი სკვერი, არსებულ 24 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშოები ჩაუტარდა 12 სპორტულ მოედანს, მოეწყო კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონები (18 მისამართი), დამონტაჟებულია გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (1 კომპლექტი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2 ახალი სკვერი, რეაბილიტირებული იქნება 1 სკვერი, მოეწყობა 15 ობიექტზე სპორტული მოედანი, 8 ობიექტზე - სპორტული ტრენაჟორი; 16 ობიექტზე საბავშვო ატრაქციონი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 2 ახალი სკვერი, არსებულ 72 სკვერს ჩაუტარდა აღდგენა-შეკეთების სამუშაოები, მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშოები ჩაუტარდა 10 სპორტულ მოედანს, მოეწყო კაუჩუკის მოედნიანი ახალი საბავშვო ატრაქციონები (10 მისამართი), დამონტაჟებულია გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორები (7 კომპლექტი).

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 9 მისამართზე - 1090.4 გრძ.მ. განხორციელდა შადრევნების მოვლა-პატრონობა (2 შადრევანი და 2 წყლის ნიჟარა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 659 გ/მ სანიაღვრე ქსელი მოწყობა, განხორციელდება შადრევნების მოვლა-პატრონობა (3 შადრევანი).

მიღწეული მაჩვენებელი - საკანალიზაციო, სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მშენებლობის სამუშაოები შესრულებულია 7 მისამართზე - 897 გრძ.მ. განხორციელდა შადრევნების მოვლა-პატრონობა (3 შადრევანი).

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 16 მისამართზე 2206.9 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 9 ობიექტზე 756 კუბ.მ. ახლის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - გრუნტის დამჭერი კედლების აღდგენა-მშენებლობის სამუშაოები ჩატარდა 13 მისამართზე 1336.17 კუბ.მ.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოსახლეობის მომართვიანობიდან გამომდინარე, გაზიფიცირების სამუშაოები დაუფინანსდა 8 სოციალურად დაუცველ ოჯახს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით იგეგმება 24 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება.

მიღწეული მაჩვენებელი - მომართვიანობიდან გამომდინარე, დაფინანსდა 4 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მოსახლეობის მხრიდან შემცირდა მომართვიანობა.

5. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაირგო 174 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 27 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 3199 ძირი, გადაბელვა - 321 ძირი, მოჭრის - 721 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 12 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-203 ძირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 250 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი ხის ნერგების შესყიდვა, 27 ფექტარ ფართობზე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა პატრონობა, 2200 ძირი ხის სხვლა-ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 130 ერთეული სხვადასხვა სახეობის ბუჩქი და ფოთლოვანი ხის ნერგი, გამწვანების ღონისძიებები ჩატარდა 34.65 ჰექტარ ფართობზე, ჩატარდა ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა-გადაბელვის სამუშაოები (სხვლა-ფორმირება - 3649 ძირი, გადაბელვა- 321 ძირი, მოჭრის - 689 ძირი, კუნძების ამოძირკვა- 15 ძირი, დაჭრა-დამუშავება-გატანა-288 ძირი).

02 09 12 კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 10,504.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,442.0 ათასი ლარი).

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ რაიონის ტერიტორიაზე ხმელი, ზეხმელი და ავარიული ხეების მოჭრა, სხვლა-ფორმირების, კუნძების ამოძირკვისა და დამუშავება-გატანის მომსახურება, წყლის სოკოების კომუნალური ხარჯები, სკვერის მოწყობის სამუშაოები (86 მისამართი), არსებული სკვერის აღდგენა/შეკეთების სამუშაოები (79 მისამართი), სანიაღვრე ქსელების მოწყობის და მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (10 მისამართი), არსებული სპორტული მოედნების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (19 მისამართი), ახალი მოაჯირების და ბოძკინტების მოწყობის სამუშაოები (27 მისამართი), გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები (17 მისამართი), გაზიფიცირების სამუშაოები (1 ოჯახი); დ. აღმაშენებლის სახელობის ხეივნის და ს.ახმეტელის ქუჩის კუთხეში არსებული ნაგებობისთვის

ელექტროენერგიის და დროშის შესყიდვის ხარჯი, 9 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და დაფარულია შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის 2.5%.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს რეაბილიტირებული იქნა არსებული 58 სკვერი და 15 სპორტული მოედანი, მოეწყო 23 ახალი სკვერი და ერთი ახალი სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 17 სკვერი, 6 სპორტული მოედანი. მოეწყობა 3 ახალი სკვერი და 1 ახალი სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სკვერები 86 მისამართზე, ხოლო ჩატარდა არსებული 79 სკვერის აღდგენა/შეკეთება; შეკეთდა არსებული 19 სპორტული მოედანი.

2. საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს მოეწყო და შეკეთდა 14 მისამართზე 1535.41 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1460 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 10 მისამართზე 1099.70 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება გამწვანებული ტერიტორიის 53 ჰა გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2000 ც. ხის ნერგის დარგვა, 2190 ხის ჭრა- ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია გამწვანებული ტერიტორიის 53 ჰა გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2000 ც. ხის ნერგის დარგვა, 2190 ხის ჭრა- ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 59 ჰა ტერიტორიის გათიბვა (მწვანე საფარის მოვლა), 2400 ცალი ხე მცენარისა და ბუჩქის დარგვა, 2150 ხის სხვლა-ფორმირება.

02 09 13 კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 6,607.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,483.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,888.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: შენობა-ნაგებობების ნანგრევებისგან გაწმენდის, სამშენებლო ნაგვისა და ჩამოშლილი გრუნტის გატანის სამუშაოები (79 მისამართი), საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები (27 მისამართი), ახალი სპორტული მოედნის (2 მისამართი) მოწყობის სამუშაოები, გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: რაიონის ტერიტორიაზე არსებული 1443 ძირი ხეების გასხვლა, ფორმირება, მოჭრა, დამუშავება-გატანის სამუშაოები, გასამწვანებელი მერქნიანი 50 ძირი მცენარეების შეძენა-დარგვა და გამწვანებული ღონისძიებების მოვლა-პატრონობა), სკვერებისა (37 მისამართი) და სპორტული მოედნების (31 მისამართი) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები, საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენის სამუშაოები (7 მისამართი), დასასვენებელი პავილიონების (15 ცალი ფანჩატური) მოწყობის სამუშაოები, მოაჯირების კონსტრუქციების მოწყობის სამუშაოები (29 მისამართი), რაიონის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ეზოებში სანიაღვრე (250 გრძ.მ), წყალსადენი (110 გრძ.მ) და კანალიზაციის (360 გრძ.მ) ქსელების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები (6 მისამართი), სასმელი წყლის ნიჟარების მოხმარებული წყლის ხარჯი, ნინოშვილის ქ.N48/50-ში მდებარე შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები, მცირეფასიანი ქუჩის ავეჯის (40 ცალი საპარკე სკამი და 15 ცალი სანაგვე ურნა) და მოძრაობის შემზღუდავი ბარიერის (100 ბოძკინტი) შეძენა-მოწყობა, ქუჩის დამაკავშირებელი კიბეებისა და პანდუსების მოწობითი სამუშაოები (7 მისამართი). გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (23 ოჯახი) და 5 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია სასამართლო გაწყვეტილების აღსრულების, საპროექტო-

სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, დეფექტური აქტების, ესკიზური ნახაზების და ტექნიკური დავალებების შედგენის მომსახურების ხარჯები.

ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 79.3 ათასი ლარი, 2023 წლის 23 დეკემბერს, ძლიერი ქარის შედეგად, ჩუღურეთის რაიონში, ნინოშვილის ქუჩა №21-ში და ნორიოს აღმართი ჩიხი №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავების აღდგენის სამუშაოების განსახორციელებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 1 ახალი სკვერი, 1 სპორტული მოედანი და 2 მისამართზე სპორტული ტრენაჟორების კომპლექტი, განხორციელდა 52 სკვერის, 23 სტადიონის რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1 ახალი სკვერი, 2 ახალი სპორტული მოედანი და 2 მისამართზე სპორტული ტრენაჟორი, განხორციელდება 50 სკვერის და 20 სტადიონის რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 2 ახალი სპორტული მოედანი და განხორციელდა 37 სკვერისა და 31 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 28 მისამართზე ახალი საყრდენი კედელი 4179 კუბ.მ, მოეწყო სანიაღვრე ქსელი (21,4 გრძ.მ) და წყალსადენის ქსელი (195 გრძ.მ), განხორციელდა წყალსადენ-კანალიზაციის ქსელის (196 გრძ.მ) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 4331.83 კუბ.მ ახალი საყრდენი კედელი და 200 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი, შეკეთდება 130 გრძ.მ. წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 27 მისამართზე ახალი საყრდენი კედელი 4716 კუბ.მ, მოეწყო სანიაღვრე ქსელი (250 გრძ.მ) და წყალსადენის ქსელი (110 გრძ.მ), განხორციელდა კანალიზაციის ქსელის (360 გრძ.მ) მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის გამგეობა მოვლა-პატრონობას (რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა) უწევს 25000 კვ.მ გამწვანებულ ტერიტორიას, 2023 წელს დარგულია 52 ძირი ხე და განხორციელდა 1224 ძირი ხის გასხვლა - ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 50-მდე ძირის ხის დარგვა და 1876 ძირი ხის გასხვლა - ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დარგულია 50 ძირი ხე და განხორციელდა 1443 ძირი ხის გასხვლა - ფორმირება.

02 09 14 კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 8,590.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 8,588.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,142.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები (5050 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), ახალი სკვერის მოწყობა (1 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა-რეაბილიტაცია (10 მისამართი), ხოლო მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება (87 მისამართი), სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია (4 მისამართი), ხოლო მიმდინარე და ფრაგმენტული შეკეთება (21 მისამართი), ტრენაჟორების მოწყობა (2 მისამართი), კიბეების აღდგენა/რეაბილიტაცია (4 მისამართი), საყრდენი კედლის მოწყობა (3 მისამართი - 550 კუბ.მ), ახალი ღობეების მონტაჟი (22 მისამართი), წყალსადენ-კანალიზაციის სადრენაჟე და სანიაღვრე ქსელების მოწყობა (1371 გრძ.მ - 8 მისამართი), მცირეფასიანი საპარკე სკამების შესყიდვა-მონტაჟი (214 საპარკე სკამი), რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ამაღლების ტაძრის ცენტრალური შესასვლელის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, ვაკის რაიონის ტერიტორიაზე ნუცუბიძის I მ/რ მე-13 კორპუსი მე-2 სადარბაზო,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის განკუთვნილი ინკლუზიური, ღია ადაპტირებული ლიფტის მოწყობითი სამუშაოები, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (1 ოჯახი) და 17 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 2 ახალი სკვერი და 2 ახალი სპორტული მოედანი, ხოლო რეაბილიტაცია ჩაუტარდა 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 9 არსებულ სკვერს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1 ახალი სკვერის მოწყობა, რეაბილიტაცია ჩუტარდება 4 არსებულ სპორტულ მოედანს და 10 არსებულ სკვერს.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 625.8 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 5 მისამართზე მოეწყო 1148 კუბ.მ საყრდენი კედელი, მოეწყო 205 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 9 მისამართზე განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 745 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 3 მისამართზე - 293 კუბ.მ საყრდენი კედელი, 8 მისამართზე მოეწყობა 1371 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 4 მისამართზე (1121 კვ.მ) განხორციელდება ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 745 გრძ.მ ახალი მოაჯირი, 3 მისამართზე მოეწყო 550 კუბ.მ საყრდენი კედელი, 8 მისამართზე მოეწყო 1371 გრძ.მ ახალი სანიაღვრე ქსელი, 4 მისამართზე (1121.9 კვ.მ) განხორციელდა ქუჩის დამაკავშირებელი კიბეების რეაბილიტაცია.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა ჩატარდა დაახლოებით 437500 კვ.მ ფართობის ტერიტორიაზე, ხეების გასხვლა-გადაბელვისა და მოჭრის სამუშაოები ჩაუტარდა 4324 ძირ ხეს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 5050-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 886218 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

02 09 15 კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 9,500.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,305.4 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 7,956.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ხეების გასხვლა-გადაბელვისა (5067 ძირი) და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), სკვერებში წყლისა და ელექტროენერგიის ხარჯები, კოსტავას ქუჩა N63-ის მიმდებარედ ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრებითი სამუშაოები, ახალი სკვერის (4 მისამართი), არსებული სკვერების აღდგენა რეაბილიტაციის (4 მისამართი) და ფრაგმენტული შეკეთებითი სამუშაოები (86 მისამართი), სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (17 მისამართი), სკვერების წყალმომარაგების (4 მისამართი) და ელექტრო ენერგიის სისტემაზე (1 მისამართი) ახალ მომხმარებლებად მიერთება, 150 ცალი საპარკე სკამების და 75 ცალი სანაგვე ურნების შეძენა/მონტაჟი, დეკორატიული ღობეების (10 მისამართი) და კიბეების (4 მისამართი) აღდგენა-მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების აღდგენა/მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი), ველოსიპედების სადგომების მოწყობა (1 მისამართი) და გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (1 ოჯახი) და 8 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და ექსპერტიზის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 6 ახალი სკვერი, განხორციელდა 10 მისამართზე სკვერისა და 14 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია და 101 სკვერში დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 4 ახალი სკვერი, განხორციელდება 4 მისამართზე სკვერისა და 7 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 130 სკვერში და 50 სპორტულ მოედანში მოხდება დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 4 ახალი სკვერი, განხორციელდა 4 მისამართზე სკვერისა და 7 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია, 86 სკვერში და 10 სპორტულ მოედანზე დაზიანებული ინვენტარის აღდგენა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სკვერებში და სპორტულ მოედნებზე დაზიანებული ინვენტარის აღდგენის სამუშაოებზე მისამართების რაოდენობის ცვლილება გამოწვეულია, წლის განმავლობაში ერთი და იგივე მისამართებზე წარმოქმნილი ახალ-ახალი პრობლემების აღმოსაფხვრელად გაწეული სამუშაოებიდან გამომდინარე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 7 მისამართზე 608 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 6 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 128 კვ.მ, მოეწყო 998 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება 7 მისამართზე 615 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 4 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 1469 კვ.მ, მოეწყობა 875 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4 მისამართზე 266 კუბ.მ საყრდენი კედლისა და 4 მისამართზე კიბეების აღდგენა-რეაბილიტაცია 64 კვ.მ, მოეწყო 515 გრძ.მ უსაფრთხოების ღობე და მოაჯირი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულია, იმით, რომ გასაკეთებელი ობიექტების მთლიანი ფართობების ნაცვლად, გაკეთდა მხოლოდ რკინა-ბეტონის სამუშაოები.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 4650 ძირის სხვლა ფორმირება და 435650 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8959-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 400000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 5067 ძირის სხვლა ფორმირება და 400000 კვმ.მ გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა (თიბვა, მორწყვა, გაფოცხვა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირების სამუშაოების განხორციელებაზე სხვაობა გამოიწვია ნაკლებმა მომართვიანობამ.

02 09 16 კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 9,375.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 9,233.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,565.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის ადაპტირებული გარემო, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის: ავარიული ხეების გადაბელვა-გასხვლა და მოჭრა (2489 ძირი ავარიული ხე)), სპორტული მოედნების (16 მისამართი) და სკვერების მოწყობა (35 მისამართი), სკვერების აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები (25 სკვერი), საყრდენი კედლების (2 მისამართი - 122 კუბ.მ) მოწყობა, დაზიანებული შენობა-ნაგებობის

კონსტუქციების დემონტაჟის, დამზღვევი ღონისძიებების (137 მისამართი), მათ შორის: არსებულ სკვერებში, სპორტულ და საბავშვო გასართობ მოედნებზე დაზიანებული ფრაგმენტების აღდგენა-შეკეთების სამუშაოები (28 მისამართი), ვ/უბნის I მ/რ-ში ავარიული კორპუსი N8-ის კაპიტალური გამაგრება, სანიაღვრე ქსელების მომდინარე შეკეთებითი სამუშაოები (1 მისამართი - 186 გრძ.მ), მეტეხის ქუჩა N14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ავარიული ნაწილის დემონტაჟი, ფაჩატურების მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი), გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (12 ოჯახი) და 13 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია სარწყავი სისტემის ცენტრალურ სისტემაზე დაერთების (2 მისამართი), დეფექტური აქტების შედგენისა და ზედამხედველობის მომსახურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 12 ახალი სკვერი და 8 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 10 სკვერს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 25 სკვერი; მოეწყობა 20 სპორტული მოედანი, დამონტაჟდება 5 ერთეული ფიტნეს ტრენაჟორებით.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 35 ახალი სკვერი და 16 ახალი სპორტული მოედანი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 25 სკვერს, მოეწყო 4 ერთეული ფანჩატური.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არსებული განსხვავება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ და სამუშაოთა მოცულობის ზრდამ.

2.საბაზისო მაჩვენებელი – 2023 წელს რეაბილიტირებულ იქნა 10 ერთეული (1400 კუბ.მ) საყრდენი კედელი და 3 მისამართზე 223 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 8 ერთეული (1120 კუბ.მ) საყრდენი კედელი, მოეწყობა 2 ერთეული კიბე-პანდუსი, მოეწყობა და რეაბილიტირებული იქნება 2000 გრძ/მ სანიაღვრე ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა 2 ერთეული (122 კუბ.მ) საყრდენი კედელი და ერთ მისამართზე 186 გრძ.მ სანიაღვრე ქსელი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები სამუშაოების განხორციელება გამოიწვია საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ, ხოლო კიბე-პანდუსის მოწყობაზე სხვაობა გამოიწვია მომართვიანობის არ არსებობამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 2368-მდე ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2894 ძირის სხვლა-ფორმირება და 125000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 2489 ძირის სხვლა-ფორმირება და 125000კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სხვლა-ფორმირების სამუშაოებზე დაფიქსირდა ნაკლები მომართვიანობა.

02 09 17 კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 13,408.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 13,368.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 6,852.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ავარიული ხეების მოჭრა და ფორმირება (3126 ძირი); გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა; საკანალიზაციო ქსელების მოწყობის სამუშაოები (10 მისამართი); წყალსადენის ქსელების მოწყობის სამუშაოები (ნიკოლოზ აფხაზავას ქუჩიდან ცაცა ამირეჯიბის ქუჩის გავლით

გარდაბნის გზატკეცილის მე-60კმ-მდე მისამართი); სანიაღვრე ქსელის მოწყობის სამუშაოები (4 მისამართი); გაზიფიცირების სამუშაოები (7 ოჯახი); სკვერების მოწყობის სამუშაოები (23 მისამართი); საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი); სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები (15 მისამართი); ლითონის მოაჯირების მოწყობის სამუშაოები (8 მისამართი); 14 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა. ასევე, გაწეულია საპროექტო-სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და დაფარულია შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის გარანტიის 2.5%.

მიღწეული უშალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს 18 სკვერი და გრძელდება 5 სკვერის მოწყობის სამუსაოები, მოეწყო 13 სპორტული მოედანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 13 ახალი სკვერი და 7 სპორტული მოედანი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 23 სკვერი და გრძელდება 4 სკვერის მოწყობის სამუშაოები, მოეწყო 15 სპორტული მოედანი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო სანიაღვრე ქსელი 4 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 11 მისამართზე და სარწყავი სისტემა 2 მისამართზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა სანიაღვრე ქსელი 4 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 9 მისამართზე და წყალსადენის ქსელების მოწყობის სამუშაოები 1 მისამართზე.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო სანიაღვრე ქსელი 4 მისამართზე, საკანალიზაციო ქსელი 11 მისამართზე და წყალსადენის ქსელების 1 მისამართზე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სხვადასხვა უბნების მიხედვით გაზიფიცირებულია სოციალურად დაუცველი 86 ოჯახი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით 7 სოციალურად დაუცველი ოჯახის გაზიფიცირება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 1000000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა და 6970 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1000000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და 6611 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 619055 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა და 3126 ძირი ხის სხვლა ფორმირება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აღსანიშნავია, რომ 2024 წელს 9 დიდი სკვერი გადაცემულია მოვლა-პატრონობაში შპს ეკოსერვის ჯგუფზე.

02 09 18 კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 8,110.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,971.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 5,204.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა და დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მიტოვებული სამშენებლო ნარჩენების სანქციონირებელ ნაგავსაყრელზე გადაყრა, რაიონის ტერიტორიაზე სხვადასხვა მცირე მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (104 მისამართი), გამწვანების ღონისძიებები (მათ შორის ხმელი, ზეხმელი, ავარიული ხეების სხვლა-ფორმირება (1217 ძირი), მოჭრა-დამუშავება (560 ძირი), გატანა და გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა), ავარიული სახლების წინმსწრები დამზღვევი ღონისძიებების სამუშაოები (24 მისამართი), 300 არაგველის სახელობის სკვერში მარადიული ცეცხლის ბუნებრივი აირის ხარჯები, მორწყვისა და ნიჟარებიდან სასმელი წყლის ხარჯები, სკვერების (20 მისამართი), სპორტული მოედნის (4 მისამართი) ფრაგმენტული შეკეთება და მოწყობა/რეაბილიტაცია, წყალარინებისა და წყალმომარაგების უზრუნველყოფისათვის ქსელზე მიერთების სამუშაოები (5

მისამართი), ელექტრობოლარდების შადრევნების ელექტროენერგიის ხარჯები, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში სველი წერტილის მოწყობის სამუშაოები (3 მისამართი), საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები (7 მისამართი), მცირეფასიანი საპარკე სკამების (50 ცალი) დამზადება/მონტაჟი, აბანოს ქN21-ში კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელი შენობის აივნის რეაბილიტაციის სამუშაოები, 2024 წლის ივლისის თვეში მომხდარი ძლიერი წვიმისა და ქარის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავების აღდგენის სამუშაოები, წყალსადენ-კანალიზაციის (წყალარინება), სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები (5 მისამართი), სხვადასხვა ლოკაციებზე დროებითი ღობეების მოწყობა-დემონტაჟის სამუშაოები, ეფრემ მცირის ქ.N14-ში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლის აღდგენის სამუშაოები, საცხოვრებელ შენობებში (2 მისამართი) შშმ პირებისათვის სპეციალური ლიფტების მოწყობის სამუშაოები, საახალწლო ღონისძიების ორგანიზების მიზნით, 15 ცალი დახლის ტენტების შეძენის ხარჯები, გაზიფიცირების ინდივიდუალური გამრიცხველიანება (1 ოჯახი) და 6 ეკლესიის ფინანსური დახმარება. ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები და დაფარულია 2023 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტიის მიზნით დაკავებული 2.5% - 66.8 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა ერთ მისამართზე ახალი სკვერის მოწყობა, 69 მისამართზე სკვერებისა და სპორტული მოედნის მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთება და 2 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8 სკვერის მოწყობისა და 15 სპორტული მოედნების აღდგენა-რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 20 მისამართზე სკვერების მიმდინარე ფრაგმენტული შეკეთება და 4 მისამართზე სპორტული მოედნის აღდგენა-რეაბილიტაცია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულია მოსახლეობიდან შემოსული განცხადებებით გათვალისწინებული მოთხოვნებიდან გამომდინარე.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 50 გრძ/მ სანიაღვრე და 8282,4გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა - რეაბილიტაცია განხორციელდება 500 კუბ.მ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 1000გრძ/მ სანიაღვრე და 300გრძ.მ საკანალიზაციო ქსელი, საყრდენი კედელის მოწყობა - რეაბილიტაცია განხორციელდება 300 კუბ.მ.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 425 გრძ/მ სანიაღვრე და 38 გრძ.მ წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია, ხოლო 388 კუბ.მ. საყრდენი კედლის მოწყობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოიწვია მოცულობითი სამუშაოების და საპროექტო დოკუმენტაციის დაზუსტებამ.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 1979-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 40000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1294-მდე ძირის სხვლა ფორმირება და 50000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 1777 ძირის სხვლა-ფორმირება და 50000 კვ.მ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

02 09 19 კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 5,919.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,915.5 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,181.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, რაიონის მოსახლეობისთვის შექმნილი სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო პირობები და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები. მათ შორის: გამწვანებული ტერიტორიების მოვლის და ხეების სხვლა-ფორმირება, დაზიანებული შენობა-ნაგებობების ნანგრევებისაგან ტერიტორიის გაწმენდის, შენობების გამაგრების, ავარიული ელემენტების შეკეთების სამუშაოები (81 მისამართი), გრუნტის დამჭერი კედლის მოწყობის სამუშაოები (6 მისამართი), სპორტული კომპლექსის მოწყობის სამუშაოები (1 მისამართი), სტადიონის რეაბილიტაციის (1 მისამართი) და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენის (27 სკვერი) სამუშაოები, წყალსადენ-კანალიზაციის და სანიაღვრე ქსელების მოწყობის, აღდგენა-შეკეთება-რეაბილიტაციის და საკანალიზაციო მილების გაწმენდის სამუშაოები (17 მისამართი), შადრევან-აუზების ექსპლუატაციასა და მოვლა-პატრონობის სამუშაოები, შინდისის ქუჩა N8(12)-ში და ს. ჟღენტის ქუჩა N5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლების ხანძრის შედეგად დაზიანებული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები, 9 ეკლესიის ფინანსური დახმარება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს რეაბილიტირებული იქნა 8 სკვერი, 16 სკვერში ჩატარდა ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები, დაიწყო დიდი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნება 1 სკვერი და გაგრძელდება 1 დიდი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტირებული იქნა ერთი სკვერი, 27 სკვერში ჩატარდა ინფრასტრუქტურის აღდგენის სამუშაოები, გაგრძელდა დიდი სპორტული მოედნის მშენებლობის სამუშაოები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შეკეთდა 698.5 გრძ.მ წყალ-კანალიზაციის ქსელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეკეთდება 1039 გრძ.მ. წყალკანალიზაციის ქსელი.

მიღწეული მაჩვენებელი - შეკეთდა 2048.8 გრძ.მ წყალსადენ-კანალიზაციის ქსელი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო და შეკეთდა 753.58 კუბ.მ 7 ერთეული საყრდენი კედელი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 196 კუბ.მ კედელი და 1885 კვ.მ. კედელი და კიბე

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო და შეკეთდა 305.1 კუბ.მ კედელი და 1880 კვ.მ. კედელი და კიბე.

4. საბაზისო მაჩვენებელი - რაიონის ტერიტორიულ საზღვრებში სისტემატიურად ტარდება გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (მათ შორის რგვები, სხვლა ფორმირება, თიბვა), 2023 წელს განხორციელდა 2600-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2600-მდე ძირი ხე-მცენარის დარგვა და 150 000 კვმ-მდე გამწვანებული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

02 10 ქალაქის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი

2024 წლის გეგმა - 63,587.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 57,032.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები - 45,494.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 89.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შენარჩუნებული თბილისის კულტურული მემკვიდრეობა რეაბილიტირებული საცხოვრებელი სახლები და ინფრასტრუქტურა, უძრავი ქონების ღირებულების ზრდა, პროექტირების მიმართულება, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“(ADB) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში გადახდილი დღგ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 616.3 ათასი ლარი, თანამშრომელთა სახელფასო დანამატის, გადასახადების გადასახდელად, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით და სხვა). გარდა ამისა, სამუშაოები მიმდინარეობდა შემდეგ მიმართულებებზე:

ფონდზე რიცხული ობიექტების დაცვით უზრუნველყოფის ხარჯები, ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) და მასთან დაკავშირებული თანმდევი ხარჯები (სულ გამოყვანილია სიით 253 ოჯახი, მათ შორის: ორბელიანის მოედანზე არსებული სახლებიდან - 19 ოჯახი, გუდიაშვილის მოედანზე არსებული სახლებიდან - 29 ოჯახი, ერეკლე მეორის მოედნის N6-7-დან - 8 ოჯახი, წინამძღვრიშვილის ქუჩა N1-დან - 73 ოჯახი, ჯავახიშვილის ქუჩა N14-დან - 5 ოჯახი, თაბუკაშვილის ქუჩა N46-დან - 22 ოჯახი, ლაღიძის ქუჩა N2-დან 52 ოჯახი, ნ. ფიროსმანის ქუჩა N29-დან - 25 ოჯახი, სხვადასხვა ობიექტებიდან - 20 ოჯახი), ბინებიდან გამოყვანილი მოსახლეობის ნივთების გადაზიდვა დაცულ საწყობში (სულ განხორციელდა 824 რეისი) სამშენებლო სამუშაოების განმავლობაში თანმდევი ხარჯები.

ცხრილში წარმოდგენილია საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის (ქირის) მიზნით, ბინებიდან გამოყვანილი ოჯახების რაოდენობა

მისამართი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
აბესაძის ქუჩა	12	12	11	11	11	4	4	4	4	4	4	4
აბო თბილელის ქუჩა	12	12	12	12	11	11	11	11	11	11	11	11
ბოტანიკური	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
გოგირდის შესახვევი	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ერეკლე მეორეს მოედანი	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8	8
დადიანის ქუჩა N16	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10	10
კოტე მესხის შეს. N3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3	3
ორბელიანის ქუჩა	19	19	19	19	19	19	19	0	0	0	0	0
საიათნოვას ქუჩა	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1	1
სამღებროს ქუჩა	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4	4
წინამძღვრიშვილის ქუჩა	73	73	73	73	73	73	73	73	72	72	72	72
ჯავახიშვილის ქუჩა	5	5	5	5	5	5	4	4	4	4	3	3
თაბუკაშვილის ქუჩა N46	22	22	22	21	21	21	21	21	21	21	21	21
ლაღიძის ქუჩა N2	52	52	52	52	52	52	52	52	52	52	52	52
ნ. ფიროსმანის												25

ქუჩა N29												
ჯამი	**228**	**228**	**227**	**226**	**225**	**218**	**217**	**198**	**197**	**197**	**196**	**221**

კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში განხორციელებულია შემდეგი სამუშაოები, მათ შორის:

საპროექტო სამუშაოები განხორციელდა რუსთაველის გამზირზე და კოსტავას ქუჩაზე (30 საცხოვრებელი სახლი), ჭონქაძის ქ.N12-14, თაბუკაშვილის N51, სულხან-საბა ინგოროყვას არეალში, კოსტავას N37ა-ში მდებარე თბილისის ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის, ურბნისის ქ.N7-დარეჯანის სასახლის და სხვა ობიექტებზე;

მსხვილი არეალების რეაბილიტაციის მიმართულებით, პროექტ „ახალი ტფილისის“ ფარგლებში დასრულდა ლადო გუდიაშვილის მოედანზე არსებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაციის ფარგლებში, დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: ერეკლე მეორის N6-7, ორბელიანის N19-23, რომის N4, დარეჯანის სასახლე, ხოლო გრძელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები: კადეტთა კორპუსი თაბუკაშვილის N46, წინამძღვრიშვილის N1-ზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის, ნარიყალას ციხის, ნიკო ფიროსმანის N29 და სხვა სარეაბილიტაციო ობიექტებზე;

ისტორიული სადარბაზოების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა აბო თბილელის ქ.N6, ბეგლარ ახოსპირელის გასასვლელი N3/7-სა და რომის ქ.N4-ში მდებარე სადარბაზოების მხატვრობის სამუშაოები;

მუზეუმების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა აბრეშუმის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

გარდა ამისა, საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის, 2019 წლის 9 დეკემბერს №6024-GEO და 2021 წლის 10 დეკემბერს №4134-GEO გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში გაწეულია 1,175.8 ათასი ლარი (მათ შორის სხვა კაპიტალური გრანტები - 819.3 ათასი ლარი). აქედან, №6024-GEO და №4134-GEO ხელშეკრულებების ფარგლებში გაწეული მომსახურებისათვის გადახდილი

დღგ - 721.1 ათასი ლარი (მათ შორის აუდიტორული მომსახურება - 17.3 ათასი ლარი, ვერის პარკის რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება – 4.3 ათასი ლარი, საკონსულტაციო მომსახურება (მათ შორის სუპერბლოკები) – 259.8 ათასი ლარი, დიღმის ჭალების აღდგენა/განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავება - 76.1 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური დიზაინის მომზადების პროექტი - 86.3 ათასი ლარი, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების (შუქნიშნები) შეძენა და ინსტალაცია - 277.3 ათასი ლარი), ხოლო 454.8 ათასი ლარი (მათ შორის სხვა კაპიტალური გრანტები - 98.2 ათასი ლარი) - პროექტების (№6024-GEO, №4134-GEO) ფარგლებში ინდივიდუალურ კონსულტანტებზე გაწეული შრომის ანაზღაურების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო 107 საცხოვრებელი სახლი (მათ შორის 97 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, თანმდევი ქუჩების, რეკრეაციული ზონების და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარეობს 23 საცხოვრებელი სახლის, 4 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (მუზეუმი, სადარბაზო), 3 არასაცხოვრებელი ფართის რეაბილიტაცია

მიღწეული მაჩვენებელი - რეაბილიტაცია ჩაუტარდა 23 საცხოვრებელ სახლს (მათ შორის 18 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს, ერთ არასაცხოვრებელი ფართს).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სარეაბილიტაციო არეალში საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ. ღირებულება შეადგენს 4000-4500 ლარს, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1 კვ.მ. ღირებულება 4500-5000 ლარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო არეალში რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ საცხოვრებელი სახლის 1 კვ.მ ფართის ღირებულება იქნება 6000-6500 ლარი, ხოლო კომერციული და საოფისე ფართის 1კვ.მ ღირებულება 7500-8000 ლარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ხელშეკრულებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას, შესაბამისად ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით მოხდება დღგ-ს გადახდა (მათ შორის 2023 წელს გადახდილია საკონსულტაციო, აუდიტორული, საპროექტო/სტრატეგიული დოკუმენტაციის შემუშავების, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების მოწოდება და ინსტალაციის მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სესხის ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯებისა და შესრულებული სამუშაოების მიხედვით გადახდილი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა საკონსულტაციო, აუდიტორული, საპროექტო/სტრატეგიული დოკუმენტაციის შემუშავების, საგზაო მოძრაობის კონტროლის სისტემების (შუქნიშნები) შეძენა და ინსტალაციის, მეტროს სადგურების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და დეტალური დიზაინის მომზადების პროექტის მომსახურებისათვის გადასახდელი დღგ-ს ფარგლებში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულებების (N6024-GEO, N4134-GEO) თანახმად, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარეობს 6 ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა, დეტალური დიზაინის მომზადება, ხოლო მშენებლობის ნაწილი დაიწყება მომდევნო წლიდან

4. **საბაზისო მაჩვენებელი** - პროგრამა „ახალი ტფილისის“ფარგლებში მიმდინარეობს 37 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 25 მემკვიდრეობის ძეგლი) და არასაცხოვრებელი 2 ობიექტის პროექტირების სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საცხოვრებელი სახლების (მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები), სადარბაზოების, მუზეუმების რეაბილიტაციის მიზნით შემუშავებული პროექტები (მ.შ. 29 საცხოვრებელი სახლის პროექტი რუსთაველის და კოსტავას გამზირზე).

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობს 52 საცხოვრებელი სახლის (მათ შორის 40 მემკვიდრეობის ძეგლი) და არასაცხოვრებელი 2 ობიექტის პროექტირების სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა სარეაბილიტაციო არეალი, რამაც გამოიწვია საპროექტო მომსახურების შესყიდვა სულხან-საბა-ინგოროყვას, რუსთაველის და კოსტავას ქუჩებზე.

02 12 ავარიული სახლების ჩანაცვლება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდი, სამგორის რაიონის გამგეობა; საბურთალოს რაიონის გამგეობა; სსიპ ქონების მართვის სააგენტო

2024 წლის გეგმა - 17,615.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,349.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,456.8 ათასი ლარი), რაც გეგმის 30.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ძველი შენობების ახლით ჩანაცვლება (რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსები), ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ბინის მფლობელების ბინის ქირით უზრუნველყოფა, ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

თბილისის განვითარების ფონდის მიერ ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გაწეულია 3,325.4 ათასი ლარი. სამშენებლო და პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები მიმდინარეობს - 4 ობიექტზე, რომელიც ხორციელდება კერძო სექტორის ჩართულობით და მხარდაჭერით: სამგორის რაიონში, ვარკეთილის დასახლება, მასივი 3, კვარტალი 7, კორპუსი 12, მდებარე 1295 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.19.20.024.030) არსებული 4 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტის

ღირებულება - 6,199.3 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 791.3 ათასი ლარი 12.76%); კალოუბნის ქუჩა N18-ში მდებარე 1091 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.19.20.017.008) არსებული 3 სართულიანი ავარიული კორპუსის ნაცვლად, ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები (პროექტის ღირებულება - 7,336.1 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 1,106.9 ათასი ლარი 15.09%); დავით გამრეკელის ქუჩა შესახვევი I, N6 მდებარე 1100 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/ნ01.10.14.031.021) არსებული 4 სართულიანი ავარიული საცხოვრებელი კორპუსის ნაცვლად ახალი 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის, სარემონტო) სამუშაოები (პროექტის ღირებულება - 6,470.6 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი - 1,456.6 ათასი ლარი 22.51%); ვარკეთილის დასახლება მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N6-ში (ს/კ: 01.19.20.023.007) მდებარე 4 სართულიანი ავარიული სახლის დემონტაჟის, მის ადგილას ახალი 10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სამშენებლო (მათ შორის საინჟინრო კომუნიკაციების მოწყობასა და სხვადასხვა სახის დამხმარე ხასიათის სამშენებლო სამუშაოები) სამუშაოები (პროექტის ღირებულება 9,180.4 ათასი ლარი, მათ შორის ფონდის წილი 4,052.0 ათასი ლარი 44.13%). გარდა ამისა, გაწეულია ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ერთ მოქალაქეზე ყოველთვიური (625 ლარი თვეში) ფულადი კომპენსაცია - 4.4 ათასი ლარი.

ამასთან, მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები 9 ობიექტზე: მუხრანის ქუჩა, N9ბ; ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი III, სახლი მილიციის N1; ჭიჭინაძის ქუჩა N14; ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი III, კორპუსი „გ“; მეტეხის ქუჩა N14; ჩარგალის ქუჩა N 50-ა; ვარკეთილის დასახლება 3, III მიკრო/რაიონი, კორპუსი N304ა; დიღმის მასივი, I კვარტალი, კორპუსი 14ა, გრ. რობაქიძის გამზ N7-ის მიმდებარედ; ნაგომარის ქუჩა N47, რომელთა დასრულების შემდეგ დაიწყება აღნიშნული ობიექტების სარეაბილიტაციო - სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცესი, ხოლო პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები გრძელდება 7 ობიექტებზე: დავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I, N6; კალოუბნის ქუჩა N18; ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N6;

ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 3, ნაკვეთი 22/025; ფერიცვალების ქ.N6, N8, N10; მუხრანის ქუჩა N9გ (ყოფ. რატევანის ქუჩა 16ბ); ვარკეთილის დასახლება, მე-3 მასივი, მე-10 კვარტალი, კორპუსი N9;

ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა სამგორის რაიონში - 1,417.9 ათასი ლარი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილების დანართის, მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაწეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, ავარიული სახლის ადგილას ახალი შენობა-ნაგებობის აშენების, ექსპლუატაციაში მიღების და შესაბამისი ფართის გადაცემამდე, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან (25 ოჯახი), X კვარტალის IX კორპუსიდან (44 ოჯახი), კალოუბნის 18 კორპუსიდან (27 ოჯახი) და III მასივი IV კვარტალი 6 კორპუსიდან (35 ოჯახი) გამოყვანილი სულ 131 ოჯახის ბინის ქირით/ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფის ხარჯები;

ბინის ქირის კომპენსაციის გაცემა საბურთალოს რაიონში - 469.9 ათასი ლარი, ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის მიზნით, დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან გამოყვანილ 17 მოქალაქეზე და ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ. N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილ 52 მოქალაქეზე გაიცა ბინის ქირის კომპენსაცია 456.4 ათასი ლარი, ხოლო ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია გაიცა 5 მოქალაქეზე - 13.5 ათასი ლარი;

ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტი - 135.9 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში 7 ოჯახს აუნაზღაურდა გადასაცემი უძრავი ქონების (475 კვ.მ) რემონტის ხარჯები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N17-110 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წესის 3[2] მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, ქონების მიმღებ პირებს დამატებით უნაზღაურდება გადასაცემი ფართებისთვის ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობიდან გარემონტებულ მდგომარეობამდე მიყვანისთვის რემონტის ხარჯი, 1 კვ. მეტრზე საშუალოდ 286 ლარი. აღსანიშნავია, რომ რემონტის თანხების ხარჯის ოდენობა დამოკიდებულია ამ მიზნით მუნიციპალიტეტის შესაბამისი გამგეობების წერილობითი მომართვისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქალაქის მასშტაბით საჭიროა ძველი საცხოვრებელი კორპუსების ახლით ჩანაცვლება, თანმდევი ქუჩებით, რეკრეაციული ზონებით და საინჟინრო-საკომუნიკაციო სისტემების კეთილმოწყობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება მშენებლობის სამუშაოები 4 საცხოვრებელ კორპუსზე, ხოლო პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს - 23 ობიექტზე.

მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობს 4 ჩასანაცვლებელი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის სამუშაოები, პროექტირების სამუშაოები მიმდინარეობს - 9 ობიექტზე, ხოლო პროექტის ზედამხედველობის სამუშაოები გრძელდება 7 ობიექტზე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გამოწვეულია ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დაგეგმილ სამუშაოებზე შესრულების ვადების გაზრდით, საპროექტო მომსახურებების დაუსრულებლობით, მაცხოვრებელთა მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურებით და კერძო სექტორის ინტერესის ნაკლებობით.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში, სამგორის რაიონში ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან და კალოუბნის 18 კორპუსიდან გამოყვანილი 95 ოჯახი, ხოლო საბურთალოს რაიონში დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან და

ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ.N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილი 74 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინის ქირით/ფულადი კომპენსაციით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში გამოყვანილი ბინის მფლობელების უზრუნველყოფა ბინის ქირით.

მიღწეული მაჩვენებელი - ვარკეთილი III მასივი VII კვარტალი კორპუსი N12-დან, X კვარტალის IX კორპუსიდან, კალოუბნის 18 კორპუსიდან და III მასივი IV კვარტალი N6 კორპუსიდან გამოყვანილი სულ 131 ოჯახი, ხოლო საბურთალოს რაიონში დავით გამრეკელის შესახვევი N6 კორპუსიდან და ვაშლიჯვარი, არზაყან ემხვარის ქ. N2, შესახვევი N9-ში მდებარე კორპუსიდან გამოყვანილი სულ 74 ოჯახი უზრუნველყოფილია ბინის ქირით/ფულადი კომპენსაციით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯები აუნაზღაურდა 41 ოჯახს (დაახლოებით 2185 კვ.მ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯების ანაზღაურება (დაახლოებით 6294 კვ/მ ბინის ფართის რემონტი) შესაბამისი გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე.

მიღწეული მაჩვენებელი - გადაცემული უძრავი ქონების რემონტის (1 კვ.მ-ზე - 286 ლარი) ხარჯები აუნაზღაურდა 7 ოჯახს (დაახლოებით 475 კვ.მ).

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა ძირითადათ გამოწვეულია ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის ნაწილში, რაც გამოწვეულია ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მაცხოვრებელთა მოლაპარაკების პროცესის გაჭიანურებით, საპროექტო მომსახურებების დაუსრულებლობით, მშენებლობის პროცესის დაგეგმილ სამუშაოებზე შესრულების ვადების გაზრდით და კერძო სექტორის ინტერესის ნაკლებობით. ასევე, გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ნაწილში, რომელიც

ანაზღაურდება შესაბამისი გამგეობის წერილობითი მომართვისა და თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის თანხმობის საფუძველზე. შესაბამისად, 2024 წელს არ დაფიქსირდა მეტი მომართვიანობა.

- **ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება**

ათასი ლარი



ათასი ლარი



	დასუფთავების ღონისძიებები	თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა	გამწვანების ღონისძიებები	რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია
2022 წლის ფაქტი	130,251.4	9,460.7	78,738.1	0.0
2023 წლის ფაქტი	140,067.4	12,030.9	97,941.3	0.0
2024 წლის ფაქტი	176,842.2	12,401.4	94,674.0	5,433.1



03 01 გამწვანების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 95,861.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 94,674.0 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 28,411.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ქალაქში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე სანიტარიული ჭრის ფარგლებში მოსაჭრელად მოინიშნა და მოიჭრა 21 579 ხე; ამოღებულ იქნა 79 კუნძი. ჭრები განხორციელდა თბილისის ცენტრალურ უბნებში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, აღმაშენებლის ხეივანში, წყნეთის გზატკეცილზე, ვალიკო ჯუღელის გზატკეცილზე, იუნკერთა ქუჩაზე (კოჯრის), ოქროყანის მიმდებარედ და სხვა;

თბილისის მასშტაბით გამწვანების თარგებში შეტანილია 31 673 კუბ.მ ნოყიერი მიწა; მოჭრილ და გატანილ იქნა 8 791 კუბ.მ. ძველი საფარი, ასფალტის საფარი და ინერტული მასა; მოიჭრა და ერთ ნიშნულზე მოსწორდა 12 967 კვ.მ. ფართობი; სხვა და სხვა მისამართებზე დაიგო 23 313 კვ.მ. რულონური გაზონი; ჰიდროთესვის მეთოდით დაითესა 204 000 კვ.მ. ტერიტორია; პარკებში, სკვერებში და ქალაქის მოედნებზე დაირგო 448 860 სეზონური ყვავილი;

განხორციელდა წინა წლებში დარგული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ჯამების მოწყობა) სულ 41 12 ნერგს. მათ შორის: ლისის ტბის მიმდებარე 16 ჰა ფართობზე - 16 776 ნერგს, ზ.წერეთლის მონუმენტის - „საქართველოს მატიანე“-ს მომიჯნავედ არსებულ 6.45 ჰა ფართობზე - 10 765 ნერგს, ზარაშვილის და გ.ქუთათელაძის ქუჩების მიმდებარედ 18.4 ჰა ფართობზე - 13 579 ნერგს, ხოლო არსებული ხელშეკრულებების ფარგლებში სამსახურის მიერ შესყიდულ იქნა და შემდგომ განთავსდა სანერგეში 59 967 მცენარე (მათ შორის: 54 026 დეკორატიული ბუჩქი, 5 941 მაღალტანოვანი და მცირე ზომის ხე);

მწვანე ნარგავების (ტყის) აღდგენა-გაშენების სამუშაოების ფარგლებში, ხუდადოვის ტყის ნაწილზე (15.14 ჰა ფართობზე), 2024 წელს დაირგო სხვადასხვა სახეობის (მათ შორის, ფიჭვი, კედარი, ნეკერჩხალი, აკაკი და სხვა) 14 426 ნერგი. მომავალი 4 წელი განხორციელდება მოვლა-პატრონობა;

სარწყავი სისტემა მოეწყო 18 ობიექტზე, მათ შორის: უნივერსიტეტის ქუჩის მიმდებარე თარგები; აკაკი წერეთლის გამზირზე არსებული თარგები; აკაკი წერეთლის გამზირის 123 (დაერთება); აკაკი წერეთლის გამზირის 137 (დაერთება);

აკაკი წერეთლის გამზირის (01.13.03.051.152 დაერთება); მიცკევიცის ქუჩის თარგები; ქერჩის ქუჩაზე ჰორიზონტალური ბურღვა (01.11.12.019.049); წყნეთის გზატკეცილის და უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მიმდებარე კუნძული; აკაკი წერეთლის გამზირის 117 (დაერთება); აკაკი წერეთლის გამზირის 121 (დაერთება); აკაკი წერეთლის გამზირის 91 (დაერთება); აკაკი წერეთლის გამზირის 140 (დაერთება); უნივერსიტეტის ქუჩა N17 (დაერთება); კრწანისის ქუჩა N49 (დაერთება); ხუდადოვის ტყის ტერიტორია (სკ 01.16.03.010.031); გობრონიძის ქუჩა (ს/კ 01.11.13.002.128); გახოკიძის ქუჩაზე არსებული თარგები; მეგობრობის ქუჩა (ს/კ 81.08.28.978) მოსკოვის გამზირი N3-5 მიმდებარედ (დაერთება);

500 ერთეული დეკორატიული ურნა განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ა.წერეთლის გამზირი 8–ის მიმდებარე სკვერი ს/კ(01.13.05.006.030). ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა #2-ის მიმდებარედ (კონკასთან) (01.18.03.017.052); ა. წერეთლის გამზირი, #55-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.13.06.009.031); ა. წერეთლის გამზირი, #67 ა-ს მიმდებარედ არსებული სკვერი (01.13.06.008.059); ა. წერეთლის გამზირი, #56 -ის მიმდებარედ (01.13.05.011.009); ა.წერეთლის გამზირი #71-71ა -ს მიმდებარედ (01.13.06.005.002); ა.წერეთლის გამზირი #73-71-ის მიმდებარედ (01.13.06.005.004); ა. წერეთლის გამზირი #87-79-ის მიმდებარე (01.13.06.004.008); ა.წერეთლის გამზირი #95-97-ის მიმდებარედ (01.13.06.003.006); ა.წერეთლის გამზირი #105-111-ის მიმდებარედ (01.13.06.003.009); ქ.წამებულის გამზირის #96-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.17.13.027.042); ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნ, კორპუსი N414-ის მიმდებარედ (01.19.39.002.089); ჟიული შარტავას ქუჩა #7 (01.10.13.015.127); ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარე პარკი (ს.კ 01.14.03.027.016); ვაზისუბნის დასახლება, მახათას მთაზე სამხედრო ნაწილის მიმდებარედ (01.17.06.005.009); ნუცუბიძის ფერდი მე-4 მ/რ, N10 კორპუსების მიმდებარე სკვერი (ს.კ01.14.02.009.009); ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე არსებული ტერიტორია (ს.კ:01.18.05.002.109); ვაზისუბნის დასახლება , კორპუსი #5-ის მიმდებარედ (01.17.10.002.238); ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე არსებულ შუაგამყოფი ზოლი (ს.კ:01.18.04.021.024); ჭაბუა ამირეჯიბის გაზატკეცილი (ს.კ 01.10.17.023.019); ქერჩის ქ. #42 (01.11.05.029.210); მუხიანის

დასახლება 4ბ მიკრორაიონის 33 კორპუსის მიმდებარედ (ს.კ. 01.11.13.009.089; 01.11.13.009.129; 01.11.13.009.099 და 01.11.13.009.128); შოთა რუსთაველის გამზირი 52-ში (01.15.05.003.079); ვაკის პარკში (01.14.10.002.084); ვირსალაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში (ს/კ. 01.15.04.006.025); ზღვისუბნის პარკში (თემქის ხევი)(01.12.02.014.130); ვაზისუბნის დასახლება N8 კორპუსის მიმდებარედ (01.17.10.002.265); ვარკეთილის მეურნეობაში, მეგობრობის და მშვიდობის ქუჩების კვეთაზე (ს.კ 81.08.28.978); ავლაბრის მოედანი, მეტრო ავლაბრის მიმდებარედ (01.17.01.010.003); ნუცუბიძის IV მ/რაიონი, N1, 2, 3 კორპუსების მიმდებარედ (01.14.02.008.027); ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნ, კორპუსი N414-ის მიმდებარედ (01.19.39.002.089); რიყის პარკი (01.17.01.065.065); ვეტერანთა დასვენებისა და კულტურისა პარკი (ე.წ. კიკვიძის პარკი) (01.12.12.003.043; გლდანის VIII მიკრო/რაიონში, კორპუსი N28,29 და 33-ის მიდებარედ (ს/კ 01.11.10.001.005; 01.11.10.001.002; 01.11.10.001.337 და სხვა); ლონდონის სკვერში (01.16.05.019.009); კახეთის გზატკეცილი, სამგორის პარკში (01.17.10.010.020); წულუკიძის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩას შორის (01.17.10.012.054).

50 ერთეული ,,თბილისის" წარწერის მქონე თუჯის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: რუსთაველის გამზირი #8-ის მიმდებარედ (01.15.05.049.001); ქერჩის ქ. #42-ის მიმდებარედ (01.11.05.029.210); ალ.გრიბოედოვის ქ. #22 (01.15.05.007.010); შოთა რუსთაველის გამზირი 52-ში (01.15.05.003.079); ვაჟა ფშაველას გამზირი #7-ის მიმდებარედ (01.10.14.005.051); ვაზისუბნის დასახლება, სამხედრო ნაწილის მიმდებარედ (მახათას მთა) (01.17.06.005.009); აკაკი წერეთლის გამზირი #44-ის მიმდებარედ (დიდუბის პანთეონში) (01.13.05.012.053); სოლოლაკის ქედი, ქართლის დედის მიმდებარედ.

250 ერთეული ხის დასაჯდომით ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ა.წერეთლის გამზირის #55-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.13.06.009.031); ა.წერეთლის გამზირის #56-ის მიმდებარედ (01.13.05.011.009); ა.წერეთლის გამზირის #71-71ა-ს მიმდებარედ (01.13.06.005.002); ა.წერეთლის გამზირის #73-71-ის მიმდებარედ (01.13.06.005.004); ა.წერეთლის გამზირის #87-79-ის მიმდებარე (01.13.06.004.008); ა.წერეთლის გამზირის #95-97-ის მიმდებარედ

(01.13.06.003.006); ა.წერეთლის გამზირის #105-111-ის მიმდებარედ (01.13.06.003.009); ა.წერეთლის გამზირის #67ა-ს მიმდებარედ არსებული სკვერი (01.13.06.008.059); ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნ, კორპუსი N414-ის მიმდებარედ (01.19.39.002.089); ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე (ს.კ:01.18.05.002.109); ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი #5-ის მიმდებარედ (01.17.10.002.238); ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნ, კორპუსი N414 (01.19.39.002.089); ვაკის პარკი (01.14.10.002.084); ვაზისუბანი N8 კორპუსის მიმდებარედ (01.17.10.002.265); კახეთის გზატკეცილი, სამგორის პარკში (01.17.10.010.020); გლდანის VIII მიკრო/რაიონში, კორპუსი N28,29 და 33 - ის მიდებარედ (ს/კ 01.11.10.001.005; 01.11.10.001.002; 01.11.10.001.337 და სხვა); ლონდონის სკვერში (01.16.05.019.009); ქეთევან დედოფლის გამზირი #96-ის მიმებარედ (მეტრო ისანთან) (01.17.13.027.045); წულუკიძის ქუჩასა და ჯავახეთის ქუჩას შორის (01.17.10.012.054); რუსთაველის გამზირი #25-ის მიმდებარედ (ოპერასთან) (01.15.04.016.035; 01.15.04.016.033); ტარას შევჩენკოს სახელობის სკვერი (01.15.02.002.030).

376 ერთეული რკალისებრი სახელურით საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარე პარკში (ს.კ 01.14.03.027.016); ვაზისუბნის დასახლება, სამხედრო ნაწილის მიმდებარედ (მახათას მთა) (01.17.06.005.009); ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე არსებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე (ს.კ:01.18.05.002.109) და შუა გამყოფ ზოლში (ს.კ:01.18.04.021.024); ნუცუბიძის IV მ/რაიონი, N1, 2, 3 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერი (01.14.02.008.027); მუხიანის დასახლება 4ბ მიკრორაიონის 33 კორპუსის მიმდებარედ (სკ 01.11.13.009.089; 01.11.13.009.129; 01.11.13.009.099 და 01.11.13.009.128); ვირსალაძის ქუჩა N5-ის მიმდებარედ არსებულ სკვერში (ს/კ. 01.15.04.006.025); ზღვისუბნის პარკში (თემქის ხევი); ვარკეთილის მეურნეობაში, მეგობრობის და მშვიდობის ქუჩების კვეთაზე (ს.კ 81.08.28.978); ორბელიანის მოედანი, ორბელიანის სახელობის სკვბერში (01.15.04.022.009); რიყის პარკი (01.17.01.065.065); ნ.ბარათაშვილის სახელობის სკვერში (01.16.06.064.048).

50 ერთეული ლითონის საპარკე სკამი განთავსდა შემდეგ მისამართებზე: მუხიანის დასახლება 4ბ მიკრორაიონის 33 კორპუსის მიმდებარედ (ს/კ

01.11.13.009.089; 01.11.13.009.129; 01.11.13.009.099 და 01.11.13.009.128); კახეთის გზატკეცილი, სამგორის პარკში (01.17.10.010.020); სოლოლაკის ქედი, ქართლის დედის მიმდებარედ; ორბელიანის მოედანი, ორბელიანის სახელობის სკვერში (01.15.04.022.009);

105 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა დამონტაჟდ შემდეგ მისამართებზე: ა.წერეთლის გამზირი #8-ის მიმდებარე სკვერი (01.13.05.006.030); მუხიანის II მ/რ, კორპუსი #4-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.11.13.002.012; 01.11.13.002.221); მუხიანის დასახლება, IVბ მიკრო/რაიონი (01.11.13.009.129; 01.11.13.009.099; 01.11.13.009.089; 01.11.13.009.128); ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი #8-ის მიმდებარედ (01.17.10.002.265); ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარე პარკი (ს.კ 01.14.03.027.016); კახეთის გზატკეცილი, ნაკვეთი 10/020 (01.17.10.010.020); ნუცუბიძის IV მ/რაიონი, N1, 2, 3 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერი (01.14.02.008.027); გლდანის VIII მიკრო/რაიონში, კორპუსი N28,29 და 33-ის მიდებარედ (ს/კ 01.11.10.001.005; 01.11.10.001.002; 01.11.10.001.337 და სხვა); ვარკეთილის მეურნეობაში, მეგობრობის და მშვიდობის ქუჩების კვეთაზე (ს.კ 81.08.28.978); აეროპორტის დასახლებაში, შალვა ჭანკოტაძის და ჯიმშერ მაისურაძის ქუჩების მიმდებარედ(ს.კ 01.19.25.009.131); პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩა N25-ის მიმდებარედ (01.19.33.003.152); ვეტერანთა დასვენებისა და კულტურისა პარკი (ე.წ. კიკვიძის პარკი) (01.12.12.003.043; ვარკეთილის 3, მე-4 მ/რნ, კორპუსი N414-ის მიმდებარედ (01.19.39.002.089); ივერთუბანში, ხერხეულიძეების ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე (ს.კ: 81.21.04.669; 81.21.01.549); მ.გახოკიძის ქუჩა #26-ის მიმდებარედ არსებულ პარკში (01.19.19.004.069; 01.19.19.004.113; 01.19.19.004.099; 01.19.19.004.111; 01.19.19.004.106); ვარკეთილი 3, IIIა მიკრო რაიონი, კორპუსი 325-ის მიმდებარედ არსებული პარკი (01.19.39.010.027).

127 ერთეული ურბანული საბავშვო ატრაქციონი დამონტაჟდა შემდეგ მისამართებზე: ა.წერეთლის გამზირი 8–ის მიმდებარე სკვერი ს/კ(01.13.05.006.030); კრწანისის ქ. 5-ის (01.18.06.017.055) მიმდებარე სკვერი; წერეთლის გამზირი #73-71-ის მიმდებარედ (01.13.06.005.004); წერეთლის გამზირი #71-71ა-ს მიმდებარედ

(01.13.06.005.002); ვაკის პარკი (01.14.10.002.084); წერეთელი 95-97(01.13.06.003.006); წერეთელი 111-105(01.13.06.003.009); ვაჟა-ფშაველას გამზირი, პირველი კვარტალი, N4; N7; N18; N20 და N26 კორპუსების მიმდებარედ არსებული პარკი (ს.კ 01.14.03.027.016); მუხიანის II მ/რ, კორპუსი #4-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (01.11.13.002.012; 01.11.13.002.221); მუხიანის დასახლება 4ბ მიკრორაიონის 33 კორპუსის მიმდებარედ (სკ 01.11.13.009.089; 01.11.13.009.129; 01.11.13.009.099 და 01.11.13.009.128); ჯანსუღ კახიძის ბაღი (01.13.08.004.047); ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკი (ე.წ. კიკვიძის პარკი) (01.12.12.003.043); ვაზისუბანი N8 კორპუსის მიმდებარედ (01.17.10.002.265); კახეთის გზატკეცილი, ნაკვეთი 10/020 (01.17.10.010.020); ნუცუბიძის IV მ/რაიონი, N1, 2, 3 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერი (01.14.02.008.027); გლდანის VII მ/რ, კორპუსი N15-ის მიმდებარედ (01.11.09.001.203); ნუცუბიძის ფერდობი, IV მ/რ, კორპუსი N2-ის მიმდებარედ; ვარკეთილის მეურნეობაში, მეგობრობის და მშვიდობის ქუჩების კვეთაზე (ს.კ 81.08.28.978);

გამწვანებული ტერიტორიების აღდგენა-მოწყობის სამუშაოების ფარგლებში დასრულდა: ვაკის პარკის ახლად შემოერთებული ტერიტორიის; ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე არსებული შუა გამყოფი ზოლის; აკაკი წერეთლის გამზირი N55, N56, N67, N69-71, N71-73, N79, N95-97, N109-ის მიმდებარე სკვერების; ბორის პაიჭაძის ქუჩაზე არსებული ბულვარის და შუა გამყოფი ზოლის; კუნძულ ტექსელის სახელობის სკვერის; მაიაკოვსკის სახელობის სკვერის, ა.წერეთლის გამზირის და ა.გოგოლაურის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის; რუსთაველის გამზირი N52 არსებული სკვერის; დემეტრე თავდადებულის ქუჩა N18ა კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის; ანაპის 414 დივიზიის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერის და მუხიანის 4ბ მიკრორაიონის კორპუსი 33 ის მიმდებარე სკვერის; ვირსალაძის ქუჩა N5; ვაჟა ფშაველას პირველ კვარტალში არსებული პარკის; ქ.თბილისში ზღვის უბნის პარკის და ვარკეთილის IV მიკრო რაინში 414-ე კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის; სამგორის პარკის; ვაზისუბნის დასახლება N8 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის; გლდანის VIII მიკრო/რაიონის კორპუსი N28, 29 და 33-ის მიმდებარედ არსებული გამწვანებული ტერიტორიის; ხუდადოვის ტყე-

პარკის; ავლაბრის მიმდებარედ მწვანე კედლის; ნუცუბიძის ფერდი მე-4 მ/რ, 1-2-3 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები, ხოლო მიმდინარეობს: პეტრე და იოსებ ოცხელების ქუჩა N25, N25ა, N29, N30, N32 კორპუსების მიმდებარედ პარკის; სამგორის პარკის; ვაზისუბნის დასახლება, N8 კორპუსის მიმდებარედ არსებული სკვერის; დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩაზე არსებული შუა გამყოფი ზოლის; გლდანის პატარა ტბის მიმდებარედ არსებული გამწვანებული ტერიტორიის; გლდანის VIII მიკრო/რაიონის კორპუსი N28, 29 და 33-ის მიმდებარედ არსებული გამწვანებული ტერიტორიის; ქ.თბილისში მეგობრობის ქუჩის მიმდებარედ არსებული ვარკეთილის მეურნეობის; აეროპორტის დასახლებაში შალვა ჭანკოტაძის და ჯიმშერ მაისურაძის ქუჩების მიმდებარედ არსებული გამწვანებული ტერიტორიის; ხუდადოვის ტყე-პარკის, ავლაბრის მიმდებარედ მწვანე კედლის; ვერის პარკის; აბაშვილის ქუჩა N3, სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე არსებული პარკის და ნუცუბიძის ფერდი მე-4 მ/რ, 1-2-3 კორპუსების მიმდებარედ არსებული სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები;

ასევე, დაფინანსდა შპს ეკოსერვის ჯგუფი - 33,000.0 ათასი ლარის ოდენობით და განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებულ რეკრეაციულ ზონებში (კერძოდ - ვაკის პარკი, პარკი მზიური, რიყის პარკი, ვეტერანთა კულტურის და დასვენების პარკი, ვარკეთილის ხევის პარკი, თბილისის დენდროლოგიური პარკი, დიღმის ტყე-პარკი, ზღვისუბნის პარკი, რიგის ბაღი, ვასო გოძიაშვილის სახელობის ბაღი, ვერის ბაღი, 9 აპრილის ბაღი, დედა ენისის ბაღი, 9 მარტის ბაღი, პირველი რესპუბლიკის ბაღი, აკაკი წერეთლის სახელობის ბაღი, დამპალოს ხევის ბაღი, ჯოვანი სკუდიერის სკვერი, სკვერი გლდანის მე-5 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-6 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-7 მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-8 მიკრორაიონში, სკვერი დიდი დიღომის მე-3 მიკრორაიონში, სკვერი ვარკეთილის I მ/რ-ნში, სკვერი ვარკეთილის IIIა მიკრორაიონში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული თარგი, ევროპის მოედნზე - ღვინისა და მეტეხის აღმართებზე არსებული სკვერები და "ყვავილების საათი", გამწვანებული თარგი ევროპის მოედნის

მიმდებარედ, გამწვანებული თარგი დინამო არენასთან, გამწვანებული თარგი ცაბაძის ქუჩაზე, გლდანი-ნაძალადევის პოლიციის IX განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე გამწვანებული თარგები, ვაკე-საბურთალოს რ-ნის სამმართველოს პოლიციის I განყოფილება ,,მზიური"-ს მიმდებარე გამწვანებული თარგები, ვარკეთილის დასახლების III მიკრო რაიონის პოლიციის VIII განყოფილების ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორია, კუნძულ ტექსელის სახელობის ბაღი, ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის ბაღი, ქართველ შინდლერთა სახელობის ბაღი (ქშსბ), სკვერი გლდანის მე-3 მიკრორაიონში, გამწვანებული თარგები ბორის პაიჭაძის ქუჩაზე (სკ „დინამო“-ს საწვრთნელი ბაზის მიმდებრედ), ილიკო სუხიშვილის სახელობის სკვერი (ვარკეთილი 3); გამწვანებული თრგები ქართველ შინდლერთა სახელობის ბაღამდე, სკვერი გლდანის „ა“ მიკრორაიონში, სკვერი გლდანის მე-3 მიკრორაიონში, სკვერი გლადანის მე-8 მიკრორაიონში (სკ 01.11.10.001.337) და სკვერი ნოე რამიშვილის ქუჩა N38-ს მიმდებარედ (ე.წ ერეკლე მეორის სკვერი)) განხორციელდა შემდეგი აგრო-ტექნიკური ღონისძიებები: ნიადაგის მომზადება (ორმოების ამოღება) მცენარეთა დარგვისათვის, მცენარეების დარგვა, ხე-მცენარეების გამაგრება (ჭიგოებით), მცენარეების ჯამების მოწყობა/გაფხვიერება, ბალახის გათიბვა, გაზონის მორწყვა, ახალგაზრდა ხე-მცენერების/ბუჩქების მორწყვა, დაზიანებული სარწყავი სისტემის აღდგენა, გამწვანებულ თარგებში სარწყავი სისტემის გამართვა (მფრქვევანების დამატება), მინერალური სასუქის შეტანა, ტერიტორიის ამონაყარისგან გაწმენდა, ხე-მცენარების და ბუჩქების დეკორატიული სხვლა-ფორმირება, ჰიდროთესვისთვის ნიადაგის მომზადება და დათესვა, თარგების მომზადება მულჩირებისთვის და მულჩის შეტანა, ნიადაგის მომზადება საყვავილე თარგებში, ნარჩენების შეგროვება და გატანა;

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, სხვადასხვა მისამართებზე და ლოკაციებზე განხორციელდა კომპანიის მოვლა-პატრონობაში არსებული მწვანე ნარგავების შეწამვლა, ფესვთა სისტემის დამუშავება, გათიბვა, დაფოცხვა, დასუფთავება, ნაგვის გატანა, მორწყვა, ჯამების შემობარვა-გაფხვიერება, ჯამების მოწყობა, ხეების სხვლა-ფორმირება, ბუჩქების გაკრეჭვა და ფორმირება, მცენარეების გამაგრება, ზეხმელი და

დაზიანებული მცენარეების ამოღება, ნერგების დარგვა, სასუქის შეტანა, სარეველა ბალახის გამარგვლა, მიწის კულტივაცია, ბალახის შეთესვა, მოწოდებული მიწის ნაზავის გაშლა-მოსწორება და ბალახის სკარიფიკაცია; ასევე ხორციელდებოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ წერილობით დავალებული სხვადასხვა სამუშაოები;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სხვადასხვა მისამართებზე, განხორციელდა 5 877 ერთეული ხის მოჭრა, 7 997 ერთეული ხის სხვლა-ფორმირება, 325 ერთეული ავარიული ხის დამუშავება, 74 ერთეული ხის კუნძის ამოღება;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შპს „ეკოსერვის ჯგუფი"-ს მოვლა-პატრონობაში არსებულ შადრევნებს უტარდებოდა პერიოდული მორეცხვა-დასუფთავების სამუშაოები. 12 ლოკაციაზე შეიღება შადრევნის წყლის შემკრები აუზი. სასმელი წყლის სოკოს ფორმის 129 წყაროზე ექსპლოატაციის პირობებში მწყობრიდან გამოსული და 10 ერთეული ყინვის შედეგად დაზიანებული ეკონომიური მოხმარების ონკანები ჩანაცვლდა ახლით. ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე ახლად მოწყობილ სასმელი წყლის წყაროებზე დამონტაჟდა 70 ეკონომიური მოხმარების ონკანი. სრულად შეიცვალა ყინვისგან დაზიანებული სასმელი წყლის 1 ერთეული წყარო. შდრევნებზე შეიცვალა 6 ერთეული ექსპლოატაციის პირობებში მწყობრიდან გამოსული ჩაძირული ტუმბო ძრავით;

ქალაქ თბილისის პარკებსა და ურბანულ ზონებში არსებულ გამწვანებულ თარგებში (სხვადასხვა მისამართზე) სარწყავ სისტემებზე გაიმართა-შეკეთდა 3 973 ერთეული დაზიანებული კვანძი და 2 413 გრძივი მეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილი ჩანაცვლდა ახლით; თბილისის ტერიტორიაზე არსებული 12 ერთეული რეტერატის (უფასო საზოგადოებრივი ტუალეტი) მოვლა-პატრონობის ღონისძიებები;

შპს"ეკოსერვის ჯგუფი"-ს ინსპექტირების მონიტორინგისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის მიერ (გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და კონტრაქტორ დაწესებულებებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში) განხორციელდა: დარგული ხე-მცენარეების აგროტექნიკური სამუშაოების ინსპექტირება; დარგული ხე-მცენარეების აღრიცხვა; დარგული

სეზონური ყვავილების დარგვის სამუშაოების ინსპექტირება; დარგული და გახარებული ხე-მცენარეების აღრიცხვა (ინვენტარიზაცია);

შპს“ეკოსერვის ჯგუფი“-ს მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ ანასხლავი ტოტის გადამუშავების შედეგად წარმოებულ იქნა 69.72 კუბ.მ მზა მულჩი, რომელიც მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ შეტანილი იქნა ქ.თბილისში, ისნის რაიონის ტერიტორიაზე „წმინდა სამების საკათედრო ტაძრის“ ეზოში; ვაჟა-ფშაველას პირველ კვარტალში არსებულ პარკში (ს.კ 01.14.03.009.011); დედაენის ბაღში და ვასო გოძიაშვილის სახელობის პარკში. ასევე, წარმოებულ იქნა 1 547.08 კუბ.მ წითელი მულჩი (2024 წლის დასაწყისისთვის საწყისი ნაშთი იყო 13,71 მ3), საიდანაც მწვანე ნარჩენების მართვის სამსახურის მიერ 1 542.86 კუბ.მ შეტანილ იქნა ქალაქ თბილისის სხვადასხვა ლოკაციებზე და 2025 წლი 1 იანვრისათვის ნაშთად დარჩენილია 17.93 კუბ.მ-ის წითელი მულჩი;

ქ.თბილისის სამღერეთის ქუჩა N3-ში მდებარე სანერგეში ჩატარდა: სანერგეში არსებული მცენარეების მორწყვა 78 ჯერადობით; სათბურში არსებული მცენარეების მორწყვა 79 ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების მორწყვა 78 ჯერადობით; სათბურის ტერიტორიის დასუფთავება 7 ჯერადობით; გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა 42 ჯერადობით; სანერგის ტერიტორიის დასუფთავება 5 ჯერადობით; სათბურში არსებული მცენარეების გამარგვლა 13 ჯერადობით; სანერგეში არსებული მცენარეების სხვლა-ფორმირება 3 ჯერადობით; სანერგეში არსებულ მცენარეებში სასუქის შეტანა 1 ჯერადობით;

თბილისის ზღვაზე, სანატორიუმ ქართლის მიმდებარედ არსებულ სანერგეში ჩატარდა: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების მორწყვა 78 ჯერადობით; გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურიდან შემოსულ წერილებში აღნიშნული მცენარეების ჩალაგება ქოთნებში, ქოთნების ჩალაგება თხრილებში, მიწის მიყრა, მიტკეპნა და მორწყვა 32 ჯერადობით; გრუნტში არსებული მცენარეების მორწყვა 47 ჯერადობით; სანერგის ტერიტორიის დასუფთავება 10 ჯერადობით; თხრილების აღდგენა-განახლება 15 ჯერადობით; ცარიელი კონტეინერების ამოღება თხრილებიდან და დასაწყობება 4

ჯერადობით; სანერგეში არსებულ მცენარეებში სასუქის შეტანა 5 ჯერადობით; სანერგეში არსებული მცენარეების გამარგვლა 2 ჯერადობით; სანერგეში არსებული მცენარეების სხვლა-ფორმირება 2 ჯერადობით.

ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 6.8 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შეძენილი და დარგულია 91 079 მცენარე (მათ შორის 52961 დეკორატიული ბუჩქი, 7 083 მაღალტანოვანი ხე, 28 177 ბალახოვანი მცენარე, 1 350 მცირე ზომის ხე (1.5 მ) და 1 508 მცირე ზომის (ჰ9) დეკორატიული ბუჩქი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეძენილი და დარგული იქნება: 48046 მცენარე (მათ შორის: 5698 მაღალტანოვანი ხე, 30248 ბუჩქოვანი მცენარე, 9000 ბალახოვანი მცენარე, 1600 დაბალტანოვანი ხე, 1500 მცირე ზომის ბუჩქი-P9).

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილი და დარგულია 59967 მცენარე (მათ შორის: ბუჩქოვანი მცენარე - 54026, მაღალტანოვანი და დაბალტანოვანი ხე - 5941).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მწვანე სივრცეებში განთავსდა 679 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 70 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 76 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდება დაახლოებით 726 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 84 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 84 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

მიღწეული მაჩვენებელი - მწვანე სივრცეებში განთავსდა 726 ერთეული სკამი და 500 ერთეული ურნა, 127 ერთეული საბავშვო სათამაშო ატრაქციონი და 105 ერთეული გარე გამოყენების ფიტნეს აღჭურვილობა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ფერდობებზე ტყის გაშენების ფარგლებში, 16 ჰა ტყის ფართობზე განხორციელდა მწვანე ნარგავების აღდგენა-გაშენების სამუშაოები; დაირგო სხვადასხვა სახეობის (მათ შორის, ფიჭვი, კედარი, ნეკერჩხალი, აკაკი და

სხვა) 16 776 ნერგი და მომავალი 4 წლის განმავლობაში განხორციელდება მათი მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა და წამლობა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ტყის გაშენება განხორციელდება 15 ჰა ფართობზე, დაირგვება დაახლოებით 14426 მცირე ზომის (1.2 მ) ხის ნერგი და წლის განმავლობაში განხორციელდება ამ ნერგების მოვლა-პატრონობა (მორწყვა, ნიადაგის გაფხვიერება, სასუქის შეტანა და წამლობა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 26, სკვერი - 107, შადრევნები - 68, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 139, შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები - 165, ხელოვნური მდინარე და ტბა - 6, სანერგე - 2.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 31, სკვერი - 110, შადრევნები - 68, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 212, გამწვანებული ტერიტორიები (შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები) - 140, ხელოვნური მდინარე და ტბა - 9. სანერგე - 2.

მიღწეული მაჩვენებელი - ეკოსერვის ჯგუფის მოვლა პატრონობაშია არსებული გამწვანებული ტერიტორიები: საქალაქო პარკი - 43, სკვერი - 140, შადრევნები - 75, სოკოს ფორმის სასმელი წყარო - 250, შუა გამყოფი ზოლები, ფერდობები, კუნძულები და თარგები - 170, ხელოვნური მდინარე და ტბა - 11, სანერგე - 2.

5.საბაზისო მაჩვენებელი - მოწყობილი/აღდგენილი სარეკრეაციო სივრცეების ფარგლებში 2023 წელს დასრულდა 4 პარკის და 5 სკვერის მოწყობის სამუშაოები; გრძელდება 4 სკვერის, 4 პარკისა და 2 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიწყება და განხორციელდება 15 პარკის, 2 შუა გამყოფი ზოლის და 10 სკვერის მოწყობა- რეაბილიტაციის სამუშაოები

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 9 პარკის, 2 შუა გამყოფი ზოლის და 21 სკვერის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები; გრძელდება 3 პარკისა და 1 შუა გამყოფი ზოლის მოწყობა რეაბილიტაციის სამუშაოები.

03 02 დასუფთავების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 177,040.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 176,842.2 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი და სხვა კაპიტალური გრანტები - 41,774.3 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნება, ეპიდემიური დაავადებების გავრცელების თავიდან აცილება, ქუჩებისა და მოედნების დაგვა-დასუფთავება და ნარჩენებისაგან გაწმენდა, საყოფაცხოვრებო პოლიგონის პრობლემური საკითხების მოწესრიგება, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი, განახლებული და მოდერნიზებული ავტოპარკი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა შემდეგი სამუშაოები: ქუჩების დაგვა-დასუფთავების სამუშაოები, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების გაუვნებელყოფისა და უტილიზაციის სამუშაოები, დაგვა - დასუფთავებისას შეგროვებული ნარჩენების ნაგავსაყრელამდე ტრანსპორტირების ღონისძიებები, ნაგავსაყრელ პოლიგონზე ნარჩენების განთავსების სამუშაოები, თოვლცვენის დროს მარილის დაყრის სამუშაოები და სხვა;

მიმდინარე პერიოდში განხორციელდა ქუჩების და მოედნების ყოველთვიური დაგვა დასუფთავების სამუშაოები - 12 340 951 კვ.მ, შიდა კვარტალური ქუჩებისა და ეზოების დასუფთავების სამუშაოები - 5 508 017 კვ.მ, სკვერების ტერიტორიის დასუფთავება - 3 601 896 კვ.მ, ხევებისა და ფერდობების დასუფთავება - 2 001 200 კვ.მ, მიწისქვეშა გადასასვლელების დასუფთავების სამუშაოები - 12 930 კვ.მ, ქალაქის ქუჩებზე დაიყარა 1 700.95 ტონა ტექნიკური მარილი და 23.0 კუბ.მ ქვიშა,

საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილი იქნა 491 953.93 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი;

ასევე, კაპიტალური სპეციალური ტრანსფერის ფარგლებში ერთი მუხლუხა ბულდოზერის და მისთვის განკუთვნილი სათადარიგო ნაწილების (თანმდევი მომსახურებით), ნაგავშემკრები კონტეინერების (მათ შორის 3000 ცალი 1100 ლიტრიანი პლასტმასის, 1 500 ერთეული 1 100 ლიტრიანი ლითონის კონტეინერი, 1 ცალი 2300 ლიტრიანი ლითონის კონტეინერი) შეძენის და საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის (დასრულებულია მშენებლობა) მიზნით, მიმდინარე პერიოდში შპს თბილსერვისის ჯგუფზე გადარიცხულია 37,105.6 ათასი ლარი;

გარდა ამისა, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის (EBRD) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია დღგ - 4,003.1 ათასი ლარი, სპეცტექნიკის შეძენის მიზნით, კომპანია „ჯი-თი ჯგუფთან“ გაფორმებული ხელშეკრულებების (52577/G-01 LOT 1 და 52577/G-01 LOT 2) ფარგლებში ფაქტიურად გაწეული ხარჯების (ავტოპარკის განახლება ნარჩენების შემგროვებელი სატვირთო მანქანებით, სპეციალური ტექნიკით, სატვირთო მანქანებით და მარშუტების მენეჯმენტის პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა) შესაბამისად, ხოლო თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სასესხო ხელშეკრულების ფარგლებში გადახდილია დღგ - 665.6 ათასი ლარი, არსებული გადამტვირთავი სადგურის მოდერნიზირებისა და თბილისის ნაგავსაყრელის ნაჟური წყლის მართვის სისტემის გაუმჯობესების ღონისძიებების განხორციელების მიზნით;

აღსანიშნავია, რომ შპს თბილსერვის ჯგუფის მიერ 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეძენილია და 2024 წლის საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია: 3 ერთეული ნაგავშემკრები ავტომანქანა, 3 ერთეული სპეც. ა/მანქანა კომპლექტში თავსებადი კონტეინერით (აბზეცსკიპერი, სკიპლოუდერი), 20 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანა, 5 ერთეული სატვირთო ა/მანქანა ძარის უკანა ნაწილში ამწევი პლატფორმის გარეშე, 3 ერთეული სატვირთო ა/მანქანა ძარის უკანა ნაწილში ამწევი პლატფორმით; 5000 ერთეული 1100 ლიტრიანი პლასტმასის და 1000 ერთეული 1100 ლიტრიანი ლითონის ნაგავშემკრები

კონტეინერი; 9 ერთეული ღია კონტეინერი; 160 ერთეული 3 კუბ.მ.-ის მიწისქვეშა კონტეინერი განთავსდა ა.წერეთლის გამზირზე, 60 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერი განთავსდა ბაგები-წყნეთის გზატკეცილზე (ვაკის სასაფლაოდან ბაგების ხიდამდე ლოკაციებზე), ხოლო 50 ერთეული მიწისქვეშა კონტეინერის ნაწილი (8 ერთეული) განთავსდა წერეთლის გამზირის მიმდებარე ქუჩებზე და ნაწილიც (42 ცალი) განთავსდება თბილისის სხვადასხვა უბნებში, 700 ცალი ანტიბაქტერიული ურნა სკვერებისთვის (უჟანგავი ფოლადის საფერფლით, პერიოდულად შესაცვლელი ცელოფანითა და რეზინით).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველთვიურად სუფთავდება 23 464 994 კვ.მ ტერიტორიის ფართობი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე 2023 წელს შეტანილია 461,743.96 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი, ხოლო თბილისის ქუჩებზე დაიყარა 1,902.0 ტონა ტექნიკური მარილი და 1,335.2 კუბ.მ ქვიშა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დასუფთავების ნაწილში დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე შეტანილია 491 953.93 ტონა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და თბილისის ქუჩებზე დაიყარა 1,700.95 ტონა ტექნიკური მარილი და 23.00 კუბ.მ ქვიშა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) სესხის და გრანტის ხელშეკრულების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები არ ითვალისწინებს დამატებული ღირებულების გადასახადის გადახდას

დაგეგმილი მაჩვენებელი - თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის (EBRD) და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის და გრანტის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებისას გადახდილი დღგ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - გაფართოვდა თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-3 უჯრედი, დაიწყო მე-4 უჯრედის მშენებლობა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის მე-4 უჯრედის მშენებლობის დასრულება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, 2023 წელს შესყიდულია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების 28 ერთეული სპეცტექნიკა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, გრძელდება სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების სპეცტექნიკის შეძენა

მიღწეული მაჩვენებელი - არსებული ავტოპარკის განახლების მიზნით, შეძენილია სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების 35 ერთეული სპეცტექნიკა.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შეძენილია სხვადასხვა ტევადობისა და შემადგენლობის 4000 ნაგვის კონტეინერი, ხოლო 270 მიწისქვეშა კონტეინერის მოწოდება განხორციელდება 2024 წლის პირველ კვარტალში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სხვადასხვა ტევადობის ნაგვისშემკრები კონტენერების შეძენა, 270 მიწისქვეშა კონტეინერის მოწყობა აკ.წერეთლის გამზირზე და ქალაქის სხვა ლოკაციებზე.

მიღწეული მაჩვენებელი - შეძენილ იქნა სხვადასხვა ტევადობისა და შემადგენლობის 11210 ნაგვის კონტეინერი, ხოლო დამონტაჟდა 270 მიწისქვეშა კონტეინერი აკ.წერეთლის გამზირზე, ბაგები-წყნეთის გზატკეცილზე და ქალაქის სხვადასხვა ლოკაციაზე.

03 03 თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 12,401.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 14,386.6 ათასი ლარის 86.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 03 01 თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკი

2024 წლის გეგმა - 4,966.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,880.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ძველ და ახალ ტერიტორიებზე არსებული ზოოპარკის გამართული ფუნქციონირებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მოწყობა - გაუმჯობესება, მოსწავლე

ახალგაზრდობისათვის სასწავლო წრეების ფუნქციონირება და შემეცნებითი ტურების მოწყობა, სამეცნიერო კუთხით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ტერიტორიების შეფასება და ცხოველთა ქცევის შესწავლა და სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ცხოველების კვება, ვეტერინარული სამედიცინო მომსახურება, საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო, კომპიუტერული ტექნიკის, სამედიცინო აპარატურისა და ხელსაწყოების შეძენა და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,103.3 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ზოოპარკის ძველ და ახალი ტერიტორიებზე არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების და მცენარეული საფარის მოვლა-პატრონობა, შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტი; სისხლის აპარატის კაპიტალური შეკეთება; კომპიუტერული, სამედიცინო ვეტერინალური აპარატურის, ტერიტორიის შესაწამლი შესასხურებელი აპარატის, საყოფაცხოვრებო და სხვა ტექნიკური საშუალებების შეძენა; ახალი ზოოპარკის ტერიტორიაზე (თბილისის ზღვის მიმდებარედ), განხორციელდა გზების მოშანდაგება, გარე განათების სისტემის, შესასვლელი ჭიშკრის და სათვალთვალო ქსელის რეაბილიტაცია; მომზადდა 22 ჰა ფართობის ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა; დასრულდა ბეჰემოტის, ჟირაფისა და მარტორქის (ვოლიერი "აფრიკული სავანა") ვოლიერის სამშენებლო სამუშაოების მეორე ეტაპი; ცხენების ვოლიერში მოეწყო საბანაო მოედანი; მოხდა ჯიხვების ვოლიერის რეაბილიტაცია (ღობის გამაგრების სამუშაოები); დათვების ვოლიერში მოწყო გადასახედი ხიდი; შეძენილ იქნა სამშენებლო მასალები და დაქირავებულ იქნა სამშენებლო ტექნიკა; ეგზოტარიუმისთვის შეძენილ იქნა დენის სტაბილიზატორი, ფრინველებისათვის - გალიები და კონდენციონერები, შეძენილ იქნა სატვირთო ავტომობილი და ახალ ზოოპარკში დათვების ვოლიერის რეაბილიტაციისათვის - მასალები; დაქირავებულ იქნა სამშენებლო ტექნიკა;

ცოცხალი კოლექციის გამდიდრებისა და მსოფლიოსა და ადგილობრივი ფაუნის ზოოპარკის პირობებში გამრავლების ფარგლებში, საექსპოზიციო მიზნებისათვის, გერმანიისა და ჩეხეთის ზოოპარკებიდან ჩამოყვანილ იქნა ხუთი სული დასავლეთკავკასიური ჯიხვი;

ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკში გამრავლება, წითელი ნუსხის ცხოველების - ნიამორების, კეთილშობილი ირმებისა და ჯიხვების რიცხოვნობის ზრდის ფარგლებში - ყოველდღიურად ხორციელდებოდა ცხოველების მოვლა და მათზე დაკვირვება, კვების რაციონის შერჩევა-დაზუსტება, ვეტექიმების მიერ ცხოველებზე დაკვირვება და, საჭიროების შემთხვევაში, მედიკამენტებითა და საკვები დანამატებით უზრუნველყოფა. აღნიშნულ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ჯიხვების ნამატმა შეადგინა - 1 სული, კეთილშობილი ირმების ნამატმა შეადგინა 6 სული, ნიამორების ნამატმა 4 სული, დომბას ნამატმა - 1 სული; ადგილობრივი ფაუნის წარმომადგენლების ზოოპარკის ფარგლებს გარეთ გამრავლების ტენდენციებზე დაკვირვება, ბიოტური და აბიოტური ფაქტორების გათვალისწინებით, ჩამორთმეული ცხოველების და ფრინველების ზოოპარკის პირობებში რეაბილიტაცია, მათი ბუნებაში დაბრუნების მიზნით, გარემოს დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურების მიერ და ასევე, მოსახლეობიდან შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, ზოოპარკში შემოყვანილ იქნა ჩამორთმეული და ბუნებაში ნაპოვნი ცხოველები და ფრინველები, მათ შორის: დათვები, კირკიტები, ნამგალები და სხვა; განხორციელდა მიღებული ცხოველებისა და ფრინველების მოვლა-პატრონობა და მათი რეაბილიტაციის მიზნით შესაბამისი ვეტერინარული მომსახურება. განხორციელდა ზოოპარკში მიღებული ფრინველების რეაბილიტაცია და მათი ბუნებაში დაბრუნება: ორბი (3 ფრთა). 2 სული დათვი გადაეცა გოლდაუს ზოოპარკს (შვეიცარია);

საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით განხორციელდა მოსწავლეთა ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენცია - „ადამიანი და ცხოველთა სამყარო“, კონფერენციის ფარგლებში გამარჯვებულთა დასაჯილდოვებლად შეძენილი და გადაცემულ იქნა საჩუქრები. მოეწყო 73 შემეცნებითი ტური დაწყებითი სკოლის

მოსწავლეთა და ბაღის აღსაზრდელთათვის. მონაწილეთა რაოდენობა - 1247 ბავშვი; საკვირაო ზოოსკოლაში ფუნქციონირებდა 3 ასაკობრივი ჯგუფი, სადაც მონაწილეობა მიიღო 55-მა მოსწავლემ;

სამეცნიერო საქმიანობის კუთხით, მოეწყო მივლინებები: ქვეყნის შიგნით - გადაშენების პირას მყოფი სახეობებისათვის შესაფერისი ჰაბიტატების შერჩევა/მოძიების მიზნით; ქ.ბეზანსოში (საფრანგეთი) - EAZA-სა და IUCN-ის ეგიდით ტაქსონომიურ ჯგუფ Carpinae-ს კონსერვაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე; ზოოპარკის ფუნქციონირებისათვის საჭირო აქტივობების კუთხით, ზოოპარკის ვეტექიმები მივლინებულ იქნენ ქ.ნელსფრუითში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) - ზოოპარკის ეგზოტიკური და გარეული ცხოველების ანესთეზიის კურსებზე; ნიამორების გავრცელების არეალის შესწავლის მიზნით ზოოპარკის დირექტორი მივლინებული იქნა თურქეთში; ზოოპარკის თანამშრომლები მივლინებულ იქნენ ქ. პრაღაში (ჩეხეთი) ვოლიერების მშენებლობისა და მოწყობის გამოცდილების გაზიარებისათვის; პროექტის „საქართველოს რეალური ბიომრავალფეროვნება“ ფარგლებში ჩატარდა 10 ინტერაქტიური შეხვედრა-ლექცია. რეგულარულად ხორციელდებოდა ცხოველთა ყოფის გამდიდრების ღონისძიებები (ენრიჩმენტი); განხორციელდა EAZA-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე რეგისტრაციის საფასურის გადახდა და ზოოპარკის დირექტორი და თანამშრომლები მივლინებულ იქნენ გერმანიაში, ქალაქ ლაიფციგში EAZA-ს ყოველწლიურ კონფერენციაზე; მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 201386, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან (2023 წელი - 247532) შედარებით 46146-ით ნაკლებია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ახალ ტერიტორიაზე (დაახლოებით 10 ჰა) ფუნქციონირებს საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული ვოლიერები (ცხოველთა, ფრინველთა) და ნაწილობრივ მოწყობილია ინფრასტრუქტურა, ხოლო ძველ ტერიტორიაზე (9 ჰა) სრულყოფილად ფუნქციონირებს ზოოპარკი, შენარჩუნებულია არსებული ინფრასტრუქტურა, აშენებული და რეაბილიტირებულია ცხოველთა და ფრინველთა ვოლიერები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკის ძველ და ახალ ტერიტორიებზე არსებული ობიექტებისა და მცენარეული საფარის მოვლა და შენარჩუნება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა (მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო სამუშაოები), ცხოველთა კოლექციის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების მიზნით ახალი ვოლიერების აშენება/არსებული ვოლიერების რეაბილიტაცია.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე ჩატარებული დაკვირვებები; ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით მოწყობილი ექსპედიციები და განხორციელებული სამეცნიერო კვლევები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ზოოპარკსა და ბუნებაში ცხოველებზე დაკვირვება, ცხოველების გავრცელებისა და მათი რაოდენობის აღრიცხვის მიზნით ექსპედიციების მოწყობა, სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ცხოველთა ქვესახეობების დადგენა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ზოოპარკის ფუნქციონირებისთვის არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხოლო ზოოპარკის ტერიტორიაზე სრულყოფილად ფუნქციონირებს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი ბავშვთა საგანმანათლებლო ცენტრი (მათ შორის 2023 წელს ბავშვებისთვის მოეწყო შემეცნებითი ტურები, რომლებშიც მონაწილეობდა 1745 ბავშვი, საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 91-მა მოსწავლემ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება; სასწავლო ცენტრში საგანმანათლებლო წრეებისა და ჯგუფების ფუნქციონირება, შემეცნებითი ტურების მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებული იქნა ზოოპარკის საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა, სკოლის მოსწავლეთათვისა და სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის მოეწყო 73 შემეცნებითი ტური, რომლებშიც მონაწილეობდა 1247 ბავშვი, საკვირაო ზოოსკოლაში მონაწილეობა მიიღო 3 ასაკობრივი ჯგუფის 55-მა მოსწავლემ.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 247532 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა 250 - 300 ათასი ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა - 201386 ვიზიტორი.

03 03 02 ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი

2024 წლის გეგმა - 9,420.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,521.3 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 3,217.0 ათასი ლარი), რაც გეგმის 79.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ვიზიტორებისათვის ხელმისაწვდომი ბოტანიკური ბაღი, მოვლილი, შენარჩუნებული და გაზრდილი მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები, დოკუმენტირებული მერქნიან მცენარეთა კოლექციები, შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოწესრიგებული ტურისტული და განახლებული ინფრასტრუქტურა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ფუნქციონირების (თანამშრომელთა შრომის და საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, საერთაშორისო ორგანიზაციების საწევრო, ტრანსპორტის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,752.2 ათასი ლარი). ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მოვლილი და შენარჩუნებული მცენარეთა კოლექციები და დეკორატიული უბნები, დოკუმენტირებული მერქნიან მცენარეთა კოლექციები, მცენარეთა გაზრდილი და მოვლილი კოლექციის ღონისძიების ფარგლებში: სისტემატურად ხორციელდება ძირითადი ტურისტული მარშრუტების, გზების, ბილიკების მოვლა-დასუფთავება (დაახლოებით 7 კმ პერიმეტრის მოვლა); ყოველდღიურად ხორციელდებოდა მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთებზე მოვლა-დასუფთვების სამუშოები (65 ჰა ფართობის მოვლა), როგორც არსებული კოლექციების შესანარჩუნებლად, ასევე მის გასაფართოვებლად. ბაღის კოლექციების შევსების

მიზნით მიმდინარეობდა აქტიური რგვები (სულ ბოტანიკური ბაღის ფიტოგეოგრაფიულ ნაკვეთებსა და საპარკო სივრცეზე დარგულია სხვადასხვა დროს გამოყვანილი თუ სანერგეებიდან შეძენილი მერქნიანი მცენარეების 82 ტაქსონის (სახეობა და ჯიში) 1169 ეგზემპლარი); მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით დაირგო 62500 ერთეული ერთწლოვანი მცენარე და 6 400-ზე მეტი მრავალწლოვანი და ბოლქვოვანი მცენარე; იაპონური ბაღის (240 კვ.მ ფართობი) განახლების პროექტის მოსამზადებლად ჩატარდა 2016 წელს გაშენებული იაპონური ბაღის ნარგაობების, ხისა და ქვის ავთენტური იაპონური ელემენტების ინვენტარიზაცია, ფოტოფიქსაცია და მიეწოდა ლანდშაფტის დიზაინის პროექტის ავტორ კომპანიას; განხორციელდა 890 მცენარის ეტიკეტირება (140 ლითონის და 750 პლასტიკური ეტიკეტით) და დოკუმენტირება, ბაღში შემოტანილი და დარგული იქნა 67 ტაქსონის (სახეობა და ჯიში) 600-მდე ეგზემპლარი, მათგან 25 ტაქსონი (სახობა და ჯიში) ბოტანიკური ბაღისთვის ახალია. სანერგე მეურნეობებიდან შესყიდულ იქნა 15 ტაქსონის (სახეობა და ჯიში) მერქნიანი მცენარე, ხოლო ექსპედიციების შედეგად მთლიანობაში 20 სახეობის მერქნიანი მცენარე. ჯამში კოლექცია გაიზარდა 25 ახალი სახეობის მერქნიანი მცენარით. ასევე ბაღის კოლექციას შეემატა 2 ერთეული საკურას კულტივარი, მუხის 1 ახალი, მაგნოლიის 1, კედრის 2, ვაშლის 2 და ნეკერჩხლის 1 კულტივარი. დასაბეჭდად მომზადდა 46 წიწვოვანი სახეობის ეტიკეტის მაკეტები და მომზადა და დაიბეჭდა საკურას კოლექციისთვის 500-მდე ლამინირებული ეტიკეტი;

შეუფერხებელი და წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით სამეცნიერო პუბლიკაციების, გამოცემა განხორციელდა: ჟურნალ „European Journal of Sustainable Development“-ში სამეცნიერო პუბლიკაცია - მერქნიანი მცენარეების კონსერვაცია ათასწლეულის თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში საქართველოში - „Ex-situ conservation of woody plants within the framework of the Millennium Seed Bank Partnership in Georgia“, რომელიც გასულ წელს კონფერენციაზე იყო წარდგენილი მოხსენების სახით; რეფერირებად ჟურნალში (საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის მოამბე) გამოქვეყნდა სტატია: ”Reproductive biology peculiarities of and ex situ conservation of two endangered Georgian

endemic species Dianthus azkurensis Sosn. and Dianthus ketzkhovelii Makaschvili"; ჟურნალში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე" - ისტორიის, არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია - გამოქვეყნდა სტატია: ეთნობოტანიკური მონაცემები ღომის კულტურის შესახებ საქართველოში - ETHNOBOTANICAL DATA ON GHOMI CULTURE IN GEORGIA; ჟურნალში - World Journal of Advanced Research and Reviews - გამოქვეყნდა სტატიები: "დუშეთის მუნიციპალიტეტის თემებში გამოყენებული საკვები და სამკურნალო მცენარეები" - "Edible and medicinal plants in some communities of Dusheti municipality (East Georgia, Caucasus), საკვები მერქნიანი მცენარეები, რომლებიც ველურად იზრდება თბილისის მიდამოებში (საქართველო, სამხრეთ კავკასია) - „Edible woody plants growing wild in the Tbilisi environs (Georgia, South Caucasus)" და საქართველოს ფლორის იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეები გავრცელებულია თბილისის მიდამოებში (აღმოსავლეთ საქართველო, კავკასია) - Rare and endangered plants of the flora of Georgia common in the Tbilisi environs (East Georgia, Caucasus)„; ჟურნალში - Modern Issues of Medicine and Management (MIMM) - გამოქვეყნდა სტატია: ზოგიერთი კავკასიური სამკურნალო მცენარის ანტიოქსიდანტური თვისებები. მედიცინისა და მენეჯმენტის თანამედროვე საკითხები - Antioxidant Properties of Some Caucasian Medicinal Plants. Modern Issues of Medicine and Management (MIMM); ჟურნალში Plants, People, Planet გამოქვეყნდა სტატია: Multigenerational differences in harvesting and use of wild edible fruits and nuts in the South Caucasus; დასრულდა სამეცნიერო პროექტი - „ღია გრუნტის ზოგიერთი მრავალწლოვანი დეკორატიული ბალახოვანი ყვავილოვანი მცენარის ბიოეკოლოგიური თავისებურებების შესწავლა სამრეწველო და ლანდშაფტურ დიზაინში გამოყენების მიზნით" - გამოსაქვეყნებლად მომზადებულ 3 პუბლიკაციასთან ერთად („გვარ ჰელენიუმის (Helenium L., ოჯახი Compositae) ბიოლოგიური თავისებურებები კულტურის პირობებში"; გვარ ეხინაცეს (Echinaceae Moench.) ზოგიერთი სახეობის ინტროდუქციული კვლევის შედეგები"; „კორეული ქრიზანთემის ინტროდუქცია და მრავალფეროვნება საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში"), მომზადდა პროექტის სრული ანგარიში და

შემუშავდა პრაქტიკული რეკომენდაციები საკვლევი სახეობების გამოყენების თაობაზე ურბანული გარემოს ფიტოდიზაინში;

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში, თბილისის სკოლის მოსწავლეებისათვის, განხორციელდა 4 ეკოსაგანამანათლებლო პროექტი (1. „ეკომკვლევარი“ - VII-IX კლასის მოსწავლეებისთვის განხორციელდა 24-ჯერ და მონაწილეობა მიიღო 500-მდე მოსწავლემ; 2). „ეკოთავგადასავალი“ - I-VI კლასის მოსწავლეებისათვის განხორციელდა 122-ჯერ და პროექტში მონაწილეობა მიიღო 1600-მდე მოსწავლემ; 3). „ეკოლაშქრობა“ - VII-X კლასის მოსწავლეებისათვის განხორციელდა 5-ჯერ და პროექტში მონაწილეობა მიიღო 60-მდე მოსწავლემ; 4. „სახალისო ეკოლოგია - ვქმნით ეკოსისტემებს“ - II-VI კლასის მოსწავლეებისათვის განხორციელდა 14-ჯერ და პროექტში მონაწილეობა მიიღო 250-მდე მოსწავლემ), რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 2 410-მდე სკოლის მოსწავლემ. ასევე, საექსკურსიო მომსახურების ფარგლებში, ეკოგანათლების განყოფილების გიდების მიერ, ჩატარდა 137 ექსკურსია, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 3 920-მდე დამთვალიერებელმა, ხოლო, გარემოსდაცვით დღეებთან დაკავშირებით, ეკოლოგიის აქტუალურ საკითხებზე ჩატარდა 8 სემინარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120-მდე ადამიანმა (პროექტებისთვის მომზადდა და დაიბეჭდა 10 საინტერპრეტაციო დაფა და 3 მცენარეთა სარკვევი);

წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავების ფარგლებში საერთაშორისო წითელი ნუსხის IUCN პარამეტრების შესაბამისად, გათვალისწინებულია 8 სახეობის შეფასება: Anthemis saguramica Sosn.; Astragalus cyri Fom.; Astragalus meskheticus Manden.; Genista adzharica M. Pop.; Eversmannia subspinosa Genista suanica Schischkin Fisch & amp; (DC).; Astragalus vardziae და Iris winogaradowii Fomin. ვინაიდან სახეობათა შეფასების დაწყება პირდაპირ კავშირშია სახეობის პოპულაციის ყვავილობის ფაზებთან, საანგარიშო პერიოდისთვის დასრულებულია მხოლოდ 5 სახეობის (Anthemis saguramica Sosn.; Astragalus cyri Fom.; Astragalus meskheticus Manden.; Astragalus vardziae და Iris winogaradowii Fomin) შეფასება, საიდანაც 3 სახეობის (Anthemis saguramica Sosn.;

Astragalus cyri Fom.; Astragalus meskheticus Manden.) შეფასება გადაცემულია IUCN წითელი ნუსხის პორტალზე ასატვირთად. რაც შეეხება სახეობათა გამრავლების პროტოკოლების შექმნას (სამიზნე სახეობებია: Anthemis saguramica; Astragalus meskheticus; Genista adzharica; Genista suanica; Astragalus cyri), საანგარიშო პერიოდისთვის გამრავლების პროტოკოლები გაკეთებულია 4 სახეობაზე და მიღებულია ახალი აღმონაცენები: 1). Genista suanica - ქოთნიდან 118 აღმონაცენი, ლაბორატორიულ პირობებში - 37 აღმონაცენი; 2). Astragalus cyri - ქოთნიდან 59 აღმონაცენი, ლაბორატორიულ პირობებში - 40 აღმონაცენი; 3). Anthemis saguramica - ქოთნიდან 164 აღმონაცენი, ლაბორატორიულ პირობებში - 254 აღმონაცენი; 4). Astragalus meskheticus - ქოთნიდან 29 აღმონაცენი. აღმონაცენები გადარგულია მოზრდილ ქოთნებში და მიმდინარეობს ონტოგენეზის თანმიმდევრული ეტაპების შეფასება და ფოტოფიქსაცია; კოლექციების გამდიდრების და საჭიროების შემთხვევაში in situ რეინტროდუქციისათვის საჭირო ბაზის შესაქმნელად ქოთნებში დაითესა ქვეყნისთვის პირველადი საკონსერვაციო სტატუსის მქონე 12 სახეობის თესლი; ათასწლეულის თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში მიმდინარე პროექტ ვესტონ-4 - „კავკასიაში გავრცელებული საფრთხის ქვეშ მყოფი მერქნიანი სახეობების კოლექციებში არსებული ხარვეზის დაფარვა“ (2024-2026) - ეროვნული თესლის ბანკი შეივსო 9 სახეობის თესლის ნიმუშით (16 პოპულაციიდან), რომლებიც ბოტანიკის ინსტიტუტიდან შემოსული 5 სახეობის (10 პოპულაციიდან) შეგროვილი თესლთან ერთად ლაბორატორიულად დამუშავდა და განთავსდა ეროვნულ თესლის ბანკში, ხოლო დუბლიკატები საჰერბარიუმო ნიმუშებთან ერთად მომზადდა კიუს ბოტანიკური ბაღის „ათასწლეულის“ თესლის ბანკში გასაგზავნად. მონაცემები შეტანილია (BRAHMS) მონაცემთა ბაზაში; ამავე პროექტოს ფარგლებში დაითესა სუროს შემდეგი სახეობები: Hedera colchica (C.Koch) -18 აღმონაცენი; Hedera pastuchowii (Woronow) - 71 აღმონაცენი; Hedera helix (L) - 52 აღმონაცენი;

სამეცნიერო პროექტების განხორციელების ფარგლებში ჩატარდა: სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს 4 სხდომა. მიღებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში წლის დასაწყისში წარდგენილი გაწეული სამეცნიერო-

კვლევითი და ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ ანგარიშის შეფასება. აკადემიის პრეზიდიუმმა 16.07.2024-ში გამოსცა დადგენილება #40 - „საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების 2023 წლის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ“, რომელშიც საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას მიენიჭა ექსპერტების უმაღლესი შეფასება. მომზადდა და საქართველოს ეროვნულ მეცნიერებთა აკადემიაში იქნება წარდგენილი ანგარიში 2024 წელს ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მიერ გაწეული სამეცნიერო-კვლევითი და ორგანიზაციული საქმიანობის შესახებ; დასრულდა ადრე დამტკიცებული 4 მრავალწლიანი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა 32 საველე-საექსპედიციო გასვლა, მათ შორის 6 გასვლა - სარეინტროდუქციო ნაკვეთების მონიტორინგის მიზნით (კასპი, იგოეთი და საგარეჯო, დავით-გარეჯი) საკვლევი მასალის მოსაპოვებლად და კოლექციების გასამდიდრებლად. ასევე მერქნიანი და ბალახოვანი მცენარეების კოლექციებისა (თეთრიწყაროს, დუშეთის მუნიციპალიტეტები და თბილისის შემოგარენი) და თესლის გაცვლის ფონდის Index Seminum-ის გასამდიდრებლად; მიმდინარე მრავალწლიანი 6 პროექტის მიმდინარე ეტაპის შესახებ მოსმენილ იქნა ანგარიშები საბჭოს #4 სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 04.07.2024-ში; საბჭოს სხდომებზე დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტი - თბილისის ურბანულ გამწვანებაში არსებული ჭადრების მდგომარეობის არაინვაზიური მეთოდით (ტომოგრაფის მეშვეობით) კვლევები - წარმატებით განხორციელდა; ხელი მოეწერა 1 საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კონსერვაციული პროექტის შეთანხმებას (ათასწლეულის თესლის ბანკის პარტნიორობის ფარგლებში) და გარფილდ-ვესტონის ფონდის საერთაშორისო გრანტით გაგრძელდება საქართველოს ფლორის ხეებისა და ბუჩქების თესლის კონსერვაცია; გადახდილია საერთაშორისო ქსელების ინსტიტუციური წევრობის მოსაკრებლები (ხმელთაშუა ზღვის ტაქსონომიური კვლევის ორგანიზაციის - OPTIMA და ბოტანიკური ბაღების კონსერვაციის საერთაშორისო საბჭოს - BGCI). განხორციელდა ბოტანიკური ბაღის მონაცემების განახლება BGCI-ს ბაზაში და ასატვირთად გამზადებულია მერქნიანი კოლექციების

სია. განახლდა დოკუმენტაცია მორტონის არბორეტუმის აკრედიტაციის მოსაპოვებლად; ხელი მოეწერა ურთიერთთანმაშრომლობის მემორანდუმს პალერმოს უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღთან (იტალია) და იერუსალიმის ბოტანიკურ ბაღთან. ასევე, მზადდება მემორანდუმები საქართველოს ეროვნულ არქივთან და სატყეო სააგენტოსთან; ბოტანიკურმა ბაღმა მონაწილეობა მიიღო ექსპოზიციის მომზადებაში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის - „ქართული ხორბლის კულტურა - რიტუალები და გამოყენების უწყვეტი ტრადიცია" ფარგლებში, რომელიც ორგანიზებული იყო სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მიერ. გამოფენილი იქნა ხორბლის კულტურასთან დაკავშირებული სამუზეუმო ექსპონატები (ეთნობოტანიკის განყოფილება). ეს ექსპონატები ასევე წარდგენილი იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში, თსუ საერთაშორისო კონფერენციის „მიწათმოქმედების ტრადიციული კულტურა საქართველოში" თანმხლებ ვრცელ ექსპოზიციაზე (2024 წლის 11 აპრილიდან 15 მაისამდე). ეთნობოტანიკური კოლექცია და ადილობრივი მარცვლოვანი კულტურების შესახებ მომზადებული სადემონსტრაციო მასალები წარდგენილ იქნა ბოტანიკური ბაღის მიერ ორგანიზებულ ტრადიციულ პურის ფესტივალზე 2024 წლის 28 და 29 სექტემბერს; ბოტანიკურმა ბაღმა უმასპინძლა 10 საერთაშორისო დელეგაციას/ სტუმარს; ბაღის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში - „მცენარეთა გენეტიკური რესურსები: შესაძლებლობები და გამოწვევები", რომელიც ჩატარდა 2024 წლის 22-24 მაისს თბილისში. ბოტაიკური ბაღის მკვლევარებმა კონფერენციაზე წარადგინეს 3 სასტენდო და 2 ზეპირი მოხსენება, რომელთა თეზისები დაიბეჭდა კონფერენციის მასალებში და საორგანიზაციო კომიტეტისგან მათ გადაეცათ სერტიფიკატები; წარდგენილი იყო მოხსენება - „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ისტორიული მისია და გავლენა საუკუნეების ჭრილში" („National Botanical Garden of Georgia – Historic Mission and Impact across

Centuries“) ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მიერ ორგანიზებულ „ისტორიული ევროპული ბაღების მარშრუტი“-ს ყოველწლიურ VII ფორუმის პანელურ სესიაზე. კონფერენციის მეორე ნაწილში, რომელიც მიეძღვნა მცენარეთა მავნებლებსა და დაავადებებს, წარდგენილ იქნა მოხსენება - “აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ბაღები კლიმატის ცვლილების პირისპირ - საფრთხეები და გამოწვევები“ („Historic Gardens of Eastern Georgia facing to Cilmate Change – Threats and Challenges“). 2024 წლის 7-8 ოქტომბერს დაგეგმილ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე -,,ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტის შესწავლა, დაცვა, შენარჩუნება, გონივრული გამოყენება“, - საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის მკვლევრებმა წარადგინეს 1 ზეპირი („ურბანული გამწვანების მდგრადი მართვა - იმპულსური ტომოგრაფიის გამოყენება მერქნიან მცენარეთა მდგომარეობის შესაფასებლად“) და 1 სასტენდო მოხსენება (კლიმატის ცვლილება და მისი გავლენა ირმის რქის ბუგრზე - Tinocallis kahawaluokalani (Kirkaldy 1907) (Hemiptera: Aphididae) საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში.); პროექტმა - „მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა ინოვაციური ტექნოლოგიებით“ SPG-24-1337 - გაიმარჯვა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციისათვის მიზნობრივ საგრანტო პროექტში და ხელი მოეწერა კონტრაქტს. პროექტის განხორციელება დაიწყება 2025 წლიდან; ნოემბრის თვიდან საქართველოში, იაპონიის საელჩოს ჩართულობით და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის სამსახურთან კონსულტაციით, მიმდინარეობდა წინასწარი სამუშაო 2016 წლს გაშენებული იაპონური ბაღის განსაახლებლად, რამდენადაც 8 წლის განმავლობაში მისმა ელემენტებმა განიცადა ცვეთა. საავტორო იაპონურ კომპანია Kosugi Zohen Co. Ltd-თან ერთად შემუშვებული საპროექტო წინადადება წარედგინათ პოტენციურ დამფინანსებლებს და არსებობს წინასწარი თანხმობა დაფინანსების შესახებ, იგეგემება პროექტის განხორციელება 2025 წლის მარტის დასაწყისში;

მოწესრიგებული და გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის ღონისძიების ფარგლებში ბაღის ტერიტორიაზე განხორციელდა შემდეგი სამუშაოები: მიმდინარეობდა ბაღის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, ბაღის ღია სადღესასწაულო სივრცეში კულტურულ-გასართობი ფესტივალების ორგანიზება, ბაღის სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე (ს/კ: 01.18.02.001.017) არსებული ყოფილი სასაწყობე შენობის დაშლის სამუშაოები; დასრულდა მშენებარე (დაუმთავრებელი) ადმინისტრაციული და ლაბორატორიული შენობის სამხრეთით მდებარე ფერდის სტაბილიზაციის და ამავე ობიექტის ტერიტორიაზე მდებარე გაზის და წყლის მილების გადატანის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები; მიმდინარეობს ბაღის ტერიტორიაზე ფერდობების დამჭერი კედლების/ყორეების აღდგენა-გამაგრებისა და ახლის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები; განხორციელდა ბაზრის კვლევა ბაღის სამ ლოკაციაზე (მცენარეთა კონსერვაციის განყოფილების ტერიტორია, სამკურნალო მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთი და კავკასიის იშვიათ და გადაშენებად მცენარეთა საკოლექციო ნაკვეთი) არსებული დამცავი ღობეების შეცვლის სავარაუდო ღირებულების დასადგენად, ამის საფუძველზე მომზადდა ტექნიკური დავალება, შესაბამისი დოკუმენტაცია და დასრულდა ღობის შეცვლის სამუშაოები; ბაღის ტერიტორიაზე, სოლოლაკის ქედის მხრიდან, მოეწყო ახალი სალარო, რაც ხელს უწყობს ვიზიტორების შემოსვლას ახალგაზრდობის ხეივნის მხრიდან; მიმდინარეობს მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები და პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ზედამხედველობა; აბანოთუბნის ტერიტორიაზე არსებული ე.წ. "ლეღვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი ღონისძიებების და შესაბამისი გამაგრებითი/სარეკონსტრუქცო სამუშაოების ფარგლებში, მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, შესაბამისი დიზაინი და დაიწყო პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების განხორციელება; განხორციელდა ბაღისთვის ნოყიერი ნიადაგისა და სასუქის მოწოდება; ბოტანიკური ბაღისათვის საინტერპრეტაციო მასალების ბეჭდვა და მოწოდება, სამუშაო ტანსაცმლის, უკაბინო ტრაქტორის და მცენარეთა შესყიდვა; დასრულდა მუშაობა ბაღის ტერიტორიაზე მდებარე 5

გადასასვლელი ხიდის (I ხიდის, II ე.წ. თეთრი ხიდის, III ე. წ. ბამბუკების ხიდის, IV ე. წ. მწვანე ხიდის და V ხიდის) და ბაღის ტერიტორიაზე ფერდობების დამჭერი კედლების/ყორეების აღდგენა-გამაგრებისა და ახლის მოწყობის მიზნით საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეთანხმებაზე სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან, მაგრამ გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო აღნიშნული სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებაზე გაფორმებულია ხელშეკრულება. მიმდინარე პერიოდში ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 282514, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2023 წელს - 340228) შედარებით 57714-ით ნაკლებია.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ძირითადი ტურისტული მარშრუტების (გზების, ბილიკების) 6,5-7 კმ. პერიმეტრის მოვლა, მოვლილი და შენარჩუნებული საკოლექციო ნაკვეთები (56 ჰა ფართობი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის მოვლილი და შენარჩუნებულია საკოლექციო ნაკვეთები (65 ჰა ფართობი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 1566 მცენარე, მცენარეთა კოლექცია განხლებულია - 40 ახალი სახეობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ეტიკეტირებული და დოკუმენტირებული კოლექცია - 800 მცენარე, განახლებული მცენარეთა კოლექცია - 30 ახალი სახეობა.

მიღწეული მაჩვენებელი - ეტიკეტირებული და დოკუმენტირებულია - 890 მცენარე, მცენარეთა კოლექცია განხლებულია - 34 ახალი სახეობით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მცენარეთა ყოველწლიური განახლების მიზნით 2023 წელს დარგულია 66205 ერთწლოვანი მცენარე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 45000-მდე ერთწლოვანი მცენარის დარგვა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაირგო 60100 ერთწლოვანი მცენარე.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: ბაღს დაემატა (გაფართოვდა) დეკორატიული უბნები.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფარგლებში სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 8 ცალი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 3 ცალი.

მიღწეული მაჩვენებელი - სამეცნიერო და პოპულარული პუბლიკაციები, გამოცემები - 8 ცალი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დასრულებული სამეცნიერო პროექტების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა დამატებითი პუბლიკაციების გამოქვეყნება.

5.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება 4 სახეობის პროტოკოლი/შეფასდა 8 სახეობა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 4 სახეობა პროტოკოლი/8 სახეობა შეფასება.

მიღწეული მაჩვენებელი - წითელი ნუსხის სახეობების შეფასება და გამრავლების პროტოკოლების შემუშავება - 4 სახეობა პროტოკოლი/9 სახეობა შეფასება.

6.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა (პროექტები) ფარგლებში დასრულდა 2 სამეცნიერო პროექტი და მიმდინარეობს კვლევა კიდევ 4 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამეცნიერო-კვლევითი და საკონსერვაციო საქმიანობა (პროექტები) ფარგლებში 3 სამეცნიერო და 3 საგანმანათლებლო პროექტის განხორციელება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 სამეცნიერო პროექტი და მიმდინარეობს კვლევა 4 სამეცნიერო პროექტის ფარგლებში; 4 საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 2 410-მდე სკოლის მოსწავლემ; გარემოსდაცვით დღეებთან დაკავშირებულ 8 სემინარში მონაწილეობა მიიღო 120-მდე ადამიანმა;

7.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 340228 ვიზიტორი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია ვიზიტორთა რაოდენობა - 340000 ვიზიტორი.

მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 282514 ვიზიტორი, ხოლო ეკოგანათლების განყოფილების გიდების მიერ მოწყობილ 137 ექსკურსიაში მონაწილეობა მიიღო 3 920-მდე დამთვალიერებელმა.

8.საბაზისო მაჩვენებელი - მოწესრიგებული, გამართული ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურის და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს სრულად განხორციელდა 6 ინფრასტრუქტურული პროექტი და მიმდინარეობდა 4 პროექტი, რომელიც დასრულდება 2024 წელს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება 2022-2023 წლებში დაწყებული 4 ინფრასტრუქტურული პროექტიდან ორი პროექტი (ფერდის გამაგრება, წყლის და გაზის მილის გადატანა), ხოლო 2 პროექტი (მრავალფუნქციური შენობის სამშენებლო და "ლეღვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი სამუშაოები) გაგრძელდება.

მიღწეული მაჩვენებელი - მოწესრიგებული და გამართულია ტურისტული და სამეურნეო ინფრასტრუქტურა, მათ შორის დასრულდა 4 პროექტი (ღობეების მოწყობა, ბაღის 2 ლოკაციაზე სასიმაგრო კედლების აღდგენა, დაცვისა და სალაროს ჯიხურის მოწყობა, დეკორატიული ხის კოტეჯის მოწყობა) და 2022-2023 წლებში დაწყებული 4 პროექტიდან 2 პროექტი (ფერდის გამაგრება, წყლის და გაზის მილის გადატანა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 3 პროექტის (მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოები, "ლეღვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი სამუშაოები და ყორეების გამაგრება) დასრულებამ გადაიწია 2025 წელს.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - აუთვისებლობა გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით, მათ შორის: მრავალფუნქციური

საზოგადოებრივი ცენტრის შენობის სამშენებლო სამუშაოების და "ლეღვთახევის" ხეობის ქვათაცვენის შემაკავებელი სამუშაოების დასრულებამ გადაიწია 2025 წელს; ბაღის ტერიტორიაზე მდებარე 5 გადასასვლელი ხიდის და ბაღის ტერიტორიაზე ფერდობების დამჭერი კედლების/ყორეების აღდგენა-გამაგრებისა და ახლის მოწყობის სამუშაოებზე გამოცხადებული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, ხოლო გამოცხადებული და არშემდგარი ტენდერების გამო, ვერ განხორციელდა: ბაღის ტერიტორიაზე ვარდების საკოლექციო ნაკვეთის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაოების და ამ სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების შესყიდვები; გაფორმდა ხელშეკრულება 2 ერთეული (11+1 შშმ პირებზე ადაპტირებული) ელექტრომობილის შეძენაზე, მაგრამ შემდეგ შეწყდა ექსპერტების მიერ დადგენილი ტექნიკური შეუსაბამობის გამო.

03 04 რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია დაფინანსებულია 5,433.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 26,000.0 ათასი ლარის 20.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

03 04 01 სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 6,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,008.1 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,973.7 ათასი ლარი), რაც გეგმის 50.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაიწყო პარკის სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი, მათ შორის ტერიტორიაზე არსებული სკვერის სადემონტაჟო სამუშაოები; სანიაღვრე, საკანალიზაციო და სარწყავი ქსელის მოწყობა; ძაღლების მოედნის, შადრევნის, ფანჩატურის, რეტერატების, საჩრდილობელის კედლის და რიგელების ჩასხმა; საჭადრაკე სივრცის, ამფითეატრის და სკეიტპარკის ფუნდამენტის მოწყობა. ასევე, მიმდინარეობდა განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები; 5 ერთეული ფანჩატურის მოწყობა;

ველოტრეკის და ფამფთრეკის მოწყობის სამუშაოები; ადმინისტრაციული შენობის საძირკვლის მომზადება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დასრულდა სამხედრო ქალაქის პარკის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობის სამუშაოების ხელშეკრულების დადების პროცედურა და დაიწყება სამშენებლო სამუშაოების პირველი ეტაპი

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - სატენდერო პროცედურებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის დასკვნების გაჭიანურება.

03 04 02 ვერის ბაღის რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 10,000.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,425.0 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 24.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ამორტიზირებული არსებული ბილიკების, ტერიტორიაზე განთავსებული ფურნიტურის, შადრევნის, საბავშვო და სპორტული მოედნების, არსებული კიბეების და განათების ბოძების დემონტაჟი; დაინგრა პარკის ქვედა ნაწილში არსებული უფუნქციო ბელვედერი; დაიწყო სადრენაჟე, ელექტრომომარაგების და წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; მომზადდა საძირკველი ფანჩატურებისთვის, სპორტული და საბავშვო მოედნებისთვის; დაწყებულია ბილიკების ქვედა ბეტონის ფენის მოწყობა; გრძელდება სამუშაოები ადმინისტრაციული შენობის და შადრევნის მოწყობაზე; ხდება არსებულ საჰაერო და მიწისქვეშა სისტემების

სრულად განახლება და საბოლოოდ ყველა ეს სისტემა (ელექტროობა, ინტერნეტი, გაზი) განთავსდება მიწის ქვეშ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა ვერის ბაღის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ვერის ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების ხელშეკრულების დადების პროცედურა და დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - სატენდერო პროცედურებისა და შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზის დასკვნების გაჭიანურება.

03 04 03 ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა განსაზღვრულია 10,000.0 ათასი ლარით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის და მოსახლეობის დასვენების პირობების გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ხარჯები არ გაწეულა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა ვაკის პარკში შადრევნების და კასკადის საექსპერტო დოკუმენტაციის მომზადება

დაგეგმილი მაჩვენებელი - განხორციელდება ვაკის პარკში შადრევნების კასკადის დამატებითი კვლევითი სამუშაოები, მომზადდება პროექტი და ხელშეკრულების დადების პროცედურის დასრულების შემდეგ დაიწყება სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - სატენდერო პროცედურების, ვაკის პარკის შადრევნების კასკადის დამატებით კვლევით სამუშაოებზე ექსპერტიზის დასკვნებისა და შესაბამისად, პროექტის მომზადების პროცედურების გაჭიანურება, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა

- **ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**



ათასი ლარი



	ბიზნესის სტიმულირება	თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა	თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში	ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია	თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები	მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა	ქალაქთმმენებლობითი დოკუმენტების შემუშავება
2022 წლის ფაქტი	1,264.7	14,718.9	11.8	0.0	43.4	25.8	55.0
2023 წლის ფაქტი	1,417.2	626.4	297.1	29.4	12.9	25.8	0.0
2024 წლის ფაქტი	994.3	491.2	225.1	50.0	24.2	25.8	0.0



04 01 ბიზნესის სტიმულირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 1,416.0 ათასი ლარი, დაფინანდა - 994.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 70.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა, თბილისის ეკონომიკური პოტენციალის წარმოჩენა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მოეწყო გამოფენა-გაყიდვა "თბილისური საშობაო ბაზარი", ხოლო მიმდინარეობს სოციალურ საწარმოთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა, თბილისის მერიის თანადაფინანსებით ჩატარდა: გასტრონომიული ღონისძიება „გაუსინჯე თბილისს გემო/Taste Tbilisi', სადაც მონაწილეობა მიიღეს დამწყებმა და უკვე არსებულმა 48 კვების ობიექტმა; სოციალურ საწარმოთა ალიანსი მთელი წლის განმავლობაში აწყობდა „სოციალურ საწარმოთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვებს" (2024 წელს ჩაეშვა www.eski.ge, რომელმაც კიდევ უფრო მეტად უნდა გაზარდოს ცნობადობა სოციალური საწარმოების შესახებ), საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანების ორგანიზებით გაიმართა შემეცნებითი ღონისძიება ორდღიანი თაფლის ფესტივალი (ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 25-მა თაფლისა და ფუტკრის სხვადასხვა პროდუქტების მწარმოებელმა კომპანიამ); ა(ა)იპ „მეწარმე ქალთა ასოციაცია -„ავე"-ს ორგანიზებით, მეწარმე ქალთა პროდუქციის პოპულარიზაციისა და რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით გაიმართა გამოფენა-გაყიდვა და ქართველი დიზაინერების კოლექციების მოდის ჩვენება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 20-მა მეწარმე ქალბატონმა; ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის, ქართველი ოსტატებისა და მეიარაღეების ხელშეწყობის, ასევე სფეროს პოპულარიზაციის მიზნით, ა(ა)იპ „საქართველოს დანების მწარმოებელთა და კოლექციონერთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებული „KNIFE SHOW თბილისი 2024" (დანების გამოფენა-გაყიდვა) გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღო აღნიშნულ სფეროში მოღვაწე 46-მა მეწარმემ; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-14 საერთაშორისო ფორუმი სახელწოდებით „ჯანსაღი ქალაქი" - მწვანე, ეკოლოგიურად სუფთა გარემო, მოქნილი და მდგრადი ურბანული განვითარება", ფორუმმა უმასპინძლა ადგილობრივი და საერთაშორისო დონის სპიკერებს, სხვადასხვა დარგის ექსპერტებს, დიპლომატიური კორპუსის, ადგილობრივი და საერთაშორისო

ორგანიზაციების, ბიზნეს სექტორის, მუნიციპალიტეტებისა და აკადემიური წრეების 700-მდე წარმომადგენელს (ფორუმის ფარგლებში გაიმართა 21 პანელური სესია). ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 16.8 ათასი ლარი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საგრანტო პროექტის „ევროკავშირის გარე მოქმედებები“ 2018-2022 წლების ფინანსური და საქმიანობის ანგარიშების აუდიტორიული შემოწმების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2018 წლიდან ადგილობრივი ბიზნესმენების ხელშეწყობისა და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, პერმანენტულად ტარდება ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისთვის ფესტივალები და ფორუმები, გამოფენა-გაყიდვები, რომელშიც მონაწილე ქალი ბიზნესმენების წილი მუდმივად იზრდება (2023 წლის ფაქტი - გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა 22-ჯერ, სადაც მონაწილეთა ნახევარს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ).

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში დაახლოებით 6-ჯერ ჩატარებული გამოფენა-გაყიდვა, ქალების ჩართულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების პროცესში.

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში გამოფენა-გაყიდვები ჩატარდა 30-ჯერ, სადაც მონაწილეთა ნახევარს ქალი მეწარმეები წარმოადგენენ.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2007 წლიდან თბილისის მერია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების საერთაშორისო ფორუმის ჩატარებას, სადაც მონაწილეობას იღებენ და გამოცდილებას გვიზიარებენ საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები/მომხსენებლები, ღონისძიება იმართება წელიწადში ერთხელ და ეთმობა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა აქტუალურ თემას (მათ შორის 2023 წელს ფორუმი ჩატარდა წარმატებით, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე ამაღლდა თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობა და მნიშვნელობა (ურბანული განვითარების მიმართულებით)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ფორუმის წარმატებით ჩატარება, საერთაშორისო და ადგილობრივ დონეზე თბილისის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ცნობადობის და მნიშვნელობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - გამოფენა-გაყიდვის - "თბილისური საშობაო ბაზარი" ფარგლებში დაგეგმილი მასშტაბური ღონისძიებები ვერ განხორციელდა, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა.

04 03 თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 27.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 24.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა (მოსახლეობა, პოტენციური ინვესტორი და ტურისტი) თბილისის ეკონომიკის, ტურისტული და საინვესტიციო პოტენციალის შესახებ, თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა „უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები, ავტოსადგომები) საბაზრო ღირებულების“ კვლევა; დაიბეჭდა თბილისის შესახებ საპრომოციო მასალები (საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“ (500 ცალი), „თბილისის ტურისტული რუკა“ (10500 ცალი) და 600 ცალი „ბრენდირებული ბლოკნოტი); შეძენილი იქნა 600 ცალი „ბრენდირებული ჩანთა; თბილისის მერია მონაწილეობდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (ECE/HBP/2022/Inf) სესიაზე განხილული ქალაქ თბილისის პროფილის (Smart Sustainable Cities Profile: Tbilisi, Georgia) შესაბამისად და გაცემული რეკომენდაციების თანახმად სხვადასხვა სტრუქტურიდან KPI ინდიკატორებისთვის ინფორმაციის შეგროვების სამუშაო შეხვედრებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების მომზადება და მათი მიწოდება დაინტერესებულ პირთათვის (2023 წლის ფაქტი - დაიბეჭდა 500 ცალი საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“, 10 ცალი თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური რუკა, 6000 ცალი ტურისტული პანორამული რუკა და მიეწოდა დაინტერესებულ პირებს).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არსებული ბაზის შენარჩუნება და განახლება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაიბეჭდა 500 ცალი საინფორმაციო კატალოგი „თბილისი ციფრებში“, 10500 ცალი ტურისტული რუკა, 600 ცალი ბრენდირებული ბლოკნოტი, 600 ცალი „ბრენდირებული ჩანთა და მიეწოდა დაინტერესებულ პირებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სამსახურის მიერ მუდმივად ხორციელდება შეხვედრები ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლებთან და ეკონომიკური განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის გაცვლა ეკონომიკის განვითარების მიმართულებებისა და შესაძლებლობების შესახებ.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2021 და 2023 წწ-ში განხორციელდა “საცხოვრებელი და კომერციული უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების“კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები და ავტოსადგომები) საბაზრო ღირებულების კვლევა.

მიღწეული მაჩვენებელი - უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები და ავტოსადგომები) საბაზრო ღირებულების კვლევის გამოყენება ხდება დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებული საინვესტიციო პროექტების ფინანსური მოდელების შემუშავების პროცესში.

04 04 თბილისი – საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 225.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის წევრობა სხვადასხვა საერთაშორისო ასოციაციებში, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ფინეთის რესპუბლიკაში (ქ. ჰელსინკი) გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „MATKA 2024", ესპანეთის სამეფოში (ქ. მადრიდი) გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „FITUR 2024", შვეიცარიის კონფედერაციაში (ქ. ჟენევა) UNECE-ის 2024 წლის მდგრადი განვითარების რეგიონალურ ფორუმზე და სერბეთის რესპუბლიკაში (ქალაქი ნიში) „2024 წლის მეორე ეროვნულ ურბანულ ფორუმზე", ჩეხეთის რესპუბლიკაში (ქალაქი ბრნო) „ჯანსაღი ქალაქების ქსელის სხდომაზე", ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (ქალაქი შანხაი) „2024 წლის საერთაშორისო თანამშრომლობის მენეჯმენტის პროგრამის" ფარგლებში დაგეგმილ თემატურ სემინარებსა და საქმიან შეხვედრებში, შვეიცარიის კონფედერაციაში (ქალაქი ჟენევა) მდგრადი განვითარების ფორუმზე და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში (ქ. კაირო) გამართულ მსოფლიო ურბანული ფორუმის მე-12 სესიაში (WUF 12). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორგანიზებით და თბილისის მერიის თანამონაწილეობით ჩატარდა „ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესის ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტიის წევრი სახელმწიფოების მიერ ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის კომიტეტის სხდომა". ამასთან, გაწეულია Delice Network-ში გაწევრიანების საწევრო გადასახადის, ქ.ჰელსინკსა და ქ.მადრიდში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში თანამონაწილეობის ხარჯები (სსიპ-საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2021 წლისათვის თბილისი არის Delice Network საერთაშორისო ასოციაციების წევრი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საგრანტო და თანადაფინანსებული პროექტების ხელმისაწვდომობა.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრებში, გაეცნო ინოვაციური პროექტებს, დაიგეგმა მათი სამომავლო პერსპექტივაში განხილვა და პრაქტიკაში დანერგვა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო ღონისძიებაში, სადაც წარდგენილი იქნა თბილისის ენერგო-ეფექტური, ეკონომიკური, ურბანული და ტრანსპორტის განვითარების, ჭკვიანი და მდგრადი ქალაქების ხელშეწყობის და ტურიზმის მიმართულებით პროექტები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ 5 საინვესტიციო პაკეტის გაცნობა საერთაშორისო ბაზრისთვის.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო ღონისძიებაში, სადაც წარდგენილი იქნა თბილისის ენერგო-ეფექტური, ეკონომიკური, ურბანული და ტრანსპორტის განვითარების, ჭკვიანი და მდგრადი ქალაქების ხელშეწყობის და ტურიზმის მიმართულებით პროექტები.

04 07 მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა დაფინანსებულია 25.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 100%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

04 07 05 საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საფინანსო საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 25.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სისტემის გამართული ფუნქციონირება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გადახდილია ა(ა)იპ საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის საწევრო გადასახადი და გაწეულია საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის 2024 წლის განმავლობაში გაგრძელების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ხორციელდება ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების, სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის (ESBA) გაგრძელება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროგრამის გამართული ფუნქციონირება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - შემუშავებულია IPSAS სტანდარტებზე გადასვლასთან დაკავშირებით მერიის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის ინსტრუქცია, საჭიროა არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ინსტრუქციასთან შესაბამისობაში მოყვანა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების შიდა სააღრიცხვო პოლიტიკის დახვეწა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

04 08 თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 540.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 491.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 90.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დედაქალაქში ეკო-ტურიზმის განვითარების მიმართულებით ახალი ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები და სხვა) შექმნა; საერთაშორისო მიზნობრივ ბაზრებზე თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება, ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური სემინარების, ვორქშოფების და ტრეინინგების ჩატარება, ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება/ თანაორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის თანაორგანიზებით ჩატარდა: გიდების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება "გიდები გიდებისათვის" და საზეიმო შეხვედრა; Welcome to Georgia-

ტურიზმის ეროვნული დაჯილდოების" ღონისძიება; თბილისის გასტრო კვირეულის "Tbilisi Gastro Week" ღონისძიება (2-ჯერ) და ყავის საერთაშორისო ფესტივალი "Tbilisi Coffee Festival"; პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კულტურული ტურიზმის გიდებისათვის სემინარები. ასევე, სემინარი „გზა ევროპისკენ“; თბილისის მერიის ორგანიზებით ჩატარდა სპორტული აქტიური ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია "SportWay Tbilisi"; თბილისში, ტურისტული აქტივობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სათავგადასავლო ეკო მარშრუტზე მოეწყო ველო და საფეხმავლო ინფრასტრუქტურა და განხორციელდა მონიშვნის (მარკირება) სამუშაოები, ხოლო თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ქ. ბერლინი) გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში - “ITB 2024”, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (ქალაქი შანხაი) გამართულ ტურისტულ გამოფენაში “ITB Shanghai 2024” და საუდის არაბეთში (ქალაქი ერ-რიადი) გამართულ ტურისტულ გამოფენაში “Riyadh Travel Fair 2024”; ამასთან, გაწეულია „ევროპის ქალაქების მარკეტინგის“ და „მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ასოციაციის“ საწევრო გადასახადი, საერთაშორისო ტურისტული გამოფენებისთვის თბილისიდან - ქ. ბერლინში, თბილისიდან ქ. შანხაიში და თბილისიდან ქ. ერ-რიადიში ტურისტული მასალების გადაზიდვის, ხოლო შანხაიში, ერ-რიადში და ბერლინში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში თანამონაწილეობის ხარჯები (სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად); შეიქმნა აუგმენტური რეალობის აპლიკაციის სადემონსტრაციო ვერსია; გამომცემლობა Wanderlust Publikacions LTD-ის ჟურნალსა და ვებ-გვერდზე განთავსდა თბილისის შესახებ სარეკლამო ინფორმაცია; თბილისის მიმზიდველობის თემაზე შეიქმნა საინფორმაციო ხასიათის აუგმენტური რეალობის მქონე 2 ვიდეო რგოლი. ვიდეო რგოლები წარმოადგენს AR აპლიკაციის სადემონსტრაციო ვერსიას; კერძო სექტორის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 5 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა ტურიზმის ინდუსტრიის 150-მდე წარმომადგენელი; დედაქალაქში ეკო ტურისტული აქტივობებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით კუს

ტბის და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა ველო და საფეხმავლო ბილიკების მონიშვნა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს კერძო სექტორის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 6 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის 150-მდე წარმომადგენელი, ხოლო გასტრო კვირეულის ფარგლებში მსოფლიო დონის შეფ-მზარეულების მიერ მასტერკლასები ჩაუტარდათ კულინარიული ხელოვნების მოყვარულებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება არანაკლებ 5 თემატური ტრენინგი

მიღწეული მაჩვენებელი - კერძო სექტორის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ჩატარდა 5 სემინარი/ტრენინგი. გადამზადდა ტურიზმის ინდუსტრიის 150-მდე წარმომადგენელი, ხოლო გასტრო კვირეულის ფარგლებში მსოფლიო დონის შეფ-მზარეულების მიერ მასტერკლასები ჩაუტარდათ კულინარიული ხელოვნების მოყვარულებს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ ღონისძიებაში, დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე კომპანიებსა და პოტენციურ ვიზიტორებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თბილისის მერიის მიერ არანაკლებ 3 საერთაშორისო და 3 ადგილობრივ ღონისძიებაში მონაწილეობა (ორგანიზება/ თანაორგანიზება).

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო და ერთ ადგილობრივ ღონისძიებაში, დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის შესახებ ინფორმაცია მიეწოდა საერთაშორისო გამოფენებში მონაწილე კომპანიებსა და პოტენციურ ვიზიტორებს.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს საინფორმაციო გაცნობითი ტურის ფარგლებში თბილისს ეწვია 10-მდე საერთასორისო ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი სკანდინავიის ქვეყნებიდან და დიდი ბრიტანეთიდან. გაიმართა B2B შეხვედრები 20-

მდე ადგილობრივ ტურისტულ კომპანიასთან, რომლებსაც მიეწოდათ ინფორმაცია თბილისის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 8-მდე ვიზიტის ორგანიზება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი ვერ შესრულდა, რამდენადაც ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების ვიზიტები ვერ განხორციელდა.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს კუს ტბის ტერიტორიაზე მოეწყო სხვადასხვა კატეგორიის (მარტივი, საშუალო და რთული) ველო და საფეხმავლო ტურისტული ბილიკი, სადაც განთავსდა ორენოვანი ნიშნულები და შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შეიქმნება არანაკლებ 3 საკემპინგე ადგილი, რომელთა კონკრეტული ლოკაციები გამოიკვეთება შესწავლის შემდეგ.

მიღწეული მაჩვენებელი - კუს ტბის და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდა ველო და საფეხმავლო ბილიკები, განხორციელდა მათი მონიშვნა და მოეწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

5. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წლისათვის თბილისი არის საერთაშორისო ორგანიზაციების: ECM, EBD, WTCF, Nordic Tourism წევრი, ხოლო თბილისის შესახებ სარეკლამო/საინფორმაციო ციფრული და ბეჭდური სტატიები განთავსდა საერთაშორისო გამომცემლობებში: Wanderlust Publications და National Geographic Traveller

დაგეგმილი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციების თანადგომით თბილისის შესახებ ცნობადობის ამაღლება.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის შესახებ სარეკლამო/საინფორმაციო ციფრული და ბეჭდური სტატიები განთავსდა საერთაშორისო გამომცემლობაში: Wanderlust Publications

04 09 ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 50.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ქალაქის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის გაზრდა და დაინტერესებული ბიზნეს ასოციაციების წარმომადგენლების ინფორმირებულობა, შემუშავებული მხარდაჭერის პროგრამები იდენტიფიცირებული პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდასაჭერად, შერეული ახალი სექტორების და პრიორიტეტული მიმართულებების გამოსავლენად.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის თანამონაწილეობით და „ანგელოზ ინვესტორთა ქსელის“ ორგანიზებით ჩატარდა საინვესტიციო ღონისძიება „Startup Sprint: Axel,s Monthly Innovation meeting” (ღონისძიებას დაესწრო ინვესტორთა ქსელის 90-მდე წევრი, პარტნიორი და პოტენციური წევრები, დაინტერესებული პირები, მოწვეული სტუმრები გერმანიიდან, რომლებმაც წარადგინეს პრეზენტაციები თავიანთი საქმიანობების და გამოცდილებების შესახებ. ასევე, ორმა ტექნოლოგიურმა სტარტაპმა SAIT APP და Osmos ინვესტორების მოზიდვის მიზნით, წარადგინეს პრეზენტაციები), "საინვესტიციო ეკოსისტემის კონფერენცია" (მონაწილეობა მიიღო ანგელოზ ინვესტორთა ქსელებმა, ვენჩურული კაპიტალის ფონდებმა, მეწარმეებმა, ტექნოლოგიებითა და ინოვაციებით დაინტერესებულმა პირებმა. ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივი ბიზნესისათვის დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნა ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესებით, ინვესტიციების მოზიდვა და ზოგადი განათლების ზრდა ინვესტიციების მიმართულებით. პროექტის ზოგადი მიზანი კი საქართველოს რეგიონალურ ჰაბად პოზიციონირებაა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით) და „უძრავი ქონების საერთაშორისო კვირეული“ (კვირეულმა გააერთიანა სამი მასშტაბური ღონისძიება: მშენებლობისა და ინტერიერის საერთაშორისო გამოფენა “Caucasus Build”, საქართველოს უძრავი ქონების გამოფენა, რომელმაც მიმდინარე კომერციულ, საცხოვრებელ თუ საოფისე პროექტებს ერთ სივრცეში მოუყარა თავი, უძრავი ქონების ფორუმი, რომლის ფარგლებშიც 100-მდე საერთაშორისო საბროკერო კომპანია ეწვია საქართველოს. საქართველომ, როგორც

საინვესტიციო ქვეყანამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და პოლონეთი, მიმდინარე წელს გაფართოვდა ქვეყნების ჩამონათვალი, რომელთა საბროკერო კომპანიებმა ინტერესი გამოთქვეს საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაცნობის შესახებ. ესენია: ჩინეთი, თურქეთი, არაბული ქვეყნები, ესპანეთი, პორტუგალია და ისრაელი. კვირეულის ფარგლებში პოტენციურ ინვესტორებსა და საბროკერო კომპანიებს მიაწოდეს ინფორმაცია საქართველოს საინვესტიციო გარემოსა და სამართლებრივი პროცედურების შესახებ, ასევე, წარედგინათ საინვესტიციო პროექტები როგორც კერძო სექტორის, ასევე სახელმწიფოს მხრიდან).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან; 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან დაუმთავრებელი და ავარიული შენობების მიმართულებით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან; 3 შეხვედრა სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციასთან; 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან.

მიღწეული მაჩვენებელი - მოეწყო 10-ზე მეტი ინდივიდუალური შეხვედრა პოტენციურ ინვესტორთან; 3 სექტორული შეხვედრა კომპანიის წარმომადგენლებთან დაუმთავრებელი და ავარიული შენობების მიმართულებით.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ანგელოზ ინვესტორთა ორგანიზებით ჩატარებულ 2 საინვესტიციო ღონისძიებაში, სადაც ჯამში 4-მა სტარტაპმა მოახერხა ინვესტორთა მოზიდვა და განხორციელდა 130000 აშშ დოლარზე მეტი ინვესტიცია.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნება მიღებული 5-ზე მეტ საერთაშორისო ბიზნეს ფორუმში.

მიღწეული მაჩვენებელი - თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო ანგელოზ ინვესტორთა ორგანიზებით ჩატარებულ 2 საინვესტიციო ღონისძიებაში და უძრავი ქონების კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ 3 მასშტაბურ ღონისძიებაში.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის ჩატარების შემდგომ 5 პრიორიტეტული სექტორი იდენტიფიცირებულია; შემუშავებულია 5 პროგრამა პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - გამოვლენილი 5 ახალი სექტორი; 5 პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად შემუშავებული მინიმუმ 2 პროგრამა.

მიღწეული მაჩვენებელი - ახალი სექტორები არ გამოვლენილა; პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად პროგრამა არ შემუშავებულა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალი სექტორები გამოვლინდება „საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის“ ჩატარების შემდგომ; 5 პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორის მხარდასაჭერად პროგრამების შემუშავება განხორციელდება სექტორების გამოვლენის შემდგომ.

❖ **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**



ათასი ლარი



05 01 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 50,648.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 51,083.8 ათასი ლარის 99.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:



05 01 08 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 5,984.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,980.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.94%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის სახურავის (66707.1კვ.მ) შეკეთების სამუშაოები (90 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (7175 გრძ.მ შეკეთება 54 მისამართი), შიდა და გარე წყალკანალიზაციის ქსელის შეკეთება (33 მისამართი), ლიფტის მოწყობის სამუშაოები (44 მისამართი), პანელოვანი შენობების სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია შეკეთების სამუშაოები (5 მისამართი), საერთო სარგებლობის ხის, ქვისა და ლითონის კიბეების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (15 მისამართი), დამონტაჟდა ლითონის კარი (97 ცალი), განხორციელდა სადარბაზოს შესავლელის გადახურვის სამუშაოები (13 მისამართზე). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 221 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 241 განცხადება.

05 01 09 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4,544.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,522.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: ბრტყელი და ქანობიანი (113 სადარბაზო, 34197 კვ.მ) სახურავების შეკეთების სამუშაოები; წყალსაწრეტი მილების (91 სადარბაზო, 6018 გრძ.მ) შეკეთების სამუშაოები; შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის (80 სადარბაზო, 7563 გრძ.მ) სამუშაოები, ლიფტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები (34 სადარბაზო), ლიფტების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები (9 სადარბაზო), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (2 მისამართი); სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები (14 სადარბაზო). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 809 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 214 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 721 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 192 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - არ განხორციელდა განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანი.

05 01 10 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 3,559.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში შიდა წყალ-კანალიზაციის ქსელების (27 მისამართი) შეკეთება, შენობის ქანობიანი სახურავის შეცვლა – შეკეთება (20 მისამართი), შენობის ბრტყელი სახურავის შეცვლა – შეკეთება (13 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (22 მისამართი) შეცვლა-შეკეთება, სადარბაზოს კიბეების მიმდინარე შეკეთება (4 მისამართი), სადარბაზოს კარების (ჭიშკარი) მონტაჟი (20 მისამართი), ლიფტის აღდგენა-შეკეთება (37 მისამართი), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კაპირალური გამაგრება-გაძლიერება (5 მისამართი), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულშუა ნაპრალების მიმდინარე შეკეთება (3 მისამართი), ასევე, გაწეულია საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისა და დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 170 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და

განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა 155 განცხადება.

05 01 11 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4,658.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,600.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი სახურავისა (13900 კვ.მ - 42 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების შეკეთებითი სამუშაოები (21 მისამართი - 980 გრძ.მ), საცხოვრებელი კორპუსის კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები (22 მისამართი), საერთო საგებლობის კიბეების (9 მისამართი) და აივნების (10 მისამართი) მიმდინარე შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (27 მისამართი - 11563 გრძ.მ), საერთო სარგებლობის სადარბაზოს ჭიშკრის (კარის) მიმდინარე შეკეთება (15 მისამართი), სადარბაზოს შიდა რემონტი (8 მისამართი), ლიფტების მიმდინარე შეკეთების (10 მისამართი) სამუშაოები, ასევე, გაწეულია კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სრული ექსპერტიზის მომსახურების და აღდგენა-შეკეთების სამუშაოებისათვის საჭირო დეფექტური აქტებისა და შესაბამისი ესკიზური ნახაზების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 600-მდე განცხადებიდან დაკმაყოფილდა 117 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 643-მდე განცხადებიდან დაკმაყოფილდა 147 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის არ განხორციელება. ასევე, დაკმაყოფილდა იმ ამხანაგობების განცხადებები, რომელთა საერთო სარგებლობის ქონება უფრო მძიმე, სავალალო და ავარიულ მდგომარეობაში იყო.

05 01 12 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 6,300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,299.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (22610 კვ.მ - 38 მისამართი) და წყალსაწრეტი მილების (4101 გრძ.მ - 31 მისამართი) შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (20 მისამართი), ლიფტების შეკეთება (79 მისამართი), სადარბაზოს შიდა რემონტი (24 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების შეკეთება (12 მისამართი). ასევე, გაწეულია ლიფტების დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 966 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 189 განცხადება, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და

განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 1129 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 203 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

05 01 13 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 6,460.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 6,413.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ბრტყელი/ქანობიანი სახურავისა (29237 კვ.მ - 48 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (13 მისამართი) შეკეთება, ლიფტების შეკეთების (91 მისამართი) სამუშაოები, საერთო სარგებლობის კარებების (33 მისამართი) და კიბეების (8 მისამართი) შეკეთება, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (25 მისამართი) და პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (3 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის ხარჯები.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 589 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 148 განაცხადი, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 626 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 221 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით. ასევე, წყალკანალიზაციის მიმართულებით სამუშაოები ხორციელდებოდა მხოლოდ დატბორილ სარდაფებში.

05 01 14 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 6,668.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,562.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავის (44352.2 კვ.მ) და წყალსაწრეტი მილების (8133 გრძ.მ) შეკეთება (65 მისამართი), შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (24 მისამართი -4580.5 კვ.მ), ლიფტების მიმდინარე შეკეთების (50 მისამართზე - 63 ლიფტი) სამუშაოები, სენსორული განათების მონტაჟი (7 მისამართი - 318 წერტილი), საერთო სარგებლობის სადარბაზოს კარების დამზადება-მონტაჟი (33 მისამართი) და კიბეების (13 მისამართი) აღდგენა/შეკეთება, სადარბაზოს შიდა რემონტი და თაღების მიმდინარე შეკეთება (27 მისამართი), პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (1 მისამართი), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (2 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების შედგენის, საექსპერტო მომზადების ხარჯები და დაფარულია 2023 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% - 26.6 ათასი ლარი.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 325 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 303 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 315 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 298 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა პირობებს.

05 01 15 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 5,541.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,437.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: შენობის ქანობიანი და ბრტყელი სახურავების შეკეთება (71 მისამართი), შიდა წყალ-კანალიზაციის გაყვანილობა (25 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (53 მისამართი) და სართულშუა ნაპრალების (10 მისამართი) რეაბილიტაცია, ლიფტების შეკეთება-აღდგენა (40 ლიფტი), სადარბაზოს კარებების მონტაჟის სამუშაოები (36 მისამართი), შესასვლელის გადახურვის სამუშაოები (12 მისამართი), სადარბაზოს კიბეების მიმდინარე შეკეთება (12 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების მომზადების ხარჯები. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 114.2 ათასი ლარი, 2024 წლის

17 ივლისს, ძლიერი ხანძრის შედეგად, წმინდა ბარბარეს უბანი N198-ში მდებარე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო საკუთრებაში არსებული, კორპუსის დაზიანებული სახურავის აღსადგენად.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 864 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 271 განცხადება ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - შესაძლებლობის ფარგლებში შემოსული განცხადებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 670 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 259 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილების შენატანის განუხორციელებლობით

05 01 16 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4,067.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,977.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლების ქანობიანი/ბრტელი სახურავის (წყალსაწრეტ მილებთან ერთად - 22363,9 კვ.მ - 61 მისამართი), ლიფტების (15 მისამართი) შეკეთების სამუშაოები, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთება (31 მისამართი), საერთო სარგებლობის ჭიშკრის და კარების (19 მისამართი) მოწყობა, პანელოვან შენობებში სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაცია (7 მისამართი), სადარბაზოს (თაღების) რემონტი (9 მისამართი), საერთო სარგებლობის კიბეების და აივნების შეკეთება (24 მისამართი), სენსორული სანათების მონტაჟი (11 მისამართი), ამასთან, გაწეულია დეფექტური აქტების, ექსპერტიზის შედგენის ხარჯები და დაფარულია 2023 წლის შესრულებული სამუშაოებიდან ხარისხის გარანტის მიზნით დაკავებული 2.5% - 6.5 ათასი ლარი.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 248 განცხადებიდან დაკმაყოფილდა 145 განაცხადი ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 339 განცხადებიდან, დაკმაყოფილდა 192 განცხადება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შემოსული განცხადებების ნაწილობრივ დაკმაყოფილება განპირობებულია განმცხადებლების მიერ სავალდებულო თანამონაწილეობის შენატანის განუხორციელებლობით.

05 01 17 ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 3,301.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,294.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და კომუნალური პირობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: საცხოვრებელი სახლის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები ჭონქაძის ქუჩა N8-ში, ამაღლების ქუჩა N1-ში, ვ. კოტეტიშვილის ქუჩა N15-ში, ბესიკის ქუჩა N22-ში (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი), ლითონის კიბის შეკეთების სამუშაოები (7 მისამართი), სადარბაზოსა და ეზოს კარებების მოეწყობის სამუშაოები (8 ცალი), ჭიშკარის მოეწყობის სამუშაოები (3 მისამართი), წყალ-კანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების სამუშაოები (25 მისამართი), სადარბაზოების, თაღების, აივნების, კარებების და კიბეების სარეაბილიტაციო სამუშაოები (47 მისამართი), წყალსაწრეტი მილების (28 მისამართი) და შენობის

ბრტყელი/ქანობიანი სახურავის შეკეთება (32 მისამართი), შენობის კაპიტალური გამაგრების სამუშაოები (4 მისამართი), ლიფტის მოდერნიზაციის სამუშაოები (9 მისამართი), სადარბაზოს სენსორული განათების სამუშაოები (6 მისამართი). ასევე, გაწეულია დეფექტური აქტების მომზადების ხარჯები და სხვა.



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს შემოსული 191 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად, ამხანაგობის საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და პროექტირების განსახორციელებლად.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - შემოსული 145 განცხადება დაკმაყოფილდა სრულად

❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ათასი ლარი



ათასი ლარი



	საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება	სხვა დანარჩენი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	სამედიცინო, სხვა სოციალური საჭიროებების და სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები	კომუნალური სუბსიდირება	უფასო სასადილოებით მომსახურება
2022 წლის ფაქტი	8,746.4	73,244.2	39,820.1	9,510.7	25,934.7
2023 წლის ფაქტი	0.0	75,198.8	39,818.9	9,875.4	25,927.1
2024 წლის ფაქტი	0.0	89,772.0	42,401.1	9,871.5	26,151.9



06 01 ჯანმრთელობის დაცვა დაფინანსებულია 39,239.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 39,358.5 ათასი ლარის 99.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 01 02 დაავადებათა სკრინინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ეროვნული სკრინიგ ცენტრი

2024 წლის გეგმა - 3,322.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,268.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაავადებათა ადრეული გამოვლენის საშუალებით ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატის, კოლორექტული და ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა დაავადებათა ადრეული გამოვლენის მიზნით, თბილისში რეგისტრირებული პირების (მ.შ. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის კომპონენტის ფარგლებში იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში რეგისტრაციის ადგილად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი) შემდეგი სახის სკრინინგული გამოკვლევები: ძუძუს კიბოს სკრინინგი 40-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი 25-60 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში; პროსტატის კიბოს მართვა 50-70 წლის ჩათვლით ასაკის მამაკაცებში; კოლორექტალური კიბოს სკრინინგი 50-70 წლის ჩათვლით

ორივე სქესისათვის; ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვა 25-70 წლის ჩათვლით ასაკის ქალებში. გარდა ამისა, გაწეულია ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ ცენტრის ფილიალის (ალექსიძის ქ. N1-ში მდებარე) შენობა-ნაგებობის სარემონტო - სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები - 42.0 ათასი ლარი და ცენტრის თანამშრომლებზე საახალწლოდ ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით - 171.8 ათასი ლარი.

ცხრილი 1. ანაზღაურებულ შემთხვევათა რაოდენობა კომპონენტების მიხედვით:

თვე	ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა	სულ
2023 წლის დეკემბერი	1 294	946	188	207	619	**3 254**
იანვარი	3 023	3 116	334	425	2 262	**9 160**
თებერვალი	4 090	4 239	632	783	3 157	**12 901**
მარტი	4 417	4 118	537	765	2 959	**12 796**
აპრილი	4 517	4 327	586	790	3 642	**13 862**
მაისი	1 904	2 885	255	382	1 511	**6 937**
ივნისი	5 100	5 176	476	705	3 836	**15 293**
ივლისი	4 964	5 246	405	758	552	**11 925**
აგვისტო	2 126	2 392	254	455	2 139	**7 366**
სექტემბერი	6 008	6 380	661	898	3 317	**17 264**
ოქტომბერი	226	109	39	21	346	**741**
ნოემბერი	8 977	10 497	1 169	1 360	6 055	**28 058**
ჯამი	**46 646**	**49 431**	**5 536**	**7 549**	**30 395**	**139 557**

დანართი N: მომსახურების ანაზღაურება კომპონენტების მიხედვით:

თვე	ძუძუს კიბოს სკრინინგი	საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი	პროსტატის კიბოს მართვა	კოლორექტული კიბოს სკრინინგი	ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მარვა	სულ
2023 წლის დეკემბერი (10-31)	26 331	9 921	1 692	2 199	13 241	**53 384**
იანვარი	75 357	39 880	3 275	6 339	48 052	**172 903**
თებერვალი	118 123	58 025	6 318	10 621	67 031	**260 118**
მარტი	125 474	56 815	5 368	10 390	62 208	**260 255**
აპრილი	128 165	59 633	5 860	10 879	77 618	**282 155**
მაისი	58 046	64 001	2 550	5 393	32 195	**162 185**
ივნისი	147 992	111 620	4 760	7 869	82 280	**354 521**
ივლისი	143 034	118 765	4 050	9 040	13 017	**287 906**
აგვისტო	61 019	53 261	2 540	5 921	43 259	**166 000**
სექტემბერი	176 139	135 440	6 610	10 940	69 475	**398 604**
ოქტომბერი	5 286	1 215	390	357	7 061	**14 309**
ნოემბერი	258 623	230 896	11 690	16 167	125 098	**642 474**
ჯამი	**1 323 589**	**939 472**	**55 103**	**96 115**	**640 535**	**3 054 814**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 149432 კვლევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 166157 კვლევის ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 139557 კვლევა.

06 01 03 გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქ.თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრი“

2024 წლის გეგმა - 756.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 737.5 ათასი ლარით (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 444.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და დაავადებათა ჰოსპიტალური შემთხვევების შემცირება; ჩატარებული აცრების ორგანიზება-ხელშეწყობა სხვადასხვა ასაკში, სხვადასხვა ვაქცინით და შედეგად შემცირებული მართვადი ინფექციური დაავადებები; ინფექციური დაავადებების გავრცელების მინიმიზაცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 41.5 ათასი ლარი). ასევე, ეპიდემიოლოგიურ კონტროლთან დაკავშირებული სხვადასხვა ღონისძიებები: გადამდებ დაავადებათა (მ.შ. ინფექციური და პარაზიტული) აქტიური და პასიური ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ხოლო აღმოცენების შემთხვევაში მათი დროული გამოვლენა, იდენტიფიკაცია, ეპიდემიოლოგიური შესწავლა; ინფექციების გავრცელების შეზღუდვების ღონისძიებების განხორციელება; დაავადებულთან კონტაქტში მყოფი რისკის ჯგუფის კონტიგენტის გამოვლენა და მათი პრევენციულ მკურნალობაში, შესაბამისი ლაბორატორიული ტესტირება, საჭიროების შემთხვევაში დეზინფექცია - დეზინსექცია; იმუნიზაციის განხორციელების ხელშეწყობა; სამედიცინო საგანმანათლებლო საქმიანობა,

გადამდებ დაავადებათა შესახებ საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზის შექმნა, დაავადებათა მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზირება და შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისათვის, რეკომენდაციების მიცემა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის დედაქალაქის მაშტაბით.

გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2024 წლის იანვარ - დეკემბრის აქტიური/პასიური ეპიდზედამხედველობის ფარგლებში აღირიცხა ცხრილი N1-ში მითითებული ნოზოლოგიები:

ცხრილი N1:

ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა	ნოზოლოგიის დასახელება	შემთხვევათა რაოდენობა
მწვავედუნედამბლამწვავეპოლიომ იელიტი/ გიენ-ბარეს სინდრომი	0	მალარია	0
ქოლერა	0	მუცლის ტიფი	0
დიფთერია	0	ტეტანუსი	0
წითელა	134	ლეიშმანიოზი	2
წითურა	0	ექინოკოკოზი	64
ყივანახველა	834	ფასციოლოზი	10
ყბაყურა	6	ამებიაზი	4
ტუბერკულოზი	229	ტრიქინელოზი	1
ბაქტ.მენინგიტი	40	სიფილისი	577
ტუბ.მენინგიტი	7	თანდაყოლილი სიფილისი	0
მენინგიტი გამოწვეული hemophilusinfluenzaB	0	სიფილისი ორსულებში	38
ვირ.მენინგიტი	4	გონორეა	167
მენინგოკოკცემია	1	ქლამიდიოზი	308
N. meningitides-ით გამოწვეული მენინგიტი	1	საშარდე გზების ნოზოკომიური ინფექცია	384
Streptococcus pneumonae –თ გამოწვეული მენინგიტი	0	ნოზოკომიური პნევმონია	1 029
Streptococcus pneumonae –თ გამოწვეული ინფექცია	0	ნოზოკომიური ბაქტერიემია, სეფსისი	379
ენტეროჰემორაგიული ეშერიხიოზი	126	ქირურგიული ჩარევის მიდამოს ინფექცია	215
სალმონელოზი	187	15-49 წ.ქალთასიკვდ.	21
შიგელოზი	3	0-5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილი	15
ბოტულიზმი	1	სხვა ვირუსული ჰეპატიტები	6
სავ.ინფ.წარ.დიარეა	3458	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი A	9
სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა	667	მწვავე ვირუსული ჰეპატიტი B	32
სოკოთი მოშხამვა	9	ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B	1062
ჯილეხი	2	ჰეპატიტი C	345

ბრუცელოზი	26	მწვავე ჰეპატიტი E	0
აივ –შიდსზე ტესტირებული	85 412	სავარაუდო ვირუსული ჰემორაგიული ცხელებები	0
მ. შ. აივ– შიდსზე ტესტირებული ორსულები	6 726	ყირიმ–კონგოს ჰემორაგიული ცხელება	0
ლაიმის დაავადება	161	ჰანტავირუსით გამოწვეული ინფექცია	8
ტულარემია	2	დენგეს ცხელება	0
ჩუტყვავილა	2 578	Q ცხელება	12
ქუნთრუშა	1 102	ლეპტოსპიროზი	141
ცოფის რისკის მქონე ექსპოზიცია	22 337	აცრისშემდგომი უჩვეულო რეაქციები და გართულებები	3
შხამიანი ქვეწარმავლის ნაკბენი	2	პოქსვირუსებით გამოწვ. დაავადება	1
ცოფი	0	ყვავილი	0
სხივური დაზიანება	0	ყვითელი ცხელება	0

მიმდინარე პერიოდში დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპისმსგავსი დაავადებების ამბულატორიული ვიზიტების 1 469 425 შემთხვევა, მ.შ. მწვავე რესპირატორული ინფექცია (ILI) – 123 356; ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობა სულ 102 556, (მ.შ. მწვავე რესპირატორული ინფექციის ჰოსპიტალური (SARI) – 6 861 შემთხვევა).

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალური ცენტრის მიერ განხორციელდა: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, კერებში - ეპიდკვლევა, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ანგარიშგება დზეი-ისა და ელექტრონული მოდულის მიხედვით და ასევე ვაქცინების მიღება (დკსჯეც-იდან), შენახვა და გაცემა იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე დაწესებულებებში. ასევე, ტარდებოდა ცხოველთა მიერ დაზარალებული მოსახლეობის ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებები, მათთვის საჭირო ანტირაბიული სამედიცინო დახმარებისათვის გამოყოფილი ვაქცინებისა და იმუნოგლობულინის განაწილება ანტირაბიულ კაბინეტებში;

მგბ+ ავადმყოფებთან ეპიდანამნეზით დადგინდა კონტაქტში მყოფი სავარაუდო ინფიცირებული პირები და ცენტრმა განახორციელა მათი მიმართვა ფტიზიატრიულ სამსახურში. ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა ტუბერკულოზით დაავადებულ ეგრეთწოდებულ ინდექს პაციენტებისა და მათთან კონტაქტში მყოფ პირთა ელექტრონული აღრიცხვა-შეტყობინება-შესწავლის

თვალსაზრისით, ონლაინ ფლატფორმის საშუალებით. ასევე, ოფიციალურად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, წარიმართა ტუბერკულიოზით დააავადებულ ყოფილ პატიმრებში ეპიდგამოკვლევა, მკურნალობაზე ცუდი დამყოლისა და რეიზისტენტული შტამით დაავადებულ პაციენტთა ეპიდზედამხედვლეობა;

განხორციელდა ანგარიშგება ვაქცინისა და სხვა სახარჯი მასალის ინვენტარიზაციის შესახებ. ანგარიშგება ხორციელდება დკსჯეც-ში.

წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში მომსახურების მიმწოდებელ ყველა დაწესებულებაში, განაწილდა სახარჯი მასალა სწრაფი ანტიგენ ტესტირებისთვის. ასევე, კორონაანტიგენტესტირებისთვის, შესაბამისი ბრძანებისა და პროტოკოლის მოთხოვნით, მომსახურება შეწყდა 2024 წლის ივლისის თვიდან;

პროტოკოლის მიხედვით საანგარიშო პერიოდში შემოწმდა 413 სილამაზის სალონი, და საჯარიმო ოქმი არ შემდგარა;

იანვრის თვიდან დაიწყო წითელას შემთხვევების მატება, შემთხვევების 80% დაფიქსირდა მაღალ (20-52წ) ასკში. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელმა შეადგინა 70%, მხოლოდ რამოდენიმე ათეული შემთხვევაა 0-2 წლამდე ასაკში. წარმოებდა კერის თითოეული შემთხვევის შესწავლა, კონტაქტების გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში მათი სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვა აცრების ჩასატარებლად. მონიტორინგი ჩატარდა სამედიცინო დაწესებულებებში წითელას საწინააღმდეგო აცრების გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით 5 წლის ასაკში, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო წერილები გაიგზავნა სკოლის რესურს ცენტრებში, განათლების სამინისტროში, საბავშვო ბაღების მართვის სააგენტოში და თავად დაწესებულებებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი იყო 55%.

დაგეგმილი მაჩვენებელი - სამკურნალოდ რეფერირებულთა ხვედრითი წილი 60%.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარდა 103 613 ეპიდ. კვლევა; გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები - 115 755 შემთხვევა; პროფილაქტიკური აცრები - 249 834 ჩხვლეტა/ჩაწვეთება; ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 20 066; გრიპის ვაქცინით აცრილია 55 999 ადამიანი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 128 889 ეპიდ. კვლევა; დარეგისტრირდა გრიპისა და გრიპის მსგავსი დაავადებები - 123 356 შემთხვევა; პროფილაქტიკური აცრები - 234 582 ჩხვლეტა/ჩაწვეთება; ანტირაბიული ვაქცინაცია-ჩხვლეტა - 65 609; გრიპის ვაქცინით აცრილია 57 025 ადამიანი.

3.საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, 2023 წელს მონიტორინგი ჩატარდა 1300 დაწესებულებაში.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ინფექციის გავრცელების პრევენციის მიზნით, მონიტორინგი ჩატარდა 1600 დაწესებულებაში.

06 01 04 სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 2,772.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 2,769.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების საჭიროების მქონე ბენეფიციარებისათვის ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მუხლისა და მენჯ-ბარძაყის ენდოპროთეზირების ოპერაციების დაუფინანსდა 477 ბენეფიციარს.

ცხრილი 1. დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა და გადარიცხული თანხა დაწესებულების მიხედვით:

დაწესებულების დასახელება	მოსარგებლეთა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი	17	99 008,30
სს გერმანული ჰოსპიტალი	12	72 000,00
სს ვიანი - ბოკერია	5	25 850,00

სს ვიანი - კარაპს მედლაინი	77	427 562,00
სს კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი	5	30 000,00
სს ჯერარსი	26	155 375,00
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა	4	24 000,00
შპს ავერსის კლინიკა	4	24 000,00
შპს აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა	11	59 325,00
შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი	8	47 700,00
შპს ალექსანდრე ალადაშვილის სახელობის კლინიკა	8	48 000,00
შპს ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ	19	114 000,00
შპს გადაუდებელი ქირურგიისა და ტრავმატოლოგიის ცენტრი	1	6 000,00
შპს ვივამედი	18	108 000,00
შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა	8	48 000,00
შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო	13	73 451,30
შპს თოდუას კლინიკა	26	153 558,40
შპს ინ ვიტრო განაყოფიერების ცენტრი	1	6 000,00
შპს ინოვა	25	150 000,00
შპს იოანე მოწყალეს სახელობის პრივატ კლინიკა	2	12 000,00
შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი	5	30 000,00
შპს კავკასიის მედიცინის ცენტრი	8	48 000,00
შპს კლინიკა რუსთავი	2	12 000,00
შპს მედ ინვესტმენტი	8	47 850,00
შპს მედი ქლაბ ჯორჯია	18	98 750,20
შპს მრავალპროფილური კლინიკა კონსილიუმ მედულა	5	30 000,00
შპს მცხეთის სამედიცინო ცენტრი	1	6 000,00
შპს ნიუ ჰოსპიტალს	103	600 262,55
შპს პინეო სამედიცინო ეკოსისტემა	16	94 210,00
შპს პირველი სამედიცინო ცენტრი	1	6 000,00
შპს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა იოაკიმე და ანას სახელობის სამედიცინო ცენტრი	1	6 000,00
შპს ქართულ - ჰოლანდიური ჰოსპიტალი	4	24 000,00
შპს ღია გული - საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი	1	6 000,00
შპს წმინდა მიქაელის ჰოსპიტალი	5	30 000,00
შპს ჯეო ჰოსპიტალს	9	46 610,98
სულ:	**477**	**2 769 513,73**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 85 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 439 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 477 ბენეფიციარი.

06 01 05 გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 4,224.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,216.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაფანტული სკლეროზის მქონე პაციენტებისათვის მედიკამენტოზური მკურნალობის და მონიტორინგის კვლევების ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სამკურნალო მედიკამენტები „ოკრელიზუმაბი“ და „ფინგოლიმოდი“, „თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“, „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“. ქვეპროგრამის მოსარგებლეები არიან გაფანტული სკლეროზის (G35) დიაგნოზის მქონე საქართველოს მოქალაქეები: ა) რომელთაც დიაგნოზი დასმული აქვთ მაკდონალდის კრიტერიუმების შესაბამისად და კურცკეს უნარშეზღუდულობის სკალის მიხედვით 0-დან 6 ქულის ჩათვლით მიენიჭათ; ბ) რომელთაც ბოლო 3 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის დროისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში აქვთ რეგისტრაცია, მათ შორის, ის პირები, რომლებსაც აღნიშნული 3 წლის განმავლობაში შეუწყდათ და კვლავ განუახლდათ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია (თუ ამგვარი შეწყვეტის შედეგად, პირი არ დარეგისტრირებულა სხვა მუნიციპალიტეტში); გ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი მქონე მოქალაქეები, რომლებსაც რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით მისამართად უფიქსირდებათ ქალაქი თბილისი.

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით. ბენეფიციარებს მედიკამენტის ღირებულება უფინანსდებათ სრულად (100%-ით) დადგენილი ტარიფების გათვალისწინებით და კვლევების ღირებულებაც უფინანსდებათ სრულად (100%-ით) დადგენილი ტარიფების

გათვალისწინებით („თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“ ფინანსდება 350 ლარით, ხოლო „ხერხემლის და ზურგის ტვინის მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია ქიმიური აგენტის დახმარებით“ - 425 ლარით).

ცხრილი 1: მედიკამენტების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა:

მედიკამენტის დასახელება	**საანგარიშგებო თვე**	**დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა**
ფინგოლიმოდი	დეკემბერი 2023წ	9	49 842
	იანვარი	22	121 836
	თებერვალი	14	77 532
	მარტი	50	276 900
	აპრილი	32	177 216
	მაისი	12	66 456
	ივნისი	33	182 754
	ივლისი	26	143 988
	აგვისტო	30	166 140
	სექტემბერი	0	0
	ოქტომბერი	24	132 912
	ნოემბერი	63	348 894
	სულ	**315**	**1 744 470**
ოკრელიზუმაბი	დეკემბერი 2023წ	5	60 000
	იანვარი	10	108 800
	თებერვალი	14	148 400
	მარტი	45	500 800
	აპრილი	14	148 400
	მაისი	11	116 600
	ივნისი	31	328 600
	ივლისი	22	233 200
	აგვისტო	13	137 800
	სექტემბერი	1	10 600
	ოქტომბერი	12	127 200
	ნოემბერი	50	530 000
	სულ	**228**	**2 450 400**
სულ ჯამი		**543**	**4 194 870**

ცხრილი 2: მრტ კვლევების რაოდენობა და დაფინანსების მოცულობა

კვლევის დასახელება	**საანგარიშგებო თვე**	**დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა**
თავის ტვინის მრტ კვლევა	დეკემბერი 2023წ	0	0
	იანვარი	2	700
	თებერვალი	1	350
	მარტი	1	350
	აპრილი	1	350
	მაისი	5	1 750
	ივნისი	1	350
	ივლისი	1	350
	აგვისტო	0	0
	სექტემბერი	0	0

	ოქტომბერი	2	700
	ნოემბერი	0	0
	სულ	**14**	**4 900**
ხერხემლის და ზურგის ტვინის მრტ კვლევა	დეკემბერი 2023წ	2	1 550
	იანვარი	4	3 100
	თებერვალი	0	0
	მარტი	2	1 550
	აპრილი	2	1 550
	მაისი	1	775
	ივნისი	3	2 325
	ივლისი	1	775
	აგვისტო	1	775
	სექტემბერი	1	775
	ოქტომბერი	4	3100
	ნოემბერი	0	0
	სულ	**21**	**16 275**
სულ ჯამი		**35**	**21 175**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობაა - 140.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 167 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 232 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა პაციენტების რაოდენობა

06 01 06 აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 10,865.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10,862.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: (ასა) მქონე ბავშვთა განვითარების სტიმულირება, ადაპტაციური ფუნქციონირების გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ოჯახის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა მულტიდისციპლინური გუნდის, ერთი ან საჭიროების შემთხვევაში, რამდენიმე სპეციალისტის (ნევროლოგი, ფსიქიატრი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი, ქცევითი ანალიტიკოსი, მეტყველების თერაპევტი, შემთხვევის მენეჯერი და სხვა) მიერ მოსარგებლისათვის კომპლექსური თერაპიის

თვეში არაუმეტეს 20 ინდივიდუალური სეანსი, ინდივიდუალური განვითარების წლიური გეგმის შესაბამისად (მ.შ. გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა);

ბაზისური მომსახურება (სტანდარტიზებული სეანსების რაოდენობის გათვალისწინებით, თვეში მაქსიმუმ 20 სეანსი), თვეში 20 სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში შეადგენს: 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 14 სეანსს; 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის – ABA თერაპიის არანაკლებ 12 სეანსს; 12-17 წლის ასაკის ჩათვლით- მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე, ხოლო 20-ზე ნაკლები სეანსის განსაზღვრის შემთხვევაში: ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 7/10 - 2-7 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის; ABA თერაპიის სეანსების ოდენობის არანაკლებ 6/10 - 8-11 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეებისათვის; 12-17 წლის ასაკის ჩათვლით მოსარგებლეთათვის - მულტიდისციპლინური გუნდის ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე;

არასტანდარტული მომსახურების ფარგლებში - მშობელს უფლება აქვს თავად აირჩიოს თერაპიების სახე, ბავშვის საჭიროების გათვალისწინებით, სეანსების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 1 საათს და თვეში ფინანსდება არაუმეტეს 2100 ბენეფიციარი; ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებები (ბაზისურიც და ინდივიდუალური განვითარების გეგმით) ფინანსდება არამატერიალიზებული ვაუჩერის საშუალებით, რომლის ღირებულებაა თვეში არაუმეტეს 450 ლარი, ფაქტობრივი ხარჯის გათვალისწინებით. ინდივიდუალური განვითარების გეგმის 1/3-ზე მეტი სეანსის არჩატარების შემთხვევაში, ვაუჩერის ღირებულებაა ვაუჩერის სრული ღირებულების 70%. მომსახურების ერთეულს წარმოადგენს კომპლექსური თერაპიის არანაკლებ ერთსაათიანი ინდივიდუალური ან ჯგუფური სეანსი, ან ტელეინტერვენციის (ინდივიდუალური) მოდელით განხორციელებული სეანსი.

ცხრილი 1. მონაწილე დაწესებულებების რაოდენობა, ანაზღაურებული სეანსების რაოდენობების მიხედვით.

მიმწოდებელი დაწესებულება	სეანსების რაოდენობა	ბენეფიციართა რაოდენობა	ანაზღაურებული თანხა
შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“	165 613	807	4 218 975
სს ევექსი-კარავი ბავშვთა ნეიროგანვითარების ცენტრი	21 035	100	515 810

რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“	41 179	190	990 466
შპს „მენტალური ჯანმრთელობის ცენტრი“	9 388	64	327 915
ა(ა)იპ პირველი ნაბიჯი საქართველო	30 376	162	817 445
შპს ,,ფაზლი“	84 569	385	2 069 910
ვალეო 2011	41 284	180	956 700
რეჰაბი	13 155	72	336 264
,,ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“	19 544	84	440 505
ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელების) ფილიალი საქართველოში	8 137	56	188 280
სულ ჯამი:	**8 137**	**2 100**	**10 862 270**

***შენიშვნა:** ცხრილში შესულია 2023 წლის დეკემბრის მონაცემებიც, ვინაიდან აღნიშნულ პერიოდში კომპონენტის ფარგლებში ჩატარებული მომსახურებები ანაზღაურდა 2024 წლის ბიუჯეტიდან

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 1850 ბავშვს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია თვეში საშუალოდ 2100 ბავშვისათვის მომსახურების გაწევა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 01 07 ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 7,587.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 7,565.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: HER2 და R2 დადებითი ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიებზე, პაციენტების მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომა, მეტასტაზების გაჩენის პრევენცია.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი სამკურნალო მედიკამენტები: ა) HER-2 დადებითი ადგილობრივად გავრცელებული (I-III სტადია) ძუძუს კიბოს დიაგნოზის ან რადიკალური ოპერაციის შემდგომ განვითარებული რეციდივის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი; სიმსივნური კვანძის >2სმ-ზე ან/და ჰორმონუარყოფითი (ER/PR-negative) ან/და დადებითი ნოდალური სტატუსის (N+) შემთხვევაში პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; ბ)

კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ სამი ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში – ტრასტუზუმაბი, პერტუზუმაბი+ტრასტუზუმაბი ან ფესგო; გ) კონსილიუმის დასკვნის (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროფილის სხვადასხვა კლინიკის არანაკლებ 3 ლიცენზირებული ექიმის დასკვნას) საფუძველზე, პაციენტის საჭიროებიდან გამომდინარე, დანიშნულების შესაბამისად, HER-2 დადებითი მეტასტაზური ძუძუს კიბოს დიაგნოზის შემთხვევაში ლაპატინიბი.

მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით და ბენეფიციარებს მედიკამენტის ღირებულება უფინანსდებათ სრულად 100%-ით.

ცხრილი 1: დაფინანსების მოცულობა და რაოდენობა საანგარიშგებო პერიოდის მიხედვით:

ერთეულის პროგრამული კოდი	ბენეფიციარების რაოდენობა	დაფინანსებული ამპულების რაოდენობა	გადარიცხული თანხა
ტრასტუზუმაბი	176	1511	2 039 655
ტრასტუზუმაბი +პერტუზუმაბი, ფესგო	159	1646	5 319 655
ლაპატინიბი	20	200.8	205 760
ჯამი	**355**	**3 357,8**	**7 565 070**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წლის განმავლობაში დაფინანსდა 197 შემთხვევა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაფინანსდება 305 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 355 ბენეფიციარი.

06 01 08 ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 897.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 896.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე პირთათვის სპეციალურ სათემო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები: მულტისისტემური ინტერვენცია 5-17 წლის ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში და აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა 18 წლის ასაკის ზემოთ მოზრდილებში.

ცხრილი 1. მოსარგებლეთა რაოდენობა დაწესებულებების მიხედვით

საანგარიშგებო თვე	**აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა**	**ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში**				**სულ**
	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	ქართულ-ავსტრიული ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქიატრიული ცენტრი - შპს „სანნი კიდსი“	ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	
2023 წლის დეკემბერი	115	45	45	15	15	235
იანვარი	116	45	45	15	15	236
თებერვალი	115	45	60	30	15	265
მარტი	115	45	60	30	29	279
აპრილი	113	45	60	30	27	275
მაისი	115	45	60	30	29	279
ივნისი	112	45	60	30	25	272
ივლისი	110	45	60	28	17	260
აგვისტო	111	0	50	28	0	189
სექტემბერი	113	45	53	30	24	265
ოქტომბერი	111	45	60	30	24	270
ნოემბერი	114	45	60	29	27	274
სულ	**1 360**	**495**	**673**	**325**	**247**	**3 099**

ცხრილი 2. დაფინანსების მოცულობა დაწესებულებების მიხედვით

საანგარიშგებო თვე	**აქტიური (ასერტული) ფსიქიატრიული მკურნალობა**	**ფსიქიატრიული კრიზისული ხანმოკლე ინტერვენცია ბავშვებსა და მოზარდებში**				**სულ**
	ა(ა)იპ მტკიცებულებაზე დაფუძნებული პრაქტიკის ცენტრი	შ.პ.ს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“	შპს თბილისის ფსიქიკური ჯანდაცვის კრიზისული ინტერვენციის სამსახური	ქართულ-ავსტრიული ბავშვთა და მოზარდთა ნეიროფსიქიატრიული ცენტრი - შპს „სანნი კიდსი“	ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია ნდობა	
2023 წლის დეკემბერი	31 667	11 850	13 500	4 450	4 500	65 967
იანვარი	34 432	11 850	13 500	4 400	4 500	68 682
თებერვალი	33 662	11 825	17 875	8 775	4 500	76 637
მარტი	33 397	12 600	18 000	8 750	8 700	81 447
აპრილი	33 030	12 175	18 000	8 750	7 925	79 880
მაისი	33 552	12 150	18 000	8 550	8 700	80 952
ივნისი	32 851	11 775	18 000	8 950	7 300	78 876
ივლისი	31 471	11 875	18 000	8 400	5 100	74 846

აგვისტო	32 390	-	15 000	8 350	-	55 740
სექტემბერი	32 901	11 575	15 900	8 925	7 200	76 501
ოქტომბერი	32 439	12 325	18 000	8 925	7 200	78 889
ნოემბერი	32 500	11 025	18 000	8 875	8 100	78 500
სულ	**394 292**	**131 025**	**201 775**	**96 100**	**73 725**	**896 917**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 212 ბენეფიციარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი იყო მომსახურების გაწევა თვეში საშუალოდ 254 ბენეფიციარისათვის.

მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურება გაეწია თვეში საშუალოდ 258 ბენეფიციარს.

06 01 09 სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური

2024 წლის გეგმა - 83.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 80.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის შენობის იჯარის ხარჯებით უზრუნველყოფა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის შენობის იჯარის ხარჯები (თვეში 5900 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში). ასევე, გაწეულია ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის ფუნქციონირების ხარჯები საკუთარი სახსრებიდან - 254.4 ათასი ლარი (2024 წლის 1 აგვისტოდან ა(ა)იპ სისხლის გადასხმის საქალაქო სადგური გადავიდა სახაზინო მომსახურების სისტემაზე).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - N/A

დაგეგმილი მაჩვენებელი - შენობის იჯარის ხარჯების ანაზღაურება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

06 01 13 ტრანსპლანტაცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 8,850.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,842.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ოპერაციული მკურნალობის ხელმისაწვდომობა, ონკოჰემატოლოგიური და ღვიძლის დაავადებების მქონე პაციენტებისთვის, რომლებიც საჭიროებენ ძვლის ტვინის და ღვიძლის ტრანსპლანტაციას.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა, განცხადებით მიმართვამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის, თბილისში რეგისტრირებული (მათ შორის, იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირები, რომლებსაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი თბილისი) ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის და ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე საქართველოს მოქალაქეებისთვის შემდეგი ღონისძიებები: ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) ტრანსპლანტაციის წინა კვლევები; მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია (აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია, ალოგენური ტრანსპლანტაცია, ჰაპლიოიდენტური ტრანსპლანტაცია), მათ შორის, პაციენტის კონდიცირება - ორგანიზმის მომზადება ტრანსპლანტაციისათვის და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა; ღვიძლის ტრანსპლანტაცია. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში - 101 შემთხვევა, ძვლის ტვინის (ღეროვანი უჯრედების) HLA ტიპირების კომპონენტის ფარგლებში მოსამზადებელი კვლევები - 133 შემთხვევა, ხოლო ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტის ფარგლებში - 7 შემთხვევა.

ცხრილი 1. ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხა

მომსახურების დასახელება	რაოდენობა	თანხა

წინასატრანსპლანტაციო კვლევა	52	511 058
მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და ტრანსპლანტაცია	49	6 831 149
ღვიძლის ტრანსპლანტაცია	7	835 469
HLA ტიპირება	133	665 000
სულ ჯამი	**241**	**8 842 676**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 116 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილი 241 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაემატა ახალი კვლევა - HLA ტიპირება, რამაც გამოიწვია ბენეფიციარების რაოდენობის ზრდა

06 02 სოციალური დაცვა დაფინანსებულია 128,957.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 130,127.7 ათასი ლარის 99.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 01 კომუნალური სუბსიდირება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 9,881.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,871.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ელ-ენერგიის, დასუფთავების, წყლის კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში თბილისში რეგისტრირებულ 200 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისათვის/აბონენტებისათვის განხორციელდა ელექტროენერგიის, წყლისა და დასუფთავების მოსაკრებელზე სუბსიდიის (ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა შეადგენს თვეში არაუმეტეს 106 ლარს, ხოლო იმ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 70 000-ზე და არ აღემატება 200 000-ს სუბსიდიის ჯამური ოდენობა შეადგენს თვეში არაუმეტეს 20 ლარს. სუბსიდიის ოდენობა და დარიცხვის წესი განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულებით. გაანგარიშება: დასუფთავების

მოსაკრებელზე (ა) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ერთი პირი - 2,5 ლარის ოდენობით, ბ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ორი პირი - 5 ლარის ოდენობით, გ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია სამი პირი - 7,5 ლარის ოდენობით, დ) აბონენტის ნომერზე, რომელზეც რეგისტრირებულია ოთხი და მეტი პირი - 10 ლარის ოდენობით); წყლის გადასახადზე - 3,89 ლარის ოდენობით; ელექტროენერგიაზე - აბონენტის მიერ, ფაქტიურად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების შესაბამისად) დარიცხვა. კერძოდ:

ცხრილი 1. საანგარიშო პერიოდში მოსარგებლე აბონენტთა რაოდენობა, მომსახურე კომპანიების მიხედვით

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	დეკემბერი
ს.ს თელასი	56 222	56 451	56 457	57 008	59 007
ს.ს ენერგო-პრო ჯორჯია	2 445	2 431	2 435	2 463	2 538
ს.ს ეპ ჯორჯია მიწოდება	2 401	2 415	2 425	2 455	2 536
შპს თბილისის ელექტრო მიმწოდებელი კომპანია	55 731	55 867	55 950	56 505	58 524
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	31 536		31 648	63526	33 474
სულ	**148 335**	**148 812**	**148 915**	**181 957**	**156 079**

ცხრილი 2. საანგარიშო პერიოდში მომსახურე კომპანიებში გადარიცხული თანხები (ლარი)

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	დეკემბერი
ს.ს თელასი	271 270	272 258	272 187	274 795	283 894
ს.ს ენერგო-პრო ჯორჯია	11 714	11 796	11 797	11 918	12 250
ს.ს ეპ ჯორჯია მიწოდება	56 992	58 173	53 948	53 485	55 525
შპს თბილისის ელექტრო მიმწოდებელი კომპანია	1 586 206	1 569 912	1 483 296	1 450 089	1 365 820
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი	122 675		143 049	287 137	151 302
სულ	**2 048 856**	**1 912 139**	**1 964 278**	**2 077 424**	**1 868 791**

ცხრილი 3. საანგარიშო პერიოდში მოსაკრებლის სახეების მიხედვით რაიონებში გადარიცხული თანხა (ლარი)

რაიონი	ელექტროენერგია	დასუფთავება	წყალი	სულ
გლდანის რაიონი	1 419 150	282 149	139 727	1 841 026
ნაძალადევის რაიონი	1 382 224	230 018	102 133	1 714 374
დიდუბის რაიონი	367 484	69 159	37 848	474 491
ჩუღურეთის რაიონი	630 855	86 611	40 579	758 044
ისნის რაიონი	1 026 987	181 752	93 934	1 302 673
სამგორის რაიონი	1 481 024	295 637	143 452	1 920 114
ვაკის რაიონი	338 684	67 263	38 064	444 010
საბურთალოს რაიონი	546 907	101 398	49 872	698 177
მთაწმინდის რაიონი	197 820	43 668	23 745	265 233

კრწანისის რაიონი	342 310	76 226	34 810	453 346
სულ	**7 733 446**	**1 433 878**	**704 164**	**9 871 488**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა თვეში საშუალოდ (5 თვის განმავლობაში) 56350 ოჯახის სუბსიდირება (ელექტროენერგიის, წყლის გადასახადზე და დასუფთავების მოსაკრებელზე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 56350 - მდე ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში)

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 60201 ოჯახის სუბსიდირება საშუალოდ თვეში (5 თვის განმავლობაში).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პროგრამის მოსარგებლეების რაოდენობა.

06 02 02 სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 12,193.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 12,172.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ყოველთვიური მატერიალური დახმარება 50 ლარის ოდენობით გაეწია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში (ოჯახის სარეიტინგო ქულა 70 000 და ნაკლები) რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს 3 და მეტი 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე. ფინანსური დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 5836 ოჯახს - 20287 ბავშვზე.

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა თვეების მიხედვით[17]

ოჯახი/ ბავშვი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ოჯახი	5712	5711	5729	5795	5815	5804	5817	5874	5926	5936	5958	5957
ბავშვი	19 844	19 875	20 006	20 165	20 084	20 362	20 217	20 453	20 791	20 479	20 585	20 584

ცხრილი 2. გადარიცხული თანხების განაწილება თვეებისა და რაიონების მიხედვით (ლარი)

რაიონი/თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გლდანის რაიონი	208 050	205 950	207 450	207 800	209 500	214 850	193 050	212 700	215 700	217 100	219 900	220 800
ნაძალადევის რაიონი	150 200	150 950	154 200	157 150	152 800	152 350	138 850	156 600	158 300	153 800	153 150	152 500
დიდუბის რაიონი	33 750	32 900	33 550	34 250	34 100	33 700	31 600	34 550	34 750	35 800	34 800	35 850
ჩუღურეთის რაიონი	54 550	56 700	54 650	55 050	55 100	56 900	51 700	56 200	59 100	56 400	58 700	57 250
ისნის რაიონი	141 300	140 300	140 150	139 550	139 950	140 900	129 650	141 550	142 750	139 050	137 200	138 050
სამგორის რაიონი	234 400	235 350	237 500	240 750	240 650	245 800	225 700	245 650	251 200	247 700	251 500	251 850
ვაკის რაიონი	29 900	30 100	31 000	29 300	29 600	29 450	32 400	30 850	29 050	28 900	28 450	27 400
საბურთალოს რაიონი	60 150	60 750	58 500	61 750	61 050	62 050	58 900	61 700	64 750	64 050	64 950	65 700
მთაწმინდის რაიონი	21 800	22 000	21 800	21 850	21 950	22 300	39 600	23 100	22 100	22 050	23 000	21 900
კრწანისის რაიონი	58 100	58 750	61 500	60 800	59 500	59 800	109 400	59 750	61 850	59 100	57 600	57 900
სულ	**992200**	**993750**	**1000300**	**1008250**	**1004200**	**1018100**	**1010850**	**1022650**	**1039550**	**1023950**	**1029250**	**1029200**

ცხრილი 3. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით

რაიონი	**ბავშვების განაწილება სქესის მიხედვით**		**სულ**
	მდედრობითი	**მამრობითი**	
გლდანის რაიონი	2 392	2 423	**4 815**
ნაძალადევის რაიონი	1 704	1 712	**3 416**
დიდუბის რაიონი	400	401	**801**
ჩუღურეთის რაიონი	649	619	**1 268**
ისნის რაიონი	1 557	1 519	**3 076**
სამგორის რაიონი	2 724	2 793	**5 517**
ვაკის რაიონი	328	312	**640**
საბურთალოს რაიონი	737	747	**1 484**
მთაწმინდის რაიონი	253	237	**490**
კრწანისის რაიონი	634	708	**1 342**
სულ	**11 378**	**11 471**	**22 849**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

[17] ცხრილში მოცემული ბენეფიციართა რაოდენობა ასახავს იმ პირებსაც, რომელთაც უკან დახევით მიიღეს თანხა.

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 20073 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა, 50% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება თვეში საშუალოდ 20322 ბავშვის დაფინანსება, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - დახმარება გაეწია თვეში საშუალოდ 20287 ბავშვს, მათ შორის საშუალოდ 50% გოგონა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულთა ცვლილება.

06 02 03 მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 22.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასულ ბენეფიციარებს (18-დან 21 წლამდე ასაკის ახალგაზრდები) რომელთა მომსახურების გაწევისთვის დაფინანსდა ა(ა)იპ ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი (პირის ჩართვა ხორციელდება მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შუამდგომლობის საფუძველზე, ვაუჩერის ღირებულება ერთი ბენეფიციარისათვის შეადგენს 500 ლარს თვეში).

ცხრილი: ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხა კვარტალების მიხედვით[18]

დასახელება	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი
გადარიცხული თანხა	0	7 500	7 500	7 500
ბენეფიციართა რაოდენობა	3	4	5	5

[18] პირველ კვარტალში ხარვეზით შემოტანილი დოკუმენტაციის გამო, შესაბამისი თანხა გადაირიცხა მეორე კვარტალში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მომსახურება გაეწია საშუალოდ თვეში 2 ბენეფიციარს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 4 ბენეფიციარის მომსახურება

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ თვეში მომსახურება გაეწია 4 ბენეფიციარს

06 02 04 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 2,222.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,199.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: შშმ პირთა ჯანმრთელობის, ემოციური ფონის და საზოგადოებაში ინტეგრაციის მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება, სამივლინებო ხარჯები. ასევე, იურიდიულ საქალაქო სამსახურში გასაჩივრებული შემთხვევების ანაზღაურება - 2.4 ათასი ლარი და ანაზღაურებული იქნა 2716 საკურორტო ვაუჩერი (3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ პირებისა და მათი გამყოლებისათვის, საკურორტო მომსახურების ვაუჩერი მაქსიმუმ 800 ლარის ოდენობით) – 2,172.6 ათასი ოდენობით. ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 0.9 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით

რაიონი	ბავშვების განაწილება სქესის მიხედვით		სულ
	მდედრობითი	მამრობითი	
გლდანის რაიონი	212	352	**564**
ნაძალადევის რაიონი	94	177	**271**
დიდუბის რაიონი	48	113	**161**
ჩუღურეთის რაიონი	61	101	**162**
ისნის რაიონი	87	204	**291**
სამგორის რაიონი	206	312	**518**
ვაკის რაიონი	56	134	**190**
საბურთალოს რაიონი	131	237	**368**
მთაწმინდის რაიონი	32	50	**82**
კრწანისის რაიონი	39	70	**109**
სულ	**966**	**1750**	**2716**

ცხრილი 2. გადარიცხული თანხების განაწილება სქესისა და რაიონების მიხედვით (ლარი)

რაიონი /სქესი	**კაცი**	**ქალი**	**სულ**
გლდანის რაიონი	281 591	169 590	**451 180**
ნაძალადევის რაიონი	141 587	75 198	**216 784**
დიდუბის რაიონი	90 376	38 400	**128 775**
ჩუღურეთის რაიონი	80 798	48 800	**129 598**
ისნის რაიონი	163 175	69 595	**232 770**
სამგორის რაიონი	249 575	164 779	**414 354**
ვაკის რაიონი	107 196	44 758	**151 954**
საბურთალოს რაიონი	189 590	104 796	**294 386**
მთაწმინდის რაიონი	39 994	25 598	**65 592**
კრწანისის რაიონი	55 998	31 198	**87 196**
სულ	**1 399 877**	**772 711**	**2 172 588**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გაიცა 2138 ვაუჩერი, რომლითაც ისარგებლა ერთმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა და მინიმუმ ერთმა გამყოლმა, მათ შორის 35.5% გოგონა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 2748 ვაუჩერის გაცემა, მათ შორის არანაკლებ 35.5% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 2716 ვაუჩერი, მათ შორის 35.6% გოგონა.

06 02 05 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 59.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ხანდაზმულ მოქალაქეთა მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ერთჯერადი მატერიალური დახმარება (1000 ლარი) გაეწია 100 წელს მიღწეულ 57 მოქალაქეს (მათ შორის ორ ბენეფიციარს პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ჩაერიცხა ორი წლის (მიმდინარე და წინა წლის) კუთვნილი თანხა).

ცხრილი 1. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება რაიონების მიხედვით და გადარიცხული თანხების ოდენობები (ლარი)

რაიონი	**მდედრობითი**	**მამრობითი**	**სულ**	**გადარიცხული თანხა**
გლდანის რაიონი	8		8	8 000
ნაძალადევის რაიონი	6		6	6 000
დიდუბის რაიონი	2	2	4	5 000
ჩუღურეთის რაიონი	7		7	7 000
ისნის რაიონი	6		6	6 000
სამგორის რაიონი	6		6	6 000
ვაკის რაიონი	7	1	8	8 000
საბურთალოს რაიონი	7	2	9	10 000
მთაწმინდის რაიონი	3		3	3 000
კრწანისის რაიონი				
სულ	**52**	**5**	**57**	**59 000**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 54 ბენეფიციარი (მათ შორის ორ ბენეფიციარს პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ჩაერიცხა ორი წლის (მიმდინარე და წინა წლის) კუთვნილი თანხა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 59 ბენეფიციარის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 100 წელს მიღწეულ 57 მოქალაქეს (მათ შორის ორ ბენეფიციარს პროგრამით გათვალისწინებული წესის შესაბამისად ჩაერიცხა ორი წლის (მიმდინარე და წინა წლის) კუთვნილი თანხა).

06 02 06 სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სერვისების მიწოდება დაფინანსებულია 2,519.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (2,542.2 ათასი ლარი) 99.1%-ია. ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა უფასო

სწავლება ყოველთვიურად ფინანსდება ხელოვნების სკოლებში (32 სკოლა), მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში (9 ფილიალი) და სასახლეში, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (21 სკოლა/ცენტრი/აუზი/ფედერაცია).



***შენიშვნა:** ხელოვნების სკოლებში, სპორტულ ცენტრებში და საცურაო აუზებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებსა და სასახლეში წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. შესაბამისად, ივნისის სწავლების საფასური გადაირიცხა ივლისში.



	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ხელოვნების სკოლები	2524	2526	2533	2512	2519	2517	0	0	2504	2517	2564	2549
მოსწავლე ახალგაზრდობის სახლები და სასახლე	1924	1952	1951	1945	1948	1946	0	0	1616	1838	1893	1902
სპორტული სკოლები და საცურაო აუზები	1305	1475	1460	1390	1541	1378	1192	0	1168	1393	1468	1523

06 02 06 01 უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 749.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 746.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში და ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო სწავლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლებში და სასახლეში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ თვეში 1892). ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება თვეში ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისათვის (9 ფილიალი) შეადგენს არაუმეტეს 40 ლარს, ხოლო ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლისათვის თვეში ერთ ბენეფიციარზე სწავლების დაფინანსება განისაზღვრება შემდეგი ოდენობებთ: ა) მხატვრული კითხვა-არაუმეტეს - 25 ლარი; ბ) საგნობრივი წრეები, მუსიკალური მიმართულება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-არაუმეტეს - 30 ლარი; გ) გიტარის შემსწავლელი წრე, სპორტული მიმართულება-არაუმეტეს - 40 ლარი; დ) ქორეოგრაფიული სტუდია-არაუმეტეს - 50 ლარი.

ცხრილით წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდში გადარიცხული თანხები და ბენეფიციართა რაოდენობა.

თვე	**მიმწოდებელი**	**ბენეფიციართა რაოდენობა**	**თანხა**
იანვარი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	197	0
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 727	0
თებერვალი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	220	6 805
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 732	69 080
მარტი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	217	0

	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 734	0
აპრილი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	215	14 985
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 730	138 640
მაისი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	215	7 330
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1 733	69 320
ივნისი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	214	7 330
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1732	69 320
ივლისი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	0	7 280
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	0	69 280
სექტემბერი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	123	0
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1493	0
ოქტომბერი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	162	4530
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1676	59720
ნოემბერი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	166	5660
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1727	67040
დეკემბერი	ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	168	11620
	მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები	1734	138400

***შენიშვნა:** წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში. შესაბამისად, თებერვლისა და მარტის სწავლების დაფინანსების თანხა გადარიცხულია აპრილის თვეში, ივნისის სწავლების საფასური გადაირიცხა ივლისში, ხოლო დეკემბერში ანაზღაურდა ნოემბერ - დეკემბრის სწავლების საფასური

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსებით ისარგებლა თვეში საშუალოდ 1862 ბავშვმა, (მათ შორის საშუალოდ 54.1% გოგონა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 1869 ბავშვის სწავლების დაფინანსება საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 54% გოგონა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა თვეში საშუალოდ 1892 ბავშვის უფასო სწავლება, მათ შორის საშუალოდ 53.7% გოგონა.

06 02 06 02 უფასო სწავლება ხელოვნების სკოლებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 1,006.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,004.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის ხელოვნების სკოლებში არსებულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ხელოვნების კონკრეტულ დარგებში განათლების დონის ამაღლების, მოზარდების ინტელექტუალური შესაძლებლობების გაღრმავების მიზნით, ხელოვნების სკოლებში უფასო სწავლება თითოეულ მოსწავლეზე თვეში არაუმეტეს 40 ლარის ოდენობით (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ თვეში 2527).

ცხრილი 1. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხები

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივნისი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გადარიცხული თანხა თვეში	0	99 670	99 765	100 460	99 625	99 910	99 995	0	100 140	100 660	204 600
ბენეფიციართა რაოდენობა თვეში	2 524	2 526	2 533	2 512	2 519	2 517	0	2 504	2 517	2 564	2 549

ცხრილი 2. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებების მიხედვით გადარიცხული თანხები (ლარი)

N	დაწესებულება	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი
1	ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლა	1760	5040	1720	6920
2	ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის .N2 ხელოვნების სკოლა	1440	2000	640	2320
3	ქ. თბილისის მერიის ა. ჩიმაკაძის სახელობის N3 ხელოვნების სკოლა	6720	10040	3360	13360
4	ქ. თბილისის მერიის რ. ლაღიძის სახელობის N4 ხელოვნების სკოლა	9400	14160	4720	18880
5	ქ. თბილისის მერიის ზ. ანჯაფარიძის სახელობის N5 ზაჰესის ხელოვნების სკოლა	16360	24360	8160	32520
6	ქ. თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის N6 ხელოვნების სკოლა	6440	9680	3240	12960
7	ქ. თბილისის მერიის კ. ფოცხვერაშვილის	2280	3280	1040	4600

	სახ. N7 ხელოვნების სკოლა				
8	ქ. თბილისის მერიის მ. კოსტავას სახელობის N8 ხელოვნების სკოლა	3120	4680	1520	6200
9	ქ. თბილისის მერიის ა. ხაჩატურიანის სახელობის N10 ხელოვნების სკოლა	5120	7440	2560	9920
10	ქ. თბილისის მერიის ს. ინაშვილის სახელობის N12 ხელოვნების სკოლა	4080	5920	1920	7880
11	ქ. თბილისის მერიის დ. ანდღულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლა	7920	11800	3960	15760
12	ქ. თბილისის მერიის ვ. დოლიძის სახელობის N15 ხელოვნების სკოლა	19025	28655	9585	38720
13	ქ. თბილისის მერიის ს. ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების გიმნაზია	1200	1680	560	2400
14	ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის N17 ხელოვნების სკოლა	1560	2200	960	3200
15	ქ. თბილისის მერიის პ.ამირანაშვილის სახელობის N18 ხელოვნების სკოლა	3290	5680	1920	7680
16	ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლა	12640	18960	6280	25280
17	ქ. თბილისის მერიის N21 ხელოვნების სკოლა	4080	6240	2080	8320
18	ქ. თბილისის მერიის დ. თორაძის სახელობის N22 ხელოვნების სკოლა	4360	6600	2200	8720
19	ქ. თბილისის მერიის N23 ხელოვნების სკოლა	2240	3600	1240	4960
20	ქ. თბილისის მერიის N24 ხელოვნების სკოლა	2660	4720	1520	6680
21	ქ. თბილისის მერიის გ. ცაბაძის სახელობის N25 ხელოვნების სკოლა	4560	6840	2280	9080
22	ქ. თბილისის მერიის ალ. მაჭავარიანის სახელობის N26 ხელოვნების სკოლა	12960	19440	6480	25920
23	ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახელობის N27 ხელოვნების სკოლა	10500	15820	5250	24120
24	ქ. თბილისის მერიის ზ. ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლა	520	880	280	920
25	ქ. თბილისის მერიის ჰ. გონაშვილის სახელობის N29 ხელოვნების სკოლა	2840	4320	1440	5760
26	ქ. თბილისის მერიის N30 ხელოვნების სკოლა	6200	9280	3040	12440
27	ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლა	11280	17840	6080	23080
28	ხელოვნების სამხატვრო სკოლა "აფხაზეთი N1"	640	960	320	1440
29	ქ. თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახელობის ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია	11960	16720	5080	23760
30	ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია	1760	2640	880	3800
31	ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი N1"	13600	18080	6200	23880
32	ხელოვნების სკოლა "აფხაზეთი N2"	6920	10440	3480	13920
	ჯამი	**199 435**	**299 995**	**99 995**	**405 400**

***შენიშვნა:** წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში, ხოლო დეკემბერში ანაზღაურდა ნოემბერ-დეკემბერში გაწეული მომსახურება

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 2533 ბავშვმა, მათ შორის საშუალოდ 60.2% გოგონა, 39.8% ბიჭი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა საშუალოდ თვეში 2 647 ბავშვის დაფინანსება, (მათ შორის არანაკლებ 60.2% გოგონა)

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებით ისარგებლა 2 527 ბავშვმა, საშუალოდ თვეში, მათ შორის საშუალოდ 61.1% გოგონა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ბენეფიციარების რაოდენობის ცვლილება.

06 02 06 03 უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 595.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 586.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის სპორტულ წრეებზე სწავლების ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 70 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული ოჯახების 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიზნით, სპორტულ სკოლებსა და საცურაო აუზებში (24 სკოლა/ცენტრი/აუზი/ფედერაცია) უფასო სწავლება სპორტის სხვადასხვა წრეებში (ბავშვთა რაოდენობა: საშუალოდ თვეში 1390).

ცხრილი 1. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა და გადარიცხული თანხები (ლარი)

დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
გადარიცხული თანხა	0	47 815	58 405	55 793	59 590	54 189	52 353	45799	0	46 497	54 061	112 131
ბენეფიციართა რაოდენობა	1 305	1 475	1 460	1 390	1 541	1 378	1 192		1 168	1 393	1 468	1 523

ცხრილი 2. საანგარიშო პერიოდში დაწესებულებების მიხედვით გადარიცხული თანხები (ლარი)

N	დაწესებულება	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი	მესამე კვარტალი	მეოთხე კვარტალი
1	საქ. ძიუდოს ეროვნული ფედერაცია -ძიუდოს აკადემია	8 280	12 420	8 400	16 140
2	ა.ი.პ ,,35 საფეხბურთო კლუბი"	3 750	4 700	3 250	9 300
3	შ.პ.ს„ავაზა1970"	4 860	5 280	3 510	9 660
4	თბილისის კარატეს ფედერაცია	1 920	3 540	2 400	5 670
5	კლუბი "მებრძოლი-2015"	360	540	360	-
6	ი/მ ,,სოსო ბზარაშვილი" ლერი ხაბელოვის სახელობის სპორტული კლუბი"იმედი"	1 470	1 890	1 200	2 910
7	ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი	7 710	11 490	7 500	15 480
8	მაგიდის ჩოგბურთის კლუბი ,,ტოპ-სპინი"	960	1 380	900	1 140
9	ა.ა.ი.პ ძიუდოს კლუბი ,,ჯორჯია"	9 930	14 310	9 660	19 650
10	შ.პ.ს. ,,ოვერტაიმი"	300	450	300	600
11	ა(ა)იპ ქ.თბილისის ფარიკაობის № 1 ფედერაცია	270	360	120	180
12	ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი	16 065	25 280	12 070	27 510
13	მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი	2 160	4 080	-	2 220
14	შპს დიღომი 2008	6 244	10 978	6 594	12 354
15	შპს წყალთა სახეობის ცენტრი-ტონუსი	1 294	5 195	962	-
16	ინდ.მეწარმე გულადი ოყროშიძე /აფრიკის საცურაო აუზი	18 131	19 035	11 351	24 579
17	ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი_გლდანის ფილიალი	-	25 926	16 324	15 928
18	ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი_ნაძალადევის ფილიალი	11 217	7 287	-	20 976
19	ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი	2 035	4 203	1 737	4 460
20	შპს ლაგუნა_ლოტკინის ფილიალი	6 401	6 180	4 763	7 596
21	შპს ლაგუნა_ვაზისუბნის ფილიალი	2 519	3 551	2 128	4 571
22	შპს ლაგუნა_დიდი დიღომი	-	799	985	1 982
23	შპს გიომირი+სპორტ-ტაიმი	344	700	2 641	4 681
24	შპს ორანჯ ფიტნესი	-	-	997	5 101
	ჯამი	106 220	169 573	98 152	212 689

***შენიშვნა:** წინა თვეში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება შემდეგ თვეში, ხოლო დეკემბერში ანაზღაურდა ნოემბერ-დეკემბერში გაწეული მომსახურება

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 1447 ბავშვმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია საშუალოდ თვეში 1359 ბავშვის სწავლის დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 1390 ბავშვმა.

06 02 06 04 სერვის ცენტრებში სამგზავრო ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია)

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 191.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 182.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველთა და სხვა კატეგორიის პირთა მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება, სერვისცენტრის კომუნალური ხარჯები, პლასტიკური ბარათების საბეჭდი მოწყობილობის სახარჯი მასალების, პლასტიკური ბარათების და პლასტიკური ბარათების ინიციალიზაციის მომსახურების შეძენა. მიმდინარე პერიოდში გაცემულ იქნა 35582 სამგზავრო ბარათი და 7919 უფასო სასადილოს მომსახურების ბარათი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გაიცა 35508 პლასტიკური ბარათი

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 73678 პლასტიკური ბარათის გაცემა

მიღწეული მაჩვენებელი - გაიცა 43501 პლასტიკური ბარათი (მათ შორის უფასო სასადილოს მომსახურების ბარათი)

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ბენეფიციართა ნაკლები მომართვიანობა

06 02 07 სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტო

2024 წლის გეგმა - 4,108.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,994.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები, ოჯახების გაძლიერება მშობლებისა და ბავშვის აღმზრდელი სხვა პირების მატერიალური და არამატერიალური დახმარების გზით, პრევენციული ღონისძიებების ჩატარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ

სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის ოფისის იჯარის ხარჯები, საწვავის, საოფისე ავეჯის, კომპიუტერების შეძენა და სხვა) ხარჯები. ასევე, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს 107 სოციალური მუშაკი (მათ შორის 23 უფროსი სოციალური მუშაკი), გადანაწილებულნი არიან მუნიციპალიტეტის 31 სამოქმედო უბანზე და ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს;

სოციალური მუშაკების მიერ მოხდა 87713 ოჯახში ვიზიტი და სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, საიდანაც 4576 ოჯახში საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა 8266 ბავშვის სკრინინგი. განხორციელებული ვიზიტებიდან, არასრულწლოვანი არ იმყოფება 40497 ოჯახში, თბილისში რეგისტრაცია არ აქვთ 10687 ოჯახს, არ ცხოვრობენ 13336 ბინაში, სოციალურ მუშაკებს არ დახვდათ სახლში 12701 ოჯახი და 10492 ოჯახთან ვერ მოხდა კომუნიკაციის სრულყოფილი დამყარება; სკრინინგების მიზნით განხორციელებული ვიზიტებიდან, გამოიკვეთა 49 ბავშვიანი ოჯახი (93 ბავშვი), რომელთაც ჰქონდათ სოციალური, მატერიალური თუ ჯანმრთელობის პრობლემები, აღნიშნულ ოჯახებს სააგენტოს მიერ გაეწიათ შუამდგომლობა შესაბამის რაიონულ გამგეობებში მიზნობრივი ფინანსური დახმარების მიზნით; სოციალური მუშაკები ოჯახებთან მუშაობენ პრევენციული და მშობლის უნარ-ჩვევების გაძლიერების კუთხით, ფსიქოლოგები უწევენ შესაბამის რეკომენდაციებსა და კონსულტაციებს მშობლებს ბავშვების ასაკობრივი განვითარების, ქცევისა და მათთვის პრობლემურ საკითხებზე. სააგენტოში სასამართლოდან შემოსულია ერთი სამოქალაქო საქმე, რაზეც სოციალური მუშაკების მიერ მოხდა შესაბამისი დასკვნის მომზადება და იურისტების მიერ სასამართლოში წარდგენა, ხოლო ფსიქოლოგის მიერ მიმდინარეობს ბავშვის შესაბამისი შეფასება. აღსანიშნავია, რომ სოციალური მუშაკების მიერ გამოვლენილ სხვადასხვა საჭიროების მქონე 30 ოჯახს კერძო პირისგან საახალწლოდ გადაეცათ საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ავეჯი, საკვები და ტკბილეულობა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სოციალური მუშაკთა ქსელი (112 სოციალური მუშაკი (მათ შორის 24 უფროსი სოციალური მუშაკი) განსაზღვრულ სამოქმედო უბნებზე (გადანაწილებულნი არიან მუნიციპალიტეტის 30 სამოქმედო უბანზე) ასრულებენ მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - ოჯახების გაძლიერება, მშობლებისა და ბავშვის აღმზრდელი სხვა პირების მატერიალური და არამატერიალური დახმარების გზით, სააგენტოს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება თვეში საშუალოდ 200-მდე ბავშვიანი ოჯახის შეფასება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა 100%-ით.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ბავშვის კომუნიკაციის უნარების გაძლიერების და ბავშვის სოციალური აქტივობის, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების და ინიციატივის გამოჩენის ხელშეწყობის მიზნით, სააგენტოს მიერ ყოველწლიურად ხორციელდება თვეში საშუალოდ 200-მდე ბავშვიანი ოჯახის და 50 ბავშვის საჭიროების შეფასება (2023 წლის ფაქტი - სოციალური მუშაკების მიერ მოხდა 197013 ოჯახში ვიზიტი და სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, საიდანაც 13164 ოჯახში საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა 23012 ბავშვის სკრინინგი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭიროებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა საშუალოდ 63%-მდე, მათ შორის სოციალური მუშაკების მიერ მოხდა 87713 ოჯახში ვიზიტი და სააგენტოს ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, საიდანაც 4576 ოჯახში საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა 8266 ბავშვის სკრინინგი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - შეფასებები ვერ განხორციელდა თანამშრომლობისადმი არა თანმიმდევრული დამოკიდებულების გამო.

06 02 08 სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 8,548.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტოზურ მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება - 26.4 ათასი ლარი, ხოლო 55402 შემთხვევის (18478 პირი) ასანაზღაურებლად გადარიცხულია - 8,521.9 ათასი ლარი.

ცხრილი 1. დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა და გადარიცხული თანხა თვეების მიხედვით

თვე	შემთხვევათა რაოდენობა	სულ ანაზღაურებადი თანხა
იანვარი	3 505	475 228
თებერვალი	5 929	817 070
მარტი	2 855	566 486
აპრილი	8 433	1 579 356
მაისი	5 759	916 486
ივნისი	916	136 335
ივლისი	10 087	1 508 999
აგვისტო	4 370	668 007
სექტემბერი	4 023	567 179
ოქტომბერი	2 713	352 294
ნოემბერი	3 205	431 803
დეკემბერი	3 607	502 703
სულ	**55 402**	**8 521 946**

ცხრილი 2. დაფინანსებული შემთხვევების რაოდენობა და გადარიცხული თანხა დაწესებულებების მიხედვით

აფთიაქი	შემთხვევების რაოდენობა	თანხა
ი/მ თამარ ჩოჩია	1	116
სს გეფა	14 380	2 069 894
შპს "მერმისი"	3	685
შპს ავერსი-ფარმა	21 407	3 584 352
შპს აზ ფარმა	122	17 344
შპს აზფარმა ჰაუსი	13	2214
შპს აზფარმა ჰაუსი - თამარ ჩოჩია	15	865

შპს გეა	2	491
შპს გრაალი +	1	500
შპს იმპექსფარმი	788	108 728
შპს ნეოფარმი +	169	30 095
შპს პსპ ფარმა	17 308	2 545 816
შპს საბურთალო	794	103 077
შპს ფარმანეტი	20	2 366
შპს ფარმაცევტული სახლი +	379	55 403
სულ	**55 402**	**8 521 946**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 14678 ბენეფიციარის (46226 შემთხვევა) მედიკამენტის ღირებულება

დაგეგმილი მაჩვენებელი - 16984-მდე ბენეფიციარისათვის მედიკამენტების ღირებულების ანაზღაურება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 18478 ბენეფიციარის (55402 შემთხვევა) მედიკამენტის ღირებულება.

06 02 09 სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 17,340.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 17,130.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის სამედიცინო, ამბულატორიული და სხვა სერვისების მომსახურების დაფინანსება და ხელმისაწვდომობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ხელშემწყობი კომისიის“ თანახმად ძირითადი მოთხოვნა დაფიქსირდა მედიკამენტების, ოპერაციული მკურნალობის და სხვა სამედიცინო მომსახურებების დაფინანსებაზე. სულ გადარიცხულია 13,728.0 ათასი ლარი, მათ შორის: 1939 ბენეფიციარის მედიკამენტებით უზრუნველყოფა - 2,187.2 ათასი ლარი, 1912 ბენეფიციარის

ოპერაციული მკურნალობა - 4,486.5 ათასი ლარით, ხოლო 6529 ბენეფიციარის სხვა სამედიცინო მომსახურებები - 7,054.2 ათასი ლარი. გარდა ამისა, სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 3,612.0 ათასი ლარიდან, გადარიცხულია 3,402.7 ათასი ლარი.

ცხრილი 1. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით და გადარიცხული თანხები (ლარი)

სქესი/ასაკობრივი ჯგუფი	მამრობითი	მდედრობითი	სულ	გადარიცხული თანხა
0-17	544	438	981	1 197 053
18-40	663	840	1 503	2 339 889
41-60	1 323	1 994	3 317	4 758 788
61-80	1 701	2 381	4 082	5 003 885
81 წლის და უფროსი ასაკის	156	341	497	428 357
სულ	**4 386**	**5 994**	**10 380**	**13 727 971**

ცხრილი 2. საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება საქართველოსა და საზღვარგარეთის მიხედვით და გადარიცხული თანხების ოდენობები (ლარი)

დასახელება	რაოდენობა	გადარიცხული თანხა
საქართველო	10 234	11 500 222
საზღვარგარეთი	146	2 227 749
სულ	**10 380**	**13 727 971**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 15081 განცხადება, რაც მომართვის 79,4 %-ს წარმოადგენს

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია შემოსული განცხადებების 90% დაფინანსება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 11848 განცხადება, რაც მომართვის 81.3%-ია

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - უპირატესობა მიენიჭა სიმსივნით, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით, ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებებით დაავადებულ ბენეფიციარების დაფინანსებას.

06 02 10 ომის ვეტერანების დახმარება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებისა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 107.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) მატერიალური მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებისადმი (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) 9 მაისის დღესასწაულის აღსანიშნავად ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურიდან“ გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია ქ.თბილისში რეგისტრირებული, შესაბამისი სტატუსის მქონე პირების თაობაზე. მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად გადარიცხული იქნა შემდეგი თანხები: 1. მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 37 ბენეფიციარს გადაერიცხა 2000-2000 ლარი (სულ 47 000 ლარი), 2. ამ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების (ქვრივები, შრომისუუნარო წევრები) სტატუსის მქონე 33 ბენეფიციარს 1000-1000 ლარი (სულ 33 000 ლარი).

ცხრილი 1. დაფინანსებულ ბენეფიციართა განაწილება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით და გადარიცხული თანხების ოდენობები (ლარი)

სქესი/ასაკობრივი ჯგუფი	მამრობითი	მდედრობითი	სულ	გადარიცხული თანხა
71_80	1	3	4	4 000
81_90	5	22	27	27 000
90 და მეტი ასაკის	22	17	39	76 000
სულ	**28**	**42**	**70**	**107 000**

ცხრილი 2. დაფინანსებულ მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა რაოდენობა რაიონების მიხედვით და გადარიცხული თანხების ოდენობები (ლარი)

რაიონი	**რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა**
	II მსოფლიო ომის მონაწილეები	**II მსოფლიო ომის მონაწილეები**
გლდანის რაიონი	4	8 000
ნაძალადევის რაიონი	2	4 000
დიდუბის რაიონი	6	12 000
ჩუღურეთის რაიონი	2	4 000
ისნის რაიონი	4	8 000
სამგორის რაიონი	8	16 000
ვაკის რაიონი	4	8 000

საბურთალოს რაიონი	7	14 000
მთაწმინდის რაიონი		
კრწანისის რაიონი		
სულ	**37**	**74 000**

ცხრილი 3. დაფინანსებულ ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების რაოდენობა რაიონების მიხედვით და გადარიცხული თანხების ოდენობები (ლარი)

რაიონი	**რაოდენობა**	**გადარიცხული თანხა**
	II მსოფლიო ომში მარჩენალდაკარგული	**II მსოფლიო ომში მარჩენალდაკარგული**
გლდანის რაიონი	5	5 000
ნაძალადევის რაიონი	5	5 000
დიდუბის რაიონი	5	5 000
ჩუღურეთის რაიონი	6	6 000
ისნის რაიონი	2	2 000
სამგორის რაიონი	4	4 000
ვაკის რაიონი	4	4 000
საბურთალოს რაიონი	1	1 000
მთაწმინდის რაიონი		
კრწანისის რაიონი	1	1 000
სულ	**33**	**33 000**

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 86 ბენეფიციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაიგეგმა 70 ბენეფიციარის დაფინანსება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

06 02 12 უსახლკარო ოჯახებისათვის საცხოვრებელი ფართის შეძენა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო

2024 წლის გეგმა - 4,570.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,028.2 ათასი ლარით (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი), რაც გეგმის 88.2%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უსახლკარო სტატუსის მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში უსახლკაროთა საცხოვრებელით უზრუნველყოფის მიზნით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულების თანახმად, ფიზიკური პირისგან შეძენილია 33 ერთეული საცხოვრებელი სახლი, რომელიც სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის წესით გადაეცა თბილისის მუნიციპალურ თავშესაფარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უსახლკაროდ რეგისტრირებული დაახლოებით 400 ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა (მათ შორის 2023 წელს დაკმაყოფილდა 38 ოჯახი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - უსახლკაროდ რეგისტრირებული დაახლოებით 50 ოჯახის საცხოვრისით უზრუნველყოფა წელიწადში.

მიღწეული მაჩვენებელი - დაკმაყოფილდა 33 უსახლკაროდ რეგისტირირებული ოჯახი (შეძენილია 33 ერთეული შესაბამისი საცხოვრებელი ფართი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო 50 საცხოვრებელი სახლის შეძენა, რაც ვერ მოხერხდა უძრავი ქონების ბაზარზე არსებული ფასების მკვეთრი ზრდისა და შესაბამისად დაბალფასიანი ბინების მოძიების პროცესის შეფერხების გამო.

06 02 13 მარტოხელა ხანდაზმულთა დღის ცენტრის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 2.4 ათასი ლარი, დაფინანსდა 98.%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მარტოხელა ხანდაზმულების დღის ცენტრის ფუნქციონირების მხარდაჭერა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ხანდაზმულთა დღის ცენტრის კომუნალური ხარჯები (ყოველდღიურად მომსახურებას იღებს 35-40 ბენეფიციარი). კერძოდ, 1306.67 ლარი გადაირიცხა შპს

„ვარკეთილაირში“, 252.12 ლარი შპს "თბილსერვის ჯგუფში", 422.88 ლარი შპს „თელმიკოში“, 386.45 ლარი შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მომსახურებით ისარგებლა საშუალოდ თვეში 145-მა მარტოხელა ხანდაზმულმა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 02 14 უფასო სასადილოებით მომსახურება დაფინანსებულია 26,151.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 26,155.2 ათასი ლარის 99.99%-ი). თბილისში ფუნქციონირებს 64 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება თვეში საშუალოდ 42145 ბენეფიციარს.

(ათასი ლარი)



შენიშვნა: იანვრის ხარჯები გაწეულია თებერვალში



ათასი ლარი



	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2022	211.7	2,773.9	2,453.7	1,190.9	2,130.9	3,294.8	1,039.4	2,200.1	3,326.1	1,001.2	2,199.2	4,112.7
2023	213.8	2,206.7	3,100.9	1,316.8	1,916.5	3,258.9	1,064.6	2,214.2	3,066.1	1,273.0	2,171.3	4,124.5
2024	216.5	2,211.8	3,164.5	1,379.9	1,886.9	2,882.1	1,745.4	2,184.6	3,343.0	771.0	2,160.0	4,206.2

06 02 14 06 უფასო სასადილოებით მომსახურება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4,122.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 9 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 6625 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 6625 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 07 უფასო სასადილოებით მომსახურება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 5,010.6 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 10 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 8053 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 8053 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 08 უფასო სასადილოებით მომსახურება დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1,368.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 2200 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 2200 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 09 უფასო სასადილოებით მომსახურება ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 2,240.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 6 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 3600 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 3600 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 10 უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 998.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 998.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.99%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 3 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1600 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 1600 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 11 უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1,028.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,025.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1743 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს. ასევე, გაწეულია 2023 წელს შესრულებული და გაუნაღდებელი მომსახურების ხარჯები 5.7 ათასი ლარი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 1760 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 1743 ბენეფიციარი

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ბენეფიციართა არ გამოცხადება ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით.

06 02 14 12 უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 3,160.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 7 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 5080 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 5080 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 13 უფასო სასადილოებით მომსახურება სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4,685.2 ათასი ლარი დაფინანდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 11 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 7530 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 7530 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 14 14 უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 2,381.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 5 უფასო სასადილო (მათ შორის 2024 წლის 1 იანვრიდან გაიხსნა დამატებით ერთი უფასო სასადილო სოფელ ფონიჭალაში იეთიმ გურჯის N23-ში), რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 3839 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 3540 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 3891 ბენეფიციარამდე

მიღწეული მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 3839 ბენეფიციარი

06 02 14 15 უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1,158.9 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უფასო კვებით უზრუნველყოფილი უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: რაიონში ფუნქციონირებს 4 უფასო სასადილო, რომელიც ემსახურება ყოველთვიურად საშუალოდ 1875 სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 1956 ბენეფიციარი

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - უფასო კვებით უზრუნველყოფილია ყოველთვიურად საშუალოდ 1875 ბენეფიციარი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - სოციალურად დაუცველ მონაცემთა ბაზაში ცვლილება.

06 02 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დაფინანსებულია 66.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 77.7 ათასი ლარის 86.1%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 15 07 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 14.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 40 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 08 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 10.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 9.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 90%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 27 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 09 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 4.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.9%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია 13 გარდაცვლილი მეომრის ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 10 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 6.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 88.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 15 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 11 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 9.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 8.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 85.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 24 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 12 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 8.8 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 25 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 13 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 7.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 20 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 14 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 15.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 7.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 51.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 22 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 15 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 3 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 15 16 გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 0.7 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში მიღებული თანამონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური დახმარება გაეწია გარდაცვლილ მეომართა 2 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ყოველწლიურად ხორციელდება სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურებაში თანამონაწილეობა თითოეულ ოჯახზე 350 ლარის ოდენობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი.

06 02 16 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაცია დაფინანსებულია 9,974.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 9,986.9 ათასი ლარის 99.9%). საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია

თბილისის ათ რაიონში მცხოვრებ სიით 2154 ოჯახს (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 54 ოჯახი).

(ათასი ლარი)







	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
2022	541.5	670.6	586.1	642.8	615.0	493.6	733.0	620.7	632.5	662.0	663.1	671.1
2023	662.2	671.5	661.8	693.6	703.7	684.9	742.6	711.8	708.0	735.9	748.2	750.2
2024	736.0	752.3	722.1	844.3	805.2	816.3	910.6	883.2	697.4	1027.3	882.9	896.7

06 02 16 07 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 470.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 469.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 112 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 96 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 112 ოჯახს.

06 02 16 08 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1,525.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,523.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 382 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 405 ოჯახი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 4 ოჯახი).

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 382 ოჯახს.

06 02 16 09 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 862.2 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 136 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 120 ოჯახი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 5 ოჯახი).

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 136 ოჯახი.

06 02 16 10 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 786.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 784.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 199 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 193 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 199 ოჯახი.

06 02 16 11 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 518.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 517.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 145 ოჯახს. ამასთან, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 9.9 ათასი ლარი, ფალიაშვილის ქუჩა №11-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი შენობის ჩამონგრევის საშიშროებიდან გამომდინარე, დაზარალებული ოჯახისათვის, დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ბინის ქირის ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 159 ოჯახი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 5 ოჯახი).

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია 146 ოჯახი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 1 ოჯახი).

06 02 16 12 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 574.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 572.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 93 ოჯახს. ამასთან, ბიუჯეტის

სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 136.1 ათასი ლარი, არზაყან (დიმიტრი) ემუხვარის ქუჩა N2, შესახვევი N9-ში მდებარე ავარიულ საცხოვრებელ კორპუსში მცხოვრები ოჯახებისათვის (53 ოჯახი), დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით, ბინის ქირის ასანაზღაურებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 106 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/შემცირება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია 146 ოჯახი (მათ შორის სარეზერვო ფონდიდან 53 ოჯახი).

06 02 16 13 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1,066.3 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 250 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 255 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 250 ოჯახი.

06 02 16 14 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 2,378.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,373.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 396 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 369 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 396 ოჯახი.

06 02 16 15 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 797.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 795.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 201 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 193 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 201 ოჯახი.

06 02 16 16 დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 1,009.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 99.99%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილი მოსახლეობა და მათი სოციალურ–ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია სიით 186 ოჯახს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 2023 წელს სხვადასხვა მიზეზით ავარიული და საცხოვრებლად საშიში შენობებიდან (კორპუსიდან) გამოყვანილი მოქალაქეების დროებითი თავშესაფრით და ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 193 ოჯახი.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი: ბინის ქირით უზრუნველყოფილია სიით 186 ოჯახი.

06 02 17 ომის ვეტერანების დახმარება რაიონებში დაფინანსებულია 48.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 52.0 ათასი ლარის 93.1%) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

06 02 17 07 ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 13.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში აღდგომის

დღესასწაულთან დაკავშირებით (100 ვეტერანი), 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით (2 ომის ვეტერანი) და ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით (100 ვეტერანი) გადაეცათ სასაჩუქრე კალათები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების ღვაწლის დაფასების მიზნით, ყოველწლიურად ხორციელდება მათი ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში და სასაჩუქრე ნობათის გადაცემა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 02 17 08 ომის ვეტერანების დახმარება ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 3.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ომის ვეტერანთა ღვაწლის დაფასება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში აღდგომის და 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით 80 ომის ვეტერანს გადაეცათ სასაჩუქრე კალათები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების ღვაწლის დაფასების მიზნით, ყოველწლიურად ხორციელდება მათი ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში და სასაჩუქრე ნობათის გადაცემა.

დაგეგმილი მაჩვენებელი: საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი: დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

06 02 17 09 ომის ვეტერანების დახმარება დიდუბის რაიონში
	სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა	ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა	ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე	უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება	პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა
2022 წლის ფაქტი	170,002.2	4,018.4	21,111.2	2,764.0	3,971.6	266.0
2023 წლის ფაქტი	204,333.4	5,562.4	23,125.9	2,847.1	4,194.0	1,394.9
2024 წლის ფაქტი	218,975.7	5,310.1	28,740.9	3,400.0	4,326.7	1,102.9



07 01 სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება დაფინანსებულია 218,975.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 237,550.3 ათასი ლარის 92.2%-ი). მათ შორის:

07 01 02 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო; ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღები

2024 წლის გეგმა - 237,550.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 218,975.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 9,371.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 92.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და ახალი ბაღების მშენებლობის დასრულება, ავარიული საბავშო ბაგა-ბაღების გამაგრება ან დემონტაჟი და მშენებლობა, სკოლამდელი განათლების საჯარო სერვისზე მოთხოვნის დაკმაყოფილება და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები საბიუჯეტო სახსრებიდან - 2,861.0 ათასი ლარი (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, თანამშრომელთა საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და სხვა), ხოლო საკუთარი სახსრებიდან - 637.6 ათასი ლარი თანამშრომელთა სახელფასო დანამატის და ფულადი ჯილდოს გასაცემად, კომპიუტერული ტექნიკის, ავეჯის, ინვენტარის და სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტომანქანებისათვის პარკირების საშვის შეძენის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების, კომპიუტერული და საოფისე ტექნიკის შეძენის, ტრანსპორტის ექსპლუტაციისა და მოვლა - შენახვის ხარჯების ასანაზღაურებლად და სხვა.

საბავშვო ბაგა-ბაღების ხელშეწყობის (მათ შორის საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის, რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია) მიმართულებით გაწეულია 45,246.3 ათასი ლარი მოქმედი საბავშვო ბაგა-ბაღების გეგმიური და გადაუდებელი რემონტების, ავეჯის, სათამაშოების, საკანცელარიო, სამეურნეო საქონლისა და სხვადასხვა საჭიროების ხარჯების ასანაზღაურებლად; გრძელდება ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების, ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახალი საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობის და რეკონსტრუქციის სამუშაოები, მათ შორის: ვაზისუბანში, აშოტ კურაპალატის ქუჩაზე თბილისის N124 ბაგა-ბაღის მშენებლობაზე ანაზღაურებულია 2,037.3 ათასი ლარი, თბილისის N109 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 4,272.9 ათასი ლარი, თბილისის N108-ე ბაგა-ბაღის

მშენებლობისათვის - 171.5 ათასი ლარი, თბილისის N125 ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 52.4 ათასი ლარი, ნავთლუღის ქუჩაზე მშენებარე N30 ბაგა-ბაღისათვის - 2,196.6 ათასი ლარი და ეზოს კეთილმოწყობისთვის - 583.8 ათასი ლარი, თბილისის N64 ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 182.0 ათასი ლარი, თბილისის N19 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 3,224.7 ათასი ლარი, თბილისის N6 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 582.2 ათასი ლარი, თბილისის N43 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 1,859.7 ათასი ლარი, თბილისის N37 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისათვის - 1,212.5 ათასი ლარი, ლილოს დასახლებაში არსებული საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობისთვის - 1,424.5 ათასი ლარი, თბილისის N71 ბაგა-ბაღის მშენებლობისთვის - 1,914.9 ათასი ლარი, თბილისის N89 საბავშვო ბაგა-ბაღის რეკონსტრუქციისათვის - 180.5 ათასი ლარი, თბილისის N2 საბავშვო ბაგა-ბაღის რეკონსტრუქციისათვის - 558.9 ათასი ლარი;

დაიწყო სამი ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის (საბავშვო ბაგა - ბაღი: N43, N28, N50) მშენებლობა, ორი არსებული საბავშვო ბაგა - ბაღის (საბავშვო ბაგა - ბაღი: N211, 37) შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია და გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების მიხედვით გაცემულია ავანსი - 7,640.3 ათასი ლარი;

მიმდინარე სარემონტო სამუშაოები (მათ შორის წყალკანალიზაცია) ჩატარდა სამ საბავშვო ბაგა-ბაღში (საბავშვო ბაგა - ბაღი: N215, N153, N129) – 1,411.2 ათასი ლარი; სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ საბავშვო ბაგა-ბაღების შემოწმების შედეგად მიცემული რეკომენდაციების გამოსწორებისათვის, ასევე, 120-მდე საბავშვო ბაგა-ბაღის მცირე და საშუალო სარემონტო სამუშაოებზე (რომლებიც მოიცავდა სააღმზრდელო ჯგუფების, ეზოს ატრაქციონების, სამზარეულოს და სასაწყობე სივრცეების კოსმეტიკურ განახლებას) გაწეულია - 2,152.3 ათასი ლარი, განახლების პროგრამის ფარგლებში 6 საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოებისთვის დაიხარჯა - 2,827.4 ათასი ლარი, ხოლო ხუთი ახალი აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღის დასუფთავებაზე და ფარდა-ზალუზებით აღჭურვაზე გაწეულია - 102.6 ათასი ლარი. ასევე, გაწეულია 190 საბავშვო ბაგა-ბაღის თეთრეულის რეცხვის მომსახურებისათვის (მარცხენა სანაპიროზე - 25367.18 კგ და მარჯვენა სანაპიროზე - 12237.03 კგ) – 57.2 ათასი ლარი, 130 საბავშვო ბაგა-ბაღში გათბობა-ვენტილაციის შეკეთებისთვის - 373.3 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა-ბაღების (მათ შორის ხუთი ახალი აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღი) ავეჯის შეძენაზე - 1,293.0 ათასი ლარი, 190 საბავშვო

ბაგა-ბაღში სამზარეულოს ინვენტარისა და ტექნიკის შეკეთებისთვის - 543.8 ათასი ლარი, 5 ახალი აშენებული ბაღისათვის ჭურჭელის და უსაფრთხოების ბადეების შეძენა - 236.1 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის შეძენილია 60 მაცივარი (მათ შორის 5 ახალ საბავშვო ბაგა-ბაღში და 15 არსებულ ბაღში) - 56.2 ათასი ლარი, 190 საბავშვო ბაგა - ბაღის სათამაშოების შეძენა - 953.0 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებისათვის ნაბეჭდი წიგნების შეძენა - 266.7 ათასი ლარი, საბავშვო ბაგა-ბაღების ვიდეოაპარატურის და ტექნიკური მომსახურების შეძენა - 287.0 ათასი ლარი, ხუთ ახალ საბავშვო ბაგა-ბაღში და არსებულ ბაღებში შეძენილია კომპიუტერული ტექნიკა (კომპიუტერი, პრინტერი) – 274.9 ათასი ლარი, სამი ახალი აშენებული საბავშვო ბაგა-ბაღის (საბავშვო ბაგა-ბაღები: N2, N19 და N124 მოხატვისათვის - 210.0 ათასი ლარი, N30 საბავშვო ბაგა-ბაღის და N71 საბავშვო ბაგა-ბაღის დეკორაციების და ქანდაკებებისთვის ანაზღაურებულია 25.6 ათასი ლარი, ჰიგიენური და საკანცელარიო საქონლის, კონდიციონერების, სხვადასხვა ინვენტარის შეძენა და სხვა;

საანგარიშო პერიოდში გაიხსნა ხუთი ახალი საბავშვო ბაგა ბაღი (N64 ბაგა-ბაღი, N19 ბაგა-ბაღი, N30 ბაგა-ბაღი, N89 ბაგა-ბაღი და N124 ბაგა-ბაღი), დასრულდა ორი საბავშვო ბაგა-ბაღის (N2 და N71 ბაგა-ბაღი) სრული რეაბილიტაცია/ რეკონსტრუქცია, შესაბამისად მომსახურება გაეწია სააგენტოს მიერ დაფუძნებულ 190 საბავშვო ბაგა-ბაღში 60 000-მდე აღსაზრდელს. ამასთან, დასრულდა საზაფხულო ბაღების პროექტი, რომელშიც ჩართული იყო 50 საბავშვო ბაგა-ბაღი და მომსახურება გაეწია 18500-მდე აღსაზრდელს. ასევე, განხორციელდა მნიშვნელოვანი და მასშტაბური ღონისძიებები: თბილისის 6 საბავშვო ბაგა-ბაღის შენობას ჩაუტარდა სრული განახლების სამუშაოები - ახალი სააღმზრდელო წლის დასაწყისში ამ ბაღების აღსაზრდელებს დახვდათ განახლებული ინტერიერი, ფასადები და გარე-სივრცეები; სამ საბავშვო ბაგა - ბაღში განხორციელდა ეზოს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; თერთმეტ საბავშვო ბაგა - ბაღის შენობას ჩაუტარდა სახურავის რეაბილიტაცია; განახლდა მეთოდური ინვენტარიც, ბაღების აღსაზრდელებს სექტემბრიდან ახალი სათამაშოები და სხვა მეთოდური მასალები დახვდათ;

საბავშვო ბაგა-ბაღები მომსახურების მიმართულებით გაწეულია 170,868.4 ათასი ლარი (მათ შორის ბაგა–ბაღების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება (124,357.4 ათასი ლარი), თანამშრომლების საავადმყოფო ფურცლების ანაზღაურება (1,495.5 ათასი ლარი), ბავშვთა კვების ხარჯები (24,657.7 ათასი ლარი), კომუნალური ხარჯები (13,623.9 ათასი ლარი), ბუღალტრული პროგრამის შეძენა (665.5 ათასი ლარი), 12 საბავშვო ბაგა - ბაღის შენობის იჯარა და დაცვა, ბაღების მიერ 2023 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების (გადაუდებელი რემონტი, ეზოს და ფასადის მოპირკეთება, სამზარეულოს ტექნიკის, კომპიუტერული ტექნიკის, ტელევიზორის, მაცივარის, მუსიკალური ინსტრუმენტების, ავეჯის, სპორტული საქონელის შეძენა, საკანალიზაციო ქსელის შეკეთება და ჭის გაწმენდა, კანალიზაციის პროექტი, შენობის ექსპერტიზა) საფუძველზე დავალიანებების დაფარვა, ზოგიერთ საბავშვო ბაგა-ბაღზე (28 ბაღი) შპს „ელფის“ სასარგებლოდ და თბილისის N15 საბავშვო ბაგა-ბაღის თანამშრომელის განაცდურისთვის სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების ანაზღაურება (222.1 ათასი ლარი) და სხვა აუცილებელი ხარჯები.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: შესწავლილ იქნა განსაკუთრებული საჭიროების მქონე აღსაზრდელთა საჭიროებები (ბაგა-ბაღებსა და ბაღის სარეზერვო სიაში რეგისტრირებული, აღსაზრდელების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით), მომზადდა და მთავრობასთან შეთანხმდა პერსონალური ასისტენტის 500 პოზიცია;

საბავშვო ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მხარდაჭერის მიზნით დაიწყო და გაფართოვდა თანამშრომლობა საჯარო უწყებებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მათ შორის: პირველადი სამედიცინო დახმარების საკითხებში ბაგა-ბაღის თანამშრომელთათვის ტრენინგების ჩატარების, თანამშრომელთა და ბაგა-ბაღის აღსაზრდელთათვის საშეღავათო სამედიცინო მომსახურების გაწევის მიზნით, მომზადდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის პროექტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან; საბავშვო ბაგა-ბაღების სახაზინო პროგრამაზე გადასვლის გამო, თბილისის მერიასა და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით,

დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგები საბავშვო ბაგა-ბაღების ბუღალტრებისათვის მათ შორის ერთიგონის პროგრამაში; სკოლამდელი აღზრდისა და ფსიქოლოგიის პროგრამაში თანამშრომელთა გადამზადების მიზნით გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან"; საერთაშორისოდ აღიარებული „ჰართ" მეთოდოლოგიის ბაგა-ბაღებში დაგეგმვის მიზნით მომზადდა და გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „Save the Children International"-ის საქართველოს წარმომადგენლობის ოფისთან;

აღსანიშნავია, რომ 2024 წლის 1 იანვრიდან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები გადავიდა სახაზინო მომსახურების სისტემაზე და მათზე გავრცელდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონი. შესაბამისად, სააგენტოში შეიქმნა და შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტებით დაკომპლექტდა ახალი განყოფილება, რომელიც ახორციელებს ბაღებისათვის საჭირო შესყიდვებს ცენტრალიზებულად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დასრულდა 4 ახალი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა (მათ შორის 1 გაიხსნება 2024 წელს) და 1 საბავშვო ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (2024 წლის იანვარში გაიხსნება), გრძელდება 8 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 10 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობის დასრულება, რეკონსტრუაცია/რეაბილიტაცია (მათ შორის 3 ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღის გამაგრება/რეკონსტრუქცია), დაიწყება 3 არსებული ბაღის ნაცვლად ახალი ბაგა ბაღის მშენებლობა, ხოლო 2 ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 4 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა და 3 საბავშვო ბაგა-ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია, გრძელდება 8 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/გამაგრება/რეაბილიტაციის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - უმეტესმა კომპანიამ ვერ მოახერხა ხელშეკრულებით დადგენილ

ვადებში სამუშაოების დასრულება და დაწყებულია კანონით დადგენილი პროცედურები.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წლის ბოლოსთვის 188 საბავშვო ბაგა-ბაღი მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 192 საბავშო ბაგა-ბაღში 62500-მდე აღსაზრდელის მიღება.

მიღწეული მაჩვენებელი - 190 საბავშვო ბაგა-ბაღი მოემსახურა 60000-მდე აღსაზრდელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა ბაღებში არსებულ ადგილებზე და არ მოხდა 60000-ზე მეტი აღსაზრდელის დარეგისტრირება.

07 02 ზოგადი განათლების სისტემისა და საზოგადოების ინფორმირების ხელშეწყობა დაფინანსებულია 28,740.9 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 31,643.7 ათასი ლარის 90.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 02 01 ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2024 წლის გეგმა - 61.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 61.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სასკოლო კლუბების განვითარება, მოსწავლეების და სკოლების ჩართულობის გაზრდა არაფორმალურ საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სხვადასხვა პროექტები, მათ შორის: ა(ა)იპ „მირაბალდების“ პროექტი - „26 მაისის ქალები სკოლებში“, რომლის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებს შორის ჩატარდა ესსების კონკურსი (გამოვლენილი იქნა 25 საუკეთესო ნამუშევარი, რომელიც შევიდა კრებულში და დაურიგდა თბილისის ყველა სკოლას); სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროექტი - „პროფესიის

არჩევა - გამოწვევები და შესაძლებლობები“, რომელიც ითვალისწინებდა წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე შერჩეული საპილოტე სკოლების მოსწავლეთათვის პროფესიის არჩევის ძირითადი პრინციპების, მიდგომების, ბარიერებისა და მათი დაძლევის გზების გაცნობას ინტერაქტიული ლექციის ფორმატში (პროექტის დასკვნით ეტაპზე განხორციელდა მონაწილეთა ვიზიტი თბილისის პროფესიულ კოლეჯებში); ა(ა)იპ „არტსკოლას“ პროექტი - „არტსკოლა“, რომლის ფარგლებში ჩატარდა სპექტაკლები, რომელიც მოსწავლეებმა განახორციელეს სცენაზე სპექტაკლების სახით (პროექტში მონაწილეობა მიიღო 15-მდე სკოლის 200-ზე მეტმა მოსწავლემ); სსიპ „ქალაქ თბილისის N149 საჯარო სკოლას“ პროექტი - „საზაფხულო სკოლა „ლიდერი“, პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა შექმნეს სიმულაციური ბიზნესგარემო - ჩამოაყალიბეს სასწავლო კომპანია, იმუშავეს ბიზნეს გეგმის შედგენაზე და მონაწილეობა მიიღეს მნიშვნელოვანი საქმიანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, კერძოდ, „კომპანიის“ ფარგლებში მოსწავლეებმა თექისგან დაამზადეს სხვადასხვა დანიშნულების ხელნაკეთი ნივთები (ტრადიციული აქსესუარები, სათამაშოები, საყოფაცხოვრებო ნივთები და სხვა) და მოაწყეს გამოფენა-გაყიდვა.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 2 პროექტი, პროექტებში მონაწილე 350-მდე მოსწავლე (მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება და პროექტებში ჩართული 1000-მდე სკოლის მოსწავლე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა და განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი 4 პროექტი, პროექტებში მონაწილე 1000-მდე მოსწავლე (მათ შორის სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვები და მოზარდები).

07 02 03 საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო

2024 წლის გეგმა - 26,365.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 25,684.6 ათასი ლარით (მათ შორის სპეციალური კაპიტალური ტრანსფერი - 1,923.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 97.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინფორმირებული თბილისის მოქალაქეები და თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული და ტერიტორიული ორგანოებისათვის და თბილისის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირებისათვის (საჭიროების შემთხვევაში სხვა მუნიციპალიტეტებისათვის) მიწოდებული ელექტრონული სერვისები, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მერიის სტრუქტურულ ერთეულებში და ტერიტორიულ ორგანოებში, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მოვლა და ტექნიკური მომსახურება, არასაცხოვრებელი ფართის იჯარა, პრინტერების, უწყვეტი კვების წყაროების, 25 ლეპტოპის, 20 ცალი AIO ტიპის კომპიუტერის და ხმაურის დონის დამდგენი დეტექტორის 4 კომპლექტის შეძენა, Lenovo Storage V3700 V2 შემნახველი მასივისთვის მყარი დისკების შეძენა, რიგის მართვის სისტემის „Qmatic"-ის ტექნიკური მხარდაჭერისა და პროგრამული მომსახურების უზრუნველყოფის შეძენა, არსებული „SolarWinds" -ის ერთწლიანი ლიცენზიის და ტექნიკური მხარდაჭერის შეძენა, Manage Engine Service Desk Plus Enterprise პროგრამის ერთ წლიანი ტექნიკური მხარდაჭერის და განახლების შეძენა, manage engine password manager pro enterprise edition-ის მხარდაჭერის და ლიცენზიის განახლების შეძენა, თბილისის მუნიციპალიტეტის (ადმინისტრაციულ საზღვრებში) ციფრული აეროგადაღება (ორთოფოტო) და ობლიქ გადაღების მომსახურება, Red Hat Linux Server Premium (Physical or Virtual Nodes)-ის ლიცენზიის განახლება, Barracuda Email Security Gateway Virtual License 400-ის ლიცენზიის განახლება, DELPHIX DYNAMIC DATA PLATFORM- (DLX-DDP-PB-TB-1Y)) ლიცენზიის განახლება, IP ტელეფონების

Cisco-ს სისტემის ერთწლიანი ლიცენზიის და ტექნიკური მხარდაჭერის განახლება, Atlassian Cloud პროდუქტების ლიცენზიის განახლება, Advanced Web Application Firewall და დატვირთვის ბალანსერის ლიცენზიის განახლება, ADManager Plus და Exchange Reporter Plus -ს ლიცენზიის განახლება, უსაფრთხოების ინციდენტებისა და მოვლენების მართვის სისტემის ლიცენზიის განახლება, SSL სერტიფიკატების განახლება, DDos (Radware DefensePro 6-1S) პროგრამის ლიცენზიის განახლება, Figma Organizational-ის სამომხმარებლო ინტერფეისების დიზაინზე სამუშაო აპლიკაციის ლიცენზიის განახლება, ეკოსისტემის მონიტორინგის სისტემა Dynatrace-ს ლიცენზიის განახლება, Cisco C8300-1N1S-4T2X-ის ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიის განახლება, სამომხმარებლო ინტერფეისების დიზაინზე სამუშაო აპლიკაციის ლიცენზიის განახლება, SolarWinds DameWare Mini Remote Control ერთწლიანი ლიცენზიის შეძენა, SSL სერტიფიკატების შეძენა tbilisi.gov.ge, municipal.gov.ge და msda.ge დომეინებისთვის, არსებული ჰიპერ-კონვერგენტული ინფრასტრუქტურის ლიცენზიის გაფართოვება-გაუმჯობესება, სააგენტოში არსებული ავტომატური ტესტირების პროგრამის ლიცენზიის ტექნიკური მხარდაჭერის განახლება, არქიტექტურული და სამშენებლო პროექტების პროექტირების, შემოწმების და მართვისთვის პროგრამის შეძენა, კრიტიკული ქსელური ინფრასტრუქტურის ტექნიკური მხარდაჭერის ლიცენზიის განახლების შეძენა, პრივილეგირებული მომხმარებლის წვდომის პროგრამის ლიცენზიის განახლების შეძენა, ცხელი ხაზის არსებული პროგრამის 11 ერთეული ლიცენზიის განახლება და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 2,023.7 ათასი ლარი, კომპიუტერის, ქსელური უსაფრთხოებისთვის სპეც. აპარატურული და პროგრამული კომპლექსის შეძენის, მერიის ადმინისტრაციულ შენობაში ქსელური ინფრასტრუქტურის კაპიტალური განახლების, გადასახადების გადახდის, მივლინების ხარჯების, თანამშრომელთა სახელფასო დანამატის ასანაზღაურებლად). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

სისტემური ანალიზის დეპარტამენტის მიერ მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონული სერვისების გარკვეული ფუნქციონალების

დამატება/ცვლილება. კერძოდ: ელექტრონული დოკუმენტ ბრუნვის სისტემა, მაღალმთიანი რეგიონებისა და სოციალური პროგრამების სისტემა, ტაქსი-თბილისი, პარკირების სისტემა, მომხმარებლის უფლებების მართვის სისტემა, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, სამგზავრო ბარათების სისტემა, კონფიგურაციების მართვა, ელექტრონული განცხადებების სისტემა, ტრეინინგი და დანერგვა, ინტერაქტიული რუკის სისტემა, ჯანდაცვის პროგრამების სისტემა, Fix Tbilisi, მუნიციპალური სერვისების პორტალი, ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის სისტემა, აუზით სარგებლობის სისტემა, ცხელი ხაზის სისტემა, უფასო კვების სისტემა, სოციალური მომსახურების მოდული, მოქალაქეთა დახმარების სისტემა, თქვენი იდეა ქალაქის მერს, სოციალური მომსახურების მოდული, მუნიციპალური კალენდრის სისტემა;

პროგრამული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ანალიტიკოსების მიერ შექმნილი პროექტებისა და სერვისების პროგრამული უზრუნველყოფა და მოდერნიზაცია. ასევე, სააგენტოში საანგარიშო პერიოდში გატარდა და მუდმივად მიმდინარეობს არსებული ელექტრონულ სერვისების/პროექტების გარკვეული ცვლილებები (ფუნქციონალების ცვლილება/ დამატება/გაუქმება), სამუშაო პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრის და ახალი მოთხოვნების წარმოშობის შედეგად, არსებული სისტემების გაუმჯობესების მიზნით;

სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა ქსელურ სისტემებზე დაშვების აღრიცხვა და დაყოფა, რაც თავის მხრივ ამაღლებს უსაფრთხოებას, მოხდა თბილისის მუნიციპალიტეტის შენობებში 2007 წელს დანერგილი ქსელური აპარატურის აღრიცხვა, შესაბამისი ახალი აპარატურის შერჩევა და ტექნიკური საბუთის შემუშავება; აღრიცხული იქნა 189 ბაგა-ბაღში ქსელური და ტექნიკური საშუალებები; განხორციელდა ელექტრონული ფოსტის 2 მანქანის განახლება და ორი ახალი მანქანის დამატება; თბილისის განვითარების სააგენტოს ქსელში შემოერთება (2 ოფისი 140 იუზერამდე); დამატებით განხორციელდა ქსელებში წვდომების დაყოფა და პრივილეგირებულ პროგრამების პროგრამაში აღრიცხვა, მიმდინარეობს ქსელურ დონეზე აღნიშნულ პროგრამებთან

წვდომის დახურვა; რეგულარულად ხორციელდება ყოველდღიური აპარატურული მონიტორინგი და სისტემების განახლება; მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 2 000 მდე კამერის ქსელის პრობლემების აღმოფხვრა; დამუშავებული იყო ახალი „ფაირვოლის„ აპარატის ტექნიკური დოკუმენტაცია, ხორციელდება ძველი აპარატის ჩანაცვლება. მიმდინარეობს 2 500 მომხმარებლამდე ყოველდღიური მონიტორინგი და პრევენციული ღონისძიებების გატარება, რომ არ მოხდეს უსაფრთხოების დარღვევა; ხორციელდება 24 საათიან რეჟიმში სისტემებზე მონიტორინგი, როგორიცაა შიდა ქსელის, დაშიფრული გარე ქსელური წვდომების, ვირტუალური მანქანების, გარე ქსელიდან შეტევის მონიტორინგი, რეგულარულად, დაგეგმილად ხდება სისტემების განახლება. ზემოთ ჩამოთვლილი სამუშაოების დაგეგმარება ხდება სამუშაო საათებში ხოლო განხორციელება ძირითადად ხდება არა სამუშაო საათებში, რომ არ მოხდეს მუნიციპალიტეტში სამუშაო პროცესის შეფერხება;

ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის მიერ მოხდა მომსახურების გაწევა კომპიუტერულ ქსელების 4847 ტექნიკური და 41326 ელექტრონული სერვისების საკითხზე;

მომსახურების ცენტრების დეპარტამენტის სერვის ცენტრებში მომსახურება გაეწია 511876 მოქალაქეს, დარეგისტრირდა (შემოვიდა ფოსტით და ელექტრონულად) 247897 კორესპონდენცია და ხელზე გაიცა - 28320. ასევე, გაიცა 37720 ტაქსის ლიცენზია და ტაქსების 2406 ტრაფარეტი, უფასო ზონალური პარკირების სისტემაში დარეგისტრირდა 4272 მოქალაქე, გაიცა 4787 ტაქსის სტიკერი და მოქალაქეთა პროფილის მართვის სისტემაში შეიქმნა/განახლდა 19816 მოქალაქის პროფილი;

ცხელი ხაზის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 615352 სატელეფონო ზარის მომსახურება;

საოპერაციო დეპარტამენტში დარეგისტრირდა ფოსტით და ელექტრონულად შემოსული 127066 კორესპონდენცია, ელექტრონულად გაიგზავნა - 69459 და ფოსტით - 124998 (მათ შორის მომსახურების ცენტრების მიერ ელექტრონულად და ფოსტით გაცემული კორესპონდენცია);

ხარისხის კონტროლის სამმართველოს მიერ განხორციელდა ცხელ ხაზზე შემოსული 21792 სატელეფონო ზარის მოსმენა. აქედან შეფასდა 179 სატელეფონო ზარი და შესაბამისად, მოხდა თანამშრომელთა საქმიანობის ყოველთვიური შეფასებაც; სამმართველო აქტიურად ახორციელებს მუნიციპალური სერვისცენტრების მონიტორინგს, ადგილზე ვიზიტისა და დაკვირვების გზით (ჯამური ვიზიტების რაოდენობა - 571); მარტის თვეში ხარისხის კონტროლის სამმართველოს ანალიტიკოსების მიერ ასევე, განხორციელდა ზონალური პარკირების 7 საინფორმაციო პავილიონის შემოწმება, სადაც ვიზიტების რაოდენობამ შეადგინა 35; მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით დამუშავდა ყოველთვიური სტატისტიკური ანგარიში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 11 ერთეულისთვის, კერძოდ, თითოეული ერთეულისათვის კატეგორიების მიხედვით მომზადდა და გადაეგზავნათ ანგარიში კორესპონდენციების მოცულობის, დატვირთულობის და ვადაგადაცილებული წერილების რაოდენობის გათვალისწინებით; შემოწმდა დოკუმენტბრუნვის პროგრამაში დარეგისტრირებული განცხადებები ნომენკლატურის მიხედვით და მომზადდა არასწორი ნომენკლატურით დარეგისტრირებული განცხადებების სტატისტიკური ანგარიში;

პროფესიული განვითარების სამმართველოს მიერ პირველ და მეორე კვარტალში მიმდინარეობდა ტრენინგ-საჭიროებათა კვლევები და მოსამზადებელი სამუშაოები. დასრულდა ტრენინგები შემდეგ მოდულებში:

მოხელის პროფესიული განვითარების საბაზისო პროგრამა ,,მოხელის მენეჯერული უნარები“, ბუღალტრული აღრიცხვა საჯარო სექტორში, სივრცითი მოწყობა და სამართალი, სახელშეკრულებო სამართალი და საპროცესო დოკუმენტაციის შედგენის მეთოდიკა, საბიუჯეტო ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამული უზრუნველყოფის ბუღალტრული პროგრამა (ესბა ESBA), პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსი, ეფექტური მომსახურება და სატელეფონო გაყიდვები, სამეწარმეო სამართალი, საგადასახადო სამართალი, საინვესტიციო პროექტების

მართვა, ინვენტარიზაციის პროცესების მართვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის საბაზისო კურსი ამზომველებისთვის, დროისა და პრიორიტეტების მართვა, აღმზრდელ-პედაგოგთა გადამზადება და პროფესიული განვითარება, საგადასახადო სამართალი, ემოციური ინტელექტი, მოლაპარაკების ტექნიკა და დამარწმუნებელი კომუნიკაცია, ეფექტიანობის აუდიტი, სისტემური აუდიტი, შესაბამისობის აუდიტი, ფინანსური აუდიტი. (სულ ტრენინგი გაიარა 2102 მოსამსახურემ, მათ შორის 1564 ქალი, 538 კაცი).

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 25-მდე მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2000-მდე გადამზადებული თანამშრომელი (2023 წლის ფაქტი - 15 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 1467 გადამზადებული თანამშრომელი (მათ შორის 945 ქალი, 522- კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - 22 მოდულში ჩატარებული ტრენინგები და 2102 გადამზადებული თანამშრომელი (მათ შორის 1564 - ქალი, 538 - კაცი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თანამშრომელთა მიერ დაფიქსირდა მოთხოვნის ცვლილება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ სააგენტოს 11 სერვის ცენტრში, საოპერაციო დეპარტამენტში და ცხელ ხაზზე 1 000 000 მოქალაქისთვის მომსახურების გაწევა (2023 წლის ფაქტი - მომსახურება გაეწია სააგენტოს 11 სერვის ცენტრში 1 123 941 მოქალაქეს (მათ შორის დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) - 546109 მოქალაქეს)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოს მომსახურების ცენტრებში (11 სერვის ცენტრი) მომსახურება გაეწია 1 127 228 მოქალაქეს (მათ შორის დისტანციურად (სატელეფონო ზარის მომსახურება) - 615352 მოქალაქეს).

3.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 30-მდე პროგრამული ლიცენზიის შეძენა-განახლება, ხოლო 3 წელიწადში ერთხელ თბილისის ორთო ფოტოს გადაღება-დამუშავება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განახლდა 29 პროგრამული ლიცენზია, დასრულდა ორთო-ფოტოს გადაღება/დამუშავების ღონისძიებები.

4.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს 63 მუნიციპალიტეტის გაფართოებული სასერვერო სისტემის ინფორმაციის შემნახველი მასივების და სისტემების, სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურის ტექნიკური განახლება/ჩანაცვლება და ამასთან დაკავშირებული საჭირო პროგრამების/ლიცენზიების შეძენა, სასერვეროს გამართვა.

დაგეგმილი მაჩვენებელი საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (გაფართოებული სასერვერო მასივებისთვის მასივების მონაცემთა რეზერვირების სისტემით, გაგრილების სისტემით, უწყვეტი კვების და მუდმივი დენის წყაროებით (იუპიესები, გენერატორები) უზრუნველყოფა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

07 02 04 საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სააგენტო

2024 წლის გეგმა - 5,216.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,994.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 57.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თვითმმართველობის საქმიანობის შესახებ მოსახლეობის, მედიისა და სხვა დაინტერესებული ინსტიტუტების დროული და სრულყოფილი ინფორმირება, სხვადასხვა საკომუნიკაციო ინსტრუმენტების მეშვეობით დაგეგმილი პროექტების განხორციელება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საზოგადოებასთან კომუნიკაციის სააგენტოს ფუნქციონირების ხარჯები, მათ შორის: თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების შესახებ მედია საშუალებებით გასული ინფორმაციის მონიტორინგი - 30.8 ათასი ლარი, თარგმნის მომსახურება - 7.2 ათასი ლარი, ხოლო სოციალური მედია და პირდაპირი ეთერით ღონისძიებების გადაცემა (საახალწლო გალა კონცერტი, ბაგების ხიდის გახსნა, „თბილსერვის ჯგუფის“ ახალი სპეცტექნიკის პრეზენტაცია, დიღმის მასივში რეაბილიტირებული სკვერის გახსნა, ზღვის უბნის ახალი პარკის

გახსნა, უკანონოდ დაკავებული საცხოვრებელი ფართების დაკანონება, ციციშვილის სახელობის პარკის გახსნა, 18 მეტრიანი ავტობუსების ახალი ნაკადის პრეზენტაცია, ცერემონიების სასახლეში საპატიო თბილისელების დაჯილდოების ღონისძიება) – 291.2 ათასი ლარი.

გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ყოველდღიურ რეჟიმში მზადდებოდა დღის ამბები, რომელიც თბილისის გამგეობებისა და მერიის სამსახურების ყოველდღიურ საქმიანობას ეხებოდა. ასევე, დამზადდა ვიდეო რგოლები: დღის ამბავი (135 ვიდეო რგოლი), საიმიჯო ვიდეო რილსები (43 ერთეული) და 15 საიმიჯო ვიდეო რგოლი, საქალაქო სამსახურების შემაჯამებელი ვიდეო რგოლები (6 ერთეული), ხოლო სამსახურების და გამგეობების 15 ვიდეო რგოლი, ეროვნული სკრინინგ ცენტრი (2 ვიდეო რგოლი), 82 ტიკტოკის ვიდეო, თბილისობის ვიდეო-პროგრამა და საიმიჯო ვიდეო რგოლი, თბილისის საჯარო ხელოვნების ფონდი 2 ვიდეო, ბაგების და სკვერების საიმიჯო ვიდეო რგოლები, 60+ ადამიანებისთვის მულტიფუნქციური სივრცის გახსნის ვიდეო რგოლი; გრაფიკული ვიდეო რგოლები: ტრანსპორტი- 2, სკრინინგი-7, ტრანსპორტის ფორუმი, კრწანისის რაიონის 2024 წლის ანგარიში, სპორტი და ხელოვნება უფროსი თაობებისთვის (ქუდი და შეფუთვა), საახალწლო შეფუთვები, მობილობა შეფუთვა, გამგეობების 10 ქუდი, საქალაქოს 7 ქუდი, თბილისის საჯარო ხელოვნების სკოლის კლიპების 2 შეფუთვა, ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროექტის ფოტო - სლაიდი, თბილისობის პროგრამა, ლეგენდების მატჩი, მონიტორის ვიდეო, TBILISI EUROPEAN CAPITAL OF SPORT 2025, თბილისის ბაგა ბაღების შეფუთვა, თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (გრაფიკა და კლიპი);

დიზაინის მიმართულებით მომუშავე ჯგუფმა იმუშავა სხვადასხვა თემებზე, მათ შორის: 3-8 მარტის სრული ბრენდირება (ბანერი, სცენის შეფუთვა, მისალოცი, შტენდერი), თბილისობის სრული ბრენდირება (ბილბორდი, ბანერი, კლიპი, მოსაწვევი, საჩუქრები, სიგელი, ბეიჯი, საშვი, ფბ პოსტები და ა.შ), აღდგომის დღესასწაულის ბრენდირება, 1 ივნისის სრული ბრენდირება გამგეობისთვის, ხოლო მერიისთვის მისალოცი და ფბ მისალოცები, 1 ივნისთან დაკავშირებით ყველა

გამგეობისთვის, სპორტულ-ინტელექტუალური თამაში „გააცოცხლე საქართველოს ისტორია“, გიორგობის პოსტერი, ახალი წლის შეფუთვა სრული ბრენდირება (საჩუქარი, მისალოცი, ბილბორდი და ა.შ.); ეკოსერვისის მანქანების ბრენდირება; ცხოველთა მონიტორინგის სააგენტო: მანიშნებელი, 4 აბრა, 19 ფბ ბანერი, 2 ფოტოს ჩარჩო, ფოტო ზონა და 3 დასაბეჭდი ბანერი/სტიკერი, 12 ფბ ბანერი; ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტო: გაჩერებებზე გასაკრავი სტიკერი, 19 ფბ ბანერი; ეკონომიკური განვითარების სამსახური: ღვინის ბარების რუკის განახლება, ჩანთა, ბლოკნოტი, საქაღალდე; Tbilisi LED Forum 2024 - სრული ბრენდირება, ბროშურა - თბილისი ციფრებში (30 გვერდიანი); მუნიციპალური ინსპექციისთვის ფბ პოსტი; ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის პროექტების ხელშეწყობის პროგრამის პრეზენტაცია; ბრენდირება - სპორტულ- ინტელექტუალური თამაში ,, გააცოცხლე საქართველოს ისტორია“; ბრენდირება - პროექტი კალმოსანი; გლდანის გამგეობისთვის - ლიტერატურული კონკურსის ბრენდირება (ბანერი, ბლოკნოტი, შტენდერი, სერთიფიკატი), ბრენდირება - რაგბი, კალათბურთი, ფეხბურთი; ბრენდირება - ნაძალადევის თასი მინი ფეხბურთში 2024, ნაძალადევის კედლის მოხატვა; ისნის გამგეობისთვის - ფრენბურთის ყოველწლიური ტურნირი (ბანერი, სიგელი); მთაწმინდის გამგეობისთვის - ფრენბურთის ყოველწლიური ტურნირი (ბანერი, მაისური, სიგელი); ბრენდირება - წიგნის საერთაშორისო დღე, ლიტერატურული კონკურსი, კრწანისის რაიონში მულტიკულტურული ფესტივალი „ჩემი უბანი“, "ბრწყინვალე გონება" (ბანერი, სერთიფიკატი) და გრიშაშვილობის დღესასწაულისთვის ბანერი და მოსაწვევი, სამგორის გამგეობისთვის - ბანაკთან დაკავშირებით ბანერი, Before/After ბანერები, 14 ივნისი ბანაკი სურამში; სკრინინგი 7 ფბ ბანერი, ბანერი და პოსტერი, აუტიზმის და დაუნის სიდნდრომის ფბ პოსტი, გაფანტული სკლეროზი ფბ ბანერი, თემქის ხევის გახსნის ღონისძიებისთვის - ბანერი, „პარკბულვარი“ სკვერის გახსნა (ბექბანერი), თბილსერვის ჯგუფისთვის გადამუშავების შესახებ ბრენდირება (ფლაერი, ჩანთა ბანერი) და სხვა.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა მედიასთან კომუნიკაცია, ინფორმაციისა და პრესრელიზების მომზადება. ასევე, მომზადდა თბილისის მუნიციპალიტეტის

ყველა უწყების მედიააქტივობების და სოციალურ ქსელში განსათავსებელი ინფორმაცია, გაშუქდა ბრიფინგები და კომენტარები, განხორციელდა დაგეგმილი პიარ აქტივობები (234 აქტივობა).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სატელევიზიო და რადიო ეთერში ინფორმაციის განთავსების მიზნით, 2023 წელს დამზადებულია 207 ვიდეო რგოლი (საიმიჯო, გრაფიკული, საინფორმაციო).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ 200 ვიდეო რგოლის დამზადება (ინფორმაციული, საიმიჯო, გრაფიკული).

მიღწეული მაჩვენებელი - დამზადებულია 344 ვიდეორგოლი (საიმიჯო, გრაფიკული, საინფორმაციო).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აღნიშნული გამოწვეულია მცირე ზომის ვიდეოების დამზადებით, ვინაიდან გამგეობებისთვის და სტრუქტურული ერთეულებისთვის დამზადდა სოციალურ ქსელში დასადები მცირე ზომის ვიდეოები (მათ შორის ინფორმაციული, გრაფიკული და საიმიჯო).

2.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში ინფორმაციის განთავსება თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის, მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და გამგეობების 33 Facebook გვერდზე (მათ შორის ერთ Instagram გვერდი), ხოლო პირდაპირ ეთერით გადაცემულია 10 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ინფორმაციის განთავსების მიზნით, საშუალოდ წლის განმავლობაში 33 Facebook გვერდი (მათ შორის ერთ Instagram გვერდი), ხოლო პირდაპირ ეთერით გადაცემული 26 ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ინფორმაციის განთავსება 33 Facebook გვერდზე (მ/შ 1 ისტაგრამი) და პირდაპირ ეთერით გადაცემულია 10 ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ინფორმაციის გავრცელების მიზნით მეტი facebook გვერდის გამოყენება, რამდენადაც სოციალური ქსელის ყურებადობის კოეფიციენტი

მნიშვნელოვნად გაზრდილია და აღარ საჭიროებს ზედმეტ ხარჯებს და რეკლამირებას.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - ძირითადად ინფორმაციის განთავსება ხდება სოციალურ ქსელში, რამაც გამოიწვია სატელევიზიო სივრცეში განსათავსებელი ინფორმაციის სიმწირე, რადგან მხოლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაციის განთავსება ხდება სატელევიზიო სივრცეში სოციალური სარეკლამო რგოლის სტატუსით, რაშიც საბიუჯეტო თანხები არ იხარჯება. ამასთან, განსათავსებელი ვიდეო რგოლები დამზადებულია სააგენტოს მიერ.

07 03 ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 5,310.1 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,379.4 ათასი ლარის 98.7%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

07 03 03 მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანება

2024 წლის გეგმა - 5,379.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,310.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა, მოსახლეობისათვის განახლებული სერვისების შეთავაზება და ბიბლიოთეკების სერვისით დაინტერესებულ პირთათვის სამუშაო პროცედურების გაადვილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინება, ოფისის ხარჯები, ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა შენახვა, კომპიუტერული ტექნიკის, კონდიციონერების, საკონფერენციო დარბაზისთვის სკამების ურიკის, საბიბლიოთეკო ფონდისთვის ჟურნალ-გაზეთების და წიგნადი ფონდის განახლება (ყველა ფილიალმა მიიღო 4156

დასახელების ქართული, თარგმნილი და საბავშვო მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურა), N1 ფილიალის გამანაწილებელი ქსელის სიმძლავრის გაზრდა, ვაკის მედიათეკის სიგნალიზაციის მოწყობა, შენობების მიმდინარე რემონტი, N21 ფილიალის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების და ელექტრო ენერგიის სიმძლავრის ზრდა, N35 ფილიალის ვიტრაჟების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ნაძალადევის მედიათეკის სახურავის შეკეთების, თბილისის ზღვის უბნის მედიათეკის ინტერნეტ ქსელის და ტურნიკეტის მოწყობა, აბრისა და მოცულობითი სიმბოლოების შეძენის, საფონდო და საოფისე ავეჯით უზრუნველყოფა, სრულად აღიჭურვა ზღვის უბნის მედიათეკა, ხოლო გარემონტდა და აღიჭურვა ბიბლიოთეკის 21-ე ფილიალი და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 145.0 ათასი ლარი, მცირეფასიანი ინვენტარის, ვარკეთილის მედიათეკაში გათბობის სისტემის საცირკულაციო ნასოსის შეძენის, წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სამონტაჟო სამუშაოების, გადასახადების გადახდის, რბილი ინვენტარის შეძენის, კულტურულ, საგანამანათლებლო და საგამოფენო ხარჯების, დიდი დიღმის მედიათეკის ტურნიკეტის მოწყობის, ზღვის უბნის მედიათეკის კედლის მოხატვის, ხელოვნური განათების მონტაჟისა და მცირეფასიანი ავეჯის (პუფების) შეძენის, ვებ-გვერდის მომსახურების, ოფისის და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად). ბიბლიოთეკების გაერთიანება მოიცავს თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის 36 ფილიალს თბილისის სხვადასხვა უბანში და თბილისის მედიათეკების გაერთიანებას (ვაკის, ვარკეთილის, ნაძალადევის, ზღვის უბნის და დიღმის მედიათეკას)[20]. მიმდინარე პერიოდში გაწევრიანდა და ბიბლიოთეკის/მედიათეკის სერვისებით ისარგებლა 31447 პირმა. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ - კლუბის საანგარიშო ღონისძიება; ლადო ასათიანის სახელობის მე-6 ბიბლიოთეკაში, კითხვისა და შემოქმედებითი აზროვნების განმავითარებელი კურსის მეორე სეზონი დაიწყო, რომელშიც ჩართული არიან 10-12 წლის მოზარდები (პროექტის ფარგლებში ჩატარდა 16 შეხვედრა); ექვთიმე ხელაძის სახელობის მე-7

[20] დიღმის მედიათეკა (N21 ფილიალი) გაიხსნა 2024 წლის ბოლოს, ხოლო ზღვის უბნის მედიათეკა გაიხსნება 2025 წელს.

ბიბლიოთეკაში წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოსწავლეებს მსახიობი ანა ნიკოლაშვილი შეხვდა და მათ საბავშვო ნაწარმოები წაუკითხა (კითხვის პროცესში მოსწავლეებიც ჩაერთნენ);

გაერთიანების სამ ფილიალში დაიწყო პროექტი „კინოსახელოსნო მოზარდებისთვის“, რომელიც განკუთვნილია 13-17 წლის მოზარდებისთვის. პროექტის მონაწილეები სწავლობენ: ქართული და მსოფლიო კინოს ისტორიას, კინოსცენარზე მუშაობას, კადრის კომპოზიციის აგებას, მონტაჟის ძირითად პრინციპებს (პროექტი ეტაპობრივად განხორციელდა და ჯამში ჩატარდა 24 შეხვედრა); ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ლადო ასათიანის სახელობის მე-6 ბიბლიოთეკაში, მასწავლებელი გიორგი ლიპარიშვილი ბავშვებს თავის მფრინავი წიგნების სახელოსნოში შეხვდა და ერთად წაიკითხეს საბავშვო ნაწარმოები „მისტერ მორის ლესმორის საოცარი მფრინავი წიგნები, შემდეგ ბავშვებმა თავადაც დაამზადეს მფრინავი წიგნები და ბოლოს ბიბლიოთეკის ეზოც მოხატეს; მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში მდებარე საქართველო-კორეის ინფორმაციაზე წვდომის ცენტრში მომხმარებელთა რაოდენობამ 450 შეადგენდა (მათ შორის იყვნენ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის და სეგმენტის წარმომადგენლები), ჩატარდა კორეული ენის შემსწავლელი უფასო 3 თვიანი კურსები, რომელსაც კორეელი პედაგოგები უძღვებოდნენ, ცენტრში პერიოდულად იმართებოდა კორეული კულტურის დღეები, ჩატარდა შშმ პირებისთვის შექმნილი პროექტის - „ხმოვანი ბიულეტენის ნაკრების“ პრეზენტაცია, გადაიღეს საინფორმაციო ვიდეო რგოლი უსინათლო და მცირემხედველი ბენეფიციარების მონაწილეობით; ექვთიმე ხელაძის სახელობის მე-7 ბიბლიოთეკაში და აკაკი ბაქრაძის სახელობის მე-18 ბიბლიოთეკაში ორგანიზაცია GLOW Club-Tbilisi თანამშრომლობით 13-17 წლის გოგონებისათვის შემეცნებით-საგანმანათლებლო კლუბი გაიხსნა; შალვა ნუცუბიძის სახელობის მე-13 ბიბლიოთეკაში და ლადო ასათიანის სახელობის მე-6 ბიბლიოთეკაში ანა ჩუბინიძის Pocket Studio-ჯიბის სტუდიოსთან ერთად ანიმაციური პერსონაჟებისა და ხტუნია წიგნების სახელოსნო გაიხსნა; თითების თეატრთან თანამშრომლობით ვაკის მედიათეკისა და აკაკი ბაქრაძის სახელობის მე-18 ბიბლიოთეკის ეზოში თითების თეატრის წარმოდგენა

გაიმართა, ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალი იყო ყველა მსურველისათვის; „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის” განმახორციელებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ბოსნია და ჰერცოგოვინას დედაქალაქ სარაევოს, ადგილობრივი კლუბების გაცნობითი ტურის ფარგლებში სამუშაო ვიზიტით სტუმრობდნენ, ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრა გაეროს მოსახლეობის ფონდის ბოსნიისა და ჰერცოგოვინის ოფისის პროგრამის ანალიტიკოს ჟელკო ბლაგოევიჩთან, რომლის დროსაც მიმოიხილეს პროექტის მნიშვნელობის, განხორციელებისა და შემდგომი განვითარებისთვის საჭირო ძირითადი ასპექტები; ვაკისა და ვარკეთილის მედიათეკებში გაიმართა საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტი - „თვითგამოხატვა ინტერესების გაზიარებით“ Newton Free School ნიუტონის თავისუფალი სკოლა-სთან ერთად, რომელიც პროექტი განკუთვნილი იყო 8-დან 12 წლამდე მოსწავლეებისთვის (კურსი მოიცავდა 12 გაკვეთილს); აკაკი ბაქრაძის სახელობის მე-18 ბიბლიოთეკაში ჩატარდა ტელე-კინო აკადემია ინოვატორთან - Innovator თანამშრომლობის ფარგლებში კურსი "მეტყველებისა და კომუნიკაციის ხელოვნება", რომელიც განკუთვნილი იყო 6-10 წლის ბავშვებისთვის (კურსი 8 შეხვედრისაგან შედგებოდა); ვარკეთილის მედიათეკამ, ლადო ასათიანისა და შალვა ნუცუბიძის სახელობის ბიბლიოთეკებმა გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და ორგანიზაციის „ვიზრუნოთ ერთად“ პროექტს „თამაშები თანასწორობისთვის“ უმასპინძლა; შალვა ნუცუბიძის სახ. მე-13 ბიბლიოთეკაში მხატვარმა ზალიკო სულაკაურმა სახალისო ხატვის გაკვეთილი ჩაატარა, ხოლო ნოდარ დუმბაძის სახელობის N8 და N7 ბიბლიოთეკებში საბავშვო ავტორმა, ირმა მალიციძემ ჩაატარა ინტერაქტიული სახის შეხვედრები დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის; მწერალმა, მხატვარმა და ილუსტრატორმა ბესიკ ხარანაულმა, აკაკი ბაქრაძის სახელობის N18 ბიბლიოთეკაში ჩაატარა ორი შეხვედრა, შეხვედრების ფარგლებში, ავტორმა მოთხრობები წაუკითხა ბავშვებს და ილუსტრაციების შექმნის პრინციპები აუხსნა. გარდა, ზემოთ აღნიშნული ღობისძიებებისა, გაერთიანების ფილიალები სისტემატურად სტუმრობდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღსაზრდელებსა და დაწყებითი კლასის

მოსწავლეებს, ვიზიტის ფარგლებში სტუმრები ეცნობოდნენ ბიბლიოთეკის ისტორიას და წიგნით სარგებლობის წესებს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის/ მედიათეკის სერვისებით მოსარგებლე 35000-მდე პირი (2023 წლის ფაქტი - 32383 პირი) და 100-მდე განხორციელებული ღონისძიება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა 20%-ით

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის/მედიათეკის სერვისებით მოსარგებლე 31447 პირი და 100-მდე განხორციელებული ღონისძიება

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - მიმდინარეობდა N21 ფილიალის და თემქის მედიათეკის სარემონტო/სარეაბილიტაციო/მშენებლობის სამუშაოები და სრული აღჭურვა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მუდმივად ხორციელდება ფილიალების/მედიათეკების აღჭურვა ინვენტარით, ტექნიკით, წიგნადი, აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდებით, ხოლო სარემონტო სამუშაოების ჩატარებით თანამედროვე სივრცის შექმნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - სარემონტო სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა და სრულად აღიჭურვა თანამედროვე ტიპის ავეჯითა და სხვა საჭირო ინვენტარით ბიბლიოთეკის N21 ფილიალი და ზღვის უბნის მედიათეკა, განახლდა წიგნადი ფონდი (ბიბლიოთეკის ყველა ფილიალმა მიიღო 4156 დასახელების ქართული, თარგმნილი და საბავშვო მხატვრული და დარგობრივი ლიტერატურა), ხოლო მედიათეკებისთვის აუდიო, ვიდეო და ციფრული ფონდები.

07 04 პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 1,120.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,102.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მიზნობრივი სოციალური ჯგუფების პროფესიული მომზადება/გადამზადება მოკლევადიანი პროფესიული კურსების მეშვეობით და დასაქმების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში პროექტის „ისწავლე და დასაქმდი“ ფარგლებში დაფინანსდა 11 სასწავლებელი/ორგანიზაცია (სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „სპექტრი“, სსიპ კოლეჯი „მერმისი“, სსიპ გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი, ა(ა)იპ კოლეჯი „იკაროსი“, ა(ა)იპ სქილვილ ედუქეიშენ (სქილივილის აკადემია, ა(ა)იპ ფანტასმაგორია, ა(ა)იპ “ედუსითი გეო”, ა(ა)იპ “პროჯექთ ფოლი პო”, ა(ა)იპ “სქილ ლაბი”, ა(ა)იპ „გირის სპორტის, მას-რესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის (ძალისმიერი ფიტნესის) თბილისის ფედერაცია“) პროფესიული მომზადება/ გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების მიზნით. პროექტი ორ ეტაპად განხორციელდა: პირველ ეტაპზე (მიმდინარე წლის 10 აპრილიდან - 1 მაისის ჩათვლით მოქალაქეებმა გაიარეს რეგისტრაცია) 13 მაისიდან დაიწყო მომზადება/გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე სწავლა (დაფინანსდა 9 ორგანიზაცია), თბილისში რეგისტრირებული სრულწლოვანი 901 მოქალაქე ჩაერთო პროგრამაში და 65 პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადების კურსი გაიარა, ხოლო შემოდგომის (რეგისტრაცია მიმდინარეობდა 18 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით) მიღების ფარგლებში 15 ოქტომბრიდან დაიწყო სწავლა, სადაც 950 მოქალაქე ჩაერთო პროგრამაში და შესაძლებლობა მიეცათ 56 პროფესიულ სპეციალობაში მომზადება/გადამზადების კურსი გაევლოთ შემდგომი დასაქმების მიზნით. გარდა ამისა, დაფინანსდა შპს „დიჯითალ ქომერსი“ საიტის “dasakmdi.ge”-ის ტექნიკური უზრუნველყოფის, მომხმარებლისათვის კომფორტულობაზე ორიენტირებული ახალი ვიზუალური ინტერფეისის შექმნის, დიზაინის განახლებისა და ვებგვერდის მართვის მომსახურების გაწევისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გადამზადება გაიარა 2425 კურსდამთავრებულმა 60-ზე მეტი სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 9 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადება გაიარა 1851 კურსდამთავრებულმა 65-მდე სპეციალობის მიმართულებით, პროგრამაში ჩართული 11 პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - გაიზარდა პროგრამების/სპეციალობების ფასი, რამაც გამოიწვია ჩართული და გადამზადებული მოქალაქეების რაოდენობის შემცირება.

07 05 უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება დაფინანსებულია 4,326.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 4,404.9 ათასი ლარის 98.2%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

07 05 01 უწყვეტი განათლების სისტემის და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 87.0 ათასი ლარი, დაფინანსდა 86.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სტუდენტების საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების და საუნივერსიტეტო კონტაქტების განვითარების მიზნით, უცხოელი პროფესორების და სპეციალისტების ვიზიტების მხარდაჭერა თბილისისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში, ქალაქში თემატურ ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობის ხელშეწყობა, თემატური საზაფხულო და ზამთრის სკოლების მხარდაჭერა, სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და წახალისება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ „მომავლის ლიგას“ პროექტი - „ინკლუზიური ცნობიერების ამაღლების ტრენინგები

მომავალი ფსიქოლოგებისთვის“, პროექტის ფარგლებში ბენეფიციარი სტუდენტები აიმაღლებენ ცნობიერებას ინკლუზიური განათლების მიმართულებით, გაიზიარებენ მოწვეული სპეციალისტების ცოდნასა და გამოცდილებას სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული პირების სამედიცინო, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივ სივრცეში უკეთ ინტეგრირებისა და მათთვის ხარისხიანი სერვისის მიწოდების პროცესთან დაკავშირებით; ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველოს“ პროექტი „საერთაშორისო ზამთრის სკოლა მიგრაციისა და ლტოლვილთა სამართლის შესახებ“, პროექტის ფარგლებში გაიმართა საერთაშორისო ღონისძიება, რომელიც ეხებოდა სამართლებრივი მიმართულებით აქტუალურ თემატიკას - ლტოლვილთა და მიგრაციის სამართალს. ერთკვირიანი სამართლის სკოლა აერთიანებდა აკადემიურ და სოციალურ პროგრამას, რომელიც გულისხმობდა საერთაშორისო გარემოში ინტენსიური, შესავალი სალექციო კურსების ჩატარებას ლტოლვილთა და მიგრაციის სამართალში. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა და უცხოელმა სტუდენტებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან; ა(ა)იპ „ტად ვიკის” პროექტის - „TAD Week - თბილისის არქიტექტურისა და დიზაინის კვირეული”, პროექტის ფარგლებში ჩატარდა არქიტექტურული კვირეული, რომელიც აერთიანებს თბილისში არსებულ საგანმანათლებლო-სამეცნიერო და კულტურულ პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს არქიტექტურის, ურბანისტიკის, კულტურული მემკვიდრეობის, დიზაინისა და ხელოვნების სფეროს წარმოჩენას, ხელშეწყობასა და განვითარებას (თბილისში მოწვეულმა უცხოელმა სპეციალისტებმა, ადგილობრივ პროფესიონალებთან ერთად სტუდენტებისა და ქართველი ახალგაზრდა სპეციალისტებისთვის სხვადასხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობები გამართეს, რომლებიც კულტურულ ღონისძიებებთან ერთად დანარჩენი დღეების განმავლობაში ჩატარდა თბილისის სხვადასხვა ლოკაციაზე); ა(ა)იპ „მომავლის ლიგის“ პროექტი - „ინკლუზიური ცნობიერების ამაღლების ტრენინგები მომავალი მედიკოსებისთვის“, პროექტის ფარგლებში სამედიცინო მიმართულების სტუდენტებმა აიმაღლეს ცნობიერება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, გაიზიარეს მოწვეული სპეციალისტების ცოდნა და

გამოცდილება სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებზე მორგებული პირების სამედიცინო, საგანმანათლებლო თუ სხვა საზოგადოებრივ სივრცეში უკეთ ინტეგრირებისა და მათთვის ხარისხიანი სერვისის მიწოდების პროცესთან დაკავშირებით. პროექტში მონაწილეობა მიიღო 60 სტუდენტმა. პროექტის ფარგლებში ტრენინგები (ტრეინინგის ფარგლებში მომავალი სპეციალისტები გაეცნენ თუ რა საჭიროებებია იმისთვის, რომ შშმ პირები სრულფასოვნად იყვნენ ინტეგრირებულები სკოლაში, სამედიცინო დაწესებულებებში, იღებდნენ იმ ყველა საჭირო მომსახურებას და მეთვალყურეობას რაც ამ დიაგნოზის ადამიანებს სჭირდებათ ფსიქოლოგიურ დახმარებასთან ერთად) ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულად აღჭურვილ აუდიტორიებში.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს საზაფხულო და ზამთრის სკოლებში ვორქშოფებში, მასტერკლასებში და კონფერენციებში ჩართული 1000-ზე მეტი სტუდენტი და ახალგაზრდა, ხოლო ინიციატივების და პროექტების განხორციელებაში მონაწილე 1000-მდე სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

2. **საბაზისო მაჩვენებელი** - სტუდენტებისთვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, 2023 წელს 10 უცხოელი სპეციალისტი/პროფესორის ვიზიტი; ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 1000-მდე სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - საზღვარგარეთ მოღვაწე 15 წამყვანი სპეციალისტის/პროფესორის ვიზიტი; ლექციებში, მასტერკლასებში და ვორქშოფებში ჩართული 1000-მდე სტუდენტი.

07 05 02 იურიდიული კლინიკა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ჩემი ადვოკატი

2024 წლის გეგმა - 864.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 816.8 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში მცხოვრები მოქალაქეებისათვის უფასო იურიდიული მომსახურება, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკების ორგანიზება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ჩემი ადვოკატის ფუნქციონირების (მათ შორის შეძენილი იქნა ავტოსატრანსპორტო საშუალება და კომპიუტერული ტექნიკა) ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

მიმდინარე პერიოდში „სტუდენტებისთვის პროფესიული პრაქტიკის ორგანიზების“ ღონისძიების ფარგლებში გაწეული იქნა 18.0 ათასი ლარი (მათ შორის ნორმატიული აქტების შეძენის ხარჯი - 0.8 ათასი ლარი და სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობის ხარჯი - 17.2 ათასი ლარი);

უფასო სამართლებრივი დახმარების მიმართულებით მიმდინარე პერიოდში განხორციელდა 13958 მომართვა (ცხრილი 2, ცხრილი 3), ხოლო ცხელ ხაზზე შემოვიდა 8480 ზარი (მათ შორის ზეპირი სამართლებრივი კონსულტაცია გაეწია 5525 მოქალაქეს).

ცხრილი 1: სამართლებრივი დახმარება თემატიკის და ცხელი ხაზის კონსულტაციის მიხედვით

დასახელება	**უბნებზე მომართვა**	**ცხელ ხაზი (ზეპირი კონსულტაცია)**
კომუნალური	593	54
სახელშეკრულებო	1,032	440
სასარჩელო	2,162	597
„ატსტუპნიკები“	165	37
საოჯახო	572	133
სამემკვიდრეო	353	122
სააღსრულებო	208	103
სოციალური	1,813	972
ამხანაგობები	317	413
უძრავი ქონება	1,340	160
შრომითი ურთიერთობები	128	104
სამოქალაქო აქტები	89	171
საჯარო რეესტრი	414	122

სამეზობლო დავა	287	207
საგადასახადო-სამეწარმეო	84	98
სამშენებლო ნებართვა	539	363
ადმინისტრაციული წარმოება	1,036	428
ადმინისტრაციული სამართალდარღვევა	1,764	497
უკანონო მშენებლობა	628	277
რეპრესირებული (აღიარება/კომპენსაცია)	9	91
უდაო წარმოება	293	73
ბინის პრივატიზაცია	128	55
ინტელექტუალური სამართალი	4	8
სულ	**13,958**	**5,525**

ცხრილი 2: სოციალური სტატუსიის მიხედვით მომართვიანობა

დასახელება	**რაოდენობა**
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი	2,073
პენსიონერი ასაკისა გამო	2,707
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე	122
იძულებით გადაადგილებული	377
სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და შშმ პირი	127
პენსიონერი ასაკის გამო და შშმ პირი	121
იძულებით გადაადგილებული და შშმ პირი	1
და სხვა	8,430
სულ	**13,958**

ცხრილი 3: დახმარების სახეებიდან გაწეულია შემდეგი

ზეპირი კონსულტაცია	11,093
წერილობითი კონსულტაცია	12
სამართლებრივი დოკუმენტის შექმნა	17
საპროცესო დოკუმენტი	1,157
წარმომადგენლობა	63
განცხადება	351
ადმინისტრაციული საჩივარი	708
მატერიალურად შედგენილი დოკუმენტი	557
სულ	**13,958**

დაწყებული სასამართლო და ადმინისტრაციული წარმოებებიდან (სულ 3309 საქმე) წარმატებით დასრულდა 693, მიმდინარეა - 1771 საქმე, არ დაკმაყოფილდა - 743, მოქალაქემ არ შეიტანა - 68 სასამართლო დოკუმენტი, გამოიხმო - 19, არ მიიღო წარმოებაში 11, საქმის წარმოება შეწყდა 3 საქმეზე, დარჩა განუხილველი 1 საქმე. საკვლევი პერიოდის განმავლობაში სულ განხორციელდა 48 წარმომადგენლობა.

ორგანიზაცია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე თანამშრომლობს უმაღლეს სასწავლებლებთან და ჯამში 183 სტუდენტი (მათ შორის ბიჭი - 43, გოგო - 140) გადაამზადა (სავალდებულო იურიდიული პრაქტიკის კურსი), მათ შორის: მოხალისე - 149, პრაქტიკანტი - 34. სტუნდენტები პრაქტიკისა და სტაჟირების მანძილზე ეუფლებიან საადვოკატო საქმიანობას და სწავლობენ მოქალაქეებთან ურთიერთობას.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სამართლებრივი დახმარება გაეწია 19284 მოქალაქეს (მათ შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 4348).

დაგეგმილი მაჩვენებელი - უფასო იურიდიული დახმარების მიმღები 19300 მოქალაქე

მიღწეული მაჩვენებელი - სამართლებრივი დახმარება გაეწია 19483 მოქალაქეს (მათ შორის ცხელი ხაზი (ზეპირი კონსულტაცია) - 5525).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 159 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 34, გოგო - 125).

დაგეგმილი მაჩვენებელი - პროფესიული პრაქტიკაში მონაწილეობას მიიღებს 160-მდე სტუდენტი/მოხალისე.

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიულ პრაქტიკაში მონაწილეობა მიიღო 183 სტუდენტმა (მათ შორის ბიჭი - 43, გოგო - 140).

07 05 03 სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 3,453.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,423.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი სტუდენტების, შშმ სტუდენტების და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება, თბილისში რეგისტრირებული მაგისტრანტების წახალისება და მოტივაციის ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების 2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დაფინანსების მიზნით, 6 მარტიდან 17 ივნისის ჩათვლით გამოცხადდა განაცხადების მიღება სწავლის დაფინანსებასთან დაკავშირებით, სამსახურმა განიხილა შემოსული განცხადებები, რომლის საფუძველზეც მომზადდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და დაფინანსდა 1418 სოციალურად დაუცველი სტუდენტი (მათ შორის 896 ქალი, 522 კაცი), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 454 სტუდენტი (მათ შორის 317 ქალი, 137 კაცი) და შშმ პირი - 40 სტუდენტი (მათ შორის 18 ქალი, 22 კაცი), ხოლო 29 აპრილიდან 17 ივნისის ჩათვლით მიიღო წარმატებული მაგისტრანტების განცხადებები, გაკეთდა ქალაქ თბილისში რეგისტრირებული წარმატებული მაგისტრანტების მონაცემთა ბაზა და 393 წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო ფინანსური წახალისება (მათ შორის ქალი - 275, კაცი -118). გარდა ამისა, სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტების 2024 - 2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დაფინანსების მიზნით, სამსახურმა 2024 წლის 4 სექტემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით გამოაცხადა განაცხადების მიღება, გაკეთდა დასაფინანსებელი სტუდენტების მონაცემთა ბაზა და მიმდინარე პერიოდში დაფინანსდა 1754 სოციალურად დაუცველი სტუდენტი (მათ შორის 1078 ქალი, 676 კაცი), მრავალშვილიანი ოჯახის წევრი 649 სტუდენტი (მათ შორის ქალი 404, კაცი 245), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 52 სტუდენტი (მათ შორის ქალი 25, კაცი 27), ხოლო 21 ნოებრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით მიიღო წარმატებული მაგისტრანტების განცხადებები, გაკეთდა თბილისში რეგისტრირებული წარმატებული მაგისტრანტების მონაცემთა ბაზა და 202

წარმატებულმა მაგისტრანტმა მიიღო ფინანსური წახალისება (მათ შორის ქალი 147, კაცი 55).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსებული 4151 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 612 წარმატებული მაგისტრანტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 4200-მდე სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შშმ სტუდენტი და 850 წარჩინებული მაგისტრანტი.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 4367 სოციალურად დაუცველი, შშმ და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტი და 595 წარმატებული მაგისტრანტი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აკადემიური ქულების გათვალისწინებით, წარმატებული მაგისტრანტების მომართვიანობის შემცირება.

07 06 ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე დაფინანსებულია 3,400.0 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,518.2 ათასი ლარის 96.6%-ი) შემდეგ ქვეპროგრამაზე:

07 06 01 ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

2024 წლის გეგმა - 3,518.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,400.0 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოსწავლე - ახალგაზრდობის შემეცნებით - შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება, მოზარდების და ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, სასახლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ფუნქციონირების (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ოფისის ხარჯების, ფოტოაპარატის, კომპიუტერული ტექნიკის და მუსიკალური ინსტრუმენტების (მათ შორის დარბაზის როიალი) შეძენის, ტრანსპორტის მოვლა-შენახვის, წარმომადგენლობითი ხარჯების, გადასახადების გადახდის, კულტურულ, საგანმათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების და სხვა ხარჯების ასანაზღაურებლად) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 1,410.6 ათასი ლარი). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდში ეროვნულ სასახლეში ჩატარდა 369 ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდა 9706 მონაწილე, მათ შორის: კუტურულ - საგანმანათლებლო - 96, შეხვედრა/პრეზენტაცია/ დისკუსია - 102, საგანმანათლებლო ლექცია/მასტერკლასი - 19, კონცერტი - 37, გამოფენა/სპექტაკლი - 14, გასვლითი ღონისძიება - 30, სატელევიზიო გადაცემა - 33, ფესტივალი/კონკურსი/ტურნირი - 26, სიმპოზიუმი/ფორუმი/კონფერენცია - 5, საზაფხულო ბანაკი/სკოლა - 7. სასახლეში მიმდინარე სარესტავრაციო - სარეაბილიტაციო სამუშაოების გათვალისწინებით, საანგარიშო პერიოდში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორმით - ადგილზე, დისტანციურად და ჰიბრიდულად. სასახლეში სულ დარეგისტრირებულია საშუალოდ კვარტალში 3 077 ბენეფიციარი 3621 წრეზე (მათ შორის: 227 - სოციალურად დაუცველი ოჯახის სტატუსით, 35 - ბენეფიციარი შშმ პირის სტატუსით, 2 - უკრაინის მოქალაქე, 20 - წარჩინებულის სტატუსით, 296 - ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსით). ამასთან, გრძელდება ეროვნული სასახლის რეაბილიტაციის პროცესი, განახლდა პირველი შენობის მე-3 სართულის სასწავლო ოთახები, დაემატა მედიათეკის, საკონფერენციო და მუზეუმის საგალერიო სივრცეები, მოეწყო სასახლის შიდა ეზო, მიმდინარეობს მუზეუმის საგალერო სივრცეების მოწყობა არსებული ექსპონანტებით და განახლებული ინვენტარით (მუზეუმს საჩუქრად გადაეცა 15 ახალი ნახატი); უვადო მემორანდუმი გაფორმდა შემდეგ ორგანიზაციებთან: ა(ა)იპ „მირაბალდები“ - კულტურული, საგანმანათლებლო ან/და ახალგაზრდული პროექტებისა და

პროგრამების ორგანიზება, ახალგაზრდებში განათლების ხელშეწყობა; შპს „ჩირინა“ - ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტების ორგანიზება, ა(ა)იპ „თბილისის ჭადრაკის ფედერაცია“ - კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტებისა და პროგრამების ორგანიზება, ახალგაზრდებში განათლების ხელშეწყობა, ჭადრაკის პოპულარიზება; ა(ა)იპ ,,საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია - ერთობლივი პროექტებისა და პროგრამების ორგანიზება, ჭადრაკის პოპულარიზაცია; აშშ-ს საელჩო, სახალხო დიპლომატიის დეპარტამენტი - ეროვნული სასახლის ამერიკული კუთხის გამართული ფუნქციონირება (1 წელი). 2024 წლის 28 მარტიდან შეიქმნა ეროვნული სასახლის ტიკ-ტოკ გვერდი და განთავსდა 52 ვიდეო (ვიდეოების მიზანია ფართო საზოგადოებას გააცნოს ეროვნული სასახლე, მისი კლუბები, კურსები და წრეები. ვიდეორგოლებში სასახლის პატარა მოსწავლეები არიან ჩართული, რომლებიც ეროვნულ სასახლეზე საუბრობენ), სასახლის ტიკ-ტოკ გვერდს ჰყავს 1705 გამომწერი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ 3 ფესტივალის და 480-მდე სხვადასხვა ღონისძიება ჩატარება (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 379 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 3 ფესტივალი)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 369 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 3 ფესტივალი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს რეგისტრირებული საშუალოდ 3225 ბენეფიციარი (მათ შორის 220 სოციალურად დაუცველი, 33 შშმ პირი, 45 წარჩინებული მოსწავლე)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ რეგისტრირებული 3077 ბენეფიციარი (მათ შორის 227 სოციალურად დაუცველი, 35 შშმ პირი, 20 წარჩინებული მოსწავლე, 296 ბენეფიციარი მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსით).

3.საბაზისო მაჩვენებელი - სასახლეში ყოველწლიურად ხორციელდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (მათ შორის სხვადასხვა ტექნიკის, ინვენტარის, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა)

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

❖ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა

ათასი ლარი



ათასი ლარი



	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	ახალგაზრდული ღონისძიებები	კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა	ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება	ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია	კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში	თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი	საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა	ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა	შემოქმედებითი თბილისი
2022 წლის ფაქტი	23,238.8	2,608.6	3,080.0	6,289.9	3,155.7	2,758.4	3,200.6	1,056.8	484.0	0.0	113.3	579.1
2023 წლის ფაქტი	35,046.0	2,383.3	5,160.1	5,809.0	3,215.9	2,337.8	2,149.6	1,359.2	522.3	459.1	137.9	857.4
2024 წლის ფაქტი	29,561.7	2,512.6	5,051.4	5,328.2	3,886.8	2,644.2	2,726.5	1,947.6	553.0	553.5	145.9	672.3



08 01 თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 3,886.8 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 3,970.2 ათასი ლარის 97.9%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 01 01 ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი

2024 წლის გეგმა - 1,014.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 967.8 ათასი ლარით, რაც გეგმის 95.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის

ხარჯები, სადადგმო, გადასახადების გადახდა, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 467.1 ათასი ლარი). დასრულდა დარბაზის სარემონტო სამუშაოები (მათ შორის დარბაზის ლოჟის რეკონსტრუქცია და ახალი სკამების მონტაჟი, მაყურებელთა ორივე ფოიეს მოწესრიგება, სცენის მთავარი მოძრავი ფარდის კონსტრუქციების გამოცვლა და ახალი ფარდით ჩანაცვლება, ფოიეში ახალი განათების მონტაჟი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სპექტაკლს - „პიტერ პენის თავგადასავალი“, „დღის ცენტრის“ და „კარიტასის“ ბენეფიციარები - განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოზარდები უსასყიდლოდ დაესწრნენ. აღინიშნა ქართული თეატრის დღე სპექტაკლით „აღსარება - მე - სერგო ფარაჯანოვი“ (სპექტაკლი სერგო ფარაჯანოვის დაბადებიდან 100 წლის იუბილეს მიეძღვნა); ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღეს - თეატრში გაიმართა პრემიერა „ანე ფრანკის დღიური“, რომელსაც საქართველოში ისრაელის ელჩი დაესწრო; თეატრის დასი სტუმრად “ისრაელის სახლში“ იმყოფებოდა, სადაც „ანე ფრანკის დღიურის“ წარმატებული პრემიერის შემდეგ მიღება გაიმართა, ხოლო სასტუმრო “ბილტმორში”, “ისრაელის სახლის” მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე, თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს სცენა სპექტაკლიდან -“ანე ფრანკის დღიური“; გამომცემლობა „პალიტრა ელისა“ და ახმეტელის თეატრის თანამშრომლობით თეატრის ფოიეში ერთობლივი პროექტის - „ანე ფრანკი - უკანა სახლი“ პრეზენტაცია შედგა და სპექტაკლის - „ანე ფრანკის დღიურის“ წარმოდგენისას წიგნის შეძენას მაყურებელი უკვე ფოიეში შეძლებს; ისრაელის სახლთან თანამშრომლობით, ახმეტელის თეატრის ფოიეში გაიმართა გამოფენა „ომი და მშვიდობა“, სადაც ქართველი ბავშვების ნახატებთან ერთად პოლინა ჩიჟევსკაის მიერ ისრაელიდან ჩამოტანილი - მისი სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ომის თემატიკაზე შექმნილი ნამუშევრები გამოიფინა; გაიმართა პრემიერა სპექტაკლის - „ხანუმა“ და მონოსპექტაკლისა - „ვიღაც სხვა“; თეატრში მასტერკლასები ჩაატარეს შვედური თეატრის, "გილიოტინა" არტისტებმა - კატერინა სისფონტესმა, რიკარდ ბოგარტმა და ტანა მანევარმა თემაზე: ავანგარდული ცეკვის თეატრი - "გილიოტინის" თეატრის ინოვაცია; თეატრმა ესპანეთში, ქალაქ სანტანდერში ოფიციალურად გახსნა მონო სპექტაკლების საერთაშორისო

ფესტივალი მსოფლიო პრემიერით - "ვიღაც სხვა"; თეატრში მასტერკლასები ჩაატარეს შვედური თეატრის, "გილიოტინა" არტისტებმა - კატერინა სისფონტესმა, რიკარდ ბოგარტმა და ტანა მანევარმა თემაზე: ავანგარდული ცეკვის თეატრი - "გილიოტინის" თეატრის ინოვაცია; თეატრის დასმა ესპანეთში, ქალაქ სანტანდერში ოფიციალურად გახსნა მონო სპექტაკლების საერთაშორისო ფესტივალი, ხოლო გასტროლზე ერევანში, მონო სპექტაკლების თეატრალურ ფესტივალზე - ''ARM MONO'' სპექტაკლით - ,,ვიღაც სხვა''; თურქეთში, ქალაქ ტრაპიზონში, საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე "International Blacksea Theatre Festival", წარმოადგინა სპექტაკლი "ზვავი" – თურქი დრამატურგის – თუნჯერ ჯუჯენოღლუს პიესის მიხედვით, ხოლო ანკარის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე - ''ETHOS'', წარმოადგინა სპექტაკლი - ''ქალის სხეული, როგორც ბრძოლის ველი''; სექტემბერში გაიხსნა თეატრის 43-ე სეზონი; ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „თბილისური ბროწეულები", რომლის ფარგლებშიც თეატრმა უმასპინძლა 12 ქვეყნის 45 არტისტს/წარმომადგენელს (ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო 11 უცხოური და 4 ქართული სპექტაკლი); ნოემბერში გამოცხადდა კონკურსი ახალგაზრდა რეჟისორებისთვის (25 წლამდე), მონაწილეებიდან შეირჩა საუკეთესო მონაწილე, რომელიც 2025 წლის სეზონზე ახმეტელის თეატრში დადგამს სპექტაკლს; თეატრში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა სპექტაკლზე - ,,მერი პოპინსი", რომლის პრემიერა შედგება 2025 წლის 4 იანვარს. სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 215 მიმდინარე სპექტაკლი და 6 საპრემიერო სპექტაკლი (მათ შორის 3 უცხოური სპექტაკლი), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 24584.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 100-მდე მიმდინარე, 3-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 18960-მდე მაყურებელი ესწრება (2023 წლის ფაქტი - წარმოდგენილი იქნა 201 მიმდინარე, ოთხი საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 22110).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 215 მიმდინარე, ექვსი საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 24584.

08 01 02 პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

2024 წლის გეგმა - 824.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 807.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინების ხარჯები, სადაგმო და სხვა) ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 16.5 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ თეატრის ახალი შენობის აშენებამდე თეატრი გადასულია დროებით ბაზაზე, სადაც არ არის სცენა და ვერ ტარდება სპექტაკლები. მიუხედავად ამისა, 22 მარტს ჩატარდა თეატრის დამაარსებლის ამირან შალიკაშვილის 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიება. ასევე, თეატრის შემოქმედებითმა ჯგუფმა მისი გარდაცვალებიდან პირველად დაბეჭდა ამირან შალიკაშვილის გამორჩეული კრებული, რომლის გაცნობის და წაკითხვის საშუალება ღონისძიებაზე მოსულ ყველა სტუმარს ჰქონდა (კრებულის დაბეჭდვა შესაძლებელი გახდა თბილისის მერიის მხარდაჭერით). გარდა ამისა, ბაზაზე მოსულ სტუმრებს ცოცხალი მუსიკის ფონზე, ამირან შალიკაშვილის ძველი პოსტერები, აფიშები და მისი სასცენო კოსტუმების გამოფენა დახვდათ (საღამო გააფორმეს პანტომიმის თეატრის არტისტებმა, სახასიათო ვიზუალითა და გრიმებით). ასევე, სტუმრებმა იხილეს მცირე დოკუმენტური ფილმი - "მოგონება - ამირან შალიკაშვილი"; თეატრის მსახიობებმა მონაწილეობა მიიღეს რომა რცხილაძის საღამოზე - „ნატვრის ხე“, სადაც სიმღერა „ნატვრის ხე“ გაალამაზეს ამავე

დასახელების სპექტაკლის ნაკვესით, ხოლო სიმღერაზე „ჭადრაკის დაფა“, მსახიობებმა ჭადრაკის ფიგურები განასახიერეს და საღამო მეტად სანახაობრივი გახადეს; საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და თბილისის მერიის მხარდაჭერით, თეატრმა მონაწილეობა მიიღო „ქართული კულტურის დღეები იაპონიაში“ ქალაქ ტოკიოში, ცენტრალურ პარკში გამართულ ღონისძიებაში, სადაც წარსდგა თავისი უნიკალური სპექტაკლის ნაკვესით „ვეფხისტყაოსანი“ (გააცოცხლა საქართველოს ისტორია საქართველოს მეფეების ცოცხალი ქანდაკებებით, პერფორმანსებით, ჩარლი ჩაპლინისა და მარსელ მარსოს მინიატურებით); 29 - 30 დეკემბერს ჩატარდა შემეცნებითი ფესტივალი, რომელიც მოიცავდა 2 მასტერკლასს და განხორციელდა თეატრის დროებით ბაზაზე: მოწვეული იყო ჟირაირ დადასიანი - სომხეთის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ერევნის სახელმწიფო პანტომიმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რომელმაც ისაუბრა სერგო ფარაჯანოვის შესახებ, გაიხსენა წინა საუკუნიდან შემორჩენილი კლასიკური პანტომიმის ხერხები და თეატრის წარმატება 23 წლის წინ ერევანში, ხოლო ისტორია გააცოცხლა ამირან შალიკაშვილის კადრებით. ასევე, მოწვეული იყო მიხეილ ზაქაიძე - მოცეკვავე, არტისტი, პერფორმერი, მუსიკოსი, რომელმაც შეძლო თანამედროვე ელემეტების საინტერესოდ გადმოცემა და მისი დებიუტი მასტერკლასის კუთხით შედგა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 35-მდე მიმდინარე, 2-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც ესწრება საშუალოდ 900-მდე მაყურებელი (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 26 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 604.).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - თეატრმა მონაწილეობა მიიღო 2 ღონისძიებაში, ხოლო ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა 2 მასტერკლასი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - თეატრმა შეიცვალა დისლოკაცია, გადავიდა დროებით სხვა შენობაში, რამაც გამოიწვია თეატრში სარეპერტუარო ცვლილებები, კერძოდ მოიხსნა გეგმიური სპექტაკლები.

08 01 03 თბილისის საშემსრულებლო ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრი

2024 წლის გეგმა - 1,097.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,090.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საერთაშორისო კულტურული და ტურისტული თვალსაზრისით თბილისის გაძლიერებული სტატუსი; საზღვარგარეთის თეატრალურ მოღვაწეებთან დამყარებული შემოქმედებითი და გაცვლითი ურთიერთობები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია სსიპ თბილისის საერთაშორისო ხელოვნების საფესტივალო ცენტრის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინების, საწევრო გადასახადი, სადადგმო, ტელევიზორების და ფოტოაპარატების შეძენა და სხვა ხარჯები) და თეატრალური ფესტივალის მოსამზადებელი ღონისძიებების ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 793.9 ათასი ლარი). ფესტივალის საერთაშორისო პროგრამის (22-25 მარტი) ფარგლებში, გრიბოედოვის თეატრში 22-23 მარტს ჩატარდა ლატვიური ,,დაილეს" თეატრის და ეკატერინა იაკიმოვას კოპროდუქცია ბამბის მინდვრების სიმარტოვეში (რეჟისორი ტიმოფეი კულიაბინი). ასევე, თეატრი სახელოსნო 42 - ში გაიმართა რეჟისორ ინგებორგა დაპკუნაიტეს სპექტაკლი „კალინაუსკასი 6-2" (სპექტაკლი მიმდინარეობდა ინგლისურ ენაზე), ხოლო 23 მარტს გაიმართა ჯონ მალკოვჩის და ინგებორგა დაპკუნაიტეს შეხვედრა მაყურებელთან და პროფესიონალებთან; ქართული სპექტაკლების პროგრამის - Georgian Show-Case (24-29 სექტემბერი) ფარგლებში ჩატარდა 41 სპექტაკლი (მათ შორის 6 პრემიერა და 18 სპექტაკლი რეკომენდებული ფესტივალის საბჭოს მიერ) ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებიდან, ხოლო საერთაშორისო პროგრამის (17 სექტემბერი - 4 ოქტომბერი) ფარგლებში ოთხი ქვეყნიდან (ბულგარეთი, დიდი ბრიტანეთი, ლატვია და ლიეტუვა) 4 დასი მონაწილეობდა, რომლებმაც

წარმოადგინეს 5 სპექტაკლი და ერთი კოპროდუქცია. გარდა ამისა, ჩატარდა ვორკშოპი - „რობერტ უილსონის შეხვედრა მაყურებელთან და პროფესიონალებთან“. თეატრალურ ფესტივალს ჯამში დაესწრო 2 470 მაყურებელი მათ შორის შეხვედრა/ვორკშოპს - 260 მაყურებელი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ფესტივალის ფარგლებში იმართება საშუალოდ 8-მდე უცხოური, 37-მდე ქართული სპექტაკლი, 3-მდე ვორქშოპი/მასტერკლასი, ფესტივალში მონაწილეობს საშუალოდ 4-მდე მოწვეული და 26-მდე ქართული დასი (2023 წლის ფაქტი - ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 6 უცხოური დასის 11 სპექტაკლი (მათ შორის 6 საქართველო-გერმანიის კოპროდუქცია), საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 32 ქართული დასის 63 სპექტაკლი (მათ შორის 17 პრემიერა), 6 ვორქშოპი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ფესტივალის ფარგლებში ნაჩვენები იყო 4 უცხოური დასის 5 სპექტაკლის (მათ შორის ერთი კოპროდუქცია) 7 ჩვენება, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 19 ქართული დასის 41 სპექტაკლი (მათ შორის 6 პრემიერა), ორი შეხვედრა/ვორქშოპი.

08 01 05 სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სანდრო მრევლიშვილის სახელობის თბილისის პროფესიული მუნიციპალური თეატრი

2024 წლის გეგმა - 624.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 615.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის

ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, აფიშების დიზაინის, სადადგმო ხარჯები, შენობის იჯარის და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 30.6 ათასი ლარი). გაიმართა სპექტაკლები: ,,პარტახი'', ,,კვერცხი", ,,ცილინრი'', ,,დედილო კურაჟი და მისი შვილები'', „დავბრუნდები", „ქაჩალი მომღერალი ქალი". შედგა პრემიერა სპექტაკლისა - „ელექტრა". მაისის თვეში, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, თეატრი გაემგზავრა კახეთში გასტროლზე - ლაგოდეხი და იყალთო. თეატრში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების (ივლისი - სექტემბრი) პარალელურად მიმდინარეობდა ორ ახალ სპექტაკლზე მუშაობა სპექტაკლი - „დეპუტატი დრამატურგი" და სპექტაკლი „მარლენი" (პრემიერები შედგა ოქტომბერში). თეატრმა მონაწილეობა მიიღო ქალაქ რუსთავში ჩატარებულ ფესტივალში. ასევე, მიმდინარეობდა მუშაობა სპექტაკლზე - „ქართული ახალი წელი". სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 54 მიმდინარე სპექტაკლი და ორი პრემიერა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2781. ამასთან, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან გაწეულია 23.5 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 63-მდე მიმდინარე და 2 საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 2400-მდე მაყურებელი ესწრება (2023 წლის ფაქტი - წარმოდგენილი იქნა ოთხი პრემიერა და 89 მიმდინარე სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2838).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა ორი პრემიერა და 54 მიმდინარე სპექტაკლი (მათ შორის გასვლითი 3), მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 2781 (მათ შორის გასვლით ღონისძიებებზე - 1053).

08 01 08 სამეფო უბნის თეატრი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სამეფო უბნის თეატრი

2024 წლის გეგმა - 410.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 404.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თეატრის სრულყოფილი ფუნქციონირების ხელშეწყობა, მიმდინარე სპექტაკლები, პრემიერები, გაცვლითი ღონისძიებები, მაყურებლის დაინტერესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია თეატრის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები, სადადგმო, მიკროფონების შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 40.8 ათასი ლარი). გაიმართა სპექტაკლები: „მოახლეები“, „ფედრა ცეცხლის ალში“, „მკვდარი ძაღლები“, „ტროელი ქალები“, „დემონები“, „ჩვენი კლასი“, „მედეა“, გაიმართა პრემიერა სპექტაკლებისა: „ვირთხის წელიწადი“, „შიმშილი“ და „ლიბერტე“. გარდა ამისა, განხორციელდა პოლონეთის ბიდგოშჩის თეატრსა და სამეფო უბნის თეატრს შორის, კოპროდუქცია - სამკვირიანი რეზიდენცია სამეფო უბნის თეატრში პროექტის გასავითარებლად (თებერვალი) - „ვირთხის წელიწადი“ (ავტორი: ლენა ლაგუშონკოვა (უკრაინა), რეჟისორი ულა კიიაკი (პოლონეთი), კომპოზიტორი: მარი რუმი (პოლონეთი) – 2 სპექტაკლი; ასევე, სამეფო უბნის თეატრისა და მარბურგის ლანდსთეატრის კოპროდუქცია - აგლაია ვეტერანის „რატომ იხარშება ბავშვი პოლენტაში“ (რეჟ. ნინო ხარატიშვილი) - ორი წარმოდგენა ქალაქ მარბურგში და ერთი წარმოდგენა ქალაქ ფულდაში (გერმანია) – 3 სპექტაკლი; თეატრმა მონაწილეობა მიიღო გერმანიაში, ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალი „შტუკემარკტი“, სადაც წარადგინა სპექტაკლი „მედეა“. სულ მიმდინარე პერიოდში წარმოდგენილი იქნა 79 მიმდინარე სპექტაკლი და სამი პრემიერა, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 9089 (მათ შორის 715 მოსაწვევი და სტუდენტი და 1100 მაყურებელი გერმანიაში).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 84-მდე მიმდინარე, 4-მდე საპრემიერო სპექტაკლის ჩვენება, რომელსაც საშუალოდ 15120-მდე მაყურებელი

ესწრება (2023 წლის ფაქტი - წარმოდგენილი იქნა 107 მიმდინარე, 6 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 13366).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 79 მიმდინარე, 3 საპრემიერო სპექტაკლი, მაყურებელთა რაოდენობამ შეადგინა 9089 (მათ შორის 715 მოსაწვევი და სტუდენტი და 1100 მაყურებელი გერმანიაში).

08 02 სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები, სკოლების, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯი,

2024 წლის გეგმა - 2,612.8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,512.6 ათასი ლარით. რაც გეგმის 96.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სახელოვნებო განათლების, არამოთხოვნადი სპეციალობების შენარჩუნება, პოპულარიზაცია, მოსწავლეთა დაინტერესება და წახალისება; ხელოვნების სკოლების, ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ი. სუხიშვილის სახელობის ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა არამოთხოვნად სპეციალობებზე (N20 და N19 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – საორკესტრო ინსტრუმენტების სპეციალობით (თვეში საშუალოდ - 290 მოსწავლე), N28 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – ქართული ხალხური საგუნდე ხელოვნების განყოფილებაზე (თვეში საშუალოდ - 151 მოსწავლე), ჰ.გონაშვილის N29 ხელოვნების სკოლის ბაზაზე – თანამედროვე და ტრადიციული მიმდინარეობების განხრით (თვეში საშუალოდ - 101 მოსწავლე) და ალიოზ მიზანდარის სახელობის

№1 ხელოვნების სკოლის ბაზაზე საგუნდო ხელოვნების განყოფილებაზე (კაპელა) მოსწავლეთა უფასო სწავლება (თვეში საშუალოდ - 150 მოსწავლე), სულ ჯამში თვეში საშუალოდ - 692 მოსწავლე (მათ შორის ბიჭი - 53%, გოგო - 47%) - **ცხრილი 1**; გრძელდება ხელოვნების სკოლების (33 სკოლა/ კოლეჯი/სტუდია/ გიმნაზია, თვეში საშუალოდ 660 მოსწავლე (მათ შორის გოგო - 69%, ბიჭი - 31%)) სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა და მათი მასწავლებლების წახალისების მიზნით) დაფინანსება; ამასთან, გაწეულია ხელოვნების სკოლების (30 სკოლა), ქ.თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიის, ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის და ა(ა)იპ ქ.თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯის თანამშრომლებზე ფულადი ჯილდოს, სკოლების/გიმნაზია/სტუდია/კოლეჯის მიერ მოხმარებული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტის, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2024 წლის განმავლობაში გაგრძელების და ზოგიერთი ხელოვნების სკოლის (დავით ანდღულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლა, ვიქტორ დოლიძის სახ. N15 ხელოვნების სკოლა, შ. შანიძის სახელობის N20 ხელოვნების სკოლა, ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლა) საიუბილეო კონცერტების ჩასატარებლად დარბაზის იჯარის, ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის“ ჩასაბერ საკრავთა ორკესტრის მოსწავლეთა, ქობულეთში სასწავლო-შრომით სემესტრთან დაკავშირებით, სასტუმროს ხარჯები, ხოლო ხელოვნების სკოლების/გიმნაზია/სტუდია/კოლეჯის საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 4,253.8 ათასი ლარი მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენის და სხვა ხარჯებისათვის.

ცხრილი1: მოსწავლეთა რაოდენობა თვეების მიხედვით



მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოსწავლეთა რაოდენობა თვეში საშუალოდ 1361 მოსწავლე (მ.შ. – 798 გოგო, 563 - ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 701 (მ.შ. 330 - გოგო, 371 - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 468 გოგო, 192 ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 1352 მოსწავლე (მ.შ. – 58% გოგო, 42%-ბიჭი). აქედან: არამოთხოვნად სპეციალობებზე მოსწავლეთა რაოდენობა - 692 (მ.შ. 47% - გოგო, 53% - ბიჭი), სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა - 660 (მ.შ. 69% გოგო, 31% ბიჭი).

2.საბაზისო მაჩვენებელი - ობიექტების შეუფერხებლად და გამართულად ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფილია მათ მიერ მოხმარებული კომუნალური გადასახადების (დენი, წყალი, დასუფთავება, გაზი, ინტერნეტი) დაფარვა 100%-ით და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის გაგრძელება

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 03 ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია დაფინანსებულია 2,726.5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 7,217.9 ათასი ლარის 37.8%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 03 10 ე.ახვლედიანის ბავშვთა სურათების გალერეა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ე. ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეა

2024 წლის გეგმა - 194.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 172.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 89%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: გამოფენები, აქციები, კონკურსები, სხვადასხვა აქტივობები და მათში ჩართული მოსწავლეები; ბავშვთა, მოზარდთა და ზოგადად საზოგადოების ჩართულობა და მათი ზოგადი განათლების ამაღლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია გალერეას ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, ოფისის ხარჯები და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 29.6 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: გალერეაში ჩატარდა შშმ პირების საახალწლო ზეიმი, პროექტის განმახორციელებელი - Women's Fund in Georgia; გალერეამ მონაწილეობა მიიღო ჩეხეთის რესპუბლიკაში საერთაშორისო გამოფენა - კონკურსი - „ლიდიცე 2024“ (თემა: „ქარავანი“); ჩეხეთის საელჩოში დაჯილდოვდნენ ქ. ლიდიცეს საერთაშორისო კონკურსში - "ლიდიცეს ვარდი" (თემა: “Dance”) გალერეას გამარჯვებული ბავშვები; „პროგრესული იუდაიზმის ცენტრის „დორ ლედორ“ ორგანიზებით გაიმართა რენია შპიგელის ფოტო-გამოფენა - „ჰოლოკოსტის ჩრდილში“; “ახალი სკოლის“ სადიპლომო გამოფენა; თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მოეწყო ბავშვთა ნამუშევრების გამოფენა „მე მიყვარს თეატრი“; ნაქარგების გამოფენა „ძაფებით შექმნილი საოცრება“; „საგაზაფხულო“ და „სააღდგომო“ გამოფენა; გალერეის თავისუფალი ჯგუფის მოსწავლეების ღონისძიება; აქსესუარების ჩვენება “მონდრიანი და გაზაფხული“

დღეს!!! „პოდიუმი“; სტუდია „პალიტრას“ გამოფენა - „მოვიდა ზაფხული მხიარული“; სტუდია „არტ-თაობა“ - სემესტრული გამოფენა 1-2 ეტაპი; ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით პედაგოგ ანი გოგორიშვილის მოსწავლეების ნახატების გამოფენა; „რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებლის ფრანგული სკოლის მოსწავლეების ნახატების გამოფენა; გალერეის მოსწავლეების „თავისუფალი ხატვის“ ჯგუფების საანგარიშო გამოფენა, ნუნუ დუჩიძის პერსონალური გამოფენა - „ამეტყველებული ნახატის სიჩუმე“, სტუდიის „არტ-თაობა“ პედაგოგ მ. კაკაბაძის მოსწავლეების საანგარიშო გამოფენა, სტუდიის „აბრისი“ მოსწავლეთა ნამუშევრების საანგარიშო გამოფენა, გალერეის „თავისუფალი ხატვის“ ჯგუფების მოსწავლეების საახალწლო ზეიმი - „ნოეს კიდობანი“, „საშემოდგომო“ გამოფენა“ და სხვა. მიმდინარე პერიოდში გალერეაში ჩატარდა 34 ღონისძიება, ღონისძიებებზე ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 4905, მონაწილეთა რაოდენობა - 1916, მოსწავლეთა რაოდენობა - 51 საშუალოდ წლის განმავლობაში

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ ყოველწლიურად იმართება 8-მდე გამოფენა, აქცია, შეხვედრა და კონკურსი, ღონისძიებებში ჩართულია/სწავლობს 25-მდე მოსწავლე, 450-მდე მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 2380-მდე (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 24 ღონისძიება, ღონისძიებებში ჩართული 90 მოსწავლე, 1772 მონაწილე, ვიზიტორთა რაოდენობა 4900)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 34 ღონისძიება, ღონისძიებებში მონაწილე 1916, ვიზიტორთა რაოდენობა 4905, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 51 საშუალოდ წლის მანძილზე,

08 03 12 მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ "მუზეუმების გაერთიანება"

2024 წლის გეგმა - 7,023.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,553.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერიდან - 301.5 ათასი ლარი), რაც გეგმის 36.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მუზეუმების ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეში, მუზეუმებში კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, მუზეუმების პოპულარიზაციის ზრდა – ექსპოზიციები, გამოფენები, გამოცემული კატალოგები, გზამკვლევები, განახლებული და თანამედროვედ აღჭურვილი ობიექტები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია მუზეუმის ფუნქციონირების (მათ შორის თანაშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინება, ოფისის ხარჯები, ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო ორგანიზაცია) კორპორატიული საწევროს, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 118.9 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

დასრულდა შემდეგი სამუშაოები: კოლექციათა სისტემატიზაცია, კოლექციათა შინაარსის/მნიშვნელოვნების მიხედვით კომპლექტაცია, ერთიანი სამუზეუმო ფონდის შიდა თემატურ კოლექციებად დაყოფა, დაიწყო კატალოგიზაცია აღრიცხული ძირითადი, დამხმარე და გაცვლითი ფონდების მიხედვით;

თბილისის მუზეუმების გაერთიანების აქტივობები - ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში გაიმართა სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტთა მიღების ცერემონიალი და „აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს“ ლიტერატურულ კონკურსი პროექტის „ვილაპარაკოთ აფხაზეთზე“ დახურვა; პროგრესული იუდაიზმის ცენტრის ორგანიზებით რენია შპიგელის ფოტო-გამოფენა და აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სააგენტოს ორგანიზებით ჟუნალის „რიწა“ ახალი ნომრის პრეზენტაცია; პრობაციის სააგენტოს ორგანიზებით, წიგნის კითხვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სააგენტოს ბენეფიციარების შეხვედრა მწერალ ეკატერინე ტოგონიძესთან; „ისტორიული

პროზის კვირეულის“ ფარგლებში, სულაკაურის გამომცემლობის ორგანიზებით გაიმართა შეხვედრა-დისკუსია ლაშა ბუღაძის რომანზე - „საქართველოს სახელით“; დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და მუზეუმების გაერთიანების მხარდაჭერით, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ბენეფიციარებმა მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო პროგრამაში - "ქალები წარსულიდან", გაეცნენ მუზეუმში წარმოდგენილ ექსპოზიციას, XIX საუკუნის კულტურულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწე ქართველ ქალთა ისტორიებს, ილია ჭავჭავაძისა და ოლღა გურამიშვილის შეხედულებებს თანამედროვე ქალებსა და მათი უფლებების შესახებ; კოტე და სოსო წერეთლების მემორიალურ სახლ-მუზეუმში სოსო წერეთლის დაბადების დღესთან დაკავშირებით ღია კარის დღე გაიმართა (დამთვალიერებლებს ჩაუტარდათ ექსკურსიები, მოისმინეს და გაეცნენ მემორირებულ პირთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციებს და ჩაერთვნენ საგანმანათლებო შემეცნებით პროგრამებში); გალაკტიონ ტაბიძის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალებიდან 65 და მისი პოეტური ლექსების კრებულის - Cran Aux fleurs artistiques გამოცემიდან - 105 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც პოეტი, გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების მკვლევარი ვახტან ჯავახაძე წარუძღვა; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა ,,ნიჭიერთა ათწლედის” პედაგოგ მზექალა ბერძენიშვილის კლასის ვოკალური და კამერული მუსიკის კონცერტი; თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტურქტურულ ერთეულებში დასრულდა სტაჟირების 3 თვიანი პროცესი და მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა სკოლა „სადუნის“ I-IV კლასის მოსწავლეების საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში მეექვსე ხელოვნების სკოლის უმცროსკლასელთა კონცერტი „პატარები უკრავენ და მღერიან“ გაიმართა, სადაც ხელოვნების სკოლის აღსაზრდელებმა შეასრულეს ვოკალური და ინსტრუმენტული ნაწარმოებები; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში ჩატარდა

შემდეგი აქტივობები, მათ შორის: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მომზადებული ბავშვის უფლებათა კოდექსისა და სხვა რელევანტური კანონმდებლობის შესახებ საინფორმაციო მასალების პრეზენტაცია, ICOM საქართველოსა და ვიქტორია და ალბერტის მუზეუმის ორგანიზებით, ჩატარდა საერთაშორისო ტრენინგი „მუზეუმებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საგანგებო სიტუაციების დაგეგმვის საკითხებზე“; USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, გაიმართა მხატვრული ტექსტების კონკურსის „დაწერე რამე“ კონკურსის გამარჯვებულების დაჯილდოება; შპს - „ლიბერთი ინთერნეშენალის“ (Liberty International) კულტურულ - საგანმანათლებლო პროექტი; შპს - „სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის“ ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორის, იზოლდა ხოხაშვილის წიგნის - „ანიმაცია ტურიზმში“ პრეზენტაცია; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში - გაიხსნა კაფე „სოფია ილიასთან“ და საზაფხულო სკოლა „მოგზაურობა ქართულ მემკვიდრეობაში” სკოლის მოსწავლეთათვის; ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში გაიმართა ღონისძიება „ძველი თბილისური ამბები“; ზაქარია ფალიაშვილის მემორიალურ სახლ-მუზეუმში, „თბილისის ბაროკო ფესტივალის“ მე-10 საიუბილეო სეზონის ფარგლებში შედგა მუსიკოლოგ გვანცა ღვინჯილიას საჯარო ლექცია - „ ზაქარია ფალიაშვილი და მესა“; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში, მომზადდა სიუჟეტი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმზე და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 187 წლის აღსანიშნავად, ვიდეო რგოლის გადაღება მუზეუმის საექსპოზიციო სივრცესა და ეზოში; კულტურული მემკვიდრეობის დაცვა კრიზისულ ზონებში" ფარგლებში ჩატარდა სასწავლო კურსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, თბილისის და რეგიონის სამუზეუმო და მემკვიდრეობის ინსტიტუციების, ასევე საქართველოს ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში გაიმართა საერთაშორისო ვორქშოფში “მუზეუმში ყველაფერი გვიყვება ამბავს”, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს, თბილისის და

რეგიონის სამუზეუმო და მემკვიდრეობის ინსტიტუციების წარმომადგენლებმა; ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში საქართველოს განთლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებითა და „მუზეუმების გაერთიანების“ თანამშრომლობით გაიმართა, სკოლის მოსწავლეთა უსასყიდლო მიღება მუზეუმში 14 ჯგუფი თბილისის სხვადასხვა საჯარო სკოლიდან;

ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ - მემორიალურ მუზეუმში ტრადიციული „ხუთშაბათობის ფარგლებში“ გაიმართა ლაშა ჩხარტიშვილის საჯარო ლექცია - „მუდმივი სცენის დაარსება“ და მეთოჯინე არჩილ (ბაჩო) ცანავას საავტორო თოჯინების გამოფენა „თოჯინების მეჯლისი“; გასტრონომიული კულტურის მკვლევარის, საქართველოს გასტრონომიის ასოციაციის პრეზიდენტის დალილა ცატავას საჯარო ლექცია - „გასტრონომიული თბილისი და ილიასეული ხუთშაბათობა“. გარდა ამისა, განხორციელდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების მობილური აპლიკაციის წარდგენა (თბილისის მუზეუმების გაერთიანების მობილური აპლიკაცია ქართული სამუზეუმო სივრცის პირველი მობილური აპლიკაციაა, რომელიც გარდა თბილისის მუზეუმების გაერთიანების მუზეუმების ისტორიებისა და საგანმანათლებლო პროგრამებისა, შემეცნებით კომპონენტსაც აერთიანებს და ახალ სამუზეუმო თამაშს სთავაზობს დაინტერესებულ აუდიტორიას);

IMDB2024 მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეული 2024-ის ფარგლებში მომზადდა შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: „ქართული ანბანის თავგადასავალი“, „რიტუალიდან ბალეტამდე“, „სიტყვების ალქიმია“, „ქართული მუსიკის ისტორია“, „გალაკტიონის აივნიდან“, „აივნებიანი ქალაქი“ და „აღმოსავლური ცივილიზაციის კვალდაკვალ“;

ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიების ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა მედია პლატფორმაზე შემეცნებით-საგანმანათლებლო ციფრული ციკლები. გაერთიანების სოციალურ ქსელებში გრძელდება გაერთიანებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებული ნარატივებისა და თემების გამოყენებით საინფორმაციო-შემეცნებითი და ზოგადსაგანმანათლებლო ციფრული კამპანიები: დღე ისტორიაში, წერილები, ამონარიდები, „თოჯინებთან

ერთად - მოგონებისათვის“, „გასეირნება ძველ ტფილისში“, XIX-XX საუკუნეების ქართული პრესა, „ქართული საავტორო თოჯინები“, „მოდერნისტული პრესა“, „ქალები XIX საუკუნის საქართველოდან“, „ტექნოლოგიური მიღწევები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში. სოციალური მედიის პლატფორმა ფეიბუკზე - გამოქვეყნდა 628 პოსტი, სოციალური მედია - ინსტგრამის პლათფორმაზე გამოქვეყნდა 340 პოსტი და 132 მედია გაშუქება;

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში დასრულდა თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოები და დაიწყო მუზეოგრაფიისა და სამუზეუმო ექსპოზიციების მოწყობის პროცესი (მათ შორის შენობის გადაბარება - ტექნიკური მომზადება, საცავების აღჭურვა და საფონდო სივრცეების მომზადება, პრეცეზიული და კლიმატ კონტროლის სისტემების გამართვა და ინტეგრაცია, ფონდებისა და კოლექციების გადმოტანა, ფონდების და კოლექციების აღწერა და გადმობარება, მუზეუმის უსაფრთხოებისათვის დამატებითი ვიდეო სამეთვალყურეო კამერების სისტემის მონტაჟი, საფონდო საცავების აღჭურვა დამატებითი ნესტის გამწოვი აპარატურით, მუზეუმში არსებული ШМ პლატფორმის შემინვითი სამუშაოები); დასრულდა სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმისათვის გამოყოფილი სივრცის პროექტირების სამუშაოები და შეთანხმდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან; აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოებზე შპს „იკორთას“ სამუშაოების შეუსრულებლობის გამო შეუჩერდა ხელშეკრულება. საქმეს განიხილავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რათა მოხდეს შესრულებული სამუშაოს შეფასება;

თბილისის მუზეუმების გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა - 488 საგანმანათლებლო/შემეცნებით საგანმანათლებლო პროგრამა (დამსწრე 7716 მონაწილე), 900 ექსკურსია, 142 ღონისძიება/აქტივობა, 2 გამოფენა, მედიამონიტორინგის ფარგლებში სულ განხორციელდა 132 მედია გაშუქება, სოციალური მედიის პატფორმა ფეისბუკზე გამოქვეყნდა 628 პოსტი,

ინსტაგრამის პლატფორმაზე - 340 პოსტი, ხოლო ვიზიტორებისა (6985) და დამთვალიერებლების (5596) რაოდენობამ შეადგინა 12581.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში საშუალოდ წლის განმავლობაში ტარდება 271 საგანმანათლებლო პროგრამა და 88 ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 512 საგანმანათლებლო პროგრამა, 848 ექსკურსია, 56 ღონისძიება და 8 აქტივობა)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ჩატარდა 488 საგანმანათლებლო/შემეცნებით-საგანმათლებლო პროგრამა და 142 ღონისძიება/აქტივობა, 900 ექსკურსია).

2.საბაზისო მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში საშუალოდ წლის განმავლობაში ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობა - 10230, ხოლო შემეცნებით-საგანმანთლებლო პროგრამებზე დამსწრე 5875 მონაწილე (2023 წლის ფაქტი - ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 10799, ხოლო საგანმანთლებლო პროგრამებს დაესწრო 8199 მონაწილე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სახლ-მუზეუმებში ვიზიტორებისა და დამთვალიერებელთა რაოდენობამ შეადგინა 12581, ხოლო საგანმანთლებლო/ შემეცნებით-საგანმათლებლო პროგრამებს დაესწრო 7716 მონაწილე.

3.საბაზისო მაჩვენებელი - გრძელდება 2 ობიექტზე სარეაბილიტაციო, ხოლო 1 ობიექტზე საპროექტო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო ფონდების შევსება (შეძენილია 324 ერთეული საფონდო მასალა და ექსპონატი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 2 ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოების და 1 ობიექტის საპროექტო სამუშაოების დასრულება.

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა 1 ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები და აღჭურვა, ხოლო 1 ობიექტზე საპროექტო სამუშაოები, მოხდა სამუზეუმო ფონდების შევსება.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოები დროებით შეჩერდა, ვინაიდან, კონტრაქტორის (შპს „იკორთა“) მხრიდან სამუშაოების შეუსრულებლობის გამო, გატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები (დაჯარიმდა) და შეწყდა ხელშეკრულება.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოებზე კონტრაქტორის მხრიდან სამუშაოების შეუსრულებლობის გამო, გატარდა კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები (დაჯარიმდა) და შეწყდა ხელშეკრულება, ხოლო სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმისათვის გამოყოფილ შენობის ნაწილში, სამუზეუმო სივრცედ ადაპტაციისთვის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (სამუშაოების ხანგძლივობა განისაზღვრა 24 თვით) ტენდერი არ გამოცხადდა, რამაც გამოიწვია თანხის აუთვისებლობა.

08 04 ხელოვნების და კულტურის ობიექტების განვითარება დაფინანსებულია 2,644.2 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,960.5 ათასი ლარის 89.3%-ი) შემდეგი ქვეპროგრამებზე:

08 04 01 საკონცერტო ორკესტრი „ბიგ-ბენდი”

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მერიის საკონცერტო ორკესტრი "ბიგ-ბენდი"

2024 წლის გეგმა - 919.5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 914.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ორკესტრის ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 83.7 ათასი ლარი). ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის: იმედის სატელევიზიო გადაცემა ,,პერსონაში'' (პირდაპირი ეთერი, რამდენიმე ნაწარმოები შესრულდა); სასტუმრო შერატონ გრანდ თბილისი მეტეხი პალასში გაიმართა ბიგ-ბენდის მუსიკოსის ოთარ მაღრაძის კონცერტი (ვარსკვლავის გახსნა); ბიგ-ბენდის 25 წლის იუბილე (სპეციალური სტუმარი ბილი კობემი)-რუსთაველის თეატრი; დიდი საკონცერტო დარბაზი, რომა რცხილაძის საიუბილეო საღამო „ნატვრის ხე“ და სახელობითი ვარსკვლავის გახსნა; ბიგ-ბენდის სარეპეტიციო დარბაზში გაიმართა „ბიგ-ბენდი“-ს კონცერტები, მომღერალ მედეა მირიანაშვილის სოლო კონცერტი „ბიგ-ბენდთან“ ერთად და ბიგ-ბენდის მუსიკოსის ანატოლი გავრინის გაცილების საღამო და კონცერტი, სადაც შესრულებული იქნა სიმღერები და ინსტრუმენტალური ნაწარმოებები ქართული და უცხოური კინოფილმებიდან; მსოფლიო ტურიზმის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - სახელმწიფო ცერემონიების სასახლე; საახალწლო კონცერტი ორბელიანის მოედანზე.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 20-მდე ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - ორკესტრმა მონაწილეობა მიიღო 25-მდე ღონისძიებაში).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა იქნა მიღებული 12-მდე ღონისძიებაში.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოიწვია პირველ რიგში იმან, რომ ორკესტრს არ გააჩნია საკუთარი დარბაზი და მეორე, ძირითადი ღონისძიებები გარე სივრცეში იმართება.

08 04 03 ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონი

2024 წლის გეგმა - 605.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 538.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მოვლილი და კეთილმოწყობილი პანთეონები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პანთეონების (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი", ახალი პანთეონი) მოვლა-პატრონობის ხარჯები (თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, კომუნალური ხარჯები, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის ლიცენზიის 2024 წლის განმავლობაში გაგრძელების, შშმ პირებისათვის ადაპტირებული ლიფტის მოვლა-შენახვის ხარჯები და სხვა), დასრულდა ახალ პანთეონში 13 საფლავის კეთილმოწყობა და დიდუბის პანთეონის გალავანის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - პანთეონებში (მთაწმინდის, დიდუბის, ,,ხოჯევანქი" და ახალი პანთეონი) მოვლილი და კეთილმოწყობილი საფლავები (მათ შორის 2023 წელს ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 16 საფლავი)

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა (მათ შორის ახალ პანთეონში კეთილმოეწყო 13 საფლავი)

08 04 04 კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლები

2024 წლის გეგმა - 1,435.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,191.1 ათასი ლარით (მათ შორს კაპიტალური სპეციალური ტრანსფერიდან - 851.2 ათასი ლარი), რაც გეგმის 83%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურის დაწესებულებების მოწესრიგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი კულტურის დაწესებულებები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დასრულდა ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა, დაფინანსდა ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის პეტრე ამირანაშვილის სახელობის N18 ხელოვნების სკოლისთვის ცენტრალური გათბობის ქვაბის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ოთარ თაქთაქიშვილის სახელობის N19 ხელოვნების სკოლისთვის ელექტროენერგიის მისაერთებელი სიმძლავრის გაზრდა, გაზგამანაწილებელი ქსელის რეკონსტრუქცია, ლეპტოპის, პრინტერის, კარტრიჯის, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, აუდიტორული მომსახურება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის გიორგი ცაბაძის სახელობის N25 ხელოვნების სკოლის შენობის სარემონტო სამუშაოების, მუსიკალური ინსტრუმენტების, კომპიუტერის, გათბობის ქვაბისა და რკინის კარის შეძენა; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი N1“-სთვის აუდიტორული მომსახურება, ლინოლეუმის შეძენა, სარკეების დემონტაჟი და მონტაჟის სამუშაოები; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მერი ნაკაშიძის სახელობის N17 ხელოვნების სკოლისათვის აუდიტორული მომსახურება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მ. კოსტავას სახელობის N8 ხელოვნების სკოლისათვის აუდიტორული მომსახურება და ჩამოსაწერი ინვენტარის გატანა; ა(ა)იპ ქ. თბილისის N21 ხელოვნების სკოლისათვის აუდიტორული მომსახურება, გათბობის სისტემის მოწესრიგება, ოთხი ცალი საკონცერტო როიალისა და სამი ცალი პიანინოს რესტავრაცია, ჩამოსაწერი ინვენტარის გატანა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის რევაზ ლაღიძის სახ. N4 ხელოვნების სკოლისთვის ლეპტოპის და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, გათბობის სიტემის მოწესრიგება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის სახელობის N6 ხელოვნების სკოლისთვის ლეპტოპის შეძენა, ექვსი ცალი საკონცერტო როიალის სრული რესტავრაცია; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის N7 ხელოვნების

სკოლისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ტექნიკის შეძენა, განათების სისტემის მოწესრიგება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის შ. შანიძის სახელობის N20 ხელოვნების სკოლის სარემონტო სამუშაოების ჩატარება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის დავით ანდღულაძის სახელობის N14 ხელოვნების სკოლისთვის ლეპტოპის და პრინტერის, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ქ. თბილისის მერიის სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის ლეპტოპის, სახლის კინოთეატრის, პროექტორის, კინოდარბაზის პუფების, მოლბერტების შეძენა, ელექტრო გაყვანილობის მოწესრიგება, სამისამართო მანათობელი სირენის დამონტაჟება; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. მიზანდარის სახელობის N1 ხელოვნების სკოლისათვის საქვაბის შენობის სრული რემონტისა და გათბობის სისტემის ორი ახალი ქვაბის მონტაჟის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა, ლედ. ტელევიზორების, მტვერსასრუტის, ინვენტორის, პერფერატორის, კიბის და აუდიო სისტემის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის N2 ხელოვნების სკოლისათვის საქვაბის შენობის სრული რემონტისა და გათბობის სისტემის ორი ახალი ქვაბის მონტაჟის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ექსპერტიზა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ზაჰესის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N5 ხელოვნების სკოლისთვის ცენტრალური გათბობის ქვაბის, პერსონალური კომპიუტერის, დინამიკის შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ანასტასია ვირსალაძის სახელობის ხელოვნების გიმნაზიისათვის ცეცხლმაქრების დამუხტვა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ვიქტორ დოლიძის სახ. N15-ე და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სულხან ცინცაძის სახელობის N16 ხელოვნების სკოლებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ალ. მაჭავარიანის სახ. N26-ე ხელოვნების სკოლისთვის გათბობის ქვაბის გაზის სანათურის და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ა. ნიჟარაძის სახ. N27-ე ხელოვნების სკოლისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება; ა(ა)იპ ხელოვნების სკოლისათვის „აფხაზეთი N2“ და ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ი. სუხიშვილის სახ. ქართული ხალხური ცეკვის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის N28 ხელოვნების სკოლისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის ჰ. გონაშვილის სახელობის N29 ხელოვნების სკოლისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, გათბობის სისტემის მოწესრიგება, სკოლისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა; ა(ა)იპ ქ. თბილისის მერიის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო ხელოვნების სკოლისათვის სარემონტო სამუშაოების ჩატარება, ხატვისა და თეატრალური განყოფილებისთვის საჭირო ინვენტარის შეძენა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 23 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ერთი ობიექტის კაპიტალური რემონტის დასრულება, კულტურის ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები მოთხოვნის შესაბამისად

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ერთი ობიექტის კაპიტალური რემონტი, განხორციელდა 25 კულტურის ობიექტისათვის ფუნქციონირების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებები (მათ შორის სარემონტო სამუშაოები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება).

08 05 კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი, ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი.

2024 წლის გეგმა - 5,649.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 5,328.2 ათასი ლარით. რაც გეგმის 94.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი კულტურული აქტივობების განხორციელების შედეგად, თბილისის გადაქცევა რეგიონის კულტურის ცენტრად, კულტურული ტურიზმის ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში 4.909.4 ათასი ლარით დაფინანსდა სამსახურის მიერ განხორციელებული და სრულად/ნაწილობრივ დაფინანსებული სხვადასხვა ღონისძიებები და პროექტები, მათ შორის: სახელმწიფო, სახალხო და რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 17 ღონისძიება (მათ შორის ,,საზეიმო მსვლელობა ალილო"); თეატრალური ხელოვნების განვითარების და თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობის მიზნით 49 ღონისძიება; ფესტივალების, კონკურსების, საიუბილეო და გაცვლითი ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით 153 ღონისძიება. ასევე, თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალის ჩასატარებლად დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის საგუნდო მუსიკის ფესტივალი - 104.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 32-ე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის "შემოდგომის თბილისი" ჩასატარებლად ა(ა)იპ თბილისის მუსიკალური ფესტივალების ცენტრი - 314.7 ათასი ლარის ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 240-მდე პროექტის ხელშეწყობა, რომელშიც მონაწილეობს 3600-მდე მონაწილე (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 260 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 6000-ზე მეტი მონაწილე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 221 პროექტი, რომელშიც მონაწილეობდა 6000-ზე მეტი მონაწილე და 100000 -ზე მეტი დამსწრე.

08 06 სპორტის განვითარების ხელშეწყობა დაფინანსებულია 29,561.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 39,370.4 ათასი ლარის 75.1%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 06 01 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები

2024 წლის გეგმა - 12,242.3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 12,068.3 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტის სხვადასხვა სახეობებში მასობრივი, ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებები, სპორტული ფედერაციებისა და კლუბების ხელშეწყობა, საჭირო ინვენტარით და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, სპორტის სხვადასხვა სახეობაში ქალთა სპორტის და პარასპორტის განვითარება, მატერიალურად წახალისებული მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში, ოლიმპიურ/პარალიმპურ თამაშებში გამარჯვებული თბილისელი სპორტსმენები, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული ქალთა გუნდები/კლუბები და პარასპორტის გუნდური სახეობების საქართველოს ჩემპიონატში მიღწეული წარმატებისთვის მატერიალურად წახალისებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სამსახურს დაქვემდებარებული სპორტული ა(ა)იპ-ების ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა).

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 37 სპორტული ფედერაცია: ბეისბოლის, ჭადრაკის, ტანვარჯიშის, ძალოსნობის, მძლეოსნობის, სროლის, უშუს, მაგიდის ჩოგბურთის, უძლიერეს მამაკაცთა, კრივის, მშვილდოსნობის, ჰოკეის, ბილიარდის, საწყლოსნო სახეობების, ქართული ჭიდაობის, ხუთჭიდისა და ტრიატლონის, ჭიდაობის, ნარდის, მკლავჭიდის, ველოსპორტის, ყინულის ჰოკეის, ფეხბურთის, ტაილანდური კრივის და კიკბოქსინგის, გირის სპორტის, მას-რესლინგის, ბაგირის გადაწევისა და კროსფიტის, ნიჩბოსნობის, კალათბურთის, ხელბურთის, დრიფტის და დრაგის, კენდოს, აფროსნობის, ფარიკაობის, ტაეკვონდოს, ამერიკული ფეხბურთის, ათლეტიზმის, ჩერლიდინგის და საავტომობილო ფედერაცია; საქართველოს 44 სპორტული ფედერაცია: ჩოგბურთის, სპორტული ნარდის, ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის, ხელბურთის, ძიუდოს, ტანვარჯიშის, ათლეტიზმის, კიბერ სპორტის, კომპიუტერული სპორტის, ფარიკაობის, კალათბურთის, ფრენბურთის, პადელის, რაგბის, უძლიერეს მამაკაცთა, გირის სპორტის და მასრესლინგის, საუნივერსიტეტო სპორტის, სპორტული კარატეს, ჭიდაობის, ძალოსნობის, კუდოს,

კრივის, კონტაქტური კარატეს, ჯიუ-ჯიცუს, სროლის, სუმოს, ფეხბურთის, ჰოკეის, ნიჩბოსნობის, პანკრატიონის, გრეფლინგისა და ბეთ რესლინგის, სამთო სირბილის, უშუს, თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის, ურბანული სპორტის, სპორტცეკვების, ამერიკული ფეხბურთის, ფეინთბოლის, მინი გოლფის, მშვილდოსნობის, ჭადრაკის, ბავშვთა და სასკოლო სპორტის, მოტოსპორტის, მკლავჭიდის, შერეული საბრძოლო ხელოვნებების ეროვნული ფედერაცია;

ასევე, დაფინანსდა: ა(ა)იპ "საქართველოს პარალიმპიური კომიტეტი", ა(ა)იპ წყალბურთის გუნდი "ივერია", შპს "რუმს ჰოტელს ლაბი", ა(ა)იპ "საქართველოს ამპუტანტთა ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "კავშირი მშვიდობის თასი - საქართველო", ა(ა)იპ "თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი", ა(ა)იპ "საქართველოს ახალგაზრდული მედია კავშირი", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი დიდუბე-2014", ა(ა)იპ "სპორტის მართვის მეთოდოლოგიისა და ტექნოლოგიების ასოციაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია", ა(ა)იპ "ძალისმიერი სპორტის საერთაშორისო გაერთიანება", ა(ა)იპ "ვორიორს", ა(ა)იპ "საქართველოს საბრძოლო ჩემპიონატი", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტის ტრადიციული სახეობებისა და თამაშების ასოციაცია", ა(ა)იპ "თბილისი-ბასკეტ", ა(ა)იპ "7X7 ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ საკალათბურთო კლუბი "თბილისი სითი", ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი არენა - 76", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "თორი", ა(ა)იპ სამოყვარულო ფეხბურთის გუნდი "შტურმი 2022", ა(ა)იპ "სპორტული კლუბი თბილისი თიმი 2022", ა(ა)იპ ქალთა ხელბურთის გუნდი "არწივი", ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი "არაგველები", ა(ა)იპ ს.კ „სოხუმი ჯორჯია“, ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი თბილისი-სითი", ა(ა)იპ "ჩოგბურთი", ა(ა)იპ "ბასიანი", ა(ა)იპ ქალთა საკალათბურთო კლუბი "მიმინო", ა(ა)იპ ქალთა საკალათბურთო კლუბი "განთიადი", ა(ა)იპ ქალთა საკალათბურთო კლუბი "მერცხლები", ა(ა)იპ "საქართველოს სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაცია", ა(ა)იპ "სვეგი სპორტს", ა(ა)იპ "გრასრუტს ქაფ ჯორჯია", ა(ა)იპ "საფეხბურთო კლუბი -ს.კ. თსუ", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ლაშარი“, ა(ა)იპ კრივის კლუბი "ჩემპიონი", ა(ა)იპ "კრწანისელები", ა(ა)იპ "აფხაზეთის ძიუდოს აკადემია", ა(ა)იპ "მენეჯმენტ ჰაბი", ა(ა)იპ "სოკა ჯორჯია - ფეხბურთი", ა(ა)იპ საფეხბურთო აკადემია "დინამო გაგრა", ა(ა)იპ "საქართველოს

პროფესიონალური მასაჟის ასოციაცია" და ა(ა)იპ "სპორტი-განვითარებისთვის - საქართველო", ა(ა)იპ "ქალთა კლუბი ათინათი", ა(ა)იპ "ს.კ გოლიადორი 2017", ა(ა)იპ "საბრძოლო ხელოვნების კიკ-ბოქსინგის სპორტული კლუბი კონდორი", ა(ა)იპ კიკ-ბოქსინგის და ტაიბოქსის კლუბი "მგლები", ა(ა)იპ ქალთა საჩოგბურთო კლუბი "ეისი", ა(ა)იპ "ქართული ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია", ა(ა)იპ "საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "ავჭალა", ა(ა)იპ რაგბის კლუბი "წიქარა", ა(ა)იპ "გრანდ ავლაბარი", ა(ა)იპ სპორტული კლუბი "შავნაბადა 77", ა(ა)იპ "სპორტ. კლუბი არაგველები", ა(ა)იპ "სოხუმი ჯორჯია 2023", ა(ა)იპ "რაშები";

საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პირველობებში და ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, საერთაშორისო ტურნირში. სულ დაფინანსდა 257 პროექტი, განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 84325 ბენეფიციარმა (მათ შორის 58013 კაცი, 26312 ქალი), მათ შორის დასაქმებული იყო - 3552 ბენეფიციარი (მათ შორის 2255 კაცი, 1297ქალი), კერძოდ: დაფინანსდა თბილისის თასის გათამაშებები, პირველობები და ჩემპიონატები: ჭადრაკში, სპორტულ აკრობატიკაში, ძალოსნობაში, მძლეოსნობაში, სასტენდო და პნევმატური იარაღიდან სროლაში, უშუში, მაგიდის ჩოგბურთში, კრივში, მშვილდოსნობაში, ბილიარდში, ცურვაში, ლაზერულ რბენაში (სროლა, სირბილი-კომბინირებულად), ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ბიცეპსზე წონის აწევასა და არმლიფტინგში, ნარდში, მკლავჭიდში, აფროსნობაში, ბატუტზე ხტომებში, მას-რესლინგში, მხატვრულ ცურვაში, ბიატლსა და ტრიატლში, კალათბურთში, ხელბურთში, კიბერ ფეხბურთში, მხატვრულ ტანვარჯიშში, ამერიკულ ფეხბურთში, ჩერლიდინგში, საავტომობილო სპორტში და ათლეტიზმში;

თბილისის სპორტსმენებმა და გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს თასის გათამაშებებში, პირველობებსა და ჩემპიონატებში: კრივში, ქართულ ჭიდაობაში, ბერძნულ-რომაულ და თავისუფალ ჭიდაობაში, მშვილდოსნობაში,

შერეულ საბრძოლო ხელოვნებებში (GFC), ჰოკეი 5-ში, კანოესა და აკადემიურ ნიჩბოსნობაში, დრიფტში და დრაგში, კიბერ ფეხბურთში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ჩოგბურთში და სპორტცეკვებში;

თბილისელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში საქართველოში და საზღვარგარეთ: ბატუტზე ხტომებში, წყალში ხტომაში, ფარიკაობაში, ჩოგბურთში, კარატეში, ძიუდოში, ფრენბურთში, კიკბოქსინგში, ქართულ საბრძოლო ხელოვნებაში (კრიობა), ნარდში, მხატვრულ ტანვარჯიშში, კალათბურთში, ბიატლში, ტრიატლონში (ცურვა, ველო და სირბილი) და ლაზერულ სირბილში, სპორტცეკვებში, უშუში, ხელბურთში, პარაწოლჭიმში, მშვილდოსნობაში, ფეხბურთში, ამერიკულ ფეხბურთში, წყალბურთში, 7X7 ფეხბურთში, ჭადრაკში, კენდოში, ძალოსნობაში, კანოე-კაიაკსა და აკადემიურ ნიჩბოსნბაში;

დაფინანსდა სასწავლო-საწვრთნო შეკრებები: უშუში, ფეხბურთში, მშვილდოსნობაში, წყალბურთში, ბეისბოლ/სოფტბოლში, ძალოსნობაში, ტაეკვონდოში, მაგიდის ჩოგბურთში, ძიუდოში და ველოსპორტში; სახელობითი ტურნირები და ტურნირებში თბილისელი სპორტსმენების მონაწილეობა: უძლიერეს მამაკაცთა დისციპლინებში, ჭადრაკში, აკრობატიკაში, ძალოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, ფეხბურთში, მხატვრულ ცურვაში, ქართულ ჭიდაობაში, კანოე-კაიაკით ნიჩბოსნობაში, სროლაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობაში და ლაზერულ რბენაში;

განხორციელდა თბილისის ბეისბოლის/სოფტბოლის სპორტული სექციებისთვის, თბილისის უშუს ფედერაციის სპორტსმენებისთვის, თბილისის მშვილდოსნობის კლუბებისთვის, თბილისის ჰოკეის ქალთა და მამაკაცთა გუნდებისთვის, თბილისის ქალთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბის ვარჯიშებისთვის, თავისუფალი ჭიდაობის სექციაში მოვარჯიშე თბილისელი სპორტსმენებისთვის, თბილისის ტაილანდური კრივისა და კიკბოქსინგის ფედერაციის სპორტსმენებისთვის, თბილისის კენდოს, იაიდოს და ჯოდოს ფედერაციის სპორტსმენებისთვის, კლუბი "ათენას"-ს სპორტსმენებისთვის და ქალთა საჩოგბურთო კლუბი "ეისისთვის" საჩოგბურთო მოედნების, სპორტული

დარბაზების და ღია მოედნის იჯარის დაფარვა, ასევე დაფინანსდა: "E-ლიგა 20FC24" (კიბერ ფეხბურთში), სასტუმრო "ჰოლიდეი ინნ"-ში მწვრთნელთა გადამზადების შემაჯამებელი და სერთიფიკატების გადაცემის ღონისძიების ჩასატარებლად საკონფერენციო დარბაზის იჯარა, თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდის მომზადება (ამპუტანტთა ფეხბურთში საქართველოს რეგულარული ჩემპიონატის საქართველოს თასის და სუპერთასის გათამაშებებში მონაწილეობისთვის), ფეხბურთის ასაკობრივი ჩემპიონატი "მშვიდობის თასი - 2024", დაბა ბაკურიანში ეტლით თხილამურის აქტივობებში - "ბაკურიანი 2024" თბილისელი შშმ პირების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანების მონაწილეობა, "თბილისის სასკოლო ლიგა 2024", დაბა ბაკურიანში "ზამთრის სტუდენტური ოლიმპიადა 2024", შშმ და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა საფეხბურთო კლუბი "warriors"-ის ბენეფიციარების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ბაკურიანში წყვილთა შორის მშვილდოსნობის აქტივობაში - ბაკურიანი 2024, თბილისელი შშმ ქალების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეებისა და ომის ვეტერანების მონაწილეობა, 7X7 ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატი თბილისის "BETLIVE MASTER LEAGUE", "BETLIVE MASTER LEAGUE"-2, "BETLIVE MASTER LEAGUE"-3 და თბილისის მერიის თასი, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი კიბერ სპორტის 5 დისციპლინაში, 4 გუნდური (DOTA 2, CS2, Mobile legends, Pubg mobile) 1 ინდივიდუალური (Efootball), წყალბურთის ფესტივალი იუნიორთა შორის (Junior Water Polo Festival), ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე, ტურნირი 3X3-ზე კალათბურთში მსოფლიო ტურის საკვალიფიკაციო ტურნირი "თბილისი ჩელენჯი-2024", "თბილისის სათავგადასავლო გარბენი" (შეჯიბრი სამთო სირბილში), "თბილისმარათონი", სამოყვარულო ფეხბურთში "თბილისის ლიგა 2024", 3X3 კალათბურთში სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2024-ის თბილისის საქალაქო თამაშები, ევროპის ახალგაზრდულ საწვრთნელ ბანაკში "EAFF Junior Camp 2024" - ში თბილისის ამპუტანტ ფეხბურთელ ბავშვთა გუნდის მონაწილეობა, "ურბან ფესტი", საქართველოს 2024 წლის ჩემპიონატის "ეროვნული ლიგა 4"-ში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბი "დიდუბე 2014"-ის ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ლისი ლეიკ დეველოპმენტის ტერიტორიაზე შშმ პირთა უფლებების დაცვის კვირეულის

ფარგლებში სპორტული აქტივობები შშმ პირების, ომის ვეტერანების, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცებისა და ონკოპაციენტების მონაწილეობით და ევროპის ჩემპიონატის მატჩის (საქართველო-თურქეთი) ჩვენება, "ლისი სამთო ფესტივალი" (შეჯიბრი სამთო სირბილში), ინტერის აკადემიის ბაზაზე საფეხბურთო ფესტივალი "გრასრუტს ქაფ ჯორჯია". ასევე, დაფინანსდა „2025 წლის სპორტის ქალაქის“ სტატუსის მოპოვებაზე, კონკურსში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით გასამართი პრესკონფერენციის უზრუნველსაყოფად საკონფერენციო დარბაზის იჯარა, თბილისობის დღესასწაულის ფარგლებში ღონისძიებები: ქართულ ჭიდაობაში, ნარდში, ჭადრაკში, ტრადიციულ სახეობაში კრიობა, მაგიდის ჩოგბურთში, მინი გოლფში და მკლავჭიდში. ბორჯომში, სოფ. ჩითახევში პროექტის "აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა"-ს ფარგლებში ფეინთბოლის, ჯომარდობის, მშვილდოსნობისა და ზიპლაინის აქტივობებში თბილისელი შშმ პირების, სამშვიდობო მისიებში დაჭრილი ჯარისკაცების, ომის ვეტერანებისა და ონკოპაციენტების მონაწილეობა, "შშმ პირთა სპორტულ საზაფხულო ბანაკი - ურეკი 2024"-ში თბილისელი ბენეფიციარების მონაწილეობა, ლისის ტბის მიმდებარედ "ზაფხულის ჩემპიონატი ფეინთბოლში 2024", ვარკეთილის სასროლეთზე, სასტენდო სროლის ტურნირი "მიზნის ოსტატები - Target Masters", დედაენის ბაღში "ფან ფესტი", საქართველოს II ეროვნული და ევრაზიის VII რეგიონალური ჩემპიონატი სპორტულ მასაჟსა და სხვა ტექნოლოგიებში, სპორტული ორიენტირების საერთაშორისო კვირეული, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით ჩატარებული 2024 წლის ჩემპიონატების (ელიტ-ლიგა, თბილისის ლიგა) გამარჯვებულთა დაჯილდოება, ბათუმში თბილისის ნაკრები გუნდის მონაწილეობა "იუნესკოს" მიერ ქართული ჭიდაობის მსოფლიო აღიარების დღისადმი მიძღვნილ ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში, "საახალწლო ტურნირი ნარდში 2024", ტურნირი კრიობა თბილისობაზე - აღდგენილი ტრადიცია, საქართველოს პადელის ეროვნული ფედერაციის ტურნირების სერიის შემაჯამებელი ღონისძიება, „ქართული კულტურისა და ეთნო სპორტის დღეები“ (ქართული ჭიდაობა), ადგილობრივი და საერთაშორისო ტურნირებისთვის "აფხაზეთის ძიუდოს აკადემიის" სპორტსმენების მომზადება, "თბილისი ჰილს

სამთო გარბენი" (შეჯიბრი სამთო სირბილში), საქართველოს ნაციონალური მოტოსპორტის ფედერაციის 2024 წლის წარმატებული სპორტსმენების გალა დაჯილდოება, საფეხბურთო ფესტივალი - "ქინქლაძე გრასრუთს ქაფ ჯორჯია", "თბილისის მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიება", ოლიმპიურ/პარალიმპიურ თამაშებში, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის თბილისელი სპორტსმენებისა და საქართველოს ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის ქალთა და პარასპორტის გუნდების დაჯილდოების ღონისძიება, ეტლით თხილამურის აქტივობებში -ბაკურიანი 2025 თბილისელი შშმ კაცების, დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების, ომის ვეტერანებისა და ონკოსაზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობა, ფეხბურთში "მშვიდობის თასი -2025", დაბა ბაკურიანში, საუნივერსიტეტო შეჯიბრებები ზამთრის სპორტულ სახეობებში;

თბილისში მასობრივი სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის გაზრდის მიზნით, განხორციელდა 48 სპორტული ორგანიზაციისთვის საჭირო ინვენტარითა და სპორტსმენთა ეკიპირებით უზრუნველყოფა, ინვენტარით და ეკიპირებით ისარგებლებს 7174 ბენეფიციარი (მათ შორის 4933 კაცი, 2241 ქალი);

მიმდინარე პერიოდში დაჯილდოვდა 2023 წელს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის 17 ეროვნული ფედერაციის 115 თბილისელი სპორტსმენი (მათ შორის 89 კაცი, 26 ქალი). ასევე, დაჯილდოვდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის თბილისის 4 ქალთა გუნდი, ხოლო 2024 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 185 თბილისელი სპორტსმენი და საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა თბილისის 5 ქალთა გუნდი და 1 ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი;

გარდა ამისა, ფუნქციონირების (მათ შორის ფულადი ჯილდოს გასაცემად) ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა ა(ა)იპ „წყალბურთელთა გუნდი „თბილისი“;

მიმდინარე პერიოდში თანამშრომელთა სახელფასო ფონდის შესავსებად და ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით დაფინანსდა: ა(ა)იპ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი" (მათ შორის დაფარულია კომუნალური ხარჯები), ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“ (მათ შორის დაფარულია კომუნალური ხარჯები), ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ (მათ შორის დაფარულია კომუნალური ხარჯები), ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრი“, ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“ (ფულადი ჯილდოს გაცემის მიზნით);

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემასთან ინტეგრირებული პროგრამების უზრუნველყოფის 2024 წლის ლიცენზიის გაგრძელების მიზნით, დაფინანსდა ა(ა)იპ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი" და ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“;

ინტერნეტმომსახურების, ავტომანქანების გადაფორმების, საწვავის, აკუმულატორების და ზეთის შეცვლის, ტექმომსახურება/ შეკეთების, საბურავების შეცვლის, ტექნიკური დათვალიერების, ავტომანქანების დაზღვევის, სატენდერო, სატელეფონო და პარკირების ხარჯების დასაფარად დაფინანსდა ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“, ხოლო ა(ა)იპ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრი“ - სპორტული ბატუტის ბადეების, დამზღვევი ლეიბების და სავარჯიშო დამხმარე კუბების შესაძენად;

„მუხიანის რაგბის კომპლექსის რაგბის კლუბი „ხვამლის“ სპორტსმენების ტრანსპორტირების მომსახურების და სახვევი მასალის შესაძენად, სტრუქტურული ერთეულების - „გლდანის სპორტული კომპლექსის“ და „ნაძალადევის სპორტული კომპლექსის“ აუზების სადეზინფექციო საშუალებების შესაძენად, მუხიანის რაგბის კომპლექსის ბუნებრივსაფარიანი მოედნის მოსაწესრიგებლად, სასუქის, სატრენაჟორო დარბაზის ინვენტარის, ქვიშის მოენისთვის კვარცის ქვიშის, რაგბის

კლუბი „ხვამლისთვის“ რაგბის სათამაშო ფორმების, ეკიპირების, რაგბის ბურთების, გასაყინი სპრეის, სადაზღვევო მომსახურების, ვაკუუმის ქილის და სტრუქტურული ერთეულის - გლდანის სპორტული კომპლექსისთვის სასაპნეების შესაძენად დაფინანსდა ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი“;

საცურაო აუზების წყლის მოვლის ქიმიური საშუალებების, დაშვების სამაჯურების, ბრენდინგის, ტანსაცმლის და პირსახოცების საკიდების, საკანცელარიო საქონლის, რეზინის ნოხების და ფეხსაწმენდების, სპორტული ინვენტარის, აუზის ტექნიკური ჯგუფის სპეციალისტების სპეცაღჭურვილობის, ჰიგიენის საშუალებების, საწვავის (დიზელი), კარ-ფანჯრის აქსესუარების, სამეურნეო და სხვადასხვა დანიშნულების ინვენტარის, სანტექნიკის, კანალიზაციის, წყალმომარაგების სისტემების მოწყობილობების და აქსესუარების შესაძენად, სესილია თაყაიშვილის N27-ში და ლადო ასათიანის N50ა-ში მდებარე ობიექტების 2024 წლის ინტერნეტმომსახურების ღირებულების დასაფარად, დიდი დიღმის და მთაწმინდის ფილიალებში აუზის და სპორტული დარბაზების სხვადასხვა საქონლის და მომსახურების, IP ტელევიზიის, IP ტელეფონების და სამგზავრო ლიფტების მომომსახურების შესაძენად დაფინანსდა ა(ა)იპ „მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი“;

ამასთან, სპორტული ცენტრების საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია 4,640.9 ათასი ლარი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, მივლინების, ოფისის ხარჯების, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, რბილი ინვენტარის, ავეჯის, კომპიუტერული ტექნიკის შეძენის და სხვა ხარჯებისათვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსდა 251 პროექტი და 34 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 257 პროექტი და 48 სპორტული ორგანიზაციისთვის ინვენტარის და ეკიპირების შეძენა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - დაჯილდოვდა 2022 წელს ევროპის ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 2 ეროვნული ფედერაციის 10 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 2 კაცი, 8 ქალი), ხოლო 2023 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა სპორტსმენთა ნაწილი 79 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 65 კაცი, 14 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებისთვის დაახლოებით 150-მდე თბილისელი სპორტსმენის და 5 გუნდის დაჯილდოება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაჯილდოვდა 2023 წელს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებისთვის 17 ეროვნული ფედერაციის 115 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 89 კაცი, 26 ქალი) და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის - თბილისის 4 ქალთა გუნდი (მ.შ. 66 ქალი, 9 მწვრთნელი კაცი), ხოლო 2024 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 185 თბილისელი სპორტსმენი (მ.შ. 153 კაცი, 32 ქალი) და საქართველოს ქალთა ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მიღწეული წარმატებისთვის - თბილისის 5 ქალთა გუნდი (მ.შ. 91 ქალი, 16 კაცი) და 1 ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი (11 კაცი).

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 79321 ბენეფიციარმა (მ.შ. 48300 კაცი, 31021 ქალი) მათ შორის დასაქმებული იყო - 2835 ბენეფიციარი (მ.შ. 1 824 კაცი, 1 011 ქალი), ხოლო სპორტული ინვენტარით და ეკიპირებით აღჭურვილია 6 611 ბენეფიციარი (მ.შ. 5 828 კაცი, 783 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - არანაკლებ საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მონაწილეობა მიიღო 84325 ბენეფიციარმა (მ.შ. 58013 კაცი, 26312 ქალი) მათ შორის დასაქმებული იყო - 3552 ბენეფიციარი (მ.შ. 2255 კაცი, 1297 ქალი), ხოლო სპორტული ინვენტარით და ეკიპირებით აღჭურვილია 7174 ბენეფიციარი (მ.შ. 4933 კაცი, 2241 ქალი).

08 06 02 მწვრთნელთა მხარდაჭერა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 2,625.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,598.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ–მასწავლებლები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის თვეში საშუალოდ 346 მწვრთნელ - მასწავლებელს, რომლებიც სპორტის 49 (ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, ჭადრაკში, სპორტულ ცოცვაში, სპორტულ ტანვარჯიშში, მხატვრულ ტანვარჯიშში, სპორტულ აკრობატიკაში, ბატუტზე ხტომებში, ბ/რ ჭიდაობაში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფარიკაობაში, მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, მშვილდოსნობაში, ძალოსნობაში, ცურვაში, წყალბურთში, წყალში ხტომაში, მხატვრულ ცურვაში, აფროსნობაში, ძიუდოში, კრივში, ხელბურთში, სროლაში, ველოსპორტში, რაგბში, ბეისბოლსა და სოფტბოლში, ჩოგბურთში, სამბოში, ქართულ ჭიდაობაში, კალათბურთში, კარატეში, თანამედროვე ხუთჭიდში, ფუტსალში, ბალახის ჰოკეიში, ფრისბიში, უშუში, ბადმინტონში, პარალიმპიურ სპორტში - პარაწოლჭიმში და პარაცურვაში, მკლავჭიდში, ხრიდოლში, კიოკუშინკაი კარატეში, ფეხბურთში, პანკრატიონში, ტაეკვონდოში, ამერიკულ ფეხბურთში, კიკბოქსინგში და ამპუტანტთა ფეხბურთში) სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	კაცი
იანვარი	346	72	274
თებერვალი	345	71	274
მარტი	345	70	275
აპრილი	345	70	275
მაისი	347	70	277
ივნისი	347	70	277
ივლისი	347	70	277
აგვისტო	347	70	277
სექტემბერი	347	70	277
ოქტომბერი	345	70	275

ნოემბერი	348	70	278
დეკემბერი	348	70	278

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული საშუალოდ თვეში 347 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 279 კაცი, 68 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 49 სპორტულ სახეობაში მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული 350 მწვრთნელ–მასწავლებელი.

მიღწეული მაჩვენებელი - 49 სპორტულ სახეობაში მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული თვეში საშუალოდ 347 მწვრთნელ–მასწავლებელი (მ.შ. 277 კაცი, 70 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ფედერაციების მოთხოვნის შესაბამისად ხდება მწვრთნელების პროგრამიდან ამორიცხვა ან/და ჩანაცვლება.

08 06 03 სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 2,970.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2,728.7 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 157.6 ათასი ლარი), რაც გეგმის 91.9%-ია

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდებისთვის შექმნილი სპორტული ინფრასტრუქტურა და არსებულის შენარჩუნება, ქუჩის სპორტის განვითარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის მასშტაბით ღია ტიპის სკეიტ-მოედნების სამშენებლო სამუშაოები (ვაზისუბნის დასახლება, დიდი დიღომის IV მკ/რ) და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სამი პადელის მოედნის და ვაზისუბნის დასახლებაში ფეხბურთის მოედნის მოწყობის სამუშაოები. ასევე, დაფარულია მზიურის მიმდებარედ არსებული ფეხბურთის მოედნის

სამშენებლო სამუშაოების დაქვითული თანხიდან ხელშეკრულების ღირებულების 5% და ჩოლოყაშვილის ქუჩის მიმდებარედ ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე სპორტული მოედნების სამშენებლო/ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გადარიცხულია ავანსი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოეწყო 2 სკეიტ-პარკი და მიმდინარეობდა 2 ახალი სკეიტ-პარკის სამშენებლო სამუშაოები. ასევე, მიმდინარეობდა თბილისში ფეხბურთის და პადელის მოედნების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოეწყობა 2 სკეიტ-მოედანი, 3 პადელის მოედანი და 1 ფეხბურთის მოედანი, დაიწყება ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ახალი სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

08 06 04 სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ სპორტული ცენტრები.

2024 წლის გეგმა - 18,857.2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 9,732.6 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 4,669.4 ათასი ლარი), რაც გეგმის 51.6%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა, არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გრძელდება ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის და სოფელ დიდ ლილოში სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები;

დასრულდა: ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის ავეჯით, სპორტული და

ტანვარჯიშის ინვენტარით და სხვა ინვენტარით აღჭურვა; დიდ დიღომში, სკოლა "ფესვების" მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სარემონტო სამუშაოები, სპორტული ინვენტარით და ტანვარჯიშის ინვენტარით აღჭურვა; ა(ა)იპ "მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის - ვარკეთილის საზოგადოებრივი ცენტრის გაზმომარაგება - გაზიფიცირების პროექტის შეძენა/გაზიფიცირება, ცენტრის ლადო ასათიანის ქუჩა N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები, სპორტული დარბაზის ავეჯით, სპორტული ტრენაჟორებით აღჭურვა, და დარბაზის წყლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება; სოფელ დიდ ლილოში მდებარე სპორტული კომპლექსის გაზის, წყლის და ელექტრო ენერგიის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება და ა(ა)იპ "ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის" სტრუქტურული ერთეულის ნაძალადევის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაცია; დიღმის მასივში, მე-3 კვარტალში (ს/კ 01.13.03.041.038; 01.13.03.041.037) მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების და გუმათჰესის ქ.N1-ის (ს/კ 01.19.23.013.071) მიმდებარედ სპორტული კომპლექსის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

დაფინანსდა: ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი სტრუქტურული ერთეულის გლდანის სპორტული კომპლექსის დასუფთავებისთვის სხვადასხვა პროფესიონალური ტექნიკის შესაძენად, სტრუქტურული ერთეულის გლდანის სპორტული კომპლექსის რეაბილიტაციის ღირებულებიდან დაქვითული თანხის ანაზღაურება, ხოლო სტრუქტურული ერთეულის გლდანის სპორტული კომპლექსის ტერიტორიაზე პარკირების ორი სივრცის მოსაწყობად, აუზების ფილტრების ნაწილების და სრუქტურული ერთეულების - გლდანის სპორტული კომპლექსის და ნაძალადევის სპორტული კომპლექსის აუზებისთვის საწმენდი რობოტების შესაძენად, ასევე მუხიანის რაგბის კომპლექსის ექიმის ოთახისთვის განკუთვნილი ინვენტარის, დრონის, 8 პერსონალური კომპიუტერის, სასუქის შემტანი ურიკის, სარწყავი სისტემისთვის სხვადასხვა მასალის შესაძენად, გახმოვანების სისტემის და სტადიონებს შორის

არსებული საფეხმავლო ბილიკის მოსაწყობად; ა(ა)იპ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტანვარჯიშის განვითარების სპორტული ცენტრის ელექტრომომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და ელექტრო პროჟექტორების მონტაჟი, სტრუქტურული ერთეულის წყნეთის სპორტული ცენტრისთვის სერვერისა და უწყვეტი კვების ბლოკის შეძენა, ხოლო სტრუქტურული ერთეულის მედეა ჯუღელის N1-ში მდებარე ტანვარჯიშის ცენტრის სახურავის სარემონტო სამუშაოები; ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი გახმოვანების სისტემის, თმის და ხელის საშრობების და გასახდელების კარადებისთვის ელექტრონული საკეტების, IP ტელეფონების, რაციების, კერამიკის საწმენდი ორთქლის აპარატისა და მტვერსასრუტის, სამეურნეო და სხვადასხვა დანიშნულების ინვენტარის შესაძენად, დიდი დიღმის კომპლექსში სპორტული რეაბილიტაციის სივრცის მოსაწყობად სარეაბილიტაციო აღჭურვილობის შეძენა, ლადო ასათიანის ქ.N50-ში მდებარე სპორტული დარბაზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების ღირებულებიდან დაქვითული თანხის 5%-ის ანაზღაურება და სპორტული დარბაზის წყლის მილების დიაგნოსტიკა; ა(ა)იპ ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ლილოს სპორტული ბაზის გათბობის სისტემის შეძენა/მონტაჟი;

ასევე, მიმდინარეობდა სოფელ დიდ ლილოში მდებარე სპორტული კომპლექსის ელექტრო ენერგიით მომარაგების სიმძლავრის გაზრდის სამუშაოები; ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრის ჩოგბურთის კორტების ბაზაზე გასაბერი ორ კორტიანი დარბაზის შეძენა, ლილოს სპორტული ბაზის და ჩოგბურთის კორტების ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დასრულდა ერთ სპორტულ ობიექტზე (პარკირების სივრცის დახაზვის გეგმის პროექტი), ხოლო მომზადების პროცესშია ორი სპორტული ობიექტის (სამშენებლო სამუშაოები) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ორი სპორტული ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს გრძელდება 3 სპორტული ობიექტის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი) სამშენებლო სამუშაოები, ხოლო სარემონტო /სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 4 სპორტულ კომპლექსს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება 3 სპორტული კომპლექსის მშენებლობა, 5 ობიექტის (მათ შორის ერთი დარბაზი) სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - გრძელდება 3 სპორტული კომპლექსის (მათ შორის 2 მულტიფუნქციური ცენტრი) სამშენებლო სამუშაოები, ხოლო დასრულდა 4 ობიექტის სარემონტო/სარეაბილიტაციო სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ დასრულდა ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოები, შესაბამისად სარემონტო სამუშაოების ჩატარება გადაიდო 2025 წლისთვის

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს აღჭურვილია 2 სპორტული ობიექტი (ტრენაჟორები, ავეჯი და სხვადასხვა სახის ტექნიკა), 8 სპორტულ კომპლექსში მოწესრიგებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გაფორმებულია ხელშეკრულება 3 ობიექტის აღჭურვაზე (სპორტული ინვენტარი, ავეჯი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება 12 სპორტულ კომპლექსში/ობიექტში (მათ შორის 5 სპორტული ობიექტის აღჭურვა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - კომპანიების მიერ 2024 წლის გეგმის შესაბამისად არ იქნა წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დოკუმენტაცია.

08 06 05 წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 429.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 398.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 92.9%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში აქტიურად ჩაბმული და წახალისებული პერსპექტიული ბავშვები და მოზარდები.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტის 32 (ფარიკაობა, ფრენბურთი, ბეისბოლი და სოფტბოლი, წყალში ხტომა, ძალოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, ბატუტზე ხტომები, მხატვრული ტანვარჯიში, სპორტული აკრობატიკა, მძლეოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ბ/რ ჭიდაობა, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ცურვა, მხატვრული ცურვა, ნიჩბოსნობა, რაგბი, თანამედროვე ხუთჭიდი, მშვილდოსნობა, სპორტული ცოცვა, ჩოგბურთი, უშუ, ტაეკვონდო, ტაიბოქსი და კიკბოქსინგი, ველოსპორტი, კიოკუშინკაი კარატე, ხელბურთი, სროლა და ბადმინტონი) სახეობაში 18 წლამდე ასაკის სხვადასხვა ჩემპიონატში გამარჯვებული თვეში საშუალოდ 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

თვეები	**სულ**	**მათ შორის**	
		გოგო	**ბიჭი**
იანვარი	242	91	151
თებერვალი	241	91	150
მარტი	241	95	146
აპრილი	242	94	148
მაისი	247	96	151
ივნისი	247	97	150
ივლისი	244	95	149
აგვისტო	243	95	148
სექტემბერი	237	93	144
ოქტომბერი	235	94	141
ნოემბერი	234	97	137
დეკემბერი	241	98	143

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩართული თვეში საშუალოდ 237 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (მ.შ.147 ბიჭი, 90 გოგო).

დაგეგმილი მაჩვენებელი - 260 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი.

მიღწეული მაჩვენებელი - თვეში საშუალოდ 241 წარმატებული სპორტსმენი ბავშვი (მ.შ.146 ვაჟი, 95 გოგონა).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ფედერაციების მიერ ნაკლები მომართვიანობა.

08 06 06 პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრი

2024 წლის გეგმა - 1,846.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,797.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 97.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სხვადასხვა პარასპორტულ სახეობაში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, პარასპორტულ საერთაშორისო-სარეიტინგო შეჯიბრებებში ქართველი პარასპორტსმენების მონაწილეობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ თბილისის პარასპორტის განვითარების ცენტრის ფუნქციონირების ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 6.5 ათასი ლარი). ცენტრში მიმდინარეობდა ინტენსიური საწვრთნელი–სარეაბილიტაციო პროცესი, საერთო ჯამში საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართულია თვეში საშუალოდ 240 პარასპორტსმენი და 19 მწვრთნელი.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
იანვარი	220	30	190
თებერვალი	234	39	195
მარტი	235	39	196
აპრილი	235	39	196
მაისი	236	39	197
ივნისი	234	37	197
ივლისი	237	38	199
აგვისტო	243	38	205
სექტემბერი	243	38	205
ოქტომბერი	250	38	212

ნოემბერი	251	38	213
დეკემბერი	263	45	218

ცენტრში ვითარდება 13 პარასპორტული სახეობა: ამპუტანტთა ფეხბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ეტლით მოსარგებლეთა ფარიკაობა, პარამკლავჭიდი, პარამშვილდოსნობა, პარამაგიდის ჩოგბურთი, ბოჩა, მჯდომარე ფრენბურთი, პარაძიუდო, წოლჭიმი (სპინალური დაზიანების მქონე პირთა ძალოსნობა), აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების კალათბურთი, აუტისტური სპექტრის მქონე მოზარდების ფეხბურთი და პარატაეკვონდო). ასევე, ცენტრში ფუნქციონირებს ფიტნეს გამაჯანსარებელი სექცია და ტარდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში 11 საერთაშორიშო შეჯიბრებაში/ტურნირში/შეკრებაში მონაწილეობა მიღებული აქვს 27 პარასპორტმენს (მათ შორის 8 ქალი, 19 კაცი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს პარაცენტრში 15 პარასპორტულ სახეობაში მიმდინარეობდა საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესი, რომელშიც ჩართული იყო თვეში საშუალოდ 227 პარასპორტსმენი (მათ შორის 195 მამაკაცი და 32 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (მათ შორის არანაკლებ 13 პარასპორტული სახეობა და 236 პარასპორტსმენი).

მიღწეული მაჩვენებელი - 13 პარასპორტული სახეობა, რომელშიც ჩართულია თვეში საშუალოდ 240 პარასპორტსმენი (მათ შორის 202 მამაკაცი და 38 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - აღსანიშნავია, რომ ცენტრი 2024 წლამდე ავითარებდა 15 პარასპორტულ სახეობას, რომელთაგან 2 სახეობა (პარაჩოგბურთი და ეტლით კალათბურთი) ბოლო წლების განმავლობაში აღარ სარგებლობდა პოპულარობით პარასპორტსმენთა შორის და შემცირდა დაინტერესებულთა რიცხვიც. შესაბამისად, ცენტრმა შეწყვიტა აღნიშნული პარასპორტული სახეობების განვითარება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარდა ჩატარდა 15 საერთაშორისო შეჯიბრება და ტურნირი, სადაც მონაწილეობა მიიღო 63 პარასპორტსმენმა (მათ შორის 22 მამაკაცი და 41 ქალი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი - 2024 წელს 11 საერთაშორისო შეჯიბრებაში/ტურნირში/ შეკრებაში მონაწილეობა მიიღო 27 პარასპორტსმენმა (მათ შორის 19 მამაკაცი და 8 ქალი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - წლის განმავლობაში ერთ სახეობაში ტარდება რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრი, შესაბამისად ერთი და იგივე სპორტსმენი შესაძლებელია რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრში/ტურნირში/შეკრებაში მონაწილეობდეს.

08 06 07 სპორტი უფროსი თაობისთვის

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი

2024 წლის გეგმა - 300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 142.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 47.3%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ფიზიკური აქტივობისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის მიზნით, ა(ა)იპ ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის ორ სტრუქტურულ ერთეულში (გლდანის სპორტულ კომპლექსში და ნაძალადევის სპორტულ კომპლექსში), ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის ორ სტრუქტურულ ერთეულში (მთაწმინდის სპორტულ კომპლექსში და დიდი დიღმის სპორტულ კომპლექსში) და სპორტკომპლექსში „არენა“ საცურაო აუზებით და ფიტნესით სარგებლობისათვის სამსახურში წარმოდგენილი შესრულებები ბენეფიციარების რაოდენობის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში დაფარულია 2023 წლის

დეკემბრის თვის (372 ბენეფიციარი) მომსახურების ხარჯები, ხოლო დეკემბრის შესრულება წარმოდგენილი იქნება 2025 წლის იანვარში.

თვეები	სულ	მათ შორის	
		ქალი	მამაკაცი
იანვარი	327	201	126
თებერვალი	441	287	154
მარტი	519	315	315
აპრილი	536	324	212
მაისი	534	323	211
ივნისი	493	316	177
ივლისი	487	323	164
აგვისტო	278	187	91
სექტემბერი	420	277	143
ოქტომბერი	473	317	156
ნოემბერი	617	397	220
დეკემბერი	596	385	211

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ყოველთვიურად სპორტული სერვისით მოსარგებლე საშუალოდ 438 ბენეფიციარი (მათ შორის 311 ქალი, 127 კაცი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ყოველთვიურად სპორტული სერვისით ისარგებლებს დაახლოებით 700 თბილისელი მოქალაქე.

მიღწეული მაჩვენებელი - ყოველთვიურად სპორტული სერვისით მოსარგებლე საშუალოდ 477 ბენეფიციარი (მათ შორის 304 ქალი, 173 კაცი).

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - იანვარსა და აგვისტოს თვეში გლდანის საცურაო აუზი, ხოლო ივნისი - სექტემბერში ნაძალადევის საცურაო აუზი სარემონტო სამუშაობის გამო დახურული იყო, შესაბამისად ნაკლები იყო ბენეფიციართა რაოდენობა.

განმარტება პროგრამის დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობაზე (30%-ზე მეტის არსებობის შემთხვევაში) - იანვარსა და აგვისტოს თვეში გლდანის საცურაო აუზი, ხოლო ივნისში, ივლისში, აგვისტოში და სექტემბერში ნაძალადევის საცურაო აუზი სარემონტო სამუშაოების გამო დახურული იყო, შესაბამისად ნაკლები იყო ბენეფიციართა რაოდენობა, რამაც გამოიწვია აუთვისებლობა.

08 06 08 ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი.

2024 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 96.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 96%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ მრავალფუნქციურ საზოგადოებრივ ცენტრში განხორციელდა სამსახურს დაქვემდებარებულ სპორტული ცენტრებში მოვარჯიშე ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი, რომლის ფარგლებშიც მომსახურება გაეწია 800 ბენეფიციარს.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს სამსახურს დაქვემდებრებულ სპორტულ ცენტრებში კომპლექსური სამედიცინო შემოწმება/სკრინინგი 18 წლამდე ასაკის 900-მდე ბენეფიციარმა გაიარა (მათ შორის 30% გოგო, 70% ბიჭი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კომპლექსური სამედიცინო შემოწმება/სკრინინგს დაქვემდებარებული 18 წლამდე ასაკის 1000-მდე ბავშვი და მოზარდი

მიღწეული მაჩვენებელი - კომპლექსური სამედიცინო შემოწმება/სკრინინგი 18 წლამდე ასაკის 800 ბენეფიციარმა გაიარა (მათ შორის 30% გოგო, 70% ბიჭი).

08 08 ახალგაზრდული ღონისძიებები დაფინანსებულია 5,051.4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 5,236.8 ათასი ლარის 96.5%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 08 01 ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი

2024 წლის გეგმა - 3,892.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,818.9 ათასი ლარით. რაც გეგმის 98.1%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების ხელშეწყობა (მათ შორის სამეწარმეო და სტარტაპ საპროექტო იდეების დაფინანსება), ახალგაზრდების ჩართულობის ზრდა სარეკრეაციო, გართობის, დასვენების და მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სერვისების ხელმისაწვდომობა ახალგაზრდებისთვის, გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოებას“ პროექტი - „Students' night", რომლის ფარგლებში დედაქალაქში მოქმედი სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობით გამართა წვეულება წარმატებული სტუდენტებისთვის, კლუბ „მონოჰოლში“, სადაც სტუდენტების წინაშე წარსდგნენ მათთვის საყვარელი შემსრულებლები, ღონისძიება დაასრულა მოწვეულმა DJ (წვეულებას 5 000 - მდე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის წარმატებული სტუდენტი დაესწრო); ა(ა)იპ „ახალგაზრდები მშვიდობისა და თანასწორობისათვის“ პროექტი - "ახალგაზრდული ორგანიზაციების მენეჯმენტის სკოლა", რომლის მიზანია თბილისელი ახალგაზრდა ლიდერების, სტუდენტების, ახალგაზრდული ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლების მენეჯმენტისათვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა, მათი იდეების რეალიზება და მათთვის პრაქტიკული ცოდნის მიცემა პოზიტიური ცვლილებების მომტანი პროექტების განხორციელებისათვის (პროექტი განხორციელდა გასვლითი ფორმატით 80 ახალგაზრდა ლიდერის ჩართულობით დაბა ბაკურიანში); ა(ა)იპ "სიცილის ლიგას" პროექტი - "ქართული ლიგა", რომელის მოიცავს როგორც იუმორისტულ, ასევე, მუსიკალურ ნომრებს. ახალგაზრდებს მიეცათ საშუალება ფართო საზოგადოებას გააცნონ საკუთარი ნიჭი, (წერითი, სამსახიობო და მუსიკალური), მონაწილეობს მიიღო 25-მდე (თითო გუნდში საშუალოდ 10 ადამიანი) გუნდი, როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან; ა(ა)იპ „ფონდი სოლიდარობა განათლებისთვის“ პროექტი - "სტუდენტების როლი სამოქალაქო

საზოგადოების ჯანმრთელობითი ცნობიერების ამაღლებაში“ (პროექტი განხორციელდა ბაკურიანში, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო განათლების მქონე (სტუდენტები, რეზიდენტები, მაგისტრანტები) ახალგაზრდები გადამზადნენ მოხალისეებად, რათა მათი ჩართულობით დაიგეგმოს და მოხდეს მოსახლეობაში სამედიცინო თემატიკის ინფორმაციის სწორად გავრცელება და ინფორმაციის სანდოობის კრიტერიუმების პოპულარიზაცია; ა(ა)იპ „შემოქმედებითი განახლება“ პროექტი - “ხვამლი არენას სტადიონის გასწვრივ არსებული ბეტონის კედლის მოხატვა“ (ბეტონის კედელი მოიხატა რაგბის თემატიკით, ჯამში 244,5 კვადრატული მეტრი, პროექტის განხორციელებაში ჩაერთო 4 პირი, რომლებმაც მოამზადეს ესკიზები, კედელზე გადაიტანეს და შემდეგ მოხატეს. მოხატული კედლების მინიმალური მდგრადობის დრო არის 10-15 წელი); ა(ა)იპ „ბავშვი და გარემო“ პროექტი - „არაფორმალური საგანმანათლებლო-კულტურული და საინტეგრაციო ღონისძიებები ა/ო „ბავშვი და გარემოს“ სამსახურის მოსარგებლე ბავშვებისთვის“, რომლის მიზანია ა(ა)იპ „ბავშვი და გარემოს“ ბაზაზე არსებული, სახელმწიფო სიღარიბის პროგრამაში ჩართული ოჯახების ბავშვების, დღის ცენტრ „ცისარტყელას“ და შშმ ბავშვების დღის ცენტრ „იმედის“ აღსაზრდელთათვის, არაფორმალური კულტურულ - საგანმანათლებლო და საინტეგრაციო ღონისძიებების ჩატარება; ა(ა)იპ „შემოქმედებითი განახლება“ პროექტი - “ლადო ასათიანის N50-ში მდებარე სპორტული კომპლექსის მოხატვა”; ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციას“ პროექტი - “საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2024“ - ის დახურვის ღონისძიება” (5 აპრილიდან 10 ივნისის ჩათვლით ყოველწლიური „საქართველოს სტუდენტური ფესტივალი 2024“, რომელიც აერთიანებს საქართველოს მასშტაბით ავტორიზებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებს მასობრივ, კულტურულ, საგანმანათლებლო, შემეცნებით, შემოქმედებით, გასართობ და სპორტულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობით); ა(ა)იპ „ფესტივალი 1862“ პროექტი - „დათუნა ჟღენტის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნახატი“; სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ პროექტი - „ფსიქოგანათლების საღამოები ახალგაზრდებისთვის“, რომელიც ითვალისწინებდა

18-29 წლის ახალგაზრდებთან შეხვედრების წარმართვას მათი ასაკისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ფსიქოგანათლების მიზნით; ა(ა)იპ „კორიდორ სფეისის“ პროექტი - „ქუჩის ხელოვნების ფესტივალი ნიკო მაღლივი 2024“ (პროექტი ოთხ ეტაპიანია, თითო ეტაპს ეყოლება 4 გამარჯვებული, რომელსაც გამოავლენს 4 კაციანი ჟიური, რის შემდეგაც კვლავ გამოცხადდება ღია კონკურსი. ფესტივალის ფარგლებში მოიხატება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობის გარე ფასადი, ჯამში 16 კედელი); ა(ა)იპ „საქართველოს ხელოვნური ინტელექტის ასოციაციის“ პროექტი - “საერთაშორისო კონფერენცია ქართული ენის ხელოვნური ინტელექტის განვითარების შესახებ”; ა(ა)იპ „განათლების საერთაშორისო ახალგაზრდული ცენტრის“ პროექტი - „საჯომარდო ბანაკი“ (10 მაისიდან 10 ივნისის ჩათვლით, ფასანაურში, მდინარე არაგვის ტერიტორიაზე მოეწყო საჯომარდო ბანაკი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 18-29 წლის ასაკის თბილისში მცხოვრებმა 1500-მა ახალგაზრდამ. თითოეულ ტურზე გაემგზავრა 75 ახალგაზრდა, ტურის ფარგლებში ჯომარდობასთან ერთად ახალგაზრდები ჩაერთვნენ სპორტულ-შემეცნებით და გასართობ აქტივობებში: ფრენბურთი, შაში, ჭადრაკი და ა.შ); ა(ა)იპ „საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის“ პროექტი - „საბავშვო და ახალგაზრდული თეატრის საერთაშორისო ფესტივალი თაობა“, პროექტის ფარგლებში ქვეყანას ეწვივნენ თეატრები ჩინეთიდან, ბრაზილიიდან, აზერბაიჯანიდან, კვიპროსიდან, საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. ასევე, წარმოდგენილი იყო სასკოლო თეატრების პროგრამა; 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, ა(ა)იპ „საბავშვო ფესტივალის“ პროექტი - „თბილისის საბავშვო ფესტივალი 2024“, მთაწმინდის პარკში გაიმართა ყოველწლიური მასშტაბური საბავშვო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჯამში 120 ორგანიზაციამ, ხოლო ა(ა)იპ „ხელოვნება მომავლისთვის“ პროექტი - „1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე“ დედაენის პარკში; ა(ა)იპ „თბილისის საერთაშორისო სტუდენტური თეატრალური ფესტივალის“ პროექტი - „თბილისის საერთაშორისო სტუდენტური თეატრალური ფესტივალი“; ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „საქართველოს წარმომადგენელთა ვიზიტი ევროპის სტუდენტური გაერთიანების საბჭოს 86 - ე

შეხვედრაზე“, შეხვედრა წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერით გაიმართა შვეიცარიის კონფედერაციაში, ქალაქ ჟენევაში 2024 წლის 6-12 მაისს. აღნიშნულ ღონისძიებაზე, საქართველოდან მიწვეული იყო 2 წარმომადგენელი, რომლებმაც წარმოადგინეს საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაცია ჟენევის შეხვედრაზე; ა(ა)იპ „საქართველოს ანგელოზი ინვესტორების ქსელის“ პროექტი - „ტექნოლოგიურ სტარტაპებში საინვესტიციო კონფერენცია“, ღონისძიებაზე მოწვეული იყო 90-მდე წევრი ანგელოზი ინვესტორი, ინვესტიციებით დაინტერესებული ადამიანები და წინასწარ შერჩეული 2 ტექნოლოგიური სტარტაპი, რომლებმაც პრეზენტაციის სახით გააცნეს თავიანთი ბიზნეს იდეები დამსწრე საზოგადოებას; ა(ა)იპ „შემოქმედებითი განახლებას“ პროექტი - „თბილისი, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი 76-ში მდებარე მოსწავლეთა სახლის ინტერიერის კედლების მოხატვა“ (257 კვ.მ.); ა(ა)იპ „სტუდენტური უქმეების“ პროექტი - „STUDENTS SUMMER FESTIVAL“, რიგით მესამე მასშტაბური უნივერსიტეტთაშორისი პროექტი, რომელშიც მონაწილოება მიიღო 10 უნივერსიტეტმა (ფესტივალი დაყოფილი იყო ხუთ სივრცედ: საუნივერსიტეტო სივრცე, ორი მუსიკალური სივრცე, სათამაშო სივრცე, სპონსორების სივრცე, საგამოფენო სივრცე); ა(ა)იპ „სტუდენტთა საერთაშორისო საზოგადოებას“ პროექტი - „ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი 2024“ ქობულეთში, რომელიც განხორციელდა 2024 წლის 15 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით, 3 ნაკადად. თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა იყო 3 ღამე/4 დღე და თითოეულ ნაკადზე მონაწილეობა მიიღო 50 ახალგაზრდამ (სულ მონაწილე 150 ახალგაზრდა); ა(ა)იპ „ახალგაზრდული ინიციატივების სამოქალაქო ცენტრის“ პროქტი - საზაფხულო ბანაკი „სტუდენტები 2024“ ქობულეთში, რომელიც განხორციელდა 2 ნაკადად (თითოეული ნაკადის ხანგრძლივობა იყო 3 ღამე/4 დღე) და თითოეულ ნაკადზე მონაწილეობა მიიღო 75 სტუდენტმა (პროექტში მონაწილეობა მიიღო თბილისის მასშტაბით მოქმედმა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების 150 აქტიურმა და წარმატებულმა სტუდენტმა); ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობის „დავითიანნი“ პროექტი - „გზა წარმოსახვიდან - შემოქმედებამდე“, რომელიც გულისხმობს საზაფხულო ბანაკის მოწყობას წარმატებული ახალგაზრდებისთვის

(ბანაკის ფარგლებში ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ხეზე მუშაობის გაკვეთილები, ბოლოს კი შექმნეს საჩვენებელი ნამუშევარი); ა(ა)იპ „კულტურის და განათლების ფონდის“ პროექტი - „კინობანაკი ახალგაზრდა აუდიტორიის განვითარებისთვის, რომელიც ივლისში განხორციელდა დაბა ბაკურიანში (6 დღიანი თეატრალური ბანაკი (მონაწილეობდა კონკურსის საფუძველზე შერჩეული 15 მონაწილე), ჯამურად კინოხელოვნებასთან დაკავშირებით ჩატარდა 21 აქტივობა: 6 ლექცია, 5 ვორქშოფი, 5 კინოჩვენება, 5 დისკუსია. ასევე, სპორტული და გასართობი აქტივობები); ა(ა)იპ „დიჯითალ ქრიეითივ ჰაბის“ პროექტი - „ვორდპრეს პროგრამირების ბანაკი“, რომელიც შეეხებოდა ვორდპრესის პროგრამირების ენის პრაქტიკული სწავლებას ინტენსიური 1-კვირიანი კურსით, სადაც ბენეფიციარებმა გაატარეს სრულ სამუშაო დღეებს და ჰქონდათ შესაძლებლობა, შეექმნათ პროდუქტი თავიანთი ხელით (ბანაკი გაიმართა ივლისის თვეში და მასში მონაწილეობდა 15 ბენეფიციარი); ა(ა)იპ „გარისაა“ პროექტი - „გარისობა 2024 ივლისი-აგვისტო“, რომლის ფარგლებში ჩატარდა 2 - დღიანი ლაშქრობები საქართველოს სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე და ნაკრძალში, ბორჯომ ხარაგაულის ეროვნულ პარკში, ლაგოდეხის ნაკრძალში, ალგეთის ეროვნულ პარკში, სადაც მონაწილეობა მიიღეს 14 წლიდან 19 წლამდე 80 მოზარდმა და ახალგაზრდამ (პროექტში მონაწილეობდა 5 ინსტრუქტორი და 4 დამხმარე ინსტრუქტორი, ლექციები ჩატარდა ლაშქრობასთან დაკავშირებულ თემებზე); ა(ა)იპ „ლაშქრობას“ პროექტი - „თბილისის გარშემო 2024“, რომლის ფარგლებში ჩატარდა 4 ორდღიანი და 4 ერთდღიანი საველე-სალაშქრო ბანაკი მოხალისე-მსურველებისთვის (ბანაკის მიმდინარეობისას ჩასატარებელი მოკლე ლაშქრობა მოიცავდა სოფლების მსხალდიდი-ნახშირგორას მიმდებარე ტერიტორიას, ხოლო 2-დღიანი ბანაკების შემთხვევაში, დამატებით მთა-ნათლისმცემლის (1404 მეტრი) მონახულებას. პროექტში მონაწილეობდა ორასი 18-29 წლის ახალგაზრდა); ა(ა)იპ „ახალგაზრდობა სოციალური თანასწორობისთვის“ პროექტი - „ინკლუზიური სათავგადასავლო ბანაკი „მე კარგად, შენ?! მანგლისში“, საბანაკე დღეები მიმდინარეობდა პირველი აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით, 10 დღის (9 ღამე) მანძილზე, მანგლისში. ბანაკში შშმ პირები და ბავშვები (ასაკობრივი ზღვარი - 13 წლიდან ზემოთ) იმყოფებოდნენ მშობლების გარეშე, ბანაკში ჩაერთო 25

ბენეფიციარი); ა(ა)იპ „საქართველოს ანგელოზი ინვესტორების ქსელის“ პროექტი - „საინვესტიციო ეკოსისტემის კონფერენცია“, რომლის მიზანი იყო, ადგილობრივი სტარტაპებისთვის დამატებითი საინვესტიციო შესაძლებლობების შექმნა „ჭკვიანი ფულის“ ინვესტიციების პრინციპით, კონფერენციაზე 700-ზე მეტ მოწვეული სტუმრის წინაშე წარსდგნენ ადგილობრივი ტექნოლოგიური სტარტაპები (ღონისძიება თბილისში, კუს ტბაზე, „ცისკარი გარდენში“ გაიმართა); ა(ა)იპ „მზაგზა“ პროექტი - “WEX International camp” (ბანაკი გათვლილი იყო 6-დან 17 წლის მოზარდებზე), რომელიც ჩატარდა ბორჯომის რაიონის დაბა ბაკურიანში (2024 წლის 26 აგვისტოდან 4 სექტემბრის ჩათვლით), მონაწილეებს მეცადინეობები ჩაუტარდათ ინგლისური ენის ცოდნის დონის შესაბამისად. ბანაკის ბოლოს ბავშვებს გადაეცათ სერთიფიკატები მონაწილეობისათვის, წარმატებულებს - დიპლომები და მედლები; ა(ა)იპ „2025 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის“ პროექტი - „ჭ.ამირეჯიბის გვირაბის მოხატვა“, რომლის ფარგლებში მოიხატა „ჭ. ამირეჯიბის გვირაბი“ “BAKURIANI 2025”-ის ვიზუალურ დიზაინში; ა(ა)იპ „ახალი თაობის კავშირის“ პროექტი - „ბარბარობის სახალხო დღესასწაული“, რომლის ფარგლებში წმ.ბარბარეს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე მოეწყო სცენა, (3X5) სადაც ცნობილ ქართველ მომღერლებთან ერთად ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის აღსაზრდელებმა. ამასთან, გაიმართა საპატიო უბნელების დაჯილდოების ტრადიციული ცერემონია. მოეწყო ბავშვთა გასართობი 20-მდე სივრცე, ქართული ტრადიციული გასტრონომიული კერძების კუთხე, საკვირაო სკოლის ბავშვებმა მოაწყვეს საკუთარი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა; ა(ა)იპ „საქართველოს სტომატოლოგიურ დილერთა ასოციაციის“ პროექტი - „GDDA DENTAL EXPO 2024, Hualing Tbilisi Sea Plaza“, რომლის ფარგლებში ღონისძიებას “GDDA EXPO” დაესწრო 50-მდე სტომატოლოგიური კომპანია, 500-მდე კომპანიის თანამშრომელი, 3000 ექიმი-სტომატოლოგი; ა(ა)იპ „მოყვარულ სტუდენტურ თეატრთა ასოციაციის“ პროექტი - „ახალგაზრდულ სტუდენტურ-თეატრთა თბილისის საერთაშორისო ფესტივალი „ნიღაბი 2024“, რომლის ფარგლებში მონაწილებდა საქართველოდან 6 და უცხოური 2 უმაღლესი სასწავლებლის თეატრალური დასები (ბულგარეთი,

სომხეთი). ფესტივალის ფარგლებში სპექტაკლები გაიმართა 10 დღის განმავლობაში, პირდაპირ ბენეფიციართა რიცხვი შეადგენს 180 სტუდენტს, არაპირდაპი ბენეფიციართა რაოდენობა თითოეულ წარმოდგენაზე 450-ს; ა(ა)იპ „თბილისი სტარტაპ ბიუროს“ პროექტი - „პეჩაკუჩა-ჯანსაღი ცხოვრების შესახებ“, რომელიც ჩატარდა ფაბრიკაში Jungle Room - ში; ა(ა)იპ „კულტურული და შემეცნებითი ჰაბის” პროექტი - “ზამთრის ბანაკი 2024”, რომლის ფარგლებში ბაკურიანში მოეწყო თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტებისათვის ზამთრის ბანაკი, სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისის მასშტაბით მოქმედმა სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების 65-მა აქტიურმა და წარმატებულმა სტუდენტმა, ა(ა)იპ „საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის“ პროექტი - „ზამთრის სტუდენტური სკოლა 2024, რომლის ფარგლებში დაბა ბაკურიანში მოეწყო სამუშაო შეხვედრები დედაქალაქის მასშტაბით მოქმედი უნივერსიტეტების სტუდენტური თვითმმართველობების, სტუდენტური კლუბების, საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლებთან და სტუდენტებთან (პროექტში მონაწილეობა მიიღო 60-მა ახალგაზრდამ); ა(ა)იპ „შემოქმედებითი განახლებას“ პროექტი - „სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილი 76-ში მდებარე მოსწავლეთა სახლის შიდა კიბეების მოხატვა“ (მოიხატა სართულებს შორის ასასვლელი წყვილი კიბეები 2 სართულზე, სულ ჯამში 29.34 კვადრატული მეტრი); ა(ა)იპ „სითი მიურალ არტის” პროექტი - „ნაძალადევის რაიონში, სანზონა, კორპუსი N25-ის და N7-ის მიმდებარე სკვერში არსებული კედლების მოხატვა“ (საერთო ჯამში 300 კვ/მ-ის); ა(ა)იპ „ინოვაციების ასოციაციის“ პროექტი - „რობოტიკის საერთაშორისო ოლიმპიადა “FIRST Global”-ზე საქართველოს ეროვნული ნაკრები“, სადაც ყოველწლიურად 180 ქვეყანაზე მეტი იღებს მონაწილეობას, საქართველოს ნაკრები უკვე მერვე წელია ჩართულია ამ პროექტში და კონკურსი წელს საბერძნეთში ჩატარდა; ა(ა)იპ „თბილისი სტარტაპ ბიუროს“ პროექტი - „NASA Space Apps Challenge საერთაშორისო ჰაკათონი“, რომელიც 200-ზე მეტ ლოკაციაზე ერთდროულად ტარდება ორი დღის განმავლობაში და აერთიანებს ახალგაზრდა პროგრამისტებს, მკვლევარებს, დიზაინერებს, მშენებლებს, ტექნოლოგებსა და შემოქმედებით ადამიანებს; ა(ა)იპ „კარპეტერიას“ პროექტი - „ხალიჩების წარმოების მასტერკლასები

ახალგაზრდებისთვის“. პროექტი წარმოადგენდა 1-დღიანი ხალიჩის წარმოების მასტერკლასების სერიას, რომელიც იმართებოდა ყოველ შაბათ-კვირას 2 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე (ვორქშოფები უფასო იყო მონაწილეთათვის, თითოეულ შეხვედრაში 5 მონაწილე იღებდა სიღრმისეულ ცოდნას ტექნიკის, ბიზნესის წარმოებისა და საბოლოო პროდუქტის შექმნის სრული პროცესის შესახებ); ა(ა)იპ „ახალგაზრდები მშვიდობისა და თანასწორობისათვის“ პროექტი - „ახალგაზრდული ორგანიზაციის მენეჯმენტის სკოლა - ნაკადი II“, პროექტი წარმოადგენს ინტენსიური გადამზადების კურსს, რომელიც გასვლითი ფორმატით 90 ახალგაზრდა ლიდერის ჩართულობით განხორციელდა ორ ნაკადად;

გარდა ამისა, ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის ფარგლებში დაფინანსდა 12 პროექტი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის რეაბილიტაციის სამუშაოები - 1,508.3 ათასი ლარით (გარდამავალი ხელშეკრულების ფარგლებში), სასტუმრო „ჰოლიდეი ინნ“-ის საკონფერენციო დარბაზში, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით დაინტერესებულ ახალგაზრდებთან 2024 წლის 22 აპრილს გამართული შეხვედრა - შესაძლებლობების და სამომავლო გეგმების გაცნობის ღონისძიება, ა(ა)იპ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (9 ფილიალი) – 500.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გრძელდება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად (წარმატებული მოსწავლეებისა (130 მოსწავლე) და მათი მასწავლებლების (60 მასწავლებელი) წახალისების მიზნით) დაფინანსება, მიმდინარე პერიოდში სახლის მიერ გაწეული კომუნალური, დასუფთავების, ინტერნეტმომსახურების ხარჯების ანაზღაურება. ასევე, გაწეულია ზოგიერთი თანამშრომლის შრომის ანაზღაურების, სპორტული ინვენტარის (ძიუდოსა და კინგბოქსინგის ტატამი), კონდიციონერებისა და მტვერსასრუტის შეძენის, სამგორის ფილიალის შენობის დასუფთავების და ბუნებრივი აირის მილების აღდგენითი სამუშაოების ხარჯები, ხოლო სახლის საკუთარი სახსრებიდან გაწეულია 1,463.6 ათასი ლარი, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ოფისის ხარჯების, ტრანსპორტის დაქირავების და სხვა ხარჯებისათვის. მცირე სარემონტო სამუშაოები ჩატარდა გლდანის, ნაძალადევის,

დიდუბის, ჩუღურეთის, ისნის ფილიალებში. ამასთან, ბენეფიციართა შემოქმედებითი უნარების გამოვლენისა და მათი ინტერესების რეალიზაციისთვის ჩატარდა საგანმანათლებლო, შემეცნებით - განმავითარებელი, შემოქმედებითი და სპორტული შინაარსის ღონისძიებები და აქტივობები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს დაფინანსებული 53 პროექტი, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში მონაწილე 30000-მდე ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსებული 76 პროექტი, საგანმანათლებლო, შემეცნებით, კულტურულ-შემოქმედებითი აქტივობებში და მასობრივ ღონისძიებებში 30000-ზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - დაინერგა მრავალფეროვანი პროგრამები და სერვისები, რეკრეაციის, გართობის და დასვენების მიმართულების ღონისძიებებში (ბანაკებსა და ლაშქრობებში) წლის განმავლობაში საშუალოდ ჩართული 10000-ზე მეტი ახალგაზრდა

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

3.საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (40 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3500 -ზე მეტი ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (9 ფილიალი) სერვისებით (42 დასახელების წრესა და სტუდიაში) მოსარგებლე 3500 -ზე მეტი ახალგაზრდა (მათ შორის 1740 სოციალურად დაუცველი და 130 წარმატებული მოსწავლე).

4.საბაზისო მაჩვენებელი - მომზადდა ისნის და ჩუღურეთის ფილიალების სრული რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, გრძელდება

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის (სამგორის ფილიალი) რეაბილიტაციის სამუშაოები და დასრულდება 2024 წლის გაზაფხულზე.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის სამგორის ფილიალის სრული რეაბილიტაციის სამუშაოები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

08 08 02 თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრი

2024 წლის გეგმა - 1,344.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1,232.5 ათასი ლარით. რაც გეგმის 91.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თბილისში სპორტული და ახალგაზრდული ცენტრების ფუნქციონირება/სერვისების ხელმისაწვდომობა; ახალგაზრდებისთვის პროგრამის "მერიასთან ერთად" ფარგლებში სერვისებზე (ტრენინგ-ცენტრი, სპორტული ინვენტარი და ეკიპირება, ტრანსპორტი და ა.შ.) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მასობრივი ღონისძიებების, ახალგაზრდული ბანაკებისა და სკოლების ჩატარება, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა; ახალი ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge და eurodesk.ge, ევროპის ახალგაზრდული ბარათის (youth card) ფუნქციონირება და მობილური აპლიკაციის შექმნა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა ა(ა)იპ თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის (ახალგაზრდული და სპორტული ფილიალები) ფუნქციონირების ხარჯები (მათ შორის საკუთარი სახსრებიდან - 978.4 ათასი ლარი). ასევე, ცენტრის ორგანიზებით და მხარდაჭერით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის:

ელექტრონული პლატფორმა youthtbilisi.ge - ვებ-საიტი ემსახურება ცენტრის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ცენტრის ხილვადობისა და მის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. მიმდინარეობდა საიტების დეველოპმენტის პროცედურა Scrum მიდგომით, რაც გულისხმობს ყოველი ინტეგრაციის

დასრულების შემდეგ ფუნქციონალის ტესტირებას. მომზადდა პლატფორმის, Youthtbilisi.ge-ს განვითარების გეგმა და საიტისათვის საჭირო ვიზუალური კომპონენტები. დეველოპერებისგან მიღებული ვებგვერდის შემდეგ ცენტრის გუნდმა დაიწყო საიტზე ორ ენაზე ინფორმაციის განთავსება, ფუნქციონალების შინაარსობრივი სრულყოფა, ბმულის გადამისამართების, ინფორმაციული ველების, ე.წ Key-ების შეყვანა და პლატფორმის ინტენსიური ტესტირება. ვებგვერდმა დებიუტი წარმატებით დაიწყო თბილისის მერიის მასშტაბური საზაფხულო პროგრამების რეგისტრაციის პროცესის დაანონსებით (საიტზე მოქმედებს გათვალისწინებულ ფუნქციონალთა 90% და მათი ჩაშვების შემდეგ არ დაფიქსირებულა არც ერთი განაცხადი/შეტყობინება ხარვეზის შესახებ). მიმდინარე პერიოდში ვებ-საიტზე რეგისტრირებულია 16 ორგანიზაცია და 2147 მოხალისე, რომელიც ჩაერთო საიტზე განთავსებულ 37 პროექტში; Google analitycs-ის მიხედვით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 4757 სესია, რომელთა 100% წარმოადგენს ორგანული ან პირდაპირი ძიების შედეგს;

საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში ევროპული ახალგაზრდული ბარათის (EYCA) პროგრამის განვითარებისათვის მოხდა ელექტრონული პლატფორმების, ვებ-საიტისა და მობილური აპლიკაციის, დეველოპმენტის დასრულება, პლატფორმების რეალურ გარემოში განთავსება და ტესტირება. დაიწყო და გრძელდება პლატფორმების ინფორმაციული ნაწილის სრულყოფა, მომზადდა ეკოსისტემა პროგრამის მერჩანტებისათვის, რომელთა ინტეგრაციაც მესამე კვარტალში განხორციელდა. მიმდინარე პერიოდში საუკეთესო პრაქტიკების გაზიარების მიზნით, განხორციელდა არაერთი ონლაინ შეხვედრა პროგრამის საერთაშორისო წარმომადგენლებთან. განახლდა 2020 წელს შექმნილი პროგრამის მარკეტინგის გეგმა და შეიქმნა გზამკვლევი საქართველოში ევროპული ახალგაზრდული ბარათის განვითარების ალტერნატივების შესახებ; შემუშავდა დეტალური სამოქმედო გეგმა პროგრამის ტექნიკური პროცედურების გათვალისწინებით, შეიქმნა EYC in Georgia-ს სოციალური მედია კამპანიის პირველადი გეგმა და EYC in Georgia-ს ვიზუალური იდენტობა (brand book). ამჟამად ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს პროგრამის სრული სისტემის ჩამოყალიბება, დაწყებული ფიზიკური ბარათების ბეჭდვის პროცესიდან, დასრულებული ელ-

პლატფორმების გამართვით; მაისში ახალგაზრდული ბარათის კოორდინატორი დაესწრო პოლონეთში, ქალაქ გდანსკში წარმართულ რეგიონულ შეხვედრას, სადაც მოხდა ბარათის ფუნქციონირების საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება და საერთაშორისო წარმომადგენლობას წარედგინა პროგრეს-ანგარიში ადგილობრივად მიმდინარე სამუშაოების შესახებ, ხოლო ივნისში იმყოფებოდა ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის რიგით მეორმოცე ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მან წარადგინა ცენტრის EYCA-ს 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა; საქართველოში ევროპული ახალგაზრდული ბარათის პროგრამის იმპლემენტაციის მიმართულებით გადადგმულ იქნა არაერთი ნაბიჯი, მათ შორის დასრულდა პროგრამის ონლაინ პლატფორმების, მობილური აპლიკაციისა და ვებ-საიტის ტესტირების/სრულყოფის პროცესი, განთავსდა დამატებითი ინფორმაცია პროგრამის პარტნიორი ორგანიზაციების შესახებ და რაც მთავარია დაიწყო სიღრმისეული მოლაპარაკებები პროგრამის პოტენციურ პარტნიორთან, ლოკალურ კომერციულ ბანკთან; საანგარიშო პერიოდში eyc.ge-ს ელექტრონულ პლატფორმებზე განთავსდა 10-ზე მეტი ფასდაკლება ისეთ მუნიციპალურ სერვისებზე როგორიცაა ცურვა, ტანვარჯიში, თეატრალური წარმოდგენები, მედიათეკების აბონიმენტები, მუზეუმის ვიზიტები და სხვა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ფასდაკლებები უკვე ხელმისაწვდომია ახალგაზრდული ბარათის უცხოელი მფლობელებისათვის. ფასდაკლებები განთავსდა EYCA-ს საერთაშორისო საიტზეც. ამავე, პლატფორმაზე მოხდა საქართველოში ქარდის პროგრამის თაობაზე ინფორმაციის ატვირთვაც, რითაც უზრუნველყოფილის თბილისის მერიის, ცენტრისა და ადგილობრივი პროგრამის ხილვადობა; ცენტრა მოიპოვა დაფინანსება ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციისაგან “Miximising Impact” საგრანტო პროგრამის ფარგლებში და განხორციელდა ვიზიტი ბალეარის კუნძულებზე, ქალაქ პალმაში, სადაც ბარათის პროგრამის ოპერირებას ახდენს ცენტრის მსგავსი საჯარო უწყება კომერციულ ბანკთან ერთად (დეტალურად იქნა განხილული ბალეარის კუნძულების მასშტაბით ევროპის ახალგაზრდული ბარათის (Carnet Jove) პროგრამა, მათ შორის: ახალგაზრდული ბარათის კო-ბრენდირების გამოცდილება ბანკებთან

თანამშრომლობის ფარგლებში, ტექნიკური ინფორმაცია ფასდაკლების პროგრამის მართვისა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ, შესწავლილი იქნა ადგილობრივად არსებული საქართველოს ანალოგიური ციფრული პლატფორმებისა და აპლიკაციების (Android და iOS) განვითარება და ფუნქციონირება და სხვა);

ქართველი ახალგაზრდებისთვის ევროპული შესაძლებლობების ფართო სპექტრის შეთავაზების მიზნით, ცენტრი ახორციელებს ევროდესკის პროგრამის იმპლემეტაციას საქართველოში, EuroDesk-ის მიერ უზრუნველყოფილ სერვისებზე წვდომა კი შესაძლებელი გახდება ცენტრის დაკვეთით შექმნილი პლატფორმის EuroDesk.ge-ს მეშვეობით, სადაც განთავსდება სასარგებლო ბმულები და სრული ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში არსებული მოხალისეობრივი, საგანმანათლებლო, სამუშაო შესაძლებლობების შესახებ. საანგარიშო პერიოდში ცენტრმა უზრუნველყო საქართველოში ევროდესკის (Eurodesk) ონლაინ პლატფორმის დიზაინის შექმნა. ამჟამად მიმდინარეობს საიტის სატესტო რეჟიმში მუშაობა;

ესტონეთის ქალაქ ტალინში გაიმართა ევროდესკის ქსელის შეხვედრა და გენერალური ასამბლეა 2024 (Eurodesk Network Meeting and General Assembly 2024), რომელიც მიზნად ისახავდა ევროდესკის წევრი ქვეყნების ეროვნული კოორდინატორების ერთ სივრცეში გაერთიანებას, მათი თანამშრომლობის გაძლიერებასა და ხელშეწყობას, რაც პირდაპირ ხელს უწყობს ქართველი ახალგაზრდების გაძლიერებას, მხარდაჭერასა და წახალისებას, რათა საქართველოს ქონდეს მეტი რესურსი, ინფორმაცია და ხელმისაწვდომობა თბილისის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეების, სტუდენტებისა და ახალგაზრდების ჩართულობისა და მონაწილეობის გასაზრდელად სხვადასხვა ტრენინგსა თუ სასწავლო გაცვლით პროგრამაში. ღონისძიების შემდგომ შემუშავდა ევროდესკ საქართველოს სტარტეგიული და სამოქმედო გეგმების მონახაზი, შესაბამისი ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება ქსელს საქართველოში ფუნქციონირებასა და მის განვითარებაში. 27 ივნისს, ევროდესკ საქართველოს წარმომადგენლობა ესტუმრა “კოდალას” ახალგაზრდულ შრომით ბანაკს ბაკურიანში, გაცვლითი პროგრამა ქართველ და ფრანგ ახალგაზრდებს შორის - “Bridges of Friendship: Nantes-

Tbilisi Youth Exchange" - რუსთავის საერთაშორისო სკაუტების ცენტრში და თეატრალური დადგმისა და კინოხელოვნების შესახებ „კულტურის და განათლების ფონდის" ბანაკი (შეხვედრა გაიმართა ინტერაქციულ რეჟიმში, ახალგაზრდებმა მიიღეს ინფორმაცია არსებული შესაძლებლობების თაობაზე. ასევე, დისკუსიის ფორმატში ახალგაზრდებმა ისაუბრეს საკუთარი მიზნების, ხედვებისა და საჭიროებების თაობაზე). 16 აგვისტოს ევროდესკ საქართველოს წარმომადგენლებმა გამართეს ონლაინ საინფორმაციო შეხვედრა ახალგაზრდებისთვის სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ ევროკავშირის ინსტიტუციებში (European Commission, Council of Europe and European Parliament). სესიის ფარგლებში ახალგაზრდებმა გაიგეს თუ როგორ შეუძლიათ გამოიყენონ ევროდესკისა და ევროპის ახალგაზრდული საძიებო პორტალები და როგორ გააკეთონ სხვადასხვა სტაჟირების პროექტი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ხოლო საზაფხულო პროგრამების ფარგლებში განხორციელებულ ახალგაზრდულ ბანაკებში ევროდესკ საქართველოს წარმომადგენლობმა გააკეთეს პრეზენტაცია არსებული ევროპული შესაძლებლობების შესახებ; ოქტომბერში Eurodesk Georgia-მ გამოაცხადა „Time to Move" კამპანიის ფარგლებში „ილუსტრაციების დიზაინის კონკურსი", რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდების საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას, მათი ჩართულობისა და კრეატიულობის წახალისებას, კონკურსში მონაწილეებმა შექმნეს ორიგინალური ილუსტრაციების დიზაინები, რომელთაგან 5 დეკემბერს გამოვლინდა გამარჯვებული, რომელსაც გადაეცა ჯილდო – პოლაროიდის ფოტოაპარატი და ფოტოაპარატის ჩანთა.

არაფორმალური განათლების პროგრამა და ტრენინგ ცენტრი: ცენტრმა თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების, სპორტსმენებისა და სპორტით დაინტერესებული პირების პრობლემებისა და საჭიროებების გამოკვეთის მიზნით, დაიწყო სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროს კვლევა, რომელიც დაადგენს სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებულ მდგომარეობას, გამოავლენს გამოწვევებს და შემოგვთავაზებს რეკომენდაციებს სფეროთა ყოვლისმომცველი და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. კვლევის შედეგების მიხედვით მოხდება არსებული სერვისების

გაუმჯობესება/განვითარება და ახალი სერვისების და შესაძლებლობების შექმნა. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: 8 - 14 იანვარს ევროკომისიის Erasmus+ K 1 აქტივობის, პროექტის „Youth Talk – make it meaningful“ ფარგლებში, რუსთავის სკაუტების ცენტრში ახალგაზრდა მუშაკებისთვის განხორციელებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო არაფორმალური განათლების და ტრენინგ ცენტრის მენეჯერმა (ტრენინგში მონაწილე 9 ქვეყნის 27 ახალგაზრდა მუშაკს ცოდნის მიღებასთან ერთად ჰქონდათ ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ დონეზე დაგროვილი გამცდილების გაზიარების შესაძლებლობა. ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია თბილისის სპორტისა და ახალგაზრდული ცენტის ბაზაზე დაგროვილ გამოცდილებას ახალგაზრდულ-საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტებისა და პროგრამების ფარგლებში), ხოლო 5 - 14 თებერვალს ევროკომისიის Erasmus+ K 1 აქტივობის, პროექტის „Let’s make this world beautiful but let’s do it together“ ფარგლებში, ახალგაზრდა მუშაკებისთვის განხორციელდა ტრენინგები (მონაწილეობდა 28 ახალგაზრდული მუშაკი 7 ქვეყნიდან). ტრენინგი მიზნად ისახავდა სტრესის მართვისა და ეფექტურ კომუნიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებში ახალგაზრდული მუშაკების გაძლიერებას, მიგრანტებთან და დევნილებთან მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ახალგაზრდა მუშაკებმა გამოცდილების გაზიარებასთან ერთად, განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობები (ტრენინგი ჩატარდა თესალონიკში და მას ორგანიზებას უწევდა საბერძნეთის ახალგაზრდული ორგანიზაცია - „Youth Empowerment Center“); 11 მარტს დაიწყო ვიდეო კონკურსი: #EcoEdGeo -#ეკოგანათლება საქართველო, რომელიც მიზნად ისახავდა დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის შესაძლებლობის მიცემას, კრეატიული გზით გაეცნოთ და გაევრცელებინათ ინფორმაცია ეკოლოგიური პრობლემების შესახებ (კონკურსის ფინალისტებს, მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ, ხოლო ჟიურის რჩეულსა და სოციალურ პლატფორმაზე (facebook) საუკეთესო გამოხმაურების მქონე კონკურსანტებს საპრიზო ვაუჩერებიც გადაეცათ); 16 მარტს, ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სტრესის მართვა „შტორმის“ შემდეგ, კურსი შემუშავდა Erasmus + პროგრამის ფარგლებში, ახალგაზრდა

მუშაკებისთვის განხორციელებული ტრენინგ კურსის „Let's make this world beautiful but let's do it together" ფარგლებში მიღებული ცოდნა-გამოცდილების გაზიარების მიზნით; 10 მაისიდან - 29 ივნისამდე ცენტრის ოფისში, ინგლისური ენის სასაუბრო კლუბის ფარგლებში ყოველკვირეული შეხვედრები მიმდინარეობდა ახალგაზრდებთან (შეხვედრები განხორციელდა არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით, საგანმანათლებლო პროცესს გაუძღვნენ Erasmus+ პროგრამის ფარგლებში საქართველოში ჩამოსული გერმანელი მოხალისეები, მიღიამ გილბერტი და ნიქლას ბართი); 30 ივლისს ჩატარდა შეხვედრა "Find Yourself in Volunteering - იპოვე შენი თავი მოხალისეობაში", რომლის მიზანი გახლდათ უცხოელი მოხალისეების ჩართულობით და საკუთარი გამოცდილების გაზიარებით ახალგაზრდებისთვის ცნობიერების ამაღლება, მოხალისეობრივი საქმიანობისა და მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის გაცნობა (შეხვედრას გაუძღვნენ Erasmus + პროგრამით საქართველოში ჩამოსული ფრანგი მოხალისეები, ოლივიე და ტიბო); 30 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით განხორციელდა საზაფხულო პროგრამის ფარგლებში „ახალგაზრდა მოხალისეთა ბანაკი", ხოლო 3 სექტემბრიდან 7 სექტემბრის ჩათვლით „ახალგაზრდა ინოვატორთა ბანაკი" (ბანაკის ფარგლებში მონაწილეებმა მიიღეს თბილისის მერიისა და ცენტრის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია, მათ შორის ევროდესკი საქართველოს, ევროპული ახალგაზრდული ბარათისა და Youthtbilisi.ge-ის შესახებ, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას ჩაერთონ სხვადასხვა სპორტულ, შემეცნებით თუ საგანმანათლებლო პროექტებში); 12 ოქტომბერს ცენტრის ორგანიზებით პროექტი „ეკო-რენესანსი" განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა დედაქალაქში მცხოვრები ახალგაზრდების გარემოსდაცვით აქტივობებში ცნობიერების ამაღლებას, ინიციატივებისა და შემოქმედებითი მიდგომის წახალისებას; 11 ნოემბრიდან - 23 დეკემბრამდე ცენტრის ორგანიზებით, ახალგაზრდებს გერმანული ენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების შესაძლებლობა ჰქონდათ (ყოველკვირეულ შეხვედრებს "German Speaking Club - გერმანული ენის სასაუბრო კლუბის" ფარგლებში უძღვებოდა უცხლოელი მოხალისეები), ხოლო 13 ნოემბრიდან - 25 დეკემბრამდე ახალგაზრდებს ინგლისური ენის უნარ-ჩვევების გაუმჯობესების

შესაძლებლობა ჰქონდათ ("English Speaking Club - ინგლისური ენის სასაუბრო კლუბში" უცხლოელი მოხალისეებთი ყოველკვირეულად ატარებდნენ შეხვედრებს კლუბის წევრ ახალაგაზრდებთან); 18 ნოემბრიდან - 5 დეკემბრამდე ცენტრის ორგანიზებით, განხორციელდა ტრენინგ-კურსი პიროვნული განვითარება, რომელიც მოიცავდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: თვითშემეცნება და საკუთარი ღირებულებების აღმოჩენა, ეფექტური კომუნიკაცია და გუნდის მართვა, პერსონალური ბრენდინგი და ლიდერობა, სტრესის მართვა და მიზნებზე ორიენტირებულობა; არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში 15-29 წლის ახალაგზრდებისთვის ჩატარდა 9 ტრენინგ კურსი შემდეგ თემატიკაზე: „სტრესის მართვა“, „პიროვნული განვითარება“, „მწვანე ქცევის მნიშვნელობა“ (ეკოლოგია), „მოხალისეობრივი საქმიანობა“ (ორ ჯგუფი), „მეწარმეობა და ინოვაცია“(ორ ჯგუფი), ინგლისური ენა (ორ ჯგუფი), გერმანული ენა;

პროგრამის „მერიასთან ერთად“ ფარგლებში განხორციელდა, როგორც ცენტრის მიერ ორგანიზებული, ასევე, თბილისში მოქმედი 12 ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გამართული ღონისძიებების მონაწილეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა, მათ შორის: 4-28 თებერვალს დაბა ბაკურიანში, ჩატარდა ზამთრის უნივერსიადა სხვადასხვა სახეობებში, ღონისძიება გაიმართა საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით. უნივერსიადაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტმა (ტრანსპორტირებით ისარგებლა 350-მდე ბენეფიციარმა); 27 თებერვლიდან - 3 მარტის ჩათვლით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში (სეუ), კავკასიის უნივერსიტეტში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული „სტუდენტური თანასწორობის კლუბის“ ორგანიზებით ჩატარდა გასვლითი სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილე 100 მდე სტუდენტის ტრანსპორტირება ცენტრმა უზრუნველყო; 18 მარტს, თბილისში გაიმართა საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის მიერ ორგანიზებული, დახვედრა მსოფლიოს ჩემპიონ ილია თოფურიასთან, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში (ტრასპორტის მომსახურებით ისარგებლა

სხვადასხვა უნივერსიტეტის 500-მდე სტუდენტმა); 19-28 მაისს დაბა ფასანაურში, ჩატარდა ჯომარდობის ჩემპიონატი. ღონისძიება გაიმართა საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ორგანიზებით, ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღო 32 უნივერსიტეტის სტუდენტებმა (ტრანსპორტირებით ისარგებლა 700-მდე ბენეფიციარმა); 17-29 აგვისტოს საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ორგანიზებით ქობულეთში ჩატარდა გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ჩემპიონატი ქვიშის ფრენბურთსა და ქვიშის ხელბურთში, სადაც მონაწილეობდა საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის წევრი სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტის სტუდენტები (განხორციელდა 250-მდე მონაწილის ტრანსპორტირება), სტუდენტური ორგანიზაციების მხარდაჭერის მიზნით, განხორციელდა სოციალური ტურები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში საგანმანათლებლო პროცესი მიმდინარეობდა აქტიურად (ბენეფიციართა რაოდენობამ შეადგენდა 300-მდე მსმენელი), დაემატა იოგას გაკვეთილების ახალი ჯგუფი მშობლებისთვის (შეხვედრა ტარდება კვირაში ერთხელ და მას უძღვება გერმანელი მოხალისე მირიამ გილბერტი); დაიწყო გრაფიკული დიზაინის კურსები (გაკვეთილები კვირაში ორჯერ ტარდება და მას ნანა ჭანტურია უძღვება); 15 მარტს გაიმართა სამაგიდო თამაშის საღამო, ახალგაზრდებმა ითამაშეს თამაში „werewolf" (შეხვერდას უძღვებოდა ცენტრის გერმანელი მოხალისე იანოშ შტაგენი); 16 მარტს ცენტრში სტუმრად იმყოფებოდნენ ესტონეთის სკოლებისა და ბაღების დირექტორი და წამყვანი სპეციალისტები (სტუმრები ცენტრის ბენეფიციარებს ესაუბრნენ ესტონეთის განათლების სისტემასა და სიახლეებზე ამ სფეროში. შეხვედრის ბოლოს კი ესტონელებმა ქვიზი და ვორქშოპი ჩაატარეს და ახალგაზრდებმა მათგან საჩუქრებიც მიიღეს); 18 მარტს გაიმართა ბილიარდის და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი (შეხვედრა ჩატარდა ცენტრის გერმანელი მასწავლებლის, იანოშ სტეგანის ორგანიზებით, გამარჯვებულებს მედლები გადაეცათ); 20 მარტს გაიმართა ამერიკული თამაშის "განძთა კუნძულის" საღამო (ბენეფიციარებმა ცენტრის ტერიტორიაზე დამალული კითხვებისა და მინიშნებების მეშვეობით დამალული განძი იპოვეს); 21 მარტს - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცენტრი შეუერთდა „დაუნის სინდრომის ასოციაციის" მიერ

გავრცელებულ ცეკვის გამოწვევას, რომელიც მიზნად ისახავს დაუნის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და საზოგადოების ინფორმირებას (ჰიპ-ჰოპის მასწავლებელმა თამარ ლონდარიძემ ახალგაზრდებთან ერთად გადაიღო ცეკვის ვიდეო და გამოქვეყნდა სოციალურ ქსელებში); 22 მარტს ჩატარდა ტრენინგი თემაზე "ციფრული ხელსაწყოები და ონლაინ უსაფრთხოება" (ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდება ონლაინ უსაფრთხოებასა და ციფრულ სივრცეში ინფორმირებულობის მნიშვნელობაზე); 24 მარტს ცენტრის გერმანელმა მოხალისემ ნიკოლას ბარტმა საგან - "ხელნაკეთი ნივთების" გაკვეთილის ფარგლებში ბენეფიციარებთან ერთად დაიწყო ეზოს ხის მაგიდის და სკამების გაკეთება; 4 აპრილს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში დაიწყო პროგრამირების კურსები (საგანი კვირაში ორჯერ ტარდება და მას მედეა კაპანაძე უძღვება); 18 აპრილს ცენტრში ჩატარდა ვიქტორინა თემაზე - "მსოფლიოს ქვეყნები" (შეხვედრა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობდა და მას ცენტრის გერმანელი მოხალისე სოფია ევერტი უძღვებოდა); 19 აპრილს ცენტრში წიგნის კლუბი გაიხსნა (ბენეფიციარებს შესაძლებლობა აქვთ კვირაში ერთხელ შეიკრიბონ, ცენტრის ინგლისურ და ქართულენოვან ბიბლიოთეკიდან აირჩიონ სასურველი წიგნები და ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები); 19 მაისს ცენტრს ჰოლანდიიდან ანიმატორების ჯგუფი ეწვია და ბავშვებს უამრავი გასართობი აქტივობა შესთავაზეს (შეხვედრას 60 ახალგაზრდა ესწრებოდა); 14 მაისს ცენტრში ჩატარდა გოგონების საღამო (შეხვედრას ცენტრის გერმანელი მოხალისე მირიამ გილბერტი უძღვებოდა და მას 13-18 წლის ასაკის 20 ახალგაზრდა ესწრებოდა); 4 ივნისს, ცენტრის ბენეფიციარების მონაწილეობით ცეკვისა და კლასიკური გიტარის კონცერტი მოეწყო; 17 ივნისს ჩატარდა "ზაფხულის ფესტივალი", რომელსაც ესწრებოდა 13-17 წლამდე ასაკის 24 ახალგაზრდა და მათ შესაძლებლობა ქონდათ მონაწილეობა მიეღოთ უამრავ გასართობ აქტივობაში; ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ახალგაზრდებისთვის ჩატარდა კალათბურთის, ფეხბურთის და ჭადრაკის ჩემპიონატები (ტურნირის მონაწილეებს სამახსოვრო მედლები და თასი გადაეცათ); 12 ივნისს ცენტრში სტუმრად იმყოფებოდნენ ფრანგული ორგანიზაცია "აკორდის" წარმომადგენლები, რომლებთან ერთადაც დაიგეგმა გაცვლითი პროგრამა (ვიზიტის ფარგლებში გაეცნენ ცენტრის სამუშაო პროცესს და შეხვდნენ ცენტრის ბენეფიციარებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ აღნიშნულ გაცვლით პროგრამაში); 17 ივნისს

ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა “ზაფხულის ფესტივალი”, ღონისძიებას 13-17 წლამდე ასაკის 24 ახალგაზრდა ესწრებოდა და მათ შესაძლებლობა ქონდათ მონაწილეობა მიეღოთ უამრავ გასართობ აქტივობაში; 7-19 ივლისს, ქალაქ რუსთავში, ფონიჭალის ახალგაზრდული ცენტრის თვრამეტმა ბენეფიციარმა ფრანგ ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამაში „Bridges of Friendship“, ხოლო 16 სექტემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში დაიწყო ახალი სასწავლო წელი, სადაც ახალგაზრდებს შესაძლებლობა აქვთ შეისწავლონ ინგლისური ენა, კლასიკური გიტარა, ხელნაკეთი ნივთების დამზადება, პროგრამირება, გრაფიკული დიზაინი და ჰიპ ჰოპი; 28 სექტემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჩატარდა ვორქშოპი სახელწოდებით „the importance of participation“, სადაც ახალგაზრდებმა ისაუბრეს მათ როლზე საზოგადოებაში, თავის უფლებებსა და მოვალეობებზე (შეხვედრას ცენტრის 15 ბენეფიციარი ესწრებოდა); 9 ოქტომბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრის მოხალისე მასწავლებელმა საფრანგეთიდან, ოლივიერ რუსომ, ცენტრის ბენეფიციარებთან ადამიანის უფლებების შესახებ სემინარი ჩაატარა; 15 ოქტომბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში მოეწყო დიმიტრი კოუზის ფილმის ჩვენება „Passage to Europe”; 16 დეკემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში ჭადრაკის და შაშის ტურნირი, ხოლო 17 დეკემბერს ბილიარდის და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი გაიმართა (საპრიზო ადგილზე გასულ მონაწილეებს მედლები გადაეცათ); 18 დეკემბერს ფონიჭალის ახალგაზრდულ ცენტრში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ახალგაზრდული ასოციაცია დრონის წარმომადგენლები. მათ ცენტრის ბენეფიციარებს მიაწოდეს ინფორმაცია ევროპული შესაძლებლობების შესახებ. ასევე, ახალგაზრდებს გააცნეს მცირე საგრანტო და სხვა შემოქმედებითი კონკურსები (შეხვედრას 46 ახალგაზრდა ესწრებოდა);

მეგობრობის სახლი - იანვრიდან განახლდა სახელმწიფო ენის შემსწავლელი უფასო კურსები, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის. წლის პირველ ნახევარში დარეგისტრირებული იყო ქართული ენის შესწავლის მსურველი 100 ბენეფიციარი, რომლებმაც ჯგუფის დაკომპლექტებისთანავე (ჯგუფში მაქსიმუმ 15 მოსწავლე) დაიწყეს სწავლა (A1, A2, B1) დონის მიხედვით. მიმდინარე პერიოდში ქართული ენის კურსები ჯამში 170 ბენეფიციარმა გაიარა. აღსანიშნავია, რომ პროექტი 2019 წლიდან ხორციელდება სსიპ ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო

ადმინისტრირების სკოლასთან ერთად და სახელმწიფო ენის შემსწავლელ უფასო კურსზე რეგისტრაცია ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში; 23 სექტემბრიდან თბილისის „მეგობრობის სახლში“ განახლდა სახელმწიფო ენის სწავლებისა და ინტეგრაციის პროგრამის კურსი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისათვის. ამჟამად ფუნქციონირებს B1 დონის ერთი ჯგუფი, რომლებსაც გაკვეთილები დაეწყოთ 12 დეკემბერს. ამავე პერიოდში დაკომპლექტდა კიდევ ორი ახალი ჯგუფი: A1 და B1 დონის, რომლებიც სწავლას დაიწყებენ მომავალი წლის 15 იანვრიდან.

მეგობრობის სახლი აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა ღონისძიების მომზადებაში, მათ შორის თვეში ერთხელ თბილისის საკრებულოში ტარდება შეხვედრები ეთნიკური უმცირესობების საბჭოს თავმჯდომარეებთან სხვადასხვა პრობლემურ საკითხებზე;

სპორტული ცენტრები და სერვისები ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ სპორტულ ობიექტებზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

სპორტული ცენტრში „იმედი“ ფუნქციონირებს ფეხბურთის მინი მოედანი (ყოველდღიურად ემსახურება 80-დან 110-მდე ბენეფიციარს) და საცურაო აუზი (ყოველდღიურად ემსახურება 90-დან 120-მდე ბენეფიციარს). საცურაო აუზის წყლის მოქმედ სტანდარტებთან და სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაში ყოფნის დადგენის მიზნით ყოველთვიურად ხორციელდებოდა აუზის წყლის ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლებისა და მორფოლოგიური შემადგენლობის კომპლექსური კვლევა გ. ნათაძის სახ. სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, ყოველთვიური კვლევის შედეგებით აუზის წყლის მდგომარეობა შესაბამისობაში იყო დადგენილ ნორმებთან, რომლის ამსახველი ინფორმაცია საჯაროვდება ცენტრში. ამასთან, განხორციელდა საქვაბეში მოცულობითი წყალგამცხელებელი ბოილერის გამორეცხვა და ქვაბის მართვის პულტის შეცვლის მომსახურება, წყლის ჟონვის დიაგნოსტიკური მომსახურება აკუსტიკური აპარატით (შემოწმდა ობიექტის შიდა წყალსადინარი მილები), წყალ-გაყვანილობის სისტემების დემონტაჟი - მონტაჟის სამუშაოები, სპორტული ინვენტარის შეძენა, მოედნის კარების შეკეთება, მოედნის გარე ჯებირების შეცვლა, კანალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები; მაისის თვეში მოხდა აუზის წყლის დაცლა, აუზის სპეციალური საშუალებებით დამუშავება და ავსება, ხოლო აგვისტოს თვეში დახურული იყო საცურაო აუზი, თუმცა ფუნქციონირებდა საფეხბურთო

მოედანი; საფეხბურთო მოედანზე ჩატარდა ტურნირები სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ დაწესებულების მიერ;

ჩოგბურთის ცენტრის ვაკის ფილიალში ფუნქციონირებს 3 სტანდარტული და 1 მინი კორტი (კედელი). კორტებზე ყოველდღიურად ტარდება როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური ვარჯიშები (ემსახურება 40-დან 60-მდე ბენეფიციარს). კორტის რეგულარული მოიჯარეა სამოყვარულო ჩოგბურთის კლუბი „მუხის ფოთოლი“ რომელიც ყოველკვირეულად ატარებს შეჯიბრებას კლუბის წევრებს შორის (15-16 ივნისს კლუბის ორგანიზებით გაიმართა „ფრიდმანის თასის “ტურნირი, ხოლო 5 ივნისს ვაკის ჩოგბურთის ცენტრში ჩატარდა ჩოგბურთის ტურნირი უნივერსიტეტებს შორის), მომხმარებლებისათვის კორტის დაჯავშნა ხდება წინასწარ, როგორც ადგილზე, ისე საიტების youthtbilisi.ge-ს და gamo.ge-ს მეშვეობით; ვაკის პარკის ჩოგბურთის ცენტრი, ივლისი-აგვისტოს თვეში ჩართული იყო თბილისის მერიის საზაფხულო პროგრამაში;

ჩოგბურთის ცენტრის ვერის ფილიალის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 3 ღია კორტი, რომელზეც ტარდებოდა როგორც ჯგუფური, ასევე ინდივიდუალური მეცადინეობები. ბენეფიციართა შერჩევა ხდება მათი ფიზიკური და სპორტული მონაცემების მიხედვით. არსებული კორტის დატვირთვის სიხშირის გათვალისწინებით ცენტრს საშუალება აქვს მიიღოს 150-200 ბენეფიციარი. ამასთან, 30 მარტს ვერის კორტებზე ჩატარდა მოყვარულ ქალთა შეჯიბრი, ხოლო 7 აგვისტოს სამოყვარულო ტურნირი მამაკაცთა შორის, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიმბოლური პრიზებით, მედლებითა და თასებით; ივნისის ბოლოს დამთავრდა ჯგუფური ვარჯიშები, ხოლო ივლისსა და აგვისტოში მხოლოდ ინდივიდუალური ვარჯიშები მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ სექტემბრის თვიდან აქტიურად მიმდინარეობს ბავშვთა ჯგუფების შევსება. ასევე, საკმაოდ მოთხოვნადია კორტის საათობრივი იჯარაც;

ცხრილი: მოსწავლეთა რაოდენობა სპორტული ცენტრების მიხედვით:

სპორტული ცენტრი - იმედი												
დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი

ცურვა	162	186	189	212	217	146	65	0	175	180	188	175
ფეხბურთი	120	106	109	124	133	43	0	0	108	106	113	110
ჩოგბურთის ცენტრები												
ვაკე	19	44	63	63	44	45	0	0	24	40	59	67
ვერა	20	21	29	33	26	21	0	0	27	58	40	40

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ცენტრების (4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩუღურეთისა და ფონიჭალის)) სერვისებისა და პროგრამების ფარგლებში ჯამურად 24900 ბენეფიციარზე გათვლილი ღონისძიებების ორგანიზება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - 4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩუღურეთისა და ფონიჭალის) ფუნქციონირების ხელშეწყობა (სერვისების ხელმისაწვდომობა), პროგრამებში მონაწილე 24900-მდე ახალგაზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - 4 სპორტული და 2 ახალგაზრდული ცენტრის (ჩუღურეთისა და ფონიჭალის) სერვისების და პროგრამებში ჩართული 23900 ბენეფიციარი.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამების განხორციელებაში მონაწილე 9500 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - მასობრივი სპორტული და კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძებების, ზამთრისა და საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამებში მონაწილე 9100 ახალგაზრდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 270 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 400 ბენეფიაციარი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 270 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული

ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 400 ბენეფიციარი.

მიღწეული მაჩვენებელი - მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული 256 ახალგაზრდის გადამზადება, თბილისში მოქმედი ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთა გადამზადების, ტრენინგებისა და საჯარო ლექციების ორგანიზებაში ჩართული 380 ბენეფიციარი.

4.საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს პროგრამის „მერიასთან ერთად" ფარგლებში, სოციალურ-შემეცნებითი ტურებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაში ჩართული 11000 ახალგაზრდა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის „მერიასთან ერთად" ფარგლებში ახალგაზრდების ტრანსპორტით მხარდაჭერა და ჩართული 10100 ახალგაზრდა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ახალგაზრდების ინვენტარითა და საკონფერენციო დარბაზით მხარდაჭერა ვერ მოხერხდა, ვინაიდან ცენტრს მსგავსი სივრცე აღარ გააჩნდა და ინვენტარიც საჭიროებდა განახლებას.

5.საბაზისო მაჩვენებელი - დაწყებულია ახალი ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge და eurodesk.ge და ევროპის ახალგაზრდული ბარათისთვის (youth card) ვებ და მობილური აპლიკაციის შექმნა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დასრულდება ვებ-გვერდების Youthtbilisi.ge და eurodesk.ge და ევროპის ახალგაზრდული ბარათისთვის (youth card) ვებ და მობილური აპლიკაციის შექმნა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა

08 09 შემოქმედებითი თბილისი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 748.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 672.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 89.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: რეწვისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება, ვიზუალური ხელოვნებისა და მედია ხელოვნების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა კონკურსი ორ ეტაპად (მარტი და სექტემბერი), რომელიც მოიცავდა ოთხ მიმართულებას და განსახილველად წარდგენილი იყო 105 განაცხადი (მათ შორის - საგამომცემლო მიმართულებით - 43 განცხადება, დიზაინისა და ხალხური რეწვის ხელშეწყობის მიმართულებით - 14 განცხადება, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით - 21 განცხადება, ხოლო მედიახელოვნების პროექტების ფარგლებში - 27 განცხადება). წარმოდგენილი განაცხადებიდან ოთხივე მიმართულებაზე კონკურსის წესით დაფინანსდა 57 განაცხადი (მათ შორის საგამომცემლო მიმართულებით - 25, დიზაინისა და ხალხური რეწვის ხელშეწყობის მიმართულებით - 11, ვიზუალური ხელოვნების მიმართულებით - 6, მედიახელოვნების პროექტების მიმართულებით - 15 განცხადება). მიმდინარე პერიოდისთვის სრულად დასრულებულია 54 პროექტი (შეიქმნა მნიშვნელოვანი საგამომცემლო პროექტების ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსია (მათ შორის სულხან ნასიძის ქართული ბალეტის - „ჩხიკვთა ქორწილის“ უნიკალური სანოტო ჩანაწერის გაციფრება); სხვადასხვა საგამოფენო სივრცეში გაიმართა თანამედროვე და ტრადიციული ხელნაკეთობების გამოფენები; დასრულდა ქართული ვიდეოთამაში „წიქარას“ შექმნის პროცესი; მოეწყო ციფრული გამოფენები, ჩატარდა მედიალაბის შექმნის საჭიროებების კვლევა და სხვა), ხოლო სამი პროექტი არ განხორციელდა. ასევე, გაიმართა შეხვედრა მედია ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა თბილისის მედია ხელოვნების სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის შემუშავების გეგმა და დაისახა მიზნები და ამოცანები სფეროს განვითარებისა და UNESCO-ს მედიაქალაქების ქსელის წევრი ქალაქის წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 59 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 20 უცხოელი ექსპერტისა და მონაწილის ჩართულობით.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება (საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების ნაწილობრივ/სრულად დაფინანსება).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 54 პროექტი, 300-მდე ქართველი ხელოვანის და 16 უცხოელი ექსპერტებისა და მონაწილეების ჩართულობით.

08 10 საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური; ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდი

2024 წლის გეგმა - 574.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 553.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია და სახელოვნებო სფეროს ხელშეწყობა, თანამედროვე ხელოვნების ინტეგრირება ქალაქსის ქსოვილში, ქალაქის იერსახის ცვლილება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, შეხვედრის ჩასატარებლად ფართის დაქირავების, ტრანსპორტის დაქირავების, გვერდის (tpa.fund) ჰოსტინგის მომსახურების, სტატიის თარგმნის, უკაბელო მიკროფონის კომპლექტის შეძენის, ბეჭდვითი მომსახურების, გახმოვანების აპარატურის იჯარის და სხვა) ხარჯები. გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: ზაარბრიუკენის მოედანზე პროექტის „ქსელის“ კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზის და პროექტის ფოტომომსახურების ხარჯები; გამოიცა რეცენზიები: საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში, სტატია-მიმოხილვა: „საუნდ არტი“ რუსთაველის მეტროს პროექტის შესახებ და საჯარო ხელოვნების შესახებ სტატია-მიმოხილვა; აფხაზეთის სკოლებისთვის შემოქმედებით-საგანმანათლებლო ვორქშოპების დაგეგმვა და ჩატარება; ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების მინიატურული ქანდაკებების შეძენა; ბილბორდები ქალაქში პროექტის „შემთხვევითი შეხვედრები“ შესახებ საინფორმაციო ვიდეოფილმის და ფოტოს გადაღების მომსახურება; კვლევითი მომსახურების შეძენა, რაც მოიცავს: მიწისქვეშა

ურბანისტიკის ძირითადი საკითხები თბილისის მეტროპოლიტენის მაგალითზე; „მე ვნახე ქალაქი“ პროექტის ფარგლებში ტექსტზე დაფუძნებული ლითონის ზედაპირის დამზადება/ინსტალაციის სამუშაოები; მხატვარ ვახტანგ ქოქიაშვილის ავტორობით დამზადებული ვიტრაჟის ფრაგმენტების აღდგენა (განახლება, რეკონსტრუქცია); საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში თბილისში 150-ე სკოლაში (მე-6-მე-8 კლასებში) სამი შეხვედრის - პროექტის „მეტრო რუსთაველის ინსტალაცია „ტყე, სიზმარი“ ფარგლებში საგანმანათლებლო ვორქშოპების მომზადება და ჩატარება; ვაკის მედიათეკაში, სტუდენტებისთვის, მზიურის პარკში მიმდინარე პროექტის „მეხსიერების ფრაგმენტები“ს შესახებ ლექციის ჩატარება; ვარკეთილის მესამე მიკრო რაიონში, სკვერის ტერიტორიაზე ხატვის ვოქრშოპის ჩატარება; დროებითი პროექტის „ქართული ორნამენტის“ ფარგლებში, მეტრო 300 არაგველის ვიტრაჟებზე განთავსებული ნამუშევრის დემონტაჟის მომსახურება; ვაკის მედიათეკაში ორი საჯარო მოხსენება/დისკუსია თემაზე - თბილისის მეტროპოლიტენი და ტრანსპორტი, ხოლო ვარკეთილის მედიათეკაში მოხსენება/დისკუსია თემებზე - ზურა ჯიშკარიანის ნამუშევრისა და ლიტერატურის შესახებ, ვიდეოგრაფია და ფოტოგრაფია; საჯარო სივრცეში მუდმივი და დროებითი პროექტების ხელშეწყობის ფარგლებში, კონკურსების შედეგად განხორციელებული გამარჯვებული პროექტების შესახებ საინფორმაციო ვიდეოფილმის გადაღება; საჯარო ხელოვნების შესახებ სტატია-მიმოხილვა: განხორციელებული პროექტის „შემთხვევითი შეხვედრების“ შესახებ, საჯარო სივრცის მუსიკალური პერსპექტივები, ზურა ჯიშკარიანის ნამუშევარი "მე ვნახე ქალაქი" პროექტის შესახებ.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს განხორციელდა 5 პროექტი (მათ შორის მეტრო რუსთაველის ესკალატორზე განხორციელებული ხმოვანი პროექტი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 4 პროექტი, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა: 5 ვორქშოპი, 8 საჯარო მოხსენება/დისკუსია, 4 ლექცია/სემინარი.

08 11 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები რაიონებში დაფინანსებულია 1,947.6 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2,084.9 ათასი ლარის 93.4%-ი) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

08 11 01 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: გლდანის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 164.7 ათასი ლარით, რაც გეგმის 82.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საჯარო და კერძო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებისთვის ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“ (გამარჯვებული გუნდები წევრები დაჯილდოვდნენ წიგნებით), რაიონში მდებარე საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის, სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარდა ლიტერატურული კონკურსი „ლექსი თვითონ მწერს“, მოეწყო სპორტულ - ინტელექტუალური თამაში თემაზე - „გააცოცხლე საქართველოს ისტორია“, სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერში ჩატარდა კულტურული ღონისძიება (კონცერტი) და საბავშვო-გასართობი ღონისძიება, ჩატარდა სპორტული ღონისძიებები „რაგბის ფესტივალი - 2024“, „გლდანის თასი ქუჩის კალათბურთში - 2024“, „გლდანის თასი მინი ფეხბურთში - 2024“, გაიმართა რაიონის ტერიტორიაზე მდებარე საჯარო სკოლების ოქროსმედალოსანი ახალგაზრდებისთვის კულტურული ღონისძება და წინასაახალწლოდ მოეწყო კულტურულ-გასართობი ღონისძიება სარეაბილიტაციო ცენტრებსა და სკოლებში მყოფი შშმ პირებისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 8 სხვადასხვა ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 11 სხვადასხვა სახის ღონისძიების ჩატარება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

08 11 02 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ნაძალადევის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 197.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.5%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა „გაზაფხულის დღესასწაულები 2024"; ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები (100 ქალბატონისთვის შეძენილია სასაჩუქრე ბარათები); მინი ფეხბურთის/ფრენბურთის ჩემპიონატების და კულტურულ - გასართობი ღონისძიების ორგანიზება; ფეხბურთის მატჩის გაშუქების მიზნით, გაიწია ეკრანისა და თანამდევი აპარატურის ქირის ხარჯები; ბავშვთა გასართობი ღონისძიების ორგანიზება (სკვერის გახსნასთან დაკავშირებული); რაიონის გამგეობის მიერ კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზება; რაგბის/ფეხბურთის კლუბების 18-წლამდე ასაკის მოზარდებისთვის ფორმის შეძენა; საახალწლო ღონისძიების ორგანიზება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 12 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 16 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 11 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 8 სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 10 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული).

08 11 03 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დიდუბის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 335.5 ათასი ლარი, დაფინანსდა 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება, "გაზაფხულის დღესასწაულები - 2024 წ", ხელოვან მასწავლებელთა საღამო, "მე ვამაყობ შენით" - ღონისძიება, ახალი სასწავლო წლის დაწყების და დიდუბის სკოლების 2023-2024 წლის მედალოსნებისადმი მიძღვნილი სადღესასწაულო ღონისძიება, ფრენბურთი დიდუბე - 2024, ჩოგბურთი დიდუბე 2024, სპორტი ყველა ეზოში, ,,მინი ფეხბურთი", ,,ქუჩის კალათბურთი დიდუბე 2024" ღონისძიებები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 8-10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 12 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 6 სპორტული და 6 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის მიზნით იგეგმება 5 ღონისძიების ჩატარება (მათ შორის 4 სპორტული და ერთი კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 9 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 4 კულტურული).

08 11 04 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ჩუღურეთის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 150.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 139.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 93%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიებები. მათ შორის: რაიონში მცხოვრები ქალბატონებისათვის - „გაზაფხულის დღესასწაული - 2024“, „რაიონის საჯარო სკოლების 2023-2024 სასწავლო წლის მედალოსნები“ და ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო ტრენინგ-კურსი, მინი ფეხბურთის 5 დღიანი ტურნირი „ჩუღურეთის თასი-2024“ და ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებით კულტურულ-გასართობი ღონისძიება (ღონისძიებებში მონაწილეობდა 884 სტუმარი).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარდა 2 სპორტული და 4 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 3 სპორტული და 5 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 1 სპორტული და 4 კულტურულ-გასართობი ღონისძიება.

08 11 05 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ვაკის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 100.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 98.4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.4%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა დედის დღესთან დაკავშირებით, მრავალშვილიანი დედებისთვის და დამსახურებული პენსიონერი ქალბატონებისთვის კულტურული ღონისძიების, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საბავშვო ღონისძიების მოწყობის

ორგანიზებისა და სპორტული ღონისძიების გაშუქების მიზნით მონიტორის მონტაჟის ხარჯები. ასევე გამგეობის მიერ გაწეულია წყნეთობის ღონისძიების და მინი-ფეხბურთში ტურნირის „ვაკის თასი-2024“ ჩატარების ორგანიზების ხარჯები, ღია საჩოგბურთო, ფრენბურთის ტურნირების ჩატარების ორგანიზების ხარჯები და ბავშვებისათვის თეატრისა და ცირკის ბილეთების შეძენის ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 13 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 5 სპორტული, 3 კულტურული და 3 ახალგაზრდული ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 6 სპორტული, 3 კულტურული და 4 ახალგაზრდული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 6 სპორტული, 3 კულტურული და 4 ახალგაზრდული ღონისძიება.

08 11 06 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: საბურთალოს რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 197.6 ათასი ლარით, რაც გეგმის - 98.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სპორტული ღონისძიებების (მინი ფეხბურთი და კალათბურთი), „ბოლო ზარის“, დიდგორობის დღესასწაულთან, დედისა (3 მარტი) და 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები. დაფინანსებულია აგრეთვე „საქართველო ევროპაზე“, „პოეზია საბურთალოზე“, „სტუდენტები ქალაქისთვის“, „ლიტერატურული კონკურსი“, თბილისობის და საახალწლო ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წელს ჩატარდა 7 სპორტული და 7 კულტურული ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 15 სხვადასხვა სახის ღონისძიება (მათ შორის 6 სპორტული, 11 კულტურული ღონისძიება).

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 3 სპორტული და 10 კულტურული ღონისძიება.

08 11 07 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ისნის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 200.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 199.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.97%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია რაიონში მცხოვრები 2022-2023 სასწავლო წლის წარჩინებული 142 მოსწავლის წიგნებით დაჯილდოების ხარჯები, სოციალურად შეჭირვებული და სოციალურად დაუცველი ბავშვთა გუნდისათვის გადასაცემი სპორტული საქონლის შეძენის ხარჯები, სპორტული ღონისძიების - ახალგაზრდებისათვის კიკბოქსინგის ერთდღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები, რაიონის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო სკოლების გოგონათა და ვაჟთა გუნდებს შორის ფრენბურთის ოთხდღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები, უსინათლო ბავშვთა N202 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის საბავშვო კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, 1 ივნისს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მიძღვნილი კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, რაიონის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ღონისძიების „ისნის რაიონის სასკოლო საზოგადოების რჩეული მასწავლებელი 2024 წელს“ ნომინანტებისათვის გადასაცემად განკუთვნილი 5 სასაჩუქრე ბარათის შესყიდვისა და სპორტული ღონისძიების მინი-ფეხბურთის ტურნირის „ისნის თასი 2024“-ის, რაიონის ტერიტორიაზე საგანმანათლებლო ღონისძიების ესეების კონკურსის „რამ შემქმნა

ადამიანად“ დაჯილდოების, საჯარო სკოლოს მოსწავლეებისათვის კულტურულ-შემეცნებითი პროექტის „ჩემი საქართველო“ ფარგლებში თამაში „განძის მაძიებლები“ და პროექტის ფარგლებში კინოჩვენება-დისკუსიის „ნახე, შეინახე, გადაეცი“ აღსანიშნავი ღონისძიებების, საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის შემეცნებითი-საგანმანათლებლო „ინტელექტუალური თამაშის“აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები. ამასთან დაფინანსებულია ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით საბავშვო-კულტურულ-გასართობი ღონისძიების ორგანიზების ხარჯები, N202 საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის გადასაცემი 42 კომპლექტი სპორტული საქონლისა და ძიუდოს ტურნირში მონაწილე ბავშვებისათვის გადასაცემი 22 კომპლექტი სპორტული საქონლის (კიმანო) შეძენის ხარჯები, საახალწლო კულტურულ-გასართობი ღონისძიების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწიურად იმართება საშუალოდ 10-15-მდე სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 12 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 17 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის: 5 სპორტული, 12 კულტურულ /საგანმანათლებლო ღონისძიება).

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 16 კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

08 11 08 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: სამგორის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 300.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 216.1 ათასი ლარით, რაც გეგმის 72%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა დედის და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებები;

საგანმანათლებლო კვირეულის (გაზაფხულის ნაკადი) ორგანიზება და შემენილია ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეების დაჯილდოვების ღონისძიებისათვის წიგნები (ვეფხისტყაოსანი), რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ და მოღვაწე 13 პედაგოგს ეროვნული ჯილდოს მინიჭებასთან დაკავშირებით გადაეცათ 500 ლარიანი სასაჩუქრე ბარათები; ერთ სივრცეში მოწვეული ბენდების მონაწილეობით ჩატარდა კონცერტები, მასწავლებლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება, შიდა ქართლისა და სამცხე ჯავახეთის ტერიტორიაზე კერძოდ, სურამსა და ბაკურიანში განხორციელდა გასვლითი პროექტი „საგანმანათლებლო კვირეული"; რაიონის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში ღია ცის ქვეშ, ადგილობრივი მუსიკალური და თეატრალური ჯგუფების მონაწილეობით ღონისძიება. სპორტული ღონისძიებები: ტაიკვანდო, ძიუდო, ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა; ლილოს დასახლებაში 107-ე სკოლის მიმდებარედ არსებულ სკვერში ფეხბურთის სანახავად დამონტაჟდა ლედ ეკრანი, ბოქსისა და ფეხბურთის ტურნირის ორგანიზება და სხვა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება საშუალოდ 20-მდე სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო - სპორტული აქტივობა (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 12 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 5 სპორტული და 7 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 12 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 7 სპორტული და 5 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 17 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 6 სპორტული და 11 კულტურული).

08 11 09 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კრწანისის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 250.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 249.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია დედის დღის (3 მარტი) და ქალთა საერთაშორისო დღისადმი (8 მარტი) მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები, სკოლის მედალოსნების დაჯილდოების (წიგნების გადაცემა) ღონისძიების ხარჯები. ასევე დაფინანსებულია საავტორო უფლებების დღესთან დაკავშირებული ღონისძიება; ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებული ღონისძიება; ეროვნულო პრემიაზე წარდგენილი მასწავლებლებისთვის სასაჩუქრე ვაუჩერების გადაცემის ღონისძიება; მსოფლიო დღესთან დაკავშირებული ფესტივალი ,,ჩემი უბანი"; ლიტერატურული კონკურსი; „კრწანისობა-2024"; ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ ტრენინგის ორგანიზება; მოზარდებისათვის ფილმის ჩვენება და განხილვა ფსიქოლოგიის ჩართულობით; გრიშაშვილობა 2024 ღონისძიების ორგანიზება; საგანამანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელობის დაჯილდოება გამგეობასთან აქტიური ჩართულობის გამო;წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოება; ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატთან დაკავშირებული გასართობი ღონისძიება; ,,მხიარული სტარტები" ტურნირის ღონისძიება; ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში ტურნირის ღონისძიება; ნარდის ტურნირის ორგანიზება; კალათბურთის, კიკ-ბოქსინგის და მინი ფეხბურთში „ილია პაჭკორიას სახელობის კრწანისის რაიონული თასი-2024"-ის 7 დღიანი ტურნირის ორგანიზების ხარჯები.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 9-10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 4 სპორტული და 6 კულტურული ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - ჩატარდება 6 სპორტული და 12 კულტურული ღონისძიება.

მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 7 სპორტული და 13 კულტურული ღონისძიება

08 11 10 კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში

განმახორციელებელი ორგანიზაცია: მთაწმინდის რაიონის გამგეობა

2024 წლის გეგმა - 149.4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100%-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: კულტურული და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 4 სპორტული (ფეხბურთის, ფრენბურთის, ქუჩის კალათბურთის, ქართული ჭიდაობის ტურნირები, სპორტულ-გასართობი ღონისძიება „ჯომარდობა“ და სპორტულ-ინტელექტუალური თამაში სახელწოდებით „მეკობრეები“) და 4 კულტურული ღონისძიება (მათ შორის ღონისძიება დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით და კულტურულ-გასართობი ღონისძიება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით).

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად ტარდება დაახლოებით 10 სპორტული და კულტურული ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - ჩატარდა 7 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 4 სპორტული და 3 კულტურული)).

დაგეგმილი მაჩვენებელი - კულტურული, სპორტული და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მოსახლეობის ჩართულობის და უკეთესი განწყობის შექმნის მიზნით იგეგმება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიებების ჩატარება (მათ შორის 5 სპორტული და 5 კულტურული).

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 8 სხვადასხვა ღონისძიება (მათ შორის 4 სპორტული და 4 კულტურული).

08 12 თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის გიორგი ალექსიძის სახელობის კამერული დასი - თბილისის თანამედროვე ბალეტი“

2024 წლის გეგმა - 560.1 ათასი ლარი, დაფინანსდა - 553.0 ათასი ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: თანამედროვე ბალეტით დაინტერესება და მისი პოპულარიზაცია; საერთაშორისო კავშირების დამყარება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გაწეულია საბალეტო დასის ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, მივლინების, სადადგმო, შენობის იჯარის და სხვა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან - 44.5 ათასი ლარი). გარდა ამისა, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: იანვარსა და თებერვალში ჩატარდა მარიამ ალექსიძის საავტორო თანამედროვე ბალეტის - „მედეა“ სადადგმო რეპეტიციები (მსოფლიო პრემიერა იგეგმება მიმდინარე წელს); დასის დირექტორის თსუ-ს ასოცირებული პროფესორის დავით მაზიაშვილის იდეითა და ხელმძღვანელობით პროექტის „მედეა“ ფარგლებში შემეცნებითი შეხვედრები და ლექციები ჩატარდა, ხოლო სალექციო ციკლის ფარგლებში - „საუბრები „მედეას“ თემაზე“ დასისთვის სპეციალურად ლექციები წაიკითხეს აკადემიკოსმა რისმაგ გორდეზიანმა, ფილოსოფოსმა ზაზა შათირიშვილმა და თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის პროფესორმა ლევან გიგინეიშვილმა;

ფილმი-ბალეტი - „ლუჩიას ოთახი“ დასის წამყვანი სოლისტის მარიამ დარჩიას მონაწილეობით, ჯეიმზ ჯოისის შემოქმედებით შთაგონებულ და დუბლინის Bloomsday კინოფესტივალზე სხვადასხვა დროს წარმოდგენილ ათ საუკეთესო ფილმს შორის იქნა შერჩეული და ჯეიმზ ჯოისის ცენტრის მუდმივმოქმედი ფილმების გამოფენაზე იქნება წარმოდგენილი; პროფესორი დავით მაზიაშვილი ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკის აზიისა და ახლო აღმოსავლეთის კოლექციის ხელმძღვანელს ჯილიან ევისონს შეხვდა და მულტიმედიური ალბომი „ბეატრიჩე“ ბოდლის ბიბლიოთეკას გადასცა, ხოლო

ბელფასტში მულტიმედიური ალბომი „ბეატრიჩე“ ბელფასტის ქვინსის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას და ლონდონში ბრიტანეთის ბიბლიოთეკას გადასცა;

ბალეტის დასი გასტროლზე იმყოფებოდა ესტონეთის დედაქალაქ ტალინში, სადაც Sakala 3 Theatre House - ში ნაჩვენები იყო მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზე „დოვინ-დოვენ-დოვლი...“. ასევე, მარიამ ალექსიძე მიწვეული იყო ესტონეთის საზოგადოებრივ რადიო 4-ში, ტალინის მუსიკისა და ბალეტის კოლეჯში (MUBA), სადაც ჩატარდა მარიამ ალექსიძის შემოქმედებითი ვორკშოპი; დასმა მონაწილეობა მიიღო იტალიის ეროვნული დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, სადაც წარმოდგენილი იყო ფრაგმენტი თანამედროვე ბალეტიდან „ბეატრიჩე“;

რუსთაველის ეროვნული თეატრის სცენაზე გაიმართა თანამედროვე ბალეტის „ბეატრიჩე“ წარმოდგენა და საქართველოს დამსახურებული არტისტისა და ღვაწლმოსილი მოცეკვავისა და პედაგოგის მარინა ალექსიძის 75 წლის იუბილე, ხოლო სამეფო უბნის თეატრში გიორგი ალექსიძის სახელობის „თბილისის თანამედროვე ბალეტმა“ და FINE5 ცეკვის თეატრმა (ესტონეთი) წარმოადგინეს ორი ერთმანეთისგან განსხვავებული დადგმა, მარიამ ალექსიძის სოლო ქორეოგრაფიული კომპოზიცია - „ადას ოთახი“ დასის წამყვანი სოლისტის მარიამ დარჩიას შესრულებით და „სკამი, რომელიც დაჯდომას ელის“ - Fine5 ცეკვის თეატრის შემქმნელებისა და სამხატვრო ხელმძღვანელების ტიინა ოლესკისა და რენე ნომიკის მიერ დადგმული საცეკვაო წარმოდგენა; სილქ ფაქტორი სტუდიოს კინოპავილიონში, ხოლო ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში წარმოდგენილი იქნა მარიამ ალექსიძის თანამედროვე ბალეტი „მედეა“; ანკარას მე-7 საერთაშორისო ფესტივალზე (7 th SOLO Contemporary Dance Festival) წარმოდგენილი იყო მარიამ ალექსიძის სოლო ქორეოგრაფიული კომპოზიცია - „ადას ოთახი“; ივლისის თვეში დასის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა (12 სტუდენტი) დაასრულეს თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსი (პირველი, მეორე და მესამე საფეხური) და მიიღეს სერტიფიკატები (კლასებს უძღვებოდა დასის საგანმანათლებლო პროგრამების პედაგოგი უილიამ პრატი დაუკრაინელი მოცეკვავე ოლგა ვიდიშევა), ხოლო

სექტემბერში განახლდა თანამედროვე ცეკვის ტექნიკის შემსწავლელი კურსი; დასმა მონაწილეობა მიიღო გორის თეატრალური ფესტივალში „როტონდა“, სადაც გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დიდ სცენაზე დასმა წარმოადგინა თანამედროვე ბალეტი „მეტამორფოზები“, ხოლო 14-დან 21 ოქტომბრამდე დასის ხელმძღვანელი მარიამ ალექსიძე და დასის დირექტორი, პროფესორი დავით მაზიაშვილი სპეციალური მიწვევით, საერთაშორისო ექსპერტების რანგში დაესწრნენ ესპანეთში, კანარის კუნძულების საერთაშორისო თანამედროვე ცეკვის რიგით XXIX პრესტიჟულ ფესტივალს MASDANZA, რომელიც გაიმართა კუნძულ გრან-კანარიაში, ქალაქ ლას-პალმასში. სულ მიმდინარე პერიოდში ჩატარდა 28 ღონისძიება, ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 13000 და განხორციელდა 2 გასტროლი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - საშუალოდ წლის განმავლობაში 30-მდე ღონისძიება (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 28 ღონისძიება).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 28 ღონისძიება.

2.საბაზისო მაჩვენებელი - 7000-მდე ვიზიტორი საშუალოდ წლის განმავლობაში

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 13000 ვიზიტორი.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - რეგიონში გამართულმა სპექტაკლებმა, ანაკრაში გამართულმა ცეკვის საერთაშორის ფესტივალზე დასის მონაწილეობამ და ჩატარებულმა ვორქშოპებმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ამან განაპირობა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდა.

3.საბაზისო მაჩვენებელი - 3-მდე გასტროლი საშუალოდ წლის განმავლობაში

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - წლის განმავლობაში განხორციელდა 2 გასტროლი

08 13 ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 172.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 145.9 ათასი ლარით, რაც გეგმის 84.8%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: ინკლუზიური განათლების მიმართულებით შემეცნებითი და შემოქმედებით პროექტების ხელშეწყობა, სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩართვა და ადაპტაცია სოციალურ გარემოში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება თანაბარი შესაძლებლობებისა და თანაბარუფლებიანობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა პროექტები: "კულინარიული თერაპია შშმ ბავშვებისთვის", "გაზაფხულის ფერები", "მომავლის არტისტები", "ანბანი თითებით", "არიფანა", "ხელოვნება გვამეგობრებს", "თეატრი სკოლებში", "შშმ პირთა ხელნაკეთი სუვენირების სახელოსნო", "პარაორკესტრი 10 წლისაა", "ზღაპრის ბოლო კეთილია" და "არტ თერაპია აუტიზმის მქონე მოზარდებისთვის", "ორი ბატონის მსახური", "გამოყენებითი ხელოვნება-გზა შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის", "არტი", "შემოდგომის ფერები" და ინკლუზიური სპექტაკლი "ეთერშია პელიოსი". ასევე, ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან გაწეულია 22.0 ათასი ლარი, ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის, განათლებისა და სპორტის ცენტრისათვის“ ჟურნალის „სინათლე“ ბრაილის შრიფტით გამოცემის უზრუნველსაყოფად.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად საშუალოდ ფინანსდება 15-მდე ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშემყობი პროექტი, მონაწილეების საშუალო რაოდენობა 350-მდე შშმ პირი (2023 წლის ფაქტი - განხორციელდა 14 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა 16 პროექტი, აქტივობებში ჩაერთო 300-მდე შშმ პირი

❖ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

ათასი ლარი



ათასი ლარი





09 01 თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: უსაფრთხოების საქალაქო სამსახური

2024 წლის გეგმა - 1,817.1 ათასი ლარი, დაფინანსდა 1,802.8 ათასი ლარით (მათ შორის კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 1,662.1 ათასი ლარი), რაც გეგმის 99.2%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: დაცული მუნიციპალური ობიექტები, მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვისა და ვანდალიზმის პრევენციის გაძლიერების მიზნით, უსაფრთხოების, ვიდეო სამეთვალყურეო და აუდიო სისტემების დანერგვა, ქსელში ჩართული კამერები. სხვადასხვა ღონისძიებებსა და საგანგებო სიტუაციების დროს დაცვის თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში თბილისის მერიის მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებისა და საგანგებო სიტუაციის დროს, უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3435 ულუფა საკვები. ასევე, განხორციელდა სერვერული ინფრასტრუქტურის მოწყობილობების Lenovo D3284 (S/N: J346KG5) და Lenovo SR630 (S/N: S4AHM302) სამწლიანი მხარდაჭერისა და საგარანტიო სერვისის მომსახურების შეძენა; მზიურის პარკში დამონტაჟდა ერთი ელექტრონული ბარიერი (შლაგბაუმი), უსაფრთხოების სამსახურის ოფისში - უწყვეტი კვების წყარო (UPS) (თანმდევი მომსახურებით: მონტაჟი და ექსპლუატაციაში გაშვება), მონიტორინგის

ცენტრში - 16 მონიტორი, 3 ცალი ნესტის ამომშრობი, ხოლო თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტერიტორიების/ობიექტების, ბაღების, პარკების, სკვერების (გლდანის მე-3 მკრ. ცაგარელის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერი (32 ცალი), ვ. გოძიაშვილის ქ#28 (საწყობი) - 14 ცალი, ორთაჭალა, თაბორის მთის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერი (14 ცალი), ბორის პაიჭაძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე სკვერი (43 ცალი), საცხენისის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი (16 ცალი), ვიქტორ კუპრაძის ქუჩაზე არსებული სკვერი (40 ცალი), მზიურის პარკი (24 ცალი), შოთა რუსთაველის გამზირი №52-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (9 ცალი), ,,ტექსელის" სახელობის სკვერი (59 ცალი), ირაკლი ციციშვილის სახელობის სკვერი (55 ცალი), ვაკის პარკი (21 ცალი), დავით კვაჭანტირაძის ქუჩაზე არსებული სკვერი (38 ცალი), იოსებ ნონეშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი (19 ცალი), ნუცუბიძის მე-4 მ/რ №24 კორპ. მიმდებარედ არსებული სკვერი (12 ცალი), „სამგორის პარკი" (45 ცალი), თენგიზ სტურუას ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერი (31 ცალი), აკაკი წერეთლის გამზირი № 78-ის მიმდებარედ არსებული სკვერი (11 ცალი) და ლვოვის ქ.N56 (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: N01.10.12.033.008) (უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის ოფისი) (7 ცალი) სულ ჯამში დამონტაჟდა - 490 ერთეული ვიდეო - სამეთვალყურეო კამერა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალური ქონების დაცვის მიზნით, 2023 წელს დასაცავი ობიექტების რაოდენობა არის 100.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სხვადასხვა ღონისძიებებსა და საგანგებო სიტუაციების დროს დაცვის თანამშრომელთა კვების უზრუნველსაყოფად შეძენილია წლის განმავლობაში საშუალოდ 4000 ულუფა საკვები.

დაგეგმილი მაჩვენებელი - წლის განმავლობაში საშუალოდ 4000 ულუფა საკვები.

მიღწეული მაჩვენებელი - დაცვის თანამშრომელთა 24 საათიანი მორიგეობისთვის შეძენილია 3435 ულუფა საკვები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - განსხვავება გამოწვეულ იქნა ღონისძიებების ცვლილებით.

3.საბაზისო მაჩვენებელი - მუნიციპალური ქონების უკეთ დაცვის და ვანდალიზმის თავიდან აცილების მიზნით, ქსელში სულ ჩართულია 1469 კამერა.

დაგეგმილი მაჩვენებელი - დამატებით ჩართული იქნება 490 ცალი კამერა.

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

09 02 ცხოველთა მონიტორინგი საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 8,479.9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 7,500.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 88.4%-ი და 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 1,454.2 ათასი ლარით მეტია. გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 68.1%, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის – 20.3%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის შეძენილ იქნა ცხოველების განსათავსებელი ყუთები (გალიები), სამხრე ვიდეოკამერები, რაციები, პნევმატური მოწყობილობები-თოფები და ლაზერული სამიზნეები, ალკომეტრები, კომპიუტერული ტექნიკა, ოპერატიული

ეკიპაჟებისათვის 10 ერთეული ოპერატიული ავტომობილი, ოთხი ავტომანქანა (მათ შორის სატვირთო მიკროავტობუსი), კომპიუტერული ტექნიკა, სარეცხი მანქანა, წყლის გამაცხელებელი ქვაბი, დასრულდა თავშესაფრის ტერიტორიაზე ღობის, ვოლიერების, საოპერაციოს, საწყობის და მოსასვენებელი სივრცის მშენებლობის სამუშაოები, ჩატარდა მთლიანი ტერიტორიის მიწის ყრილებისა და ბეტონის ნარჩენების გატანის და შემდეგ მისი კეთილმოწყობის სამუშაოები, თავშესაფრის ტერიტორიაზე ახალი აშენებული შენობებისათვის გაზმომარაგების ქსელის მონტაჟი, ადმინისტრაციული ჯარიმების გამოწერის პროგრამის protocols შეძენა) ხარჯები (საკუთარი სახსრებიდან გადარიცხულია - 73.2 ათასი ლარი), ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე სააგენტოში შემოვიდა 69685 შეტყობინება (მათ შორის 65283 სატელეფონო და 4402 წერილობითი), თბილისის მასშტაბით რეაგირება ადგილზე (მისამართზე) შესრულდა 15492 შემთხვევაში, დაჭერილი და თავშესაფრის ტერიტორიაზე გადაყვანილ იქნა 10642 ცხოველი (მათ შორის 188 ქვეწარმავალი), ხოლო მოქალაქეთა მიერ შეყვანილია - 3040 ცხოველი;

მუნიციპალური თავშესაფრიდან გაჩუქდა 488 ცხოველი, მიეკედლა 1507 ცხოველი, პატრონს დაუბრუნდა 138 და ბუნებრივ არეალში გაშვებულ იქნა 8718 ცხოველი; სხვადასხვა თავშესაფარში გადაყვანილ იქნა 848 ცხოველი; მიმდინარე პერიოდში ცხოველებს ჩაუტარდა 9033 ოპერაცია (მათ შორის 5377 სტერილიზაცია), 3242 კასტრაცია და 414 სხვა სახის ოპერაცია, ლეტალური შედეგი დაუფიქსირდა - 1976 ცხოველს (მათ შორის ევთანაზია ჩაუტარდა 217 ცხოველს), სააგენტოს ეკიპაჟებმა 341 სამაშველო ოპერაციის შედეგად 400-მდე ცხოველი გადაარჩინეს;

ცოფის ვირუსის პრევენციის მიზნით, სააგენტო პერიოდულად ახორციელებდა ცხოველთა მასობრივ აცრას, მოქალაქეთა მომართვის საფუძველზე ხდება იმ ზონების იდენტიფიცირება, სადაც შეინიშნება მომატებული რაოდენობის გარეული ცხოველები და სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით ანტირაბიული ვაქცინაციის გზით ე.წ. ბუფერული ზონების შექმნა, შესაბამისად, განხორციელდა 12235 ანტირაბიული ვაქცინა; თბილისის სხვადასხვა რაიონში მიუსაფარი ძაღლებისათვის განთავსდა 42 ხის სახლი;

ფასიანი მომსახურების ფარგლებში განხორციელდა ცხოველის 742 იდენტიფიკაცია, 678 - ტრანსპორტირება, 134 - დაჭერა-გაყვანა, 115 - ოპერაცია, 158

ვაქცინაცია; გაწეული მომსახურებიდან მიღებულმა საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 49.8 ათასი ლარი; ოპერატიული სამორიგეო ეკიპაჟებისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ 393 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე განხორციელდა სათანადო საჯარიმო სანქცია, რომელთა საერთო რაოდენობამ შეადგინა 6214 ლარი;

ზაფხულის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ რეპელენტით დამუშავებული იქნა თბილისში მდებარე 119 ობიექტი, დამუშავებულმა ფართობმა შეადგინა 388 129 კვ.მ.

საზოგადოების მხრიდან სააგენტოსადმი პოზიტიური დამოკიდებულების გაზრდის მიზნით, სააგენტო პერმანენტულ რეჟიმში მართავდა საინფორმაციო შეხვედრებს მოსახლეობასთან. აღნიშნულმა ღონისძიებამ ხელი შეუწყო ადგილზე პრობლების შესწავლასა და მათ მოგვარებას. სააგენტოს თანამშრომლებმა თბილისის სხვადასხვა რაიონის სკოლებში ჩაატარა საინფორმაციო-შემეცნებითი გაკვეთილები შინაური ცხოველების შესახებ, ხოლო 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ცხოველთა მუნიციპალურ თავშესაფარში ჩატარდა შემეცნებითი შეხვედრა ბავშვებთან;

გარდა ამისა, სააგენტომ დაიწყო ახალი პროექტების განხორციელება: კლინიკა „ვეტ-ჰაუსთან“ და საერთაშორისო ორგანიზაცია „მეიჰიუ-საქართველოსთან“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, აღნიშნული კლინიკები პერიოდულად უფასოდ ასტერილებენ მიუსაფარ ცხოველებს; მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე აშენდა პოპულაციის მართვის ცენტრი; მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, სააგენტოს ცხელი ხაზი სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის ცხელ ხაზს (112) შეუერთდა, ხოლო გამოძახებებზე მყისიერი რეაგირების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, განახლდა ოპერატიული რეაგირების ეკიპაჟების მანქანები და ოპერატიული რეაგირების ყველა ეკიპაჟი აღიჭურვა შპრიცსასროლი იარაღით; სააგენტომ შეიძინა და აღჭურვა მობილური ვეტ-კლინიკა, რომელიც გადაადგილდება დედაქალაქის მასშტაბით და მიუსაფარ ცხოველებს მათსავე ბინადრობის არეალში ასტერილებს, ხოლო იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ცხოველების მეპატრონეებს იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროცესის ჩატარება დედაქალაქის მასშტაბით 9

მისამართზე შესთავაზა, აღნიშნული აქციით ასზე მეტმა მეპატრონემ ისარგებლა; NAITS პროექტის (FAO) და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარეობს შინაური ბინადარი ცხოველების რეგისტრაციის მონაცემთა ერთიანი ბაზის შემუშავება; ვეტერინარიის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით შედგა სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ვეტერინარებისა და საერთაშორის ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეხვედრა; 28 სექტემბერს, ცოფთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, თბილისის მასშტაბით განხორციელდა ანტირაბიული ვაქცინაციის პროექტი პატრონიანი და მიუსაფარი ცხოველებისათვის; სააგენტოს თანამშრომლებმა წარმატებით გაიარეს ტრენინგი თემაზე: „გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და NAITS პროექტის მიერ განხორციელებული ტრენინგი“; „კინოლოგია და ცხოველის ქცევა“; „ძაღლების ქცევა და სხეულის ენა“; „ძაღლების დაჭერა“; „სერვის +“; „პირველადი სამედიცინო დახმარება და სახანძრო უსაფრთხოება“; „დროისა და პრიორიტეტების მართვა“, „ემოციური ინტელექტი“. გარდა ამისა, სააგენტომ, ცხოველების კეთილდღეობის ამაღლებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, სხვადასხვა ღონისძიება განახორციელა.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს გამართული ფუნქციონირებისთვის ოპერატიული ეკიპაჟებისათვის საჭიროა ავტომანქანების შეძენა და არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზის განახლება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - ოპერატიული ეკიპაჟებისათვის ავტომანქანების შეძენა, განახლდება არსებული მატერიალურ/ტექნიკური ბაზა (მათ შორის სხვადასხვა სახის ტექნიკა/ინვენტარის შეძენა).

მიღწეული მაჩვენებელი - დაგეგმილი მაჩვენებელი შესრულდა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს ინფრასტრუქტურა შედგება სხვადასხვა შენობებისგან (ადმინისტრაციული შენობა, საკარანტინო შენობა, ბოსელი, საკატე, ცხოველთა გამოსასეირნებელი), რომელიც პერიოდულად საჭიროებს სარემონტო სამუშაოების განხორციელებას (მათ შორის 2023 წელს დაიწყო თავშესაფრის ტერიტორიაზე სამი 10 ვოლიერიანი, საწყობის და საოპერაციო ბლოკის შენობებისა

და მთლიანი ტერიტორიის კაპიტალური ღობის მშენებლობა. გაიწმინდა საკანალიზაციო სისტემა).

დაგეგმილი მაჩვენებელი - მიმდინარე მშენებლობების (მათ შორის ახალი ვოლიერების, საოპერაციოს, სასაწყობე შენობების, მთლიანი ტერიტორიის კაპიტალური ღობის მშენებლობა) სამუშაოების დასრულება და ძველი ვოლიერების კაპიტალური რემონტი

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა თავშესაფრის ტერიტორიაზე ახალი ვოლიერების, ოპერატიული ბაზის შენობის, საწყობის და მოსასვენებელი სივრცის, ცხოველებისათვის ახალი სადგომის (ბოსელი) და საკატის შენობის, ღობის მშენებლობის სამუშაოები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ვერ მოხერხდა ძველი ვოლიერების კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება ტენდერის გასაჩივრების გამო

3.საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული განვითარების მიზნით, ყოველწლიურად საჭიროა თანამშრომელთა გადამზადება (2023 წლის ფაქტი - 45 სპეციალისტი - მაშველი და სადღეღამისო 8 ოპერატორი).

დაგეგმილი მაჩვენებელი - საშუალოდ 50 გადამზადებული თანამშრომელი (მაშველი - სპეციალისტი და ოპერატორები).

მიღწეული მაჩვენებელი - გადამზადების ტრეინინგ კურსი გაიარა 52 სპეცილისტი-მაშველმა და სადღეღამისო 8 ოპერატორმა.

4.საბაზისო მაჩვენებელი - ცხოველებთან და ქვეწარმავლებთან დაკავშირებულ პრობლემატურ საკითხებზე, სააგენტოში შემოდის ყოველწლიურად საშუალოდ 60000-მდე შეტყობინება (2023 წლის ფაქტი - 72082 შეტყობინება, თბილისის მასშტაბით რეაგირება ადგილზე (მისამართზე) განხორციელდა 16254 შეტყობინებაზე).

დაგეგმილი მაჩვენებელი - სააგენტოში შემოსულ შეტყობინებებზე დროული და ეფექტური რეაგირება

მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოში შემოვიდა 69685 შეტყობინება, თბილისის მასშტაბით რეაგირება ადგილზე (მისამართზე) შესრულდა 15492 შემთხვევაში.

❖ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები



10 01 ქ.თბილისის საკრებულოსათვის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტით გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 21,406.8 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 20,774.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 97.1%-ია, მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 9,551.1 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 9,554.9 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა – 178.7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 1,297.4 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 192.8 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და რაიონის გამგეობებისათვის საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 84,377.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 71,040.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 84%-ია. მათ შორის: შრომის ანაზღაურება - 36,615.4 ათასი ლარი, საქონელი და მომსახურება – 28,480.2 ათასი ლარი, გრანტები - 17.7 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა - 512.3 ათასი ლარი, სხვა ხარჯები – 1,301.2 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდა - 4,113.1 ათასი ლარი. ამასთან,

წარმოდგენილია საანგარიშო პერიოდის ხარჯები ცალკეული სამსახურებისა და რაიონის გამგეობების მიხედვით, მათ შორის:

მერიის ადმინისტრაცია (კოდი 10 02) დაფინანსებულია 20,099.5 ათასი ლარით (მათ შორის სარეზერვო ფონდის ხარჯები - 28.0 ათასი ლარი, ხოლო კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი - 2,121.2 ათასი ლარი), საფინანსო საქალაქო სამსახური (კოდი 10 03) – 1,780.6 ათასი ლარით (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 586.5 ათასი ლარი), ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) – 814.7 ათასი ლარით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური (კოდი 10 06) – 1,029.6 ათასი ლარით, მუნიციპალური ინსპექცია (კოდი 10 07) – 7,717.7 ათასი ლარით, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახური (კოდი 10 09) – 757.8 ათასი ლარით, ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 10) – 1,707.5 ათასი ლარით, იურიდიული საქალაქო სამსახური (კოდი 10 12) – 2,157.5 ათასი ლარით, უსაფრთხოების საქალაქო სამსახური (კოდი 10 13) – 8,286.4 ათასი ლარით, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური (კოდი 10 37) – 1,059.3 ათასი ლარი, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური (კოდი 10 43) – 1,489.6 ათასი ლარი, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური (კოდი 10 44) – 1,460.6 ათასი ლარი (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 273.0 ათასი ლარი), გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) – 2,287.2 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონის გამგეობა (კოდი 10 28) – 2,454.3 ათასი ლარი, დიდუბის რაიონის გამგეობა (კოდი 10 29) – 2,044.4 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონის გამგეობა (კოდი 10 30) – 1,846.2 ათასი ლარი, ვაკის რაიონის გამგეობა (კოდი 10 31) – 2,436.3 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 2,136.3 ათასი ლარი (მათ შორის წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის ხარჯები - 4.2 ათასი ლარი), ისნის რაიონის გამგეობა (კოდი 10 33) – 2,361.4 ათასი ლარი, სამგორის რაიონის გამგეობა (კოდი 10 34) – 2,397.9 ათასი ლარი, კრწანისის რაიონის გამგეობა (კოდი 10 35) – 2,142.0 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონის გამგეობა (კოდი 10 36) – 2,573.2 ათასი ლარი.

10 18 სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა ასიგნებებმა შეადგინა 24,167.3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ - 21,021.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87% და 2023 წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8,236.0 ათასი ლარით მეტია[21]. სააგენტოსთვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 86.98%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის - 0.003%.

(ათასი ლარი)



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის: სააგენტოს ფუნქციონირების (მათ შორის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ოფისის, ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა - შენახვის, ავტომანქანების დაზღვევის, სატრანსპორტო საშუალების სპეციალური დაცული (საჯარიმო) სადგომების დაცვის ხარჯები, კომპიუტერული ტექნიკის, კონდიციონერის, რბილი ავეჯის შეძენა და სხვა) ხარჯები (საკუთარი

[21] 2023 წლის 1 ივლისიდან სააგენტოს სამ სტრუქტურულ ერთეულში: მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში მგზავრობის საფასურის გადახდის კონტროლის სამსახურში, სპეციალური დაცული სადგომების მართვის სამსახურსა და მონიტორინგის სამსახურში გაიზარდა საშტატო რიცხოვნობა (საქმიანობის განხორციელების მიზნით ასაყვანი თანამშრომლები სააგენტოში გადაყვანილი იქნენ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიიდან“). ამასთან, მიმდინარე წლის 1 მარტიდან სააგენტოს ფუნქციების განხორციელების მიზნით, დაემატა დამატებით 100 საშტატო ერთეული, ხოლო 1 აგვისტოდან ქონების მართვის სააგენტოდან საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების ფუნქციის გადმოტანის გამო სააგენტოში შეიქმნა საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების სამსახური (8 საშტატო ერთეული)

სახსრებიდან გადარიცხულია - 4,586.9 ათასი ლარი), მომზადდა და შესაბამისი მომართვის საფუძველზე სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს გადაეცათ სამსახურის მფლობელობაში არსებული სათვალთვალო კამერების მიერ დაფიქსირებული 168 ვიდეო ჩანაწერი სხვადასხვა სახის სამართალდარღვევათა შესახებ;

განხილულ იქნა და შესაბამისი რეაგირება მიეცა ,,ცხელ ხაზზე" შემოსულ 183022 წინადადებასა და შენიშვნას;

საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილების თანამშრომლები, შსს ერთობლივი ოპერაციების ცენტრისა და მერიის სხვა სამსახურების თანამშრომლებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას იღებენ დედაქალაქის მასშტაბით საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის გამოყოფილი სპეციალური ზოლებისა (ე.წ. BUSLANE) და სიჩქარის ვიდეო კონტროლისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის კვლევისა და დაგეგმვის პროცესში;

სამსახურის მიერ მომზადდა აღმაშენებლის ხეივნის, ვაჟა-ფშაველა-ქავთარაძე-ყაზბეგის კვეთა (სითი მოლის მიმდებარე ტერიტორია), ვაშლიჯვრის, თავდადებულის, გორგასლის, ცინცაძე-გამრეკელის ქუჩების, წყნეთის გზატკეცილის მოდელირებები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნულ მონაკვეთებზე ძირეულად იცვლება მოძრაობის მიმართულებები (ჩნდება სპეციალური ზოლები სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებებისთვის, მათ შორის საერთო ნაკადის შემხვედრი მიმართულებითაც). ზემოთ აღნიშნული ცვლილებები უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსარგებლეთა ეფექტურ მომსახურებას. ასევე, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებულ ქუჩებზე დაგეგმილი ცვლილებები დადებითად იმოქმედებს მიმდებარე ქუჩებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების კუთხით;

შეთანხმებული იქნა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე ჩასატარებელი სხვადასხვა სახის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდში სატრანსპორტო საშუალებებისა და ქვეითთა მოსიარულეთა საგზაო მოძრაობის ორგანიზების 2512 დროებითი და 3588 მუდმივი სქემა (მათ შორის 1727 დაჩქარებული მომსახურება) ხოლო ხაზობრივი ნაგებობების/სამუშაოების წარმოებაზე გამოიცა 3349 აქტი. წინასწარ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, რამდენჯერმე ჩატარდა დედაქალაქის ქუჩებსა და მაგისტრალებზე განთავსებული

საგზაო მოძრაობის ორგანიზების ტექნიკური საშუალებების შემოწმება - დათვალიერება. გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი წერილები დაეგზავნათ მიმწოდებელ კომპანიებს და შესაბამის სამსახურებს შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია შესაბამისი მიღება ჩაბარების აქტები;

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენაზე უფლებამოსილი სამსახურის თანამშრომლების მიერ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13, მე-14, მე-15,მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე მუხლის პირველი ნაწილით და 135^1, 135^2,135^3,135^4 მუხლებით, შედგენილ იქნა 836987 საჯარიმო ქვითარი, ხოლო 135-ე მუხლის მეორე ნაწილით შედგენილ იქნა სულ 1975 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 1341 მუხლის პირველი ნაწილით ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ შედგენილია 582 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი. საფუძველი: 1) სამშენებლო სამუშაოების წარმოება სქემის დარღვევით - 220 ჯარიმა; 2) სატრანსპორტო საშუალების განთავსება სქემის დარღვევით - 57 ჯარიმა; 3) სატრანსპორტო საშუალების განთავსება სქემის გარეშე - 174 ჯარიმა; 4) სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება სქემის დარღვევით და სქემის გარეშე - 131 ჯარიმა;

უბილეთო მგზავრობისთვის, M3 კატეგორიის ავტობუსში შედგენილ იქნა 63553 ჯარიმა, M2 კატეგორიის ავტობუსში - 16655 ჯარიმა, ხოლო მეტროთი უბილეთო მგზავრობისთვის - 6231 ჯარიმა.

თბილისის მასშტაბით მოეწყო 1627 ზონალურ-საათობრივი პარკირება (მათ შორის 73 შშმ პირთა პარკირების ადგილი), დაემატა 84 ახალი ველო პარკირების ადგილი, 23 დისტრიბუციის პარკირების ადგილი და 18 ტაქსის პარკირების ადგილი. პერიოდულად მიმდინარეობს ტაქსებისათვის, ახალი ადგილების გამოვლენა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება);

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაიცა 933 საცნობი ნიშანი, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დასაცავ პირთა სარგებლობაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებებზე გაიცა 4358 სპეციალური საშვი; ასევე, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან გაფორმდა

პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ 556 ხელშეკრულება;

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სხვადასხვა სამართალდარღვევებზე შემოვიდა 7922 პროტესტი/საჩივარი და მიმდინარე პერიოდში განხილული იქნა 5632 პროტესტი/საჩივარი;

ტაქსის რეფორმის მესამე ეტაპის ფარგლებში („A“ კატეგორიის უვადო ნებართვის უსასყიდლოდ გადაცემა) საანგარიშო პერიოდის ბოლოს გააქტიურებულია 20054 „A“ კატეგორიის უვადო ნებართვა (მათ შორის ბენზინზე მომუშავე - 5536 ნებართვა, ჰიბრიდული - 10405 ნებართვა, ელექტრო - 356 ნებართვა), ხოლო არააქტიური ნებართვები (მოლოდინის რეჟიმი) რომელზედაც არ არის მიბმული სატრანსპორტო საშუალება 3 757 ცალი (ანაზღაურდება დღეში 3 ლარი). ამასთან, „B“ კატეგორიის კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის ტაქსის ნებართვის სტატუსით სარგებლობს 16066 ნებართვა (მათ შორის ბენზინზე მომუშავე - 3944 ნებართვა, ჰიბრიდული - 11871 ნებართვა, ელექტრო - 251 ნებართვა);[22]

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებით დამტკიცებული სატრანსპორტო საშუალებების პარკირების (მათ შორის გაფორმდა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და ადმინისტრაციულ ორგანოებთან პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ 556 ხელშეკრულება) საფასურის გააქტიურების შედეგად მიმდინარე პერიოდში სულ შემოსულია 6,436.3 ათასი ლარი (მათ შორის 1 კვირიანი (4 ლარი) - რაოდენობა 67108, 6 თვიანი (25 ლარი) - რაოდენობა 100466, 1 წლიანი (50 ლარი) - რაოდენობა 27202, 1 დღიანი (ზონალური, 20 ლარი) - რაოდენობა 4493, 1 კვირიანი (ზონალური, 100 ლარი) - რაოდენობა 437, 1 თვიანი (ზონალური, 300 ლარი) - რაოდენობა 111, 6 თვიანი (ზონალური, 500 ლარი) - რაოდენობა 801, 1 წლიანი (ზონალური, 800 ლარი) - რაოდენობა 2161), ხოლო ზონალურ საათობრივი პარკირებიდან 19,406.7 ათასი ლარი;

სააგენტოს განაშენიანების რეგულირების გეგმების მართვისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების გეგმარებითი დავალებების მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოებების შედეგად,

